

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ელზა ჩაჩანიძე

ცილისწამების ფორმები ძველ ქართულ სამართალში

ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღანაშვილი,
სამართლის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



უნივერსიტეტის
ბაზოცეფელოზა

თბილისი 2015

შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურა	3
შესავალი	4
თავი I. ცილისწამება როგორც დელიქტი	6
1.1 ცილისწამების ზოგადი შემაღვენლობები	6
1.2 ცილისწამების ზოგადი შემაღვენლობებით განსაზღვრული სასჯელთა სახეები	21
თავი II. ცრუ დასმენა, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი ფორმა	31
2.1 ცრუ დასმენის შემაღვენლობები	31
2.2 დალატის ცრუ დასმენა	49
2.3 ცრუ დასმენისათვის დაწესებული სასჯელთა სახეები	56
თავი III. ტყუილი მთხრობლობა	80
3.1 ტყუილი მთხრობლობის ცნება	80
3.2 ტყუილი მთხრობლისა და ცრუ მოწმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა	87
3.3 ტყუილი მთხრობლობისათვის გათვალისწინებული სასჯელები	89
3.4. სამთხრობლოს მნიშვნელობა ტყუილი მთხრობლობისას	95
თავი IV. ცალკეულ ქმედებათა ცილისწამება	99
4.1 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება	99
4.1.1 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების ხელყოფის ობიექტი და ქმედების განხორციელების ფორმები	99
4.1.2 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების სუბიექტი	103
4.1.3 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სასჯელები	108
4.2. გრძნეულების ცილისწამება	113
4.2.1 გრძნეულების ცილისწამება როგორც დელიქტის ერთ-ერთი სახე	113
4.2.2 სასჯელი გრძნეულების ცილისწამებისათვის	116
4.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცილისწამება	118
4.3.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამება, როგორც დელიქტი	118
4.3.2 სასჯელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამებისათვის	125
დასკვნა	129
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	140

გამოყენებული აბრევიატურა

1. გვ. – გვერდი;
2. დასახ. – დასახელებული;
3. დასახ. ნაშრ. – დასახელებული ნაშრომი;
4. ე. ი. – ესე იგი;
5. თბ. – თბილისი;
6. იხ. – იხილეთ;
7. მაგ. – მაგალითად;
8. მუხ. – მუხლი;
9. ტ. – ტომი;
10. D – იუსტინიანეს დიგესტები;
11. I – იუსტინიანეს ინსტიტუციები;
12. M. – Москва;
13. სტ. – страница.

ცილისწამების ფორმები ძველ ქართულ სამართალში

შესავალი

კვლევის საგანი. ცილისწამება პირისათვის რაიმეს დაწამებაში გამოიხატება. ცილისწამება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, სხვადასხვა ქმედების დაწამებას ეხებოდეს. აღნიშნული საკითხის მრავლგვარობა ასახულია ძველი ქართული სამართლის ძეგლებში დამოუკიდებელი ნორმების არსებობით, რომლებიც ცალკეული ქმედებების ცილისწამებისათვის განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას. პირველ რიგში შევეცდებით ჩამოვთვალოთ და დავახასიათოთ ის ნორმები, რომლებიც ცილისწამებისათვის აწესებენ სანქციებს. ეს ერთი შეხედვით თითქოსდა მარტივი საკითხი, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. ძველ ქართულ სამართალში ცილის შეწამება უფრო ფართო ცნება იყო ვიდრე ეს თანამედროვე სამართალშია გაგებული. სადისერტაციო ნაშრომი იმის შესწავლის მცდელობას წარმოადგენს, თუ რა ქმედებები ითვლებოდა ცილისწამებად ძველ ქართულ სამართალში. ამას გარდა ზოგიერთ შემთხვევაში ნორმათა ტექსტში გამოყენებული ტერმინების განმარტების საფუძველზე თუ შეიძლება იმის თქმა, რომ მუხლი ცილისწამებას ეხება. მაშინაც კი, როცა სამართლის ძეგლში ცილისწამების შესახებ არის საუბარი ტერმინთა განმარტების გარეშე სრულად ნორმის შინაარსის და კონონდების ნების განსაზღვრა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა ზოგჯერ რთულია ზუსტი, კატეგორიული დასკვნების გაკეთება. საკითხის შესწავლას არ აადვილებს ცილისწამების შესახებ ისტორიულ წყაროებში არსებული ფაქტები. სამართლებრივი თვალსაზრისით უმეტესად ეს მონაცემები გამოუსადეგარია, რადგან მოგვიტხოვრობენ ცილი დაწამების ფაქტზე, მაგრამ ცილისმწამებლის დასჯის შესახებ არაფერს ამბობენ. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით დახმარებას გვიწევს სასამართლო განჩინებები, თუმცა ყველა სახის ცილისწამებაზე სასამართლო პრაქტიკა არ მოიქმნა. კვლევას ართულებს ასევე აღნიშნულის საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სიმწირე. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანის პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტები განხილული აქვს გ.

ნადარეიშვილს და პ. (თემურ) მონიავას, თუმცა ნაშრომებში უშუალოდ ცილისწამებას მცირე ადგილი აქვს დათმობილი.

სირთულეს წარმოადგენს ასევე სხვადასხვა ფორმის ცილის შეწამებისას ხელყოფის ობიექტის ზუსტი განსაზღვრა, კანონმდებელთა ნების ზუსტი დადგენა რა სიმართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის იყო პასუხისმგებლობა დაწესებული. ზოგიერთ ნორმაში ობიექტზე მითითება ხდება, სხვა შემთხვევაში აღნიშნულთან დაკავშირებით მინიშნება არ არის. სამართლის ძეგლში ცილისწამების შესახებ არსებულ ნორმაში პირის პატივის ხელყოფაზე აქცენტის გაკეთება აადვილებს დელიქტის სახის განსაზღვრას, მითუმეტეს თუ კერძო სასჯელია დაწესებული ამ ქმედებისათვის. მაგრამ სხვა ფორმის ცილისწამებისას კანონმდებლის მიერ სახელმწიფო ინტერესის ხელყოფაზე აქცენტის გაკეთება და ამავე დროს კერძო სასჯელის გამოყენება წინააღმდეგობრივ სურათს ქმნის. რა თქმა უნდა ქმედების საჯაროდ, ან კერძო დელიქტად ჩათვლა პირობით ხასიათს ატარებს, რადგან ასეთ დაყოფას ძველი ქართული სამართალი არ იცნობს. ამოსავალი ამ საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებული სასჯელები იქნება. თუმცა თავისთავად მხოლოდ სასჯელის განხილვაც არ არის საკმარისი, რადგან ცილისწამების უმეტეს შემთხვევებში ქონებრივი სანქციებია გამოყენებული, ამ სახის სასჯელთა საჯარო, თუ კერძო ხასიათის მიმართ არ არის ერთგვაროვანი აზრი ჩამოყალიბებული. ამიტომ კონკრეტული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს დელიქტის სახის საკითხი.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ძველ ქართულ სამართალში ცილისწამების შესახებ არსებული ნორმების მოძიება, ამ ნორმების და სასამართლო განჩინებების ანალიზის საფუძველზე ცილისწამების, როგორც ქმედების გამოვლინების ფორმების დადგენა და დასჯადობის საკითხის შესწავლა. ცილის შეწამების განსხვავებული ფორმების და ცალკეული ქმედებების დაწამების ანალიზის საფუძველზე კანონმდებელთა ნების დადგენა, თუ რა სახის სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვის აწესებდა პასუხისმგებლობას. ცილისწამების კონკრეტულ ნორმებში გამოყენებულ სანქციათა ანალიზის საფუძველზე პირობითად დელიქტის სახის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომის კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი, ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, სინთეზისა და ანალიზის მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის შედგენილობა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალი, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში განხილულია ცილისწამების ზოგადი შემადგენლობები; მეორე თავში – ცრუ დასმენა, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი ფორმა; მესამე თავში – ტყუილი მთხრობლობა; მეოთხე თავში – განხილულია ნორმები, რომლებიც ითვლისწინებენ პასუხისმგებლობას ცაკლეულ ქმედებათა

ცილისწამებისათვის, კერძოდ კი ბუნებითი დანაშაულების, გრძნეულების და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამება.

თავი I. ცილისწამება როგორც დელიქტი

1.1 ცილისწამების ზოგადი შემადგენლობები

ძველი ქართული სამართლის კაზუისტური ხასიათის მიუხედავად გასარკვევია სამართლის ძეგლებში თუ არის ნორმები, რომლებიც ცილისწამების ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს. თავდაპირველად ზანდუკში ცილისწამების თავში მითითებულ მუხლებს დავასახელებთ, ხოლო შემდგომ განვიხილავთ უშუალოდ ამ ნორმათა შინაარსს. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუკში (საძიებელში) ის. დოლიძეს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ცილისწამება, დაბეზდება და მთხრობლობა (რომელიც თავის მხრივ მოიცავს ნორმებს ტყუილი მთხრობლობის შესახებ).¹

ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან ზანდუკში ცილისწამების თავში მითითებულია მრუშობის (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი)² და გრძნეულების დაწამება (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუღას სამართლის 146-ე მუხლი).³ აქცენტი გაკეთებულია კონკრეტული ქმედების ცილისწამებაზე. ამას გარდა, ის. დოლიძე ცილისწამების თავში ქართული სამართლის ძეგლებიდან უთითებს მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას „მუქარის თხოვნისთვის“. აღნიშნული მუხლები გვხვდება ბაგარატ კურაპალატის (ბექა-აღბუღას სამართლის 127-ე და 128-ე მუხლები)⁴ და ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში (მუხლი 228).⁵

დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში „მუქარის თხოვნა“ განმარტებულია როგორც ხმალში გამოთხოვა.⁶ გიორგი ნადარეიშვილი თავის სტატიაში, ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ „მუქარის თხოვნა“ დუელში გამოწვევას უნდა ნიშნავდეს. მისი აზრით, „დუელში გაწვევა,

¹ ტყუილი მთხრობლობა ცრუ დასმენის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 468.

³ იქვე. გვ. 468.

⁴ იქვე. გვ. 467.

⁵ იქვე. გვ. 540.

⁶ ის. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984, გვ. 908.

შეიძლება ყოფილიყო „სამართლიანი“ და „უსამართლოც“. უსამართლოდ დუელში გაწვევა დანაშაულად ითვლებოდა. ქართული სამართლის ცნობილ ძეგლებს – ივ. ჯავახიშვილს, ალ. ვაჩიშვილს, ივ. სურგულაძეს, ის. დოლიძეს და სხვებს მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ გამოთქმა „მუქარის თხოვნა“ ფეოდალურ საქართველოში ისეთ ორდალს უკავშირდება, როგორცაა, ორთაბრძოლა. საფიქრებელია, რომ ძველი ქართული ჩვეულების მიხედვით, უმიზეზოდ „ამხანაგის“ ორთაბრძოლაში გაწვევა დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა.⁷ როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს გ. ნადარეიშვილი მუქარის თხოვნას ორდალის სახედ განიხილავს. ხოლო უსამართლოდ მუქარის თხოვნას შეურაცყოფად თვლის.

მუქარის თხოვნას ეხება ნ. ურბნელიც: „აღბუღა მუქარასაც ბრალადა სთვლის. ათაბაგი ამბობს, მუქარა უსამართლო უნდა იყოს, თანასწორს შეეხებოდეს და მხოლოდ მაშინ იცნობების ბრალადაო. მუქარა მარტო „ზემოთათვის“ შეადგენდა ბრალსა და აღბათ იმიტომ-რომ იგი სარცხვინელი ამბავია და ყველა ფერი სარცხვინელი კიდევ უფრო მაღალ წოდებას მიაჩნია ბრალად. მუქარა ორგვარი იყო – დიდის, დიდებულის მუქარა და უქვემოსისა.“⁸

იმ შემთხვევაშიც კი თუ „მუქარის თხოვნა“ შეურაცყოფად უნდა ჩაითვალოს, მაინც გაუგებარი რჩება, რატომ არის ეს მუხლები მითითებული ზანდუკში ცილისწამების თავში, მითუმეტეს, რომ ზანდუკში ცილისწამებას მოსდევს შეურაცყოფა. მათ შორის საერთო ნიშნად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის გარემოება, რომ როგორც ცილისწამება, ისე „მუქარის თხოვნა“ ძველ ქართულ სამართალში პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებად ითვლებოდა. თუმცა ეს საბოლოოდ მაინც ვერ ხსნის აღნიშნულ გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლები ზანდუკში ცილისწამების თავში არის მოთავსებული, ასეთ ქმედებად მაინც ვერ ჩაითვლება, რადგან შესაძლოა ამით პირის პატივი და ღირსება იყო ხელყოფილი, მაგრამ ეს არ იყო გამოხატული პირისთვის რაიმეს დაწამებაში, რაც ცილისწამების არსებით ნიშანს წარმოადგენს. შესაბამისად დასახელებულ მუხლების შემდგომი განხილვა მიზანშეწონილი არ არის.

ცილისწამების თავში მითითებულია ორი მუხლი სომხური სამართლიდან. სომხური სამართლის ეს მუხლები (მუხ. 107 და 119)⁹ ეხება მოსამართლესთან პირისთვის „ავის მოქმედების“ დაწამებას. თავისი შინაარსით ეს ნორმები ცრუ დასმენას უფრო შეესაბამება, ვიდრე ცილისწამებას.

⁷ ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 62.

⁸ ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, რჩეული თხზულებები, დასაბუქდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1982, გვ. 491-492.

⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255, 258.

ამდენად, ცილისწამების ზოგადი შემადგენლობების დადგენაში ის. დოლიძის მიერ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუკის თავებად დაყოფა ვერ გვეხმარება. რაც ეჭვს ბადებს, არსებობდა კი ზოგადი ხასიათის ცილისწამების ნორმები ძველ ქართულ სამართალში. ეს თავი ამ ეჭვის გაბათილების მცდელობას წარმოადგენს. ცილისწამების, როგორც დელიქტის განხილვისას თავდაპირველად ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ნორმები იქნება განხილული, ხოლო შემდგომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა სამართლის ძეგლები.

ცილისწამების ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ კურაპალატის სამართლის შემდეგი ნორმა (ბექა-აღბუდას სამართლის 120-ე მუხლი): „ცილისა წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცსა ასმიოდეს, საყვედური განმრავლდეს, თუ მტერობით შეყვივლოს, მაშინ ფიცოს, – არა ზედაც. თუ არა ფიცოს სისხლი ზღოს.“¹⁰ ცილი ძველ ქართულში განმარტებულია როგორც ტყუილთაგანი,¹¹ ბრალი შემოღებული ვისზედმე სიცრუით.¹² ხოლო ცილის შეწამება როგორც ტყუილის დაწამება,¹³ ბრალის დადება.¹⁴ ნორმაში გამოყენებული ტერმინი „ასმიოდეს“ წარმოებულია სიტყვა „სმევა“-სგან. სმევა შესმენას, დასმენას ნიშნავდა.¹⁵ ნორმის ტექსტის დასაწყისის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მუხლი ეხება ცილისწამების განმარტებას. თუ ასმიოდეს დასმენას ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ კანონმდებელი ცილისწამების ცნებაში დასმენასაც მოიაზრებდა. ნორმის დასაწყისი შეიძლება შემდეგნაირად იქნეს განმარტებული, უდანაშაულო პირის დასმენა უსიამოვნების „გამრავლებას“ იწვევდა. თუ დაწამება ხდებოდა „მტერობით“¹⁶ ე. ი. ავის სურვილით, პირს ფიცით უხდებოდა თავისი ბრალდების დამტკიცება. გ. ნადარეიშვილის აზრით, ფიცი ეკისრება იმ მხარეს, რომლის მიმართაც მეტი გულგება შეიძლება არსებობდეს, რომ მართალია.¹⁷ შეყვივება დავით ჩუბინაშვილის განმარტებით ყვირილით დაბრალებას ნიშნავდა.¹⁸ სავარაუდოდ ყვირილით დაბრალებაში სახალხოდ რაიმეს დაწამება უნდა იგულისხმებოდეს.

ამ ნორმას ეხება თ. მონიავაც, რომლის განმარტებით, ბაგრატ კურაპალატის სამართალი განასხვავებდა ცილისწამების ორ სახეს: ჩვეულებრივ ცილისწამებას (ანუ ცილისწამება როცა ინფორმაციის

¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

¹¹ *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ*, თბ., 1993, გვ. 337.

¹² *დ. ჩუბინაშვილი*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1594.

¹³ *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 337.

¹⁴ *დ. ჩუბინაშვილი*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1594.

¹⁵ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1185.

¹⁶ მტერი – ავის მდომი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ი. აბულაძემ*, თბ., 1991, გვ. 524.

¹⁷ იხ. *ნადარეიშვილი გ.*, ფიცი, როგორც მტკიცებულება, ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962, გვ. 8.

¹⁸ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1487.

გამავრცელებელი კეთილსინდისიერად ცდებოდა) და ცილისწამებას „მტერობით“ ანუ პირდაპირი განზრახვით. ამასთან, თუ პირველ შემთხვევაში დაზრალეზულს აკმარებდნენ საყვედურს (მაგ, გადაუმოწმებელი ცნობების გავრცელების შემთხვევაში), განზრახ ცილისმწამებელს უნდა გადაეხადა შესაბამისი სისხლის საფასური.¹⁹

ამ მუხლის მეორე ნაწილის შინაარსის განმარტება სირთულეს არ წარმოადგენს. ნორმაში პირდაპირ არის მითითებული რომ ცილისმწამებელი ბოროტი განზრახვით მოქმედებს. ამას უპირისპირებს თ. მონიავა სხვა სახის ცილისწამებას, რომელიც ბოროტი განზრახვით არ არის ჩადენილი. ორივე ქმედებას, მიუხედავად იმისა, პირი პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა თუ არა, ავტორი ცილისწამებად თვლის. დასახელებული მუხლის პირველ ნაწილთან დაკავშირებით ორი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. პირველი, „თუ მართალსა კაცსა ასმიოდეს, საყვედური განმრავლდეს“, განხილულ უნდა იქნეს, როგორც დამოუკიდებელი ნორმა, რომელიც ცალკე სანქციას ითვალისწინებს. ამ მოსაზრებას გამოთქვამს თ. მონიავა. ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია ქმედების დასჯადობის საკითხი და გასარკვევია ტერმინის „საყვედური“-ს მნიშვნელობა. თ. მონიავა მას სასჯელის ერთ-ერთ ფორმად, საყვედურის გამოცხადებად თვლის. საყვედური, ლექსიკონის მიხედვით, ტუქსვას, სამდურავს ნიშნავდა.²⁰ ტუქსვა კი სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით საწვრთელ რისხვას წარმოადგენდა.²¹ თავის მხრივ სამდურავი მომდურავობას, გულ-ძვირობას, უსიამოვნებას გულისხმობდა.²² გამრავლება კი გახშირებას, მომატებას ნიშნავდა.²³ შესაბამისად „საყვედურის განმრავლება“ შესაძლოა მკაცრ დატუქსვას გულისხმობდეს. ტერმინთა განმარტებიდან გამომდინარე თითქოს უფრო მართებული იქნებოდა „საყვედურის განმრავლება“ სანქციად თუ მივიჩნევდით. მაგრამ ნორმაში ამ მნიშვნელობით ტერმინთა გამოყენება შინაარსობრივად „არაგამართულად“ ჩანს. როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული მუხლი უდანაშაულო ადამიანის ბრალდებას ეხება. თუ ასეთს ადგილი ექნებოდა, სასამართლოსათვის წინასწარ რა თქმა უნდა ცნობილი არ იყო პირი კეთილსინდისიერად ცდებოდა სხვის უდანაშაულობაში თუ არა. ამიტომ გაუგებარია რა კრიტერიუმების მიხედვით ადგენდნენ ამ გარემოებას და რატომ უწესებდა ცილისმწამებელს სასამართლო ფიცის დადების ვალდებულებას. თუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ისედაც ცხადი იყო რომ პირი კეთილსინდისიერად ცდებოდა, ან ბოროტი განზრახვა ამოძრავებდა, მაშინ ფიცით ამის დადასტურება, ან უარყოფა აზრს კარგავს. ამას გარდა, თუ არ არსებობს იმის შეგნება, რომ პირი შეგნებულად სდებს ბრალს უდანაშაულო პირს მაშინ არ არსებობს თავად ცილისწამებაც. დასახელებული გარემოების არსებობა კი ცილისწამების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს.

¹⁹ იხ. მონიავა პ. (თემურ), პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., 2005, გვ. 54.

²⁰ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1135.

²¹ იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 147.

²² იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1087.

²³ იქვე, გვ. 197.

უდანაშაულო პირის ბრალდება თუნდაც ცილისმწამებელი კეთილსინდისიერად ცდებოდეს პირის უდანაშაულობასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის „უსიამოვნების გახშირების“ საფუძველი აუცილებლად გახდებოდა. როგორც ღირსი მამა ანტონი წერს: „ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისმწამებლისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხოვრებ ადამიანთა შორის, სთესავს ბოროტებას და დვარდის ახლობლებში, არღვევს ერთობას.“²⁴ მოყვანილი განმარტება სრულ შესაბამისობაში მოდის ბაგრატ კურაპალატის სამართალში არსებულ ცილისწამების განმარტებასთან, იმ შედეგებთან რასაც კანონმდებელი ასახელებს. შესაბამისად, დასახელებული მუხლი ორი ნორმისაგან არ შედგება. მუხლის დასაწყისში კანონმდებელი ხსნის თავად ქმედების არსს, განმარტავს რა საფრთხეს შეიცავს უდანაშაულო ადამიანის ცრუ ბრალდება, ხოლო შემდგომ ცილისწამების ნიშნებს და სანქციას უთითებს.

ამ ნორმის მიხედვით ცილისწამების დასჯადობისათვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა პირდაპირი განზრახვის არსებობა და მეორე გარემოება—ცილისწამების საჯაროდ განცხადება. ცილისწამების ამ ნიშანს სხვა ქვეყნების სამართალშიც ვხვდებით. მაგალითად, მეფე ალფრედის კანონებით (871-901), „თუ ვინმემ გაავრცელა საჯაროდ (ხალხში) ცილისწამება და მხილებულ იქნა ამაში, მაშინ იგი ამისთვის დაისაჯოს იმაზე მსუბუქად არა, ვიდრე ენის მოჭრით და რომ ენა ვერ იქნეს გამოსყიდული უფრო მცირე ფასად, ვიდრე აფასებენ მის (ცილისმწამებელის) ვერგილდს.“ (მუხლი 32)²⁵

ცილისწამებას, როგორც პირის პატივის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას გააჩნია მახასიათებლები, რაც მას სხვა სახის პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებისაგან განასხვავებს. ჰუგო ფელშნერი ცილისწამების განხილვისას მის ორ ნიშანზე ამახვილებს ყურადღებას: ცილისწამებისას ისევე როგორც შეურაცყოფის შემთხვევაში ხელყოფის ობიექტს პირის პატივი წარმოადგენს, ხოლო ცილისწამების თავისებურებას წარმოადგენს, სხვისი პატივის არ აღიარება, რაც გამოიხატება რაიმე ფაქტის მტკიცებაში ან გავრცელებაში, რაც ამ პირის მიმართ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულაბას იწვევს.²⁶ მ. დუხოვსკი რომის სამართლის მიხედვით დასახელებული ქმედების ოთხ ნიშანს ასახელებს: პირველი – სხვა პირთა შორის ინფორმაციის გავრცელება, ეს ნიშანი ცილისწამებას შეურაცყოფისაგან მიჯნავს. მისი აზრით, ცილისწამების შემთხვევები რომის სამართალში (convicium, infamia და პასკვილი) ზუსტად გავრცელების საშუალებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან; ცილისწამების მეორე ნიშანი ცნობების გავრცელების სიცრუეა; მესამე

²⁴ <www.orthodoxy.ge/sakhli/10mtsneba.htm> ბოლოს გამოხმობილია 08.10.2014.

²⁵ იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи, под редакцией В. М. Корецкого, М., 1961, ст. 74.

²⁶ იხ. Fälschner H., Preusischen Strafrechts, Die Verbrechen gegen das Recht der Privatperson, zweiter teil, Bonn, 1868, s. 272.

ნიშანს, რაც რომის სამართლით იყო აღიარებული, წარმოადგენდა გარემოება, რომ გავრცელებული ინფორმაცია ეხებოდა დანაშაულებრივ ან უზნეო ქმედებას, ან ზოგადად უღირსი იყო პირის პატივისათვის; ხოლო რომის სამართლით ცილისწამების მეოთხე ნიშანი ცილის დაწამების განზრახვის არსებობაა, განზრახვა დაამციროს პირი სხვათა თვალში.²⁷

შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის ზემოთ განხილულ მუხლში ცილისწამებისათვის დამახასიათებელი ოთხივე ნიშანი იკვეთება. პირველი გარემოების არსებობაზე ტერმინი „შეყივლება“ მეტყველებს, მეოთხეზე – ქმედების „მტერობით“ ჩადენა. მეორე ნიშანზე, ნათქვამის სიცრუეზე, აღნიშნულია, რომ ქმედება ჩადენილია „მართალი კაცის“ მიმართ. რაც შეეხება მესამე ნიშანს - დაწამება უნდა ეხებოდეს დანაშაულის ჩადენას, ან უზნეო ქმედებას. იმის მითითება, რომ ცილისწამება „საყვედურის გამრავლებას“ იწვევს მიაჩნებს, რომ დაწამება ეხება ისეთ ქმედებას, რაც პიროვნებას ცუდად წარმოაჩენს.

ცილისწამების ზოგად შემადგენლობას უნდა მიეკუთვნოს დავით ბატონიშვილის სამართლის 130-ე მუხლი. ცილისწამების სინონიმად იხსენიებს „ოღალოს“, „შარს“. „ოღალოს“ განმარტებას კანონმდებელი ნორმაშივე იძლევა: [130] ბ. **ოღალოსათვის** „ვინცა ოღალო, ესე იგი შარი, მოუგონოს და ცრუდ ბრალეულ-ჰყოს, ვითარითავე სახითა ბრალეულ-უყვიეს, ეგრეთითა სახითა ნაგულსავსე იქმნას შეწამებული იგი, ამაღ ვინადგან სააჯმნოდ დამდებელნი ამათა თვისთანი ჯერ-არიან სააჯმნო-ყოფად.“²⁸ ოღალოს განმარტება მოცემული აქვს სულხან-საბა ორბელიანს ლექსიკონში (ოღალო–სიცრუით მოგონებული),²⁹ ხოლო შარი განმარტებულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, როგორც ცილისწამება.³⁰ ამდენად, დავით ბატონიშვილის დასახელებული მუხლი ზოგადად ცილისწამებას ეხება. ის თავის მხრივ არ მოიცავს არც ცრუ დასმენას და არც ტყუილ მთხრობლობის შემთხვევებს, რადგან აღნიშნული ქმედებებისათვის დამოუკიდებელი მუხლებია სამართლის წიგნში. ამ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული რას შეეხებოდა შარის მოგონება. ბრალში ძველ ქართულ სამართალში დანაშაული, შეცოდება იგულისხმებოდა.³¹ ტერმინის განმარტებაში შეცოდების მითითება ვარაუდს აჩენს, რომ ნორმა მხოლოდ დანაშაულის მოგონებით არ შემოიფარგლებოდა და იგი ცოდვის დაწამებასაც მოიცავდა. შესაბამისად

²⁷ იხ. *Духовский М.В.*, Понятие клеветы, как преступления против чести частных лиц по русскому праву, Ярославль, 1873, ст. 37,38,42,43. <http://www.pravo.vuzlib.org/book_z2243.html> ბოლოს გამოხმობილია 06.02.2014. (წიგნის ელექტრონული ვარიანტი ხელმისაწვდომია თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში)

²⁸ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 76.

²⁹ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 610.

³⁰ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1394.

³¹ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 113. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 116.

ნორმის შინაარსი, შემდეგნაირად უნდა განიმარტოს, ცილისწამება ე. ი. პირისათვის დანაშაულის, ცოდვის ჩადენის მოგონება და დაწამება. ცილისწამების როგორც ქმედების დახასიათებისას აღნიშნული იყო, რომ დაწამება შეიძლება ეხებოდეს როგორც დანაშაულის, ისე უღირსი, უზნეო ქმედების დაბრალებას. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ დავით ბატონიშვილის სამართალშიც კანონმდებლის მიერ იგივე აზრია გატარებული. რა თქმა უნდა დანაშაული ცოდვას წარმოადგენს, მაგრამ ცოდვის ცნება უფრო ფართოა ვიდრე კანონმდებლის მიერ აკრძალული ქმედება, რისთვისაც სასჯელს აწესებს.

სირთულეს წარმოადგენს ტექსტის შემდგომი შინაარსის განმარტება. ცილისმწამებლის პასუხისმგებლობა სავარაუდოდ დამოკიდებული იყო მის მიერ განხორციელებული ბრალდების სახეზე: „ვითარითავე სახითა ბრალეულ-უყვიეს, ეგრეთითა სახითა ნაგულსავსე იქმნას შეწამებული იგი.“³² გულსავსე მადლიერს, არა მქონებელი გულნაკულობისას ნიშნავდა. გულ-სავსება – კმაყოფილება.³³ „ნაგულსავსე“ უნდა იყოს „გულსავსეს“ საპირისპირო, ე. ი. უკმაყოფილო. ამადენად რა სახის დაწამებას ექნებოდა ადგილი, რამდენადაც შეილახებოდა პირის პატივი, იმდენად მძიმე იქნებოდა სასჯელიც. ამ მოსაზრების სისწორეზე უნდა მეტყველებდეს ნორმაში კონკრეტული სანქციის მიუთითებლობაც.

ნორმის შემდგომი შინაარსის გარკვევისას დაგვეხმარება ტერმინ „ჯერ-არიან“-ის მნიშვნელობის დადგენა. ჯერი სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს როგორც დაჯერება.³⁴ შესაბამისად დამწამებელს უნდა დაეჯერებინა სასამართლო თავისი დაწამების სიმართლეში. ამ ნიშანთან დაკავშირებით გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება განხილულ ნორმასა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში არსებული ცილისწამების მუხლს შორის. ორივე შემთხვევაში დამწამებელს უწევს თავისი ბრალდების მტკიცება. თუმცა ბაგრატ კურაპალატთან ეს მხოლოდ ფიცში გამოიხატებოდა. რაც შეეხება დავით ბატონიშვილის სამართალში მტკიცების საშუალება დაკონკრეტებული არ არის. ამ ორ ნორმას შორის სხვა საერთო ნიშნის დანახვაც შეიძლება. როგორც ბაგრატ კურაპალატის სამართალში დავით ბატონიშვილთანაც ცილისწამება საჯარო უნდა ყოფილიყო. ამაზე მიანიშნებს ტერმინის „სააჯმნო“-ს გამოყენება³⁵.

განხილული ორი ნორმის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს ცილისწამების ზოგადი ნიშნები: ეს არის პირდაპირი განზრახვის არსებობა,

³² სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 76.

³³ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 341.

³⁴ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 455.

³⁵ საანჯმნო – საჯარო. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 18; საამჯმნო – საჯარო. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1051; საანჯმნო-ყოფა – გამოაშკარელება განაჩიქებდეს უფროდს და საანჯმნო-ჰყოფდეს მას. ძუელითგანი იგი მტერობაჲ მისი საანჯმნო-ყო. *სარჯველაძე ზ.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ, 1995, გვ. 171.

როცა პირს შეგნებული აქვს, რომ უდანაშაულო პირს სდებს ბრალს; აუცილებელი იყო, რომ ბრალდება საჯარო ყოფილიყო. ამათგან ერთ-ერთის არარსებობა ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. ორივე შემთხვევაში დამწამებელს უხდება თავისი ბრალდების მტკიცება. ნათქვამის სიცრუეზე მიანიშნებს ბაგრატ კურაპალატის სამართალში აღნიშვნა, რომ დაწამება „მართალ“ კაცს ეხება, ხოლო დავით ბატონიშვილის სამართალში, რომ ბრალდება ცრუ იყო. ამის გარდა, დაწამება დანაშაულს, ან ცოდვას ეხებოდა.

ქართული სამართლის სხვა ძეგლებში ცილისწამების ზოგადი ნორმები არ გვხვდება. რაც შეეხება ვახტანგ ბატონიშვილის კრებულში შესულ სხვა სამართლის ძეგლებს. მოსეს სამართლის პირველივე მუხლში, რომელსაც ეწოდება „მცნება ღმრთისაგან“ მოხსენიებულია ცილისწამება მკვლელობასთან, მრუშობასთან და ქურდობასთან ერთად: „ნუ კაც ჰკლავ, ნუ იმრუშებ, ნუ იპარავ, ნუ ცილის სწამებ მოყუასისა შენისა მიმართ.“³⁶ „ღმრთის ცნება“ ამკრძალავი ნორმაა, რომელიც სანქციას არ ითვალისწინებს. მოსეს სამართალში ცილისწამებასთან დაკავშირებით ნორმის არსებობა გასაკვირი არ არის, რადგან ღმერთის მიერ დადგენილ მეცხრე მცნებით აკრძალულია: „არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.“ მეცხრე მცნება მოიცავდა ცრუმოწმობას, ცილისწამებას, ტყუილ დაბეზღებას, მოწმის განკითხვას.³⁷ წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი (ველიმროვიჩი) განმარტავს რა დასახელებულ მცნებას მოყავს მაგალითები, რომელთაგან ერთი სასამართლოს წინაშე პირის ცრუ ბრალდებას – კერძოდ კი მეფის ცრუ ძრახვას ეხება, ხოლო სხვა შემთხვევაში საუბრობს დანაშაულის ცრუ მოწმეობაზე.³⁸ ცილისწამების ასეთი ფართო გაგება მოსეს სამართლის მე-14 მუხლშიც არის ასახული. ნორმა ცრუ მოწამეს ეხება. მოწამე სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს დამმოწმებელს.³⁹ ხოლო დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მოწამე იყო მოწმის სახელი, თვალთ მხილველი, დამატყუშმარიტებელი.⁴⁰

მოსეს სამართლის მე-14 მუხლი⁴¹ ზანდუკში არც ცილისწამების და არც დაბეზღების თავშია მითითებული და ამავე დროს ზემოთ მოყვანილი „მოწამის“ განმარტებიდანაც გამომდინარე არ შეიძლება ეს ნორმა ცილისწამების დელიქტთა რიცხვს მიეკუთვნოს, თუმცა კანონის ტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული მუხლი ცილისწამების შემთხვევებსაც მოიცავდა.⁴² მოწამეში მოსეს სამართალი დამწამებელს რომ

³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 105.
³⁷ < http://martlmadidebloba.ge/ganmarteba4_mecxre-mcneba.html > ბოლოს გამოხმობილია 12.10.2014.
³⁸ იხ. წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი (ველიმროვიჩი), ათი მცნებანი ღვთისანი, ჟურნალი „მოყვასი“, 2003, №10, გვ. 20.
³⁹ იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 513.
⁴⁰ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 878.
⁴¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 113.
⁴² ვ. მეტრეველი თავის სტატიაში, განიხილავს რა დასახელებულ მუხლს, აღნიშნავს, რომ მე-14 მუხლი ცრუ მოწმეთა დასჯას ეხება. იხ. მეტრეველი ვ., ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ჟურნალი „სამართალი“, 1992, №12, გვ. 42.

გულისხმობს ნორმის დასაწყისიდანაც ჩანს. რადგან ჯერ მოწამის მხრიდან აქვს ცილის დაწამებას ადგილი, ხოლო შემდეგ ხდება მოდავე მხარეთა, ცილდაწამებულის და ცილისმწამებლის წარდგომა მღვდელთა და მსაჯულთა წინაშე: „წარმო-თუ-დგეს ცრუ მოწამე რომლისავე კაცისათვის და იტყოდეს უსჯულოებასა, წარმოდგენ ორნივე კაცი, და შეიყუნენ წინაშე უფლისა და მღვდელთა, წინაშე მსაჯულთა, რომელ იყუნენ მათ ქამთა.“⁴³ ამდენად, მსაჯულთა განხილვის საგანია უკვე არსებული ცილისწამება. როგორც ნორმის შემდგომი ტექსტიდან ჩანს, ცრუ მოწამე წარმოადგენს „უსჯულობის“⁴⁴ დამწამებელს, შემასმენელს.⁴⁵ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად თუ აღმოჩნდებოდა, რომ დაწამება ცრუ იყო, ე. ი. დამწამებელს შეცნობილი ჰქონდა, რომ უდანაშაულო პირს განზრახ სდებდა ბრალს მისი ქმედება მისი „სიბოროტის“ შესაბამისად უნდა დასჯილიყო: „გამოიკითხონ მათ ჭეშმარიტებით, და თუ იპოოს იგი წამებასა მას ზედა ცრუსა, სიცრუევით წამებდა მოყუასისა მიმართ და ვახად აღუდგა“⁴⁶ მას, უყუედ მას მსგავსად სიბოროტისა მისისა, რომელთ-იგი ზრახა მოყუასისა თვისათვის, მოსპეთ ეგე, ვითარ ბოროტი თქუენ შორის, რადთა ნეშტთა მათ, რომელ დააშთენ, ეშინოდინ და არღარა შეასმინონ საქმედ ბოროტისა რადთურთით.“⁴⁷ აღნიშნულ გარემოებაზე კანონმდებელი ხაზს უსვამს, რაც შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაშიც ზღვარის გავლება შესმენას და ცილისწამებას შორის საკმაოდ რთულია. ერთი შეხედვით ეს მუხლი უფრო ცრუ დასმენად უნდა მიჩნეულიყო, რადგან მითითებულია, რომ ასეთი ქმედება უნდა დაისაჯოს, რათა შესმენას აღარ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ნორმის დასაწყისის მიხედვით ჩანს, რომ ჯერ დაწამებას აქვს ადგილი, ხოლო შემდგომ, ორივე მხარე, როგორც დამწამებელი, ისე დაწამებული უნდა წარდგნენ მღვდელთა და მსაჯულთა წინაშე. ამდენად, მსაჯულთა განხილვის საფუძველი ხდებოდა არა დასმენა, არამედ არსებული ცილისწამება. ყოველშემთხვევაში ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ განზრახ უდანაშაულო ადამიანისათვის „უსჯულოების“ დაწამება მოსეს სამართლის მიხედვით დელიქტს წარმოადგენდა.

სომხური სამართლის 107-ე მუხლი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. პირველ ნაწილში საუბარია მკვლელობის და „ავის მოქმედების“ დაწამებაზე: „თუ ვინ ვისი თქუას ავი ბოროტი ესე, თუ არის კაცის მკულელი და არის ავის მოქმედიო, წინაშე მოსამართლეთა რომ ვერ უყოს საბუთი და გამტყუნდეს მთქმელი, და სტყუოდეს, საკუდილის ღირსია.“⁴⁸ მკვლელობის დაწამების გარდა ნორმაში მითითებულია ავის მოქმედების დაწამება. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს სხვა სახის

⁴³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 113.
⁴⁴ უსჯულოება – რჯულის გარდასვლა, უსამართლობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ნაშ., გვ. 1269.
⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 113.
⁴⁶ ვახად – აღმდგომი – მართლის გამამტყუნებელი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 259.
⁴⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 113.
⁴⁸ იქვე, გვ. 255.

დანაშაულის დაბრალება.⁴⁹ ტერმინის „ავის“ განმარტების მიხედვით შესაძლოა მოსაზრება გაჩნდეს, რომ „ავის მოქმედება“ უფრო ფართო ცნებაა ვიდრე მხოლოდ დანაშაულის ჩადენა და შეიძლება ისეთ ქმედებებსაც მოიცავდეს, რაც ზნეობრივად, ან რელიგიური თვალსაზრისით უარყოფითად ფასდება, მაგრამ კანონმდებლის მიერ დანაშაულად არ არის აღიარებული. მიუხედავად ამისა ამ მუხლში „ავის მოქმედება“ უფრო სხვა დანაშაულთა მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ნორმაში სიკვდილით დასჯის გამოყენება, ყველა სახის დანაშაულის დაწამებისთვის საკმაოდ მკაცრი სასჯელი იყო, მითუმეტეს რთულად წარმოსადგენია, რომ ამ სახის სანქცია ყოფილიყო გამოყენებული ისეთი ქმედების დაბრალებისათვის, რაც კანონით დასჯად ქმედებად არ ითვლებოდა. ამ მუხლითაც დამწამებელს ეკისრებოდა ვაღდებულეობა თავისი ბრალდების დამტკიცების, მის მიერ მტკიცებულებების არ წარმოდგენა („ვერ უყოს საბუთი“⁵⁰) მოწმობდა, რომ ბრალდება ცილისმწამებლური იყო.

ამ მუხლის მეორე ნაწილით: „თუ ან კიდევ კაცმან თავის ამხანაგს ავი საქმე მოუგონოს და თავს ადებდეს შილთახობით, მასუკან ვერ უყოს საბუთი და გამტყუნდეს მთქმელი და მამგონი, მოსამართლეს როგორც რომ უნდოდეს და მართებდეს, ისრე გარდააჯდევინონ.“⁵¹ ამხანაგი მოყვასის მნიშვნელობით არის გამოყენებული.⁵² „შილთახი“ კი ცილისწამებას ნიშნავდა.⁵³ ამ შემთხვევაშიც მტკიცებულებების არ ქონა, პირის ცილისწამებისათვის ბრალდებას იწვევდა. მუხლის ამ ნაწილშიც საუბარია „ავი საქმის“⁵⁴ დაწამებაზე. ისევე როგორც პირველ ნაწილში, მეორეშიც საუბარი უნდა იყოს დანაშაულის დაბრალებაზე. განსხვავება მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ ცილისწამება ამჯერად მიმართულია ახლობლის წინააღმდეგ.

პირის ბრალდებისას დამწამებლის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის აუცილებლობა უძველესი დროიდან იყო დამკვიდრებული. მსგავს დებულებას მაგალითად ხამურაბის კანონებში ვნახულობთ, რომლის მიხედვით, პირი ცილისმწამებლად ითვლებოდა, თუ მოწმეებს ვერ

⁴⁹ ავი – არა კეთილი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 40; ავი-ჰავი – ცუდი, ავი. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 575; ავი – ბოროტი, არაკეთილი, უკეთური, ცუდი, საძაგელი, მდარე ურიგო, ბედითი, ხენეში, უხმარი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 8; მოქმედი – მქნელი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 509.

⁵⁰ საბუთი – აღმოჩინება, სიტყვა ან წერილი სამართლისა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1048.

⁵¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255.

⁵² იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 53; მოყვასი – მოყვარე, მეგობარი, მახლობელი, ამხანაგი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 864.

⁵³ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1520.

⁵⁴ საქმე – მოქმედება სიტყვიერი და რაღაცა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 61; საქმე – მოქმედება, ზმნობა, გარდასვლა ვისიმე, საქციელი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1131.

წარმოადგენდა და ამით ვერ დაამტკიცებდა თავის სიმართლეს (მუხ. 13).⁵⁵ მართალია, ბაგრატ კურაპალატის სამართლის ზემოთ განხილულ მუხლში დამწამებლის მიერ მტკიცებულების წარმოადგენა არ არის ნახსენები და არც მოწმის მოყვანაზეა აქცენტი გაკეთებული, მაგრამ ნორმაში საუბარი იყო დამწამებლის მხრიდან დაფიცების სავალდებულებაზე. ფიცი იმ მტკიცებულებას წარმოადგენდა, რომლის შეუსრულებლობა დამწამებელს ცილისმწამებლად აქცევდა. იუსტინიანეს ინსტიტუციების მიხედვითაც, მოსარჩელეს უნდა დაეფიცა, რომ იგი პირს ცილს არ სწამებდა.⁵⁶

ამდენად, მოყვანილი მაგალითებიდან იკვეთება საერთო ნიშანი, თუ დამწამებელი თავის ბრალდებას არ დაამტკიცებდა, მისი ქმედება ცილისწამებლად ითვლებოდა და ნორმით განსაზღვრული სანქციების დაკისრებას იწვევდა.

სომხური სამართლის წიგნის 119-ე მუხლს რაც შეეხება, ცილისწამების როგორც დელიქტზე საუბარისას დასახელებულ ნორმა ვერ იქნება გამოყენებული, რადგან ის მოსამართლისადმი მოთხოვნას შეიცავს, არ გაითვლისწინოს იმ პირის ჩვენება, რომელიც ადრე მხილებული იყო ტყუილ დაბეზდებაში. „კაცმან ვინც ვისი მოსამართლესთან ავის სთქუას და იყოს ავის მოლაპარაკე, მოსამართლემ უნდა სწორედ და რაგინად გასინჯოს სიტყუა მისი მართლობისა და სიმტყუვნისა. თუ მრავალჯერ ტყუილი მოეკსენებინოს და ტყუილი მობეზდარი იყოს, გაიშოროს კარისა მისისაგან.“⁵⁷

სუბიექტის მიხედვით ცილისწამების სპეციალურ შემადგენლობად უნდა ჩაითვალოს ბერძნული სამართლის 173-ე მუხლი, რომელიც ყმის მიერ ბატონის ცილისწამებას ეხება: „უკეთუ ვინმე შინაყმამ თავისის ბატონის ცილის წამებით ურიგო თქუას, ექსორია ექნას.“⁵⁸ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული რას შეეხებოდა ცილისწამება. თუ ზემოთ მოყვანილ ნორმებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ საქმე ეხებოდა დანაშაულის დაწამებას, დასახელებულ მუხლთან მიმართებაში იგივეს თქმართულია. „ურიგო“ უწესოს, უმართებულოს, უშესაბამოს ნიშნავდა.⁵⁹ ბატონის მიმართ ყმის სამართლებრივი ვალდებულებების არსებობა განაპირობებდა, მის მიმართ წაყენებულ განსაკუთრებულ მოთხოვნებს და ნებისმიერი ცილისმწამებლური ინფორმაცია, რომელიც შეიძლებოდა არც ყოფილიყო დაკავშირებული დანაშაულის დაწამებასთან, ბერძნული სამართლით დანაშაულად ითვლებოდა.

ბერძნული სამართლის შემდეგი მუხლი (174-ე) გააზარტებულის მიერ ყოფილი ბატონის ცილისწამებას ეხება. „უკეთუ აზატნაქნარმა კაცმა

⁵⁵ ხაშურაბის კანონები. აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თბ., 1988, გვ. 12.

⁵⁶ I.4.16.1. „კორპუს იურის ცივილის“ იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბ., 2002, გვ. 261.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 258.

⁵⁸ იქვე, გვ. 171.

⁵⁹ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1267.

თავისი ბატონის ცილისწამებით ავი რამ თქუას, ექსორია იქმნას.⁶⁰ ამ შემთხვევაშიც არ არის დაკონკრეტებული რას შეეხებოდა ცილისწამება, წინა მუხლისაგან განსხვავებით „ურიგოს“ ნაცვალად „ავია“ გამოყენებული. ავი არა კეთილს ნიშნავდა.⁶¹ რამდენად იდენტურია შინაარსობრივად დასახელებულ მუხლში ცილისწამებით „ავის“ თქმა, სომხური სამართლის 107-ე მუხლში მითითებული „ავი ბოროტის“ თქმისა.⁶² თუ თანმიმდევრულები ვიქნებით, უნდა დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაშიც ავის თქმა გულისხმობდა „ავის მოქმედების“ დაწამებას, ხოლო ავის მოქმედება – თავის მხრივ დანაშაულის დაწამებას. თუმცა უნდა გავამახვილოთ ყურადღება ერთ გარემოებაზე. გააზრტებულს, თავისუფლების მიუხედავად ყოფილი ბატონის წინაშე სამართლებრივი ვალდებულებები ეკისრებოდა. შესაძლოა, ეს ნორმაც ამ ვალდებულებების ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. დანაშაულის ცილისწამებისათვის ისჯებოდა პირი მიუხედავად ვინ იყო ცილისმწამებელი და ვის მიმართ იყო განხორციელებული ქმედება. თუ არა განსხვავებული პასუხისმგებლობის საკითხი გაურკვეველია რა დანიშნულება ჰქონდა ამ ნორმის არსებობას. ამასთან დაკავშირებით ორი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: პირველი, ნორმაში „ავის თქმა“ უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დანაშაულის დაწამება და გულისხმობს ყოფილი ბატონის შესახებ ნებისმიერი სახის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას და მეორე, „ავის თქმა“ გულისხმობს დანაშაულის ცილისწამებას, ხოლო გააზრტებულის განსაკუთრებული ვალდებულება ყოფილი ბატონის წინაშე გამოხატულია სასჯელის ფორმაში. ის რომ ცილისმწამებლის, როგორც დანაშაულის სუბიექტის განსხვავებული ნიშნები განსაკუთრებული სანქციების გამოყენებას იწვევდა, ეს ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიის 289-ე მუხლშიც ჩანს. ნორმა ეხება მშობლის ცილისწამებისათვის და შეურაცყოფისათვის შვილისთვის სამკვიდროს ჩამორთმევას: „უკეთუ ვინმე თავის მამასა და დედასა სცეს და გააგდოს ანუ აგინოს, ანუ მშობელთა თვისთა ტყუილად ცილი შესწამოს მეფესთან ანუ მოსამართლესთან...“⁶³ ეს ნორმა სხვა მხრივაც არის საყურადღებო. როგორც ტექსტიდან ჩანს კანონმდებელი არ მიჯნავს ერთმანეთისაგან ცილისწამებას ცრუ დასმენას. მართალია მუხლში საუბარია ცილისწამებაზე, მაგრამ ნორმის კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ნორმა ცრუ დასმენას უფრო შეესაბამება, რადგან საუბარია მეფის და მოსამართლის წინაშე ცილისწამებაზე. ამ ნორმაშიც ასახვას პოუვებს შვილის განსაკუთრებული ვალდებულებები მშობელთა მიმართ, რაც მის მიმართ დამატებითი სანქციის გამოყენებაში გამოიხატება.

გააზრტებულის ყოფილი ბატონისადმი, ან შვილის მშობლისადმი „გაზრდილი“ პასუხისმგებლობა გასაკვირი არ არის, რაც შესაძლოა ასახული იყო იმაში, რომ გააზრტებული ბატონის ცილისწამებისათვის

⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 171.

⁶¹ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 40.

⁶² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255.

⁶³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 197.

უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყო, ხოლო ცილისწამებელი შეიღის მიმართ დამატებითი სანქცია უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. სამწუხაროდ ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში არ არის ნორმა, რომელიც ცილისწამების ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს, რაც საშუალებას მოგვცემდა ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი დასკვნის გაკეთებას. საკითხის გარკვევის მიზნით თუ რომის სამართლიდან ამოვალთ, ცილისწამების შემადგენლობის განსაზღვრა ამ შემთხვევაშიც ადვილი არ არის. პირის პატივის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ინსტიტუციების მიხედვით ინიურია მოიცავდა: 1. „ხოლო „უკანონობას“ („ინიურიას“) ჩადიან არა მარტო მაშინ, როდესაც, მაგალითად ვინმე მუშტით ან კეტიტ ცემეს, ან კიდევ გაშოლტეს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმე გალანძღეს; ან თუ ერთი პირი მეორეს ქონებას ისე ეუფლება, თითქოს ეს უკანასკნელი მისი მოვალეა, [თუმცა] იცის, რომ ამ უკანასკნელს მისი არაფერი მართებს; ან თუ ერთმა პირმა მეორე პირის სახელის გასატყუად პასკვილი ან ლექსი დაწერა, შეთხზა, გამოსცა და ეს ბოროტი განზრახვით ჩაიდინა, რომ მეორე პირს რაიმე დაუშაოს; ან თუ ვინმე ოჯახის დედას ან არასრულწლოვანს ვაჟსა თუ ქალს ავიწოროვებს; ან თუ ითქვა, რომ ვინმეს უბიწოება ხელყოფილ იქნა, და ბოლოს, ცხადია, რომ „ინიურია“ (უკანონობა) კიდევ სხვა მრავალი სახით შეიძლება ჩაიდინონ.“⁶⁴ აქ პირის სახელის გატყუად პასკვილის და ლექსის დაწერით გამოიხატება, რაც ჩადენილია ბოროტი განზრახვით, იმ მიზნით, რომ მეორე პირს რაიმე დაუშაოს. ტექსტში მითითება, რომ ინიურია მხოლოდ ამ ჩამონათვალთ არ ამოიწურება მიაჩნდება, რომ პატივის ხელყოფა სხვა საშუალებითაც შეიძლებოდა, რაც ასევე დასჯად ქმედებად ჩაითვლებოდა. პირის პატივის დაცვას XII დაფის კანონებიც ითვლისწინებდა. როგორც ციცერონი აღნიშნავს, „XII დაფის კანონებმა დააწესა სიკვდილით დასჯა მცირე რაოდენობის დანაშაულებრივი ქმედებისათვის და მათ შორის თვლიდნენ აუცილებლად მის გამოყენებას იმ შემთხვევაშიც, როცა ვინმემ შეთხზა ან მღერის სიმღერას, რომელიც შეიცავს სხვის ცილისწამებას ან შეურაცყოფს.“⁶⁵ მ. დუხოვსკის აზრით, რომის სამართალში ცილისწამებისათვის, როგორც პირის პატივის ხელყოფისათვის, პასუხისმგებლობას ითვლისწინებდა რამდენიმე ქმედება: „convicium“, „infamia“, „liber famosus“.⁶⁶ ყველა ეს ქმედება განიხილებოდა შეურაცყოფად, რომელიც გამოხატული იყო ტერმინით – contumelia.⁶⁷ „convicium“, „infamia“, და „liber famosus“ ვერბალური შეურაცყოფის სახეები იყო. convicium- ხალხის წინაშე ხმამაღლა სალანძღავი სიტყვების წარმოთქმაში გამოიხატებოდა, რაც ეწინააღმდეგებოდა კეთილ ზნე-ჩვეულებებს და ცდილობდა დაემცირებინა პირი სხვათა თვალში, ან მიეყენებინა პირის პატივისათვის

⁶⁴ I.4.4.1. „კორპუს იურის ცივილის“, იუსტინიანეს ინსტიტუციები, გვ. 219.

⁶⁵ იხ. Хрестоматия по всеобщей истории государства и права, том. 1, под редакцией К. И. Батыра и Е. В. поликарповой, М., 2003, ст. 84.

⁶⁶ იხ. Духовский М.В., დასახ. ნაშ., გვ. 20, 23, 24, 31.

⁶⁷ იხ. D.47.10.1. Дигести Юстиниана, том VII, полутом 1, книга XLV-XVLII, ответственный редактор Л. Л. Кофанов, М., 2005, ст. 483.

სხვა სახის ზიანი;⁶⁸ *infamia*⁶⁹ და *convicium* ძალიან მსგავს ქმედებებს წარმოადგენდა. ორივე შემთხვევაში მიზანს წარმოადგენს პირის დამცირება ხალხის თვალში. თუ *convicium*-ის აუცილებელი ნიშანია ყვირილით ხალხთა შეკრების ადგილას წარმოთქმა, იგივე ქმედების ჩადენა არა ხალხის შეკრების ადგილას და არა ყვირილით ითვლებოდა *infamia*-დ. *liber famosus* - სხვა სახის შეურაცყოფისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ინიურიას ჩადენა ხდებოდა მაგალითად წერილით, ნახატი და ამგვარი საშუალებებით.⁷⁰ სამივე შემთხვევაში უშუალოდ ცილისწამებზე არ არის საუბარი, არამედ პატივის ხელყოფის დასახელებული შემთხვევები ცილისწამებასაც მოიცავდა. თუმცა რომის სამართალში ცილისწამება იქნებოდა ჩადენილი, თუ პირის პატივის წინააღმდეგ მიმართული სხვა ქმედება, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ყველა ასეთ შემთხვევაში ხდებოდა ერთი სახის სარჩელის – *actio injuriarum aestimatoria*- ს წარდგენა.⁷¹

სამართალგანვითარების შემდგომ ეტაპზეც სირთულეს წარმოადგენდა ცილისწამების შეურაცყოფისაგან გამოყოფა. როგორც აღნიშნავენ შეურაცყოფის და ცილისწამების ერთმანეთისაგან უფრო მკვეთრად გამიჯვნა ხდება ფორიბახის და გროლმანის შემდეგ. თუ ფორიბახი ცილისწამებას მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაწამებით განსაზღვრავდა. გროლმანი უფრო აფართოვებს ცილისწამების ცნებას. მისი აზრით ცილისწამებას იმ შემთხვევაშიც აქვს ადგილი, თუ პირს სწამებენ ისეთ ქმედებას, რაც ადამიანს უღირსად წარმოაჩენს ხალხის თვალში.⁷² ზემოთ უკვე იყო საუბარი, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ცილისწამების ზოგადი შემადგენლობებით ცილისწამება მხოლოდ დანაშაულის დაწამებით არ შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება ცილისწამების და შეურაცყოფის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხს. ნიკო ხიზანაშვილი ბექა-აღბუღას სამართლის განხილვისას აღნიშნავს, რომ „გინების გარდა სხვაფრივაც შეიძლებოდა სიტყვით შეურაცხება. ასეთი შეურაცხებაა ნაპარვის დაწამება და გრძნეულობის შეყივლება.“⁷³ მოყვანილი ციტატა მიუთითებს, რომ მეცნიერი ცილისწამებას შეურაცყოფის სახედ თვლიდა. ვახტან VI სამართლის წიგნთა კრებულის ზანდუქში ის. დოლიძეს ცალკე თავად აქვს გამოყოფილი ცილისწამება და შეურაცყოფა. შეურაცყოფის თავში რეალური შეურაცყოფის შემთხვევებია მითითებული.⁷⁴ ასევე გამიჯნულია ვერბალური შეურაცყოფა და

⁶⁸ იხ. D.47.10.15.2-11. სტ. 501.

⁶⁹ იხ. D.47.10.15.27. სტ. 503. .

⁷⁰ იხ. *Духовский М.В.*, დასახ. ნაშ., გვ. 20, 23, 24, 31.

⁷¹ იხ. *Moosheimer T.*, Die actio injuriarum aestimatoria im 18. und 19. Jahrhundert, Eine Untersuchung zu den Gründen ihrer Abschaffung, Tübingen, 1997, S.4.

⁷² იხ. *Fälschner H.*, დასახ. ნაშ., გვ. 269.

⁷³ *ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი)*, დასახ. ნაშ., გვ. 490.

⁷⁴ სომხური სამართლის 183-ე მუხლი, აღბუღას სამართლის 126-ე და 144-ე მუხლები. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 33, 34.

ცილისწამება ერთმანეთისაგან. გინების შესახებ არსებული მუხლები ცალკე არის გამოყოფილი.⁷⁵

ამ საკითხთან მიმართებაში ძველ რუსულ სამართალს თუ შევადარებთ, რუსკაია პრავედა არ იცნობს პირის პატივის ხელყოფას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს. ამ პერიოდში პატივის ხელყოფას სხვა კატეგორიის დანაშაულები მოიცავდა (მაგ. ცემა, დაჭრა, დასახინჩება). სამართალგანვითარების შემდგომ ეტაპზე ცილისწამება, თუმცა დასჯად ქმედებას წარმოადგენდა, დამოუკიდებელ დანაშაულად გამოყოფილი არ იყო. ასევე 1649 წლის სჯულდებაშიც ცილისწამება არ არის მოცემული ცალკე შემადგენლობის სახით, მას მოიცავდა შეურაცყოფის ცნება. პეტრე I-ის არტიკულებში პირველად ჩნდება დაყოფა შეურაცყოფასა და ცილისწამებას შორის.⁷⁶

ამდენად, ის. დოლიძის მიერ ზანდუკის ცილისწამების თავში ქართული სამართლის ძეგლებიდან მითითებული მუხლები კონკრეტული ქმედებების ცილისწამებას ეხება.⁷⁷ ხოლო ნორმებს, რომლებიც „მუქარის თხოვნას“ ეხება შინაარსობრივი განმარტების მიხედვით ცილისწამებად ვერ ჩაითვლება. ქართულ სამართლის ძეგლებთან მიმართებაში ამ საკითხთან დაკავშირებით ზანდუკს ვერ დავეყრდნობით. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ძველი ქართული სამართალი ცილისწამების ზოგად შემადგენლობას არ იცნობდა და ცილისწამების დელიქტები მხოლოდ კონკრეტული ქმედებების დაწამებით შემოიფარგლებოდა. ამას ადასტურებს ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 120-ე მუხლი). თუ დასახელებული ნორმა შესაძლოა ცრუ დასმენასაც გულისხმობდა, დავით ბატონიშვილის სამართალში მკვეთრი ზღვარია გაველებული ამ ორი სახის დაწამებას შორის. ამდენად, ძველი ქართული სამართლით დასჯადი იყო არ მარტო ცალკეული ქმედებების დაწამება, რისთვისაც დამოუკიდებელი ნორმები არსებობდა, არამედ ზოგადად ცილისწამება დელიქტს წარმოადგენდა. ძველი ქართული სამართლის ზემოთ განხილულ ნორმებში, რომლებიც ცილისწამებას ეხება, დელიქტის იმ ნიშნებზე არის მინიშნება, რაც ზოგადად ამ ქმედებას ახასიათებს.

⁷⁵ ბერძნული სამართლის მე-18, 94-ე და 95-ე მუხლები; სომხური სამართლის 114-ე და 238-ე მუხლები; აღბუღას სამართლის 129-ე, 130-ე და 131-ე მუხლები; ვახტანგ ბატონიშვილის 226-ე და 227-ე მუხლები. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 33.

⁷⁶ ის. *Духовский М.В.*, დასახ. ნაშ., გვ. 107, 128, 139, 142.

⁷⁷ აღნიშნულ მუხლები შემდგომ თავებში იქნება განხილული.

12 ცილისწამების ზოგადი შემადგენლობებით განსაზღვრული სასჯელთა სახეები

როგორც გიორგი ნადარეშიელი აღნიშნავს, „სასჯელის გამოყენების არეალი, მათი სახეობები, სასჯელის მიზნები და ამოცანები მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, სახელწიფოებრიობისა და სამართალგანვითარების ტენდენციები, წარსულიდან მიღებული სამართლებრივი მემკვიდრეობა და რელიგიური გავლენა სამართალზე.“⁷⁸ დასახელებული საკითხები რა თქმა უნდა პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებისათვის სასჯელთა დაწესებაზეც მოახდენდა გავლენას, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო კონკრეტული საკითხია საინტერესო, რა სახის სასჯელები გამოიყენებოდა ცილისწამებისათვის. გარდა ცილისწამების ზოგადი შემადგენლობისა, სამართლის ძეგლებში არის ასევე „სპეციალური“ ნორმები, რომლებიც კონკრეტული ქმედებების ცილისწამებას ეხება. შესაბამისად ჯერ განვიხილოთ იქნება ზოგად შემადგენლობებში მითითებული სანქციები.

ბაგრატ კურაპალატის სამართალში ცილისწამების ნორმა პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს (ბექა-აღბუღას სამართლის მუხ. 120): „ცილისა წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცსა ასმიოდეს, საყვედური განმრავლდეს, თუ მტერობით შეეყივლოს, მაშინ ფიცოს,—არა ზედაც. თუ არა ფიცოს სისხლი ზღოს“.⁷⁹ პირველ ნაწილში, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული ცილისწამებით გამოწვეულ შედეგებზეა საუბარი. ხოლო თუ ცილისწამება ბოროტი განზრახვით იყო ჩადენილი პირს ასეთი ქმედებისათვის უნდა „ეზღო“. ზღვევა დანაშაულის გარდაკდევინებას ნიშნავდა.⁸⁰ „გარდაკდევინება“ ამ შემთხვევაში სისხლის ფასის გადახდაში გამოიხატებოდა. გასარკვევია ვის სასარგებლოდ ხდებოდა სისხლის ფასის გადახდა, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს დელიქტის სახე. მეცნიერთა შორის არ არის ერთგვაროვანი შეხედულება, ეკუთვნოდა სახელმწიფოს გარკვეული წილი დამნაშავის მიერ გადახდილი სისხლის საფასურიდან თუ არა. აღ. ვაჩიშვილის აზრით, ვახტან მეექვსის კანონმდებლობა თითქმის საერთოდ არ იცნობს კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ეკუთვნის ხელისუფლების წარმომადგენელს. ასევე ბექა-აღბუღას კანონების თანახმად დამნაშავე მთლიანად უხდიდა საზღაურს დაზარალებულს. გიორგი ბრწყინვალეს ძეგლის დადება აგრეთვე იზიარებს კერძო საწყისს. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა ვახტანგის სამართლის წიგნის 154-ე მუხლი, რომელშიც კანონმდებელი აღიარებს კომპოზიციის საჯარო ელემენტს, მაგრამ თავისი ძირითადი

⁷⁸ ნადარეშიელი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 100.

⁷⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

⁸⁰ იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 291.

საფუძვლების შესაბამისად აქაც ატარებს წოდებრივ ხაზს. აღ. ვაჩიშვილს მოჰყავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰოლდაკის მოსაზრებაც, რომელიც ასევე უარყოფს ძველ ქართულ სამართალში სისხლის ფასის გადახდისას სახელმწიფოსათვის განსაზღვრული წილის არსებობას.⁸¹ გ. ნადარეიშვილის შეხედულებით, ი. კარსტის და ჰოლდაკის მოსაზრებები, რომ ქართული სამართლის კომპოზიციების სისტემა არ იცნობდა სისხლის სამართლის საჯარო ხასიათის ჯარიმას და რომ სისხლის დაურეგბა მთლიანად კერძო საზღაურის ხასიათი ჰქონდა, არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს და რომ მათ სრულყოფილად ვერ შეძლეს ყველა საჭირო წყაროსა და მასალის მოხმობა.⁸²

ნ. ურბნელი იკვლევს რა ბეჭა-აღბუღას სამართალს, აღნიშნავს, რომ „საათაბაგოში-კი სისხლი მთლად ნაწყენს და მის სახლობას მიჰქონდა და არა ჩანს, ათაბაგს იმის მოხელეებს ჯარიმა მიეცითო. ამის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ საათაბაგოში დანაშაული კერძო საქმედ მიაჩნდათ და არა ისეთ ბოროტებად, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხება და მმართველობამ უნდა სდევნოს“.⁸³

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სისხლი“ ქართულ სამართალში „სისხლთა ფასს“ ნიშნავდა და ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს კანონით განსაზღვრული სასჯელის გარდა დაზარალებულის ან მისი მემკვიდრისთვის უნდა გადაეხადა.“⁸⁴ ქართული სამართლის ძეგლებში საკმაოდ ბევრი მუხლია, რომლებიც ქონებრივ საზღაურთან ერთად, მაგალითად სისხლის ფასის გადახდასთან, სხვა სახის სასჯელსაც აწესებდა. მაგრამ დასახელებულ მუხლში სხვა სახის სასჯელზე მითითება არ არის, შესაბამისად კანონის ტექსტი ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას არ იძლევა. განხილულ მუხლში არ არის ზუსტი მინიშნება ვის მიმართ უნდა მომხარყო სისხლის ფასის გადახდა. განსხვავებით, მაგალითად ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 87-ე მუხლისა, რომელიც ასევე პირის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც მითითებულია, რომ „ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს.“⁸⁵ საიდანაც ჩანს, რომ „წამძახებლის ქმარს“ სისხლის ფასის გადახდა მხოლოდ დაზარალებულის სასარგებლოდ უხდებოდა.⁸⁶ ზოგადი დასკვნის გაკეთება

⁸¹ ვაჩიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946, გვ. 43-44, 45.

⁸² იხ. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 103.

⁸³ ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), დასახ. ნაშ., გვ. 452.

⁸⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 359.

⁸⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 503.

⁸⁶ გ. ნადარეიშვილის აზრით, „მართალია, ადრეფეოდალური ხანის დოკუმენტებმა „სისხლის“ შესახებ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ერთი შედარებით გვიანი, XIII საუკუნის, დოკუმენტიდან ჩანს, რომ „სისხლის“, როგორც ქონებრივი სასჯელის, განსაზღვრული ნაწილი ჯარიმის სახით ხელისუფლებას ეძლეოდა.“ ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000,

ვის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო სისხლის ფასის გადახდა რთულია და დამატებით კვლევას საჭიროებს. ამიტომ ცილისწამების კონკრეტული ნორმების ანალიზის საფუძველზე უნდა გაირკვეს, ამ შემთხვევაში ეკუთვნოდა თუ არ გარკვეული წილი სახელმწიფოს დამნაშავეს მიერ გადახდილი სისხლის ფასიდან. განხილული ნორმის კონტექსტიდან გამომდინარე ზუსტი დასკვნის გაკეთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება. ზოგადად როცა საუბარია ხოლმე დაზარალებულისათვის სისხლის ფასის გადახდაზე, იხმარება ტერმინი „უზღოს“, რაც მიანიშნებს კონკრეტულ პირზე ვის სასარგებლოდაც უნდა მომხდარიყო საზღაურის გადახდა, ამ შემთხვევაში კი ტერმინი „ზღოს“ ნიშნავს, რომ დამნაშავემ სისხლის ფასი უნდა გადაიხადოს, მაგრამ დაკონკრეტებული არ არის ვის სასარგებლოდ. უნდა ამოვიდეთ ზოგადი პრინციპებიდან. თუ გაზიარებული იქნება შეხედულება, რომ ბექა-აღბუღას სამართლისათვის უცხო იყო საჯარო საწყისი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაშიც სისხლის ფასის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო. იმის დაშვება, რომ „ზღვევა“ მხოლოდ სახელმწიფოს სასარგებლოდ ხდებოდა, სარწმუნოდ არ ჩანს, რადგან კომპოზიცია წარმოადგენს შურისძიების უფლების გამოსყიდვას.⁸⁷ შესაბამისად, სისხლის ფასის გადახდისას, მისი ნაწილით, თუ მთლიანად არა, უნდა მომხდარიყო დაზარალებულის დაკმაყოფილება. რადგან ნორმაში და არც ზოგადად ბექა-აღბუღას სამართალში არ არის მინიშნება სახელმწიფოს წილზე სისხლის საზღაურიდან, ამ შემთხვევაშიც გადახდა უნდა მომხდარიყო დაზარალებულის სასარგებლოდ.⁸⁸

ბაგრატ კურაპალატის სამართლის დასახელებულ ნორმაში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 120-ე მუხლი) არ არის დაკონკრეტებული რა რაოდენობის სისხლის ფასის გადახდა უწევდა ცილისმწამებელს. შესაძლოა ასეთი ქმედებისათვის პირს მთელი სისხლის ფასი უნდა ეზღო. სისხლის ფასის სხვა რაოდენობისას ხდებოდა მისი დაკონკრეტება.⁸⁹ თუმცა არის ნორმები სადაც მითითებულია, რომ დამნაშავემ უნდა გადაიხადოს მთელი სისხლი,⁹⁰ რაც განხილულ მუხლში არ არის მითითებული, მაგრამ ამ მხრივ ბაგრატ კურაპალატის სამართლის ეს ნორმა გამონაკლის არ

№14, გვ. 106. (გ. ნადარეიშვილი სტატიაში არ უთითებს დოკუმენტს, რის საფუძველზეც დასკვნას აკეთებს.)

⁸⁷ იხ. ვახეიშვილი აღ., დასახ. ნაშ., გვ. 40.

⁸⁸ გ. ნადარეიშვილი, რომელიც იცავს პოზიციას, რომ სისხლის დაურევებას მხოლოდ კერძო ხასიათი არ ჰქონდა, აღნიშნავს, რომ იყო ისეთი დანაშაულობებიც, რომელთა ჩამდგნს ალბათ მხოლოდ ქონებრივი სასჯელი – „სისხლი“ გადახდებოდა. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 103. სავარაუდოდ ამ კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებით, აღნიშნულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

⁸⁹ მაგ. ვახტანგ ბატონიშვილის 45-ე მუხლში მითითებულია, რომ დამნაშავემ სისხლის მესამედი უნდა ზღოს, ხოლო 50-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დამნაშავემ სამი სისხლი უნდა გადაიხადოს. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 493, 495.

⁹⁰ მაგ. ვახტანგ ბატონიშვილის 38 და 39-ე მუხლები. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491, 492.

წამოადგენს.⁹¹ მაგრამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა ვარაუდიც ჩნდება. რადგან განხილული ნორმა ზოგად შემადგენლობას წარმოადგენს, დადგენილია რომ ცილისწამებისათვის სისხლის ფასი უნდა გადახდილიყო, ხოლო სისხლის ფასის მოცულობას განსაზღვრავენ ცილისწამების კონკრეტული შემადგენლობები. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ იმ ქმედების ცილისწამება ისჯებოდა, რისთვისაც კანონმდებელმა სპეციალური ნორმები დააწესა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება სხვა ქმედებების ცილისწამება როგორ უნდა დასჯილიყო, დამწამებელს სისხლის ფასის რა ნაწილი უნდა გადაეხადა.

სისხლის ფასის ზუსტი რაოდენობა დამოკიდებული იყო დაზარალებულის სოციალურ სტატუსზე.⁹² პირის სოციალური სტატუსის მიხედვით სასჯელის ფორმის, თუ მოცულობის განსაზღვრა უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მაგალითად მანუს კანონებით, საზოგადოების კასტური დაყოფა ასახვას პოუვდა ცილისწამებლისათვის შერჩეულ ქონებრივი სანქციის მოცულობაზე.⁹³

პირის სტატუსი სასჯელის სანქციის ზომაზე გავლენას ახდენდა ასევე რომის სამართალშიც. რომის სამართალიც საკმაოდ მკაცრი იყო ცილისწამებლთა მიმართ. XII დაფის კანონები აწესებდა, (XII დაფის კანონები – ტაბულა VIII. 1 ციცერონი. რესპუბლიკის შესახებ. IV. 10, 12. XII) „სიკვდილით დასჯა მცირე რაოდენობის დანაშაულებრივი ქმედებისათვის და მათ შორის თვლიდნენ აუცილებლად მის გამოყენებას იმ შემთხვევაშიც, როცა ვინმემ შეთხზა ან მღერის სიმღერას, რომელიც შეიცავს სხვის ცილისწამებას ან შეურაცყოფს.“⁹⁴ შემდგომ პერიოდში ასეთი ქმედება ჯარიმით ისჯებოდა. ხოლო თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონებით დაწესებული სასჯელები: „სამართალდარღვევისათვის“ („ინიურია“) ხმარებიდან გამოვიდა. მაგრამ პრეტორის მიერ დაწესებული

⁹¹ მაგ. ვახტანგ ბატონიშვილის 37-ე მუხლი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491; უშუალოდ ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც (მუხ. 104, 105.) მითითებულია, რომ მის სისხლს უნდა დაემატოს ნახევარი სისხლი, ორმოცი ათასი თეთრი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 465; ამ შემთხვევებშიც არ არის აღნიშნული, რომ სისხლის ფასის ათვლა ხდება მთელი სისხლიდან.

⁹² გ. ნადარეიშვილის განსაზღვრებით, სისხლი, როგორც ქონებრივი სასჯელი „დამნაშკეს უნდა გადაეხადა დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის გვარის, მამულისა და თანამდებობის მხედველობაში მიღებით.“ ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „ალმანახი“, 2000, №14, გვ. 103.

⁹³ თავი VIII. მუხლი 267. ქშატრია, რომელმაც ბრძანა ცილი დასწამა, უნდა გადაიხადოს ჯარიმა ასი (პანი – ფულის ერთეული), ვაიშამ – ასნახევარი ან ორასი, შუდრა დაისჯება სხეულებრივი სასჯელით; მუხლი 268. ბრძანა, რომელმაც ცილი დასწამა ქშატრიას უნდა დაჯარიმდეს ორმოცდაათი (პანი), ვაიშამ – ოცდახუთით, შუდრა – თორმეტი; მუხლი 269. იმავე ვარნის წვერის ორჯერ დაბადებულის ცილისწამებისათვის (უნდა დაჯარიმდეს) ასევე თორმეტი (პანი), იმ სიტყვისთვის, რაც არ უნდა ითქვას, ჯარიმა უნდა გაორმაგდეს. იხ. Хрестоматия по всеобщей истории государства и права, т. 1, под редакцией К. И. Батыра и Е. В. поликарповой, М., 2003, ст. 42, 43, 44.

⁹⁴ იხ. Хрестоматия по всеобщей истории государства и права, т. 1. под редакцией К. И. Батыра и Е. В. поликарповой, М., 2003, ст. 84.

სასჯელები კი, რომლებსაც „საპატიოსნაც“ („ჰონორარია“) უწოდებენ, მოსამართლეების მიერ ხშირად გამოიყენება და [დაზარალებული პირის] ღირსების ხარისხისა და პატიოსნების შესაბამისად იზრდება ან მცირდება [მიყენებული] ზიანის შეფასება.“⁹⁵ ამდენად, პირის პატივის შეფასება ხდებოდა მისი სოციალური სტატუსის მიხედვით. სასჯელის დანიშვნის ეს პრინციპი არა მარტო ძველი ქართული სამართლისათვის იყო დამახასიათებელი.

მეორე ტენდენცია რაც ცილისწამებისათვის სანქციის განსზღვრას შეეხება, როცა გამოიყენებული სასჯელი დამოკიდებულია დაწამებულ ქმედებაზე. საგარეოდ ცილისმწამებლის სასჯელი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნით (მუხ. 130-ოდალოსათვის) მის მიერ დაწამებული დანაშაულის, ან ცოდვის მიხედვით განისაზღვრებოდა. ნორმაში ზუსტად არ არის მითითებული სანქციის სახე, ხოლო ნორმის ტექსტის მიხედვით, რა სახითაც პირი დაადანაშაულეს, იმ სახის იქნებოდა მისი უკმაყოფილება: „ვითარითავე სახითა ბრალეულ-უყვიეს, ეგრეთითა სახითა ნაგულსავსე იქმნას შეწამებული იგი, ამაღ ვინადგან სააჯმნოდ დამდებელნი ამათათვისთანი ჯერ-არიან სააჯმნო-ყოფად.“⁹⁶ ამ შემთხვევაში ტალიონის პრინციპი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ცილისწამებისათვის ტალიონის პრინციპის გამოყენება ძველი ქართული სამართლის თავისებურებას არ წარმოადგენს და მას სხვა სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით.

მოსეს სამართალიც ცილისწამებისთვის ტალიონის პრინციპს იყენებს, ამას გარდა მუხლში იკვეთება სასჯელის ზოგადი პრევენციის პრინციპი. ცილისმწამებლის მკაცრ დასჯას დამაშინებელი გავლენა უნდა მოეხდინა სხვებზე: „უყუედ მას მსგავსად სიბოროტისა მისისა, რომელთ-იგი ზრახა მოყუასისა თვისისათვის, მოსპეთ ეგე, ვითარ ბოროტი თქუნ შორის, რადთა ნეშტთა მათ, რომელ დააშთენ, ეშინოდინ და არღარა შეასმინონ საქმედ ბოროტისა რადთურთით. ნუ ჰრიდებს თუალი შენი ეგევითარსა მას: სული სულის[ა] წილ, თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ჳელი ჳელისა წილ, ფე[რ]კი ფე[რ]კისა წილ, რადცა ვინ უყოს მოყუასსა, ეგრეთვე მიეგოს მას.“⁹⁷ ცილისწამებისას ტალიონის პრინციპი გამოიხატებოდა ცილისმწამებლისათვის იგივე სასჯელის დაკისრებით რაც ცილდაწამებულს მოელოდა.⁹⁸ როგორც ალ. ვაჩიშვილი აღნიშნავს: ებრაელთა სამართალში

⁹⁵ I.4.4.7. „კორპუს იურის ცივილის“ იუსტინიანეს ინსტიტუციები, გვ. 220-221.

⁹⁶ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 76.

⁹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 11

⁹⁸ აღნიშნულ საკითხს ეხება ალ. ვაჩიშვილი: „ვახტანგის კოდექსი იცნობს ტალიონის თავისებურ სახეებს, რომელთაც ჩვენ სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც ვხვდებით; ამის მაგალითს წარმოადგენს შემთხვევა, როცა ბრალდებულს უფარდებენ იმ სასჯელს, რაც ბრალდებულისათვის იყო გათვალისწინებული. ვახტანგის კოდექსის 227 მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ვინმე დააბეზღებს მეორე პირს მოსამართლესთან და წაუყენებს მას ბრალდებას რაიმე დანაშაულის ჩადენაში. „სისხლის სამართლის ისტორიამ იცის ტალიონის რამდენიმე სახე. მატერიალური ტალიონი მოითხოვს დამნაშავესათვის იმავე სახის ზიანის მიყენებას, რაც მან დაზარალებულს მიაყენა; მატერიალური ტალიონის გვერდით და, რა თქმა უნდა, იმავე იდეის ზეგავლენით

მკვეთრად გამოხატული ტალიონის პრინციპს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს. თუმცა შენიშნავს, რომ ვახტანგის კოდექსში ასახულია მხოლოდ მასთან დაახლოებული, მონათესავე მოვლენები (227-ე, 253-ე⁹⁹ მუხლები) და „სიმბოლური ტალიონის“ შემთხვევები (220-ე, 242-ე, 259-ე მუხლები).¹⁰⁰ ტალიონის პრინციპის არსებობა ებრაულ სამართალში, ან ქართულ სამართალში გასაკვირი არ არის, რადგან სამართალგანვითარების დასაწყის და შემდგომ ეტაპზეც სასჯელის შეფარდების ეს წესი, მაგალითად ცილისწამებასთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების სამართალშიც გვხვდება. ხამურაბის კანონებით დანაშაულის მოწმე თუ თავის ნათქვამს ვერ დაამტკიცებდა, ნიშნავდა რომ მისი ბრალდება ცრუ იყო და მას „ამ საქმის სასჯელი უნდა დაედოს.“ შესაბამისად, სასჯელი დამოკიდებული იყო დაწამებული დანაშაულის სასჯელზე.¹⁰¹ სიმბოლურ ტალიონის გამოყენების მაგალითს ვხვდებით, ალფრედის სამართალში (მეფე ალფრედი 871-901წწ), ეს ქმედება ენის მოჭრით ისჯებოდა. თუმცა დამნაშავეს შეეძლო ენა გამოესყიდა (მუხლი 32).¹⁰² ამ შემთხვევაში კანონმდებელი ალტერნატიულ სანქციას იყენებს ცილისმწამებლის მიმართ, ან სიმბოლური ტალიონი, ან ქონებრივი საზღაურის გადახდა, რაც პირის სოციალურ სტატუსზეა დამოკიდებული. მსგავსი სასჯელია გათვალისწინებული ცილისწამებისათვის კნუტის კანონებში.¹⁰³

აღმოცენებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ის სახე, რომელიც დაეკისრებოდა ტყუილად დამსმენელ პირებს: მათ უფარდებდნენ იმ სასჯელს, რაც დასმენილი პირისათვის იყო გათვალისწინებული; როგორც პირველ შემთხვევაში, ისე ამ უკანასკნელშიაც კანონმდებლის აზრი ხელმძღვანელობს მეტად მარტივი მოსაზრებით: იგი ცდილობს სასჯელის გადაწყვეტის დროს გაატაროს სამართლიანობა ტლანქი არითმეტიკული პროპორციით და წმიდა მექანიკური, გარეგანი თანაზომიერების საფუძველზე. მაგრამ ძველი კანონები გვაძლევენ კიდევ თავისებური სახის დადგენილებებს, სადაც გათვალისწინებულია სხვაგვარი შემთხვევებიც: ასეთია ის შემთხვევა, როცა სპობენ სხეულის იმ ორგანოს, რომლითაც ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება. აშკარაა, რომ ყველა ამგვარ შემთხვევაში უკვე ნამდვილ ტალიონთან საქმე არა გვაქვს. მართალია, იგი გარეგნულად თითქოს ტალიონს ჰგვანან, მაგრამ თავის შინაარსით მისგან მაინც არსებითად განსხვავდებიან. მეცნიერებაში მას ჩვეულებრივ „ანალოგიურ“ ანუ „სიმბოლურ ტალიონს“ უწოდებენ.“ *ვაჩეიშვილი აღ.*, დასახ. ნაშ., გვ. 95, 96-97.

⁹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 540, 545.

¹⁰⁰ იხ. *ვაჩეიშვილი აღ.*, დასახ. ნაშ., გვ. 100.

¹⁰¹ § 3. უკეთუ კაცი სასამართლოში დანაშაულის მოწმედ გამოვიდა და თავისი ნათქვამი ვერ დაამტკიცა, თუკი ეს სიცოცხლის საქმეა, ეს კაცი სიკვდილით უნდა დაისაჯოს; § 4. უკეთუ ხორბლის ანდა ვერცხლის საქმეზე გამოვიდა მოწმედ, ამ საქმის სასჯელი უნდა დაეკისროს; § 13. უკეთუ ამ კაცის მოწმეები ახლოს არ არიან, მოსამართლეებმა ექვსი თვის ვადა უნდა დაუნიშნონ. თუკი ექვს თვეშიც ვერ მოიყვანს მოწმეებს, ეს კაცი ცრუ არის და ამ საქმის სასჯელი უნდა დაედოს. ხამურაბის კანონები. აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო *ზ. კიკნაძემ* თბ., 1988, გვ. 10, 12.

¹⁰² იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи, под редакцией *В. М. корецкого*, М, 1961, ст. 74.

¹⁰³ მუხ. 16. თუ ვინე ტყუილად ბრალს დასდებს სხვას, ისე რომ ბრალდებულს ქონებას ან მის მდგომარეობას ზიანი მიადგა და თუ მან მეორემ შემდგომ შემდგომ ბრალდების გაბათილება, მაშინ ჩვენ ვადგენთ, მან პასუხი აგოს თავისი ენით, თუ ვერ გამოისყიდის მას

ცილისწამებისას სიმბოლური ტალიონის ამ სახეს ძველი ქართული სამართალი არ იყენებს.

ქართული სამართლის ძეგლებისაგან განსხვავებით საკმაოდ მკაცრია სომხური სამართლის 107-ე მუხლი. პირველი ნაწილით დანაშაულის დაბრალებისათვის, როდესაც მკვლელობის და „აგის მოქმედების“ დაწამებაზეა საუბარი კანონმდებელი აღნიშნავს, რომ ასეთი ქმედება სიკვდილით დასჯის ღირსია.¹⁰⁴ ისეთი დანაშაულის დაწამებისათვის, რისთვისაც ცილდაწამებულს სიკვდილით დასჯა მოელოდა, დამწამებლის მიმართ ამ სახის სასჯელის გამოყენება გასაკვირი არ არის,¹⁰⁵ თუმცა ყველა სახის დანაშაულის დაწამების შემთხვევაში სიკვდილით დასჯის გამოყენება, ნიშნავს, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით ტალიონის პრინციპს სომხური სამართალი არ იყენებს.

მუხლის მეორე ნაწილით ზუსტად იმის თქმა რა სასჯელი გამოიყენებოდა ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ნორმაში სანქცია არ არის განსაზღვრული: „მოსამართლეს როგორც რომ უნდოდეს და მართებდეს, ისრე გარდააკდევინონ.“¹⁰⁶ მოსამართლისათვის უფლების მინიჭება, სასჯელი თავისი შეხედულების მიხედვით აირჩიოს, მიაჩნებებს, რომ მას შეეძლო ეხელმძღვანელა იმ პრინციპით, რაც მუხლის პირველ ნაწილშია მოცემული, ან თავისი შეხედულებით შეერჩია სასჯელის სახე. მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში აბსოლიტურად განუსაზღვრელი სანქციაა გამოყენებული, მოსამართლეს კანონმდებელი გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს, ამაზე მიაჩნებებს ტერმინის „მართებდეს“¹⁰⁷ გამოყენება. ტერმინის განმარტებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ მოსამართლეს დანაშაულის შესაბამისი და სამართლიანი სასჯელი უნდა შეერჩია. შეიძლება ვივარუდოთ, რომ „გარდაკდევინებ“-ის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა რა დანაშაულის დაწამებას ჰქონდა ადგილი. თუმცა შესაძლოა

თავისი ვერგილით. იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи, под редакцией В. М. корецкого, М., 1961, ст. 86-87.

¹⁰⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255.

¹⁰⁵ ცილისწამებლის იმავე სასჯელით დასჯა, რაც ცილდაწამებულს მოელოდა უძველი დროიდან იყო გავრცელებული და შუა საუკუნეების ევროპაშიც გვხვდება. მაგ. კაროლინაში (1532წ) „ცრუ მოწმეთა შესახებ – მოწმეები, რომლებსაც ამხელენ იმაში, რომ ისინი ცრუ და ბოროტი განზრახვით მოწმეთა ჩვენებით ცდილობდნენ სისხლის სამართლებრივი სასჯელი დაკისრებოდათ უდანაშაულო პირს, უნდა დაისაჯონ იმ სასჯელით, რომელიც მათ უნდოდათ რომ თავიანთი ჩვენებებით დაკისრებოდა უდანაშაულო პირს.“ იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи, под редакцией акад. В. М. Корецкого, М. 1961, ст. 451; ცილისწამებისათვის სასჯელის დანიშვნის ამ პრინციპს გამოყენებას ვხვდებით ასევე ქართული სამართლის ძეგლებში, მაგალითად ვახტანგ ბატონიშვილის 236-ე, 253-ე მუხლებში. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 542, 545.

¹⁰⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255.

¹⁰⁷ მართებული – ჯეროვანი, სამართლიანი, შესაფერი, ზრდილი, თავაზიანი, პატიოსანი. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 671.

სადაო იყოს ტერმინ „გარდაცდევინების“ მნიშვნელობა. ის სულხან-საბასთან განმარტებულია როგორც დანაშაულის ზღვევინება.¹⁰⁸ ხოლო ზღვევინება საზღაურის მიცემა.¹⁰⁹ საზღაური კი გარდასახადს, ჯარიმას ნიშნავდა.¹¹⁰ თუ ამ ტერმინთა განმარტებას მივყევით უფრო საფიქრებელია, რომ „გარდაცდევინებაში“ იგულისხმება ქონებრივი საზღაური. მაგრამ „გარდაცდევინება“ დასახელებულ მუხლში უფრო ზოგადად დასჯის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული. ამის დამაჯერებელი არგუმენტირება რთულია, რადგან წინააღმდეგობაში მოვდივართ სიტყვის განმარტებასთან. მაშინ რას ემყარება ვარაუდი? მაგალითად უნდა მოვიყვანოთ ნორმა ბაგრატ კურაპალატის სამართალიდან (ბექა-აღბუღას სამართლის 103-ე მუხლი), რომელშიც საუბარია სასულიერო პირის შეცოდებაზე: „თუ მოძღვარმან ან მღვდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა ანუ ეპიკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიას შესცოდოს, ჳელთა არავისგან შეიპყრობის. გაკითხვად უნდა, და რადცა მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვად და გარდაცდევინებად.“¹¹¹ ნორმაში სასულიერო პირის მიერ შეცოდებათა მძიმე სახეზეა აქცენტი გაკეთებული, ამ სახის შეცოდებათა მიმართ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ქონებრივი სასჯელიც ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ ის რომ ამ შეცოდების დასჯა მხოლოდ ქონებრივი სანქციებით არ შემოიფარგლებოდა აშკარაა. ვახტანგ ბატონიშვილის B ნუსხის 227-ე მუხლი მოსამართლის წინაშე დაბეზლებას ეხება.¹¹² „ვინც ვინ სძრახოს და მოსამართლესთან დააბეზლოს, „ესე და ეს კაცი ამ საქმის მქნელია და გარდააგდევინეო, მოწამე დაისწროს და სიტყვა დასწეროს ამ კაცმა: ამა და იმ კაცმა ასე სძრახაო“, ის კაცი მოაყვანინონ, მარტო კითხონ, თუ თავი იმართლა, პირს დაუყენონ.“¹¹³ მუხლში დაკონკრეტებული არ არის დანაშაული რასაც შეიძლება დაბეზლება ეხებოდეს, შესაბამისად ნორმა ზოგადი ხასიათისაა, ხოლო ყველა სახის დანაშაულისათვის ჩადენისათვის დამბეზლებელს ქონებრივი სასჯელი ვერ დაეკისრებოდა. რაც ვარაუდს აჩენს, რომ დასახელებულ მუხლშიც „გარდაცდევინება“ დასჯის მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული.

ბერძნული სამართლის 173-ე (ყმის მიერ ბატონის ცილისწამება) და 174-ე (გააზატებულის მიერ ბატონის ცილისწამება)¹¹⁴ მუხლებით ცილისწამებისათვის დაწესებულია ექსორია. ექსორია ბერძნული სიტყვაა

¹⁰⁸ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 148.

¹⁰⁹ ზღვევინება–საზღაურის მიცემა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 291.

¹¹⁰ საზღაური – გარდასახადი, ჯარიმა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1070; საზღაური – ზღვევინების მონაცემი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 39.

¹¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 465.

¹¹² დასახელებული მუხლი დაწვრილებით შემდეგ თავში არის განხილული.

¹¹³ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 107–108.

¹¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 171.

და გაძევებას ნიშნავს.¹¹⁵ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, სახელმწიფოდან გაძევება გამოუსწორებელ პოლიტიკურ დამნაშავეების მიმართ იყენებდნენ, როდესაც დანაშაული მძიმე არ იყო.¹¹⁶ ქართული სამართლისაგან განსხვავებით ბერძნულ სამართალში დასახელებული სასჯელი შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულ დანაშაულებისათვის გამოიყენებოდა.¹¹⁷ დასახელებული ორივე მუხლი ერთნაირ სასჯელს აწესებს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად ყმა გვევლინება, ხოლო მეორეში-გააზატებული.¹¹⁸ ბერძნული სამართლის ამ მუხლებში როგორც ჩანს ასახვას პოვებს ნორმები რომის სამართლიდან, რომლითაც ლიბერტი მებატონის მიმართ სხვადასხვა ვალდებულებების შესრულებისაგან არ თავისუფლდებოდა. როგორც დიგესტებშია აღნიშნული შეურაცყოფა შეიძლება მძიმედ ჩაითვალოს ადამიანის, ან დროის, ან თავად ქმედების გამო. ადამიანის გამო ქმედება მძიმე შეურაცყოფად ჩაითვლება, თუ შეურაცყოფა მიაყენეს მაგისტრატს, მშობელს ან პატრონს.¹¹⁹

სასჯელის შერჩევისას დანაშაულის სუბიექტი იყო განმსაზღვრელი ასევე ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 289-ე მუხლში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საუბარია შვილის მიერ მშობლის მიმართ განხორციელებულ ქმედებებზე. შვილისთვის სამკვიდროს მიღების უფლების ჩამორთმევა, დამატებით სანქციას უნდა წამოადგენდეს და მის გარდა სხვა სასჯელიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ცილისწამების გარდა ნორმაში სხვა ქმედებებიც არის ჩამოთვლილი. „უკეთუ ვინმე თავის მამასა და დედასა სცეს და გააგდოს ანუ აგინოს, ანუ მშობელთა თვისთა ტყუილად ცილი შესწამოს მეფესთან ანუ მოსამართლესთან, ანუ მწამლელთაგან განიზარდოს ვინმე და მათის სიბოროტის წესნი ისწავლონ,

¹¹⁵ ექსორია – სხუაგან წარგზავნა პატიმრად. ბერძნულია. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 247; ექსორია – განდევნა, გაძევება, გადასახლება. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 65; ექსორია – განძევა, პატიმრად გაგზავნა სხვაგან. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 497.

¹¹⁶ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს ასევე, რომ ექსორიის გარდა სასჯელად გაძევებაც არსებობდა, რომელიც შეიძლება დროებითაც ყოფილიყო და მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც. ასეთი გაძევება „მამულის დაჭირვა“-სთან იყო დაკავშირებული. „გაძევება“ ხშირი სასჯელი იყო საკორპორაციო სამართალში და დაწესებულებაში. ექსორია უდრის რომაულს *exilium*-ს. იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშ., გვ. 368-369.

¹¹⁷ ექსორიას გ. ნადარეიშვილიც ეხება. იგი ექსორიას და გაძევებას ერთმანეთისაგან გამოყოფს. ივ. ჯავახიშვილის მსგავსად, აღნიშნავს, რომ „ექსორია ძირითად სასჯელად გამოიყენებოდა იმ პოლიტიკურ დამნაშავეთა მიმართ, რომელთა დანაშაულიც უმძიმესად არ ითვლებოდა. ვხვდებით შემთხვევას, როდესაც ის გამოიყენება სისხლის სამართლის დამნაშავის მიმართაც. ექსორიობა და გადასახლება მთლიანად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. გადასახლება გულისხმობდა მსჯავრდებულის მოშორებას რომელიმე ადგილიდან მისი სხვაგან სავალდებულო დასახლებით განაჩენით განსაზღვრული ვადით. ექსორიობის დროს, როგორც წესი, ვადა არ იყო განსაზღვრული. გარდა ამისა ექსორიობის შემთხვევაში დამნაშავეს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ აძევებდნენ. იხ. *ნადარეიშვილი გ.*, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 121.

¹¹⁸ გააზატებულის ბატონისადმი ვალდებულებებს ეხება ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 169 და 170 მუხლებიც. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 171.

¹¹⁹ D.47.10.7.8. cit. 493.

ან თვისთა მშობელთა საწამლავი გაუკეთოს, მათთვის ვბრძანებთ, რამეთუ ამათ ყოველთა თვისთა მშობელთა სამკვიდრებელთაგან არაფერი არ მიეცემათ რა.“¹²⁰ ხოლო „მხარეთა მორიგება“ სასჯელის შემსუბუქებას არ იწვევდა: „უკეთუ მშობელთა თვისთა შეიწყალოს, მისთანა შეიღსა კელმწიფე ნუ შეიწყნარებს, ამათს მოქმედსა.“¹²¹ ცილისწამებასთან ერთად ჩამოთვლილია სხვა ქმედებებიც, მათ შორის მშობლების მკვლელობის მცდელობაც. ცხადია, რომ მკვლელობის მცდელობა მხოლოდ სამკვიდროს მიღების უფლების ჩამორთმევით არ შემოიფარგლებოდა, მითუმეტეს, რომ მშობლის მკვლელობა მკვლელობათა კვალიფიციურ შემადგენლობას მიეკუთვნებოდა.¹²² რაც გვაფიქრებინებს, რომ როგორც მშობლის მკვლელობის მცდელობისათვის, ისე მშობლის ცილისწამებისათვის ძირითადი სასჯელის გარდა დამნაშავეისათვის სამკვიდროს მიღების უფლებაც უნდა ჩამორთმეოდა. აღნიშნული სანქციის გამოყენება მხოლოდ სუბიექტის სპეციალურ ნიშანზე იყო დამოკიდებული და იგი რა თქმა უნდა ცილისწამების ყველა შემთხვევაში ვერ იქნებოდა გამოყენებული.

ამდენად, სასჯელთა მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამართლის ძეგლებში, ცილისწამების ზოგად შემადგენლობებში სასჯელის განსაზღვრისას აქცენტი გაკეთებულია კომპოზიციათა სისტემაზე (ბაგრატ კურაპალატის სამართალი), ხოლო დავით ბატონიშვილის სამართალში, სავარაუდოდ ტალიონის პრინციპი უნდა იყოს გამოყენებული. ტალიონის პრინციპი ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულის სხვა ძეგლებშიც ვხვდებით, საუბარია მოსეს სამართალზე. სომხურ სამართალს რაც შეეხება, კანონმდებელი პირველ ნაწილში სიკვდილით დასჯაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა როგორც უკვე იყო აღნიშნული ყველა სახის დანაშაულის დაწამებისათვის სიკვდილით დასჯის გამოყენება ეჭვს იწვევს. მეორე ნაწილით გათვალისწინებული ცილისწამების შემთხვევაში მოსამართლე თავისუფალი იყო სასჯელის არჩევანში, რაც არ გამორიცხავს მისი მხრიდან ტალიონის გამოყენებას. სომხურ სამართლის ამ ნორმაში განსაზღვრული სასჯელის არარსებობა მხოლოდ ვარაუდების გამოთქმის საფუძველს იძლევა. რადგან ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის ცილისწამების ნორმები სპეციალურ შემადგენლობებს წარმოადგენენ სუბიექტის მიხედვით, მათში მითითებული სანქციები ცილისწამების ყველა შემთხვევაზე არ გავრცელდებოდა.

¹²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 197.

¹²¹ იქვე, გვ. 197.

¹²² კათალიკოზთა სამართლით (მუხ. 4) ძმის და მამის მკვლელობის მოკვეთით და „მამულისაგან განვარდით“ ისჯებოდა. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 394; ამ ნორმაშიც ხელის მოკვეთასთან ერთად დამატებითი სასჯელია გამოყენებული. მეფე გიორგის სამართალში (მუხ. 15) მშობლის მკვლელობას იმდენად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რომ მისი ჩადენისათვის კანონმდებელი სისხლის ფასს არ აწესებდა. ხოლო დამნაშავეს მოელოდა: „პირიანი გაპატიჟება, გაძება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხურა და ამოწყვეტა.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 408-409; ვახტანგ ბატონიშვილის სამართალიც მამის მკვლელობისათვის სისხლის ფასს არ განსაზღვრავს და კანონმდებლის აზრით საქმე რჯულის კანონით უნდა გადაწყვეტილიყო (მუხ. 78). ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 501.

თავი II. ცრუ დასმენა, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი ფორმა

2.1 ცრუ დასმენის შემადგენლობები

ძველ ქართულ სამართალში დასმენის მნიშვნელობით იხმარება შესმენა, დაბეზლება. ორივე სიტყვას ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს.¹²³ ცრუ დასმენა უდანაშაულო პირისათვის დანაშაულის დაწამებას წარმოადგენს. ძველ ქართულ სამართალში არ არის მკვეთრი მიჯნა გავლელბული ტყუილ დაბეზლებასა და ცილისწამებას შორის, მიუხედავად იმისა, რომ სამართლის ნორმებში, რომელიც შესმენას ეხება კანონმდებელი ხაზს უსვამს, რომ ტყუილი დაბეზლება კერძო ინტერესის ხელყოფის გარდა ხელყოფს ხელისუფლების ინტერესსაც, რის შესახებაც კონკრეტული ნორმების განხილვისას უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი. ცილისწამების საერთო ნიშანი, რომ პირს სწამებენ ისეთი ქმედების ჩადენას რაც არ ჩაუდენია ასევე ცრუ დასმენის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, მაგრამ ის რა თქმა უნდა განსხვავდება ცილისწამების სხვა ფორმებისაგან. ამ განსხვავებაზე ძველი ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ნორმებიც მეტყველებენ. როგორც უკვე იყო აღნიშნული ზანდუკში ცალკე თავებია გამოყოფილი ცილისწამებისათვის და დაბეზლებისათვის (რომელიც მოიცავს ნორმებს ტყუილი დაბეზლების შესახებ) ასევე დავით ბატონიშვილის სამართალში სხვადასხვა მუხლებით არის გათვლისწინებული პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის¹²⁴ და შესმენისათვის.¹²⁵ ცრუ დასმენის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ შესმენა ხორცილდება არა სახალხოდ, არამედ კონკრეტულ პირთან, მეფესთან, მოსამართლესთან, პატრონთან, მათთან ვისაც მართლმსაჯულების განხორციელების უფლება აქვთ შესმენილის მიმართ.¹²⁶ აბოს წამებაში ნერსე ერისთავი შესმენის საფუძველზე ჩაუსვია საპყობილეში ამირას: „ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთადათა საპყობილესა შეაგდო მან ნერსე, ერისთავი ქვეყანისა ამის ქართლისაჲ. და პყობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისადათა

¹²³ დაბეზლება – დავასმენ, ბრალს დავდებ, დავსწამებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 348; შესმენა – დაბეზლება, ბოლოს ჩხრეკით ასე იქნებაო. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 293; შესმენა – <<სასმენელ ქმნა>> გაგონება, დაბეზლება, ჩივილი, ძვირის თქმა. *აბულაძე ი.*, დასახ. ნაშ., გვ. 488.

¹²⁴ მუხ. 130. დავით ბატონიშვილის სამართალი, გვ. 76.

¹²⁵ მუხ. 208. დავით ბატონიშვილის სამართალი, გვ. 118.

¹²⁶ სალიკურ სამართალში საუბარია მეფის წინაშე ცრუ ბრალდებაზე. უდანაშაულო პირისთვის დანაშაულის დაწამება ორ ნაწილად არის გაყოფილი, დიფერენციატია გაკეთებულია დაწამებულ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით: XVIII იმის შესახებ, ვინც მეფის წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს. – § 1. „უკეთუ ვინმე მეფის წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს ამ უკანასკნელის დაუსწრებლად, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს.“ დამ. 1-ლი. „ხოლო თუ მას ისეთ ბრალს დასწამებს, რომლისთვისაც ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯაა დაწესებული, ბრალმდებელს გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს.“ *დოლიძე ის.*, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თბ., 1950, გვ. 15.

მოკვდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძე მისი მაჰდი.“¹²⁷ ისტორიულ წყაროებში არსებულ შესმენათა შესახებ ცნობათა სიმრავლის მიუხედავად ჩვენთვის მაინც უპირველესად სამართლის ძეგლების განხილვაა მთავარი, რადგან ისინი გვაძლევენ საფუძველს ვიმსჯელოთ დასჯადი იყო თუ არა ტყუილი დაბეზლება.

საქართველოში ცრუ დასმენა ძალიან ყოფილა გავრცელებული, ამაზე იოანე ბატონიშვილიც საუბრობს. „იყოს ორი კაცი გამორჩეული: ერთი ქართლით, ერთი კახეთით – ავენა კაცების უფროსი; ამისთვის რომელ, ვინაჲდგან ხშირად არის ბეზლება მებატონეებთან ერთმანერთისა, ზოგი შურით და მტერობით, ზოგი გამორჩომისათვის.“¹²⁸ ქმედების გავრცელებულობის საფუძველზე იოანე ბატონიშვილი საჭიროდ თვლის სპეციალური თანამდებობის შემოღებას, რისი საშუალებითაც დაბეზლების ფაქტები იქნებოდა შესწავლილი და რის შედეგადაც ბევრი უდანაშაულო პირის ბრალდება და დასჯა თავიდან იქნებოდა აცილებული. იოანე ბატონიშვილის სჯულდების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი განხრახვის არსებობა ცრუ დასმენის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა. ნორმა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ კანონმდებელი დანაშაულის მოტივებზე ამახვილებს ყურადღებას. ქმედება, რომელიც იმდენად გავრცელებულია, რომ ამ საქმეების შესწავლა სპეციალური თანამდებობის შემოღებას საჭიროებს, რა თქმა უნდა სამართლებრივი რეგულირების მიღმა არ იქნებოდა დარჩენილი და უნდა არსებობდეს ნორმები, რომლებიც ტყუილი დაბეზლებისათვის დააწესებდა პასუხისმგებლობას.

ცრუ დასმენის განხილვა ცილისწამების ერთ-ერთ ფორმად მეცნიერთა შორის კამათს იწვევს. მ. დუხოვსკი არასწორად თვლის შეხედულებას, რომ ცილისწამებას და ცრუ დასმენას ბევრი საერთო ნიშანი აქვს, რომ ორივე შემთხვევაში დამნაშავე ცდილობს პირი დაამციროს სხვათა თვალში და მსგავსია მათი ჩადენის საშუალება. მისი აზრით განსხვავებულია ამ ორ დანაშაულს შორის მიზანი და ქმედების ჩადენის საშუალება. ცრუ დასმენის მიზანი არ არის საზოგადოების თვალში პირის დამცირება, არამედ მიზნად ისახავს მისთვის სხვა სახის, უფრო მეტი ბოროტების მიყენებას, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. მისი აზრით, ყველა სახის დანაშაულში ბრალდება პირის პატივის დამცირება არ ხდება, რადგან არის დანაშაულები, რომელთა მიმართ საზოგადოება არ უკავშირებს პირის პატივის ხელყოფას, მაგრამ თუ პირის პატივის ხელყოფას ადგილი აქვს, მაშინ ეს მეორეხარისხოვანია, მთავარია პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. მ. დუხოვსკის

¹²⁷ წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოესი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს), დასაბუჲდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ *ი. აბულაძის* ხელმძღვანელობით და რედაქტორობით, თბ., 1963, გვ. 56.

¹²⁸ *იოანე ბატონიშვილი*, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ივ. სურგულაძემ*, თბ., 1957, გვ. 21.

შეხედულებით, განსხვავებულია ასევე ამ ორის დანაშაულის ჩადენის საშუალება. ცილისწამების დროს ზიანი ადგება პირს სხვა მოქალაქეთა თვალში, ხოლო ცრუ დასმენისას მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საშუალებით. ამიტომ თვლის, რომ ცრუ დასმენა არ შეიძლება მიეკუთვნოს ზოგადად კერძო დანაშაულთა კატეგორიას. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ისტორიული მიმოხილვისას შეიძლება კანონმდებლობაში შეგვხვდეს ბევრი ისეთი შემთხვევა სადაც ცრუ დასმენა და ცილისწამებასთან არის აღრეული.¹²⁹

მ. დუხოვსკის მოსაზრებას, ცილისწამებას და ცრუ დასმენის განსხვავებასთან დაკავშირებით უნდა დავეთანხმოთ. მაგრამ ვიკვლევთ რა სამართლის ისტორიის საკითხებს, კერძოდ კი ამ შემთხვევაში ცილისწამების ნორმებს, მიზანს წარმოადგენს საკითხის შესწავლა იმ კუთხით რა სახის ქმედებები მოიაზრებოდა კანონმდებლის მიერ ცილისწამებად და არა ის, როგორ უნდა ყოფილიყო რეალურად გაგებული ცილისწამებით პირის პატივის ხელყოფა. თავად მკვლევარი იხილავს, რა რომის სამართალში არსებულ ცილისწამების ნორმებს, ასეთად მიიჩნევს პასკვილებს (*liber famosus*), მაგრამ *liber famosus* ერთ-ერთ სახეს, რომელიც გამოიხატებოდა იმპერატორისათვის პირის დანაშაულში ბრალდების წერილის წარდგენაში, თვლის, რომ არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პატივის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა კატეგორიას, რადგან ის წარმოადგენს ცრუ დასმენის ერთ-ერთ სახეს და ასეთი წერილის მიზანი იყო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.¹³⁰ კანონმდებლის მიერ ერთ ცნებაში (*liber famosus*) ცილისწამების და ცრუ დასმენის გაერთიანება მიანიშნებს, რომ რომის სამართალშიც მკვეთრი ზღვარი არ არსებობდა ამ ორ ქმედებას შორის.

მ. დუხოვსკი განიხილავს რა ავსტრიის 1803 წლის კანონმდებლობას, აღნიშნავს, რომ ცილისწამება აქ განმარტებულია როგორც პირის ცრუ ბრალდება მის მიმართ სასამართლო დევნის აღძვრის მიზნით.¹³¹ აღნიშნული კი ადასტურებს, რომ XIX-საუკუნის დასაწყისშიც ცრუ დასმენა კანონმდებლობით ცილისწამებად ითვლებოდა. ამის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლიც, რომელსაც „სამდღელოს კაცი ცილის წამებისათვის“ ეწოდება, თუმცა მუხლში შესმენაა განხილული. ცრუ დასმენა პირის პატივის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად რომ მიიჩნეოდა ამას მუხლის ტექსტი ადასტურებს: „თუ შესმენა იგი მართლა არ გამოაჩინოს და მივიდეს ჯლმწიფესთან ანუ მოსმართლესთანა, გინა კრებაშია მივიდეს, შეასმინოს, შესმენა მისი შეწყნარებაი არა არს და ნურცავის შეიწყნარებს, ამისთვის რომე ებისკოპოზი უპატიო ყო, აგინა კრებასა და წმიდათა ეკლესიათა მოწესენი აღრეულ ყო.“¹³² ასევე დიდი სჯულის კანონში შეინიშნება, რომ შესმენა

¹²⁹ იხ. *Духовский М.В.*, დასახ. ნაშ., გვ. 7.

¹³⁰ იხ. *Духовский М.В.*, დასახ. ნაშ., გვ. 33.

¹³¹ იქვე, გვ. 67.

¹³² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 166.

ცილისწამებად ითვლებოდა.¹³³ საეკლესიო სამართლის ძეგლებში ცრუ შესმენის ცილისწამებად განხილვა გასაკვირი არ უნდა იყოს გამომდინარე იქიდან, რომ მეცხრე მცნება – არა ცილ სწამო მოყვასსა შენსა, მოიცავდა ასევე ცრუ დასმენასაც. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება ასევე არსებულ საერო სამართლის ძეგლებშიც. დავით ბატონიშვილი „სუბუქი საქმის“ შესმენისათვის საუპატიოს გადახდას აწესებს.¹³⁴ ამ სახის სანქციის გამოყენება მიანიშნებს, რომ კანონმდებელი ცრუ დასმენას პირის პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტად მიიჩნევდა. აღნიშნულ მუხლს ეხება გიორგი ნადარეიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ დავით ბატონიშვილის სამართალი შესმენასა და ცილისწამებას ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს.¹³⁵ რადგან კვლევის მიზანია არა ის გარემოება როგორ უნდა ყოფილიყო ცილისწამება გაგებული, არამედ სამართლის ისტორიაში რა სახის ქმედებები ითვლებოდა ასეთად, შესაბამისად გვერდს ვერ აგუვლით ცრუ დასმენის განხილვას როგორც ცილისწამების ერთ-ერთ ფორმის, რადგან ასეთ ქმედება კანონმდებლობით ასევე ცილისწამებად ითვლებოდა.

ის. დოლიძეს ზანდუკის დაბეზღების თავში ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან მითითებული აქვს სამი მუხლი. ერთი ბექა-აღბუღას სამართლიდან (მუხ. 40), რომელიც პატრონის წინაშე შესმენას ეხება.¹³⁶ მეორე მუხლი ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან არის და ეხება ბატონთან ცრუ დასმენას (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი).¹³⁷ ბოლო მუხლი ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლია, რომელიც ტყუილი დაბეზღების ზოგად შემადგენლობას წარმოადგენს.¹³⁸

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიიდან მითითებულია 140-ე, 192-ე და 214-ე მუხლი. 140-ე მუხლი, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ეხება სასულიერო პირის ცილისმწამებლურ დაბეზღებას.¹³⁹ რაც შეეხება 192-ე მუხლს, მასში მართალია საუბარია დაბეზღებაზე, მაგრამ არ არის მინიშნება, რომ ეს დაბეზღება ცილისმწამებლურია: „ბრძანება არს ლეონ ბრძენისა: რომელმანც კაცმან მოსამართლესთან კაცი დააბიზღოს და თვითან იქ აღარ მოიცადოს, თუ დიდი რამე საქმე იყოს, მოსამართლემ იმ კაცს სამჯერ კითხოს წიგნითა და თვითოს სიტყუისათვის თვითო თვე მოიცადოს. თუ დამბიზღებელი კაცი მოვიდეს, კარგია, და თუ არა, რომელიც მართებული სამართალი იყოს, ისი ქნას.“¹⁴⁰ საქმის გარემოებების შესწავლისას შესაძლოა აღმოჩენილიყო, რომ დაბეზღება უსაფუძვლო იყო.

¹³³ დიდი სჯულის კანონი (ძველი ქართულ ენაზე), გამოსაცემად მოამზადეს *კ. გაბიაშვილმა, ე. ვიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, ვ. ნინუამ*, თბ., 1975, გვ. 261-263.

¹³⁴ დავით ბატონიშვილის სამართალი, გვ. 118.

¹³⁵ ის. *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 66-67.

¹³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 439.

¹³⁷ იქვე, გვ. 467.

¹³⁸ იქვე, გვ. 545.

¹³⁹ იქვე, გვ. 166.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 174.

ასეთ შემთხვევაში როგორი იქნებოდა ტყუილი დამბეზღებლის პასუხისმგებლობა დასახელებულ ნორმაში საუბარი არ არის.

შემდეგი მუხლი რომელიც ზანდუკში არის მითითებული ბერძნული სამართლის ქართული ვერსიიდან ეხება ასევე ცილისმწამებლურ დაბეზღებას (მუხ. 214), თუმცა ცრუ დასმენის როგორც დელიქტის განხილვისას ის არ გამოდგება, რადგან მუხლი პროცესუალური შინაარსისაა: „უკეთუ კაცსა ცილი შესწამოს ცოდვის ქმნისათვის ხოლო ცილშეწამებულთაგან კაცმა იმისა თქუას, თუ იმან უფროსი ცოდვა ქნაო, მოსამართლემ კარგად გასინჯოს და, რომელსაც ცოდვა უფრო დიდი იყოს, პირველად ის განიკითხოს და მერმე მეორე.“¹⁴¹ კანონმდებელი მოსამართლის მიმართ აკეთებს მითითებს, ორივე მხარის მხრიდან ცილისწამებისას რომელი საქმე უნდა განიხილოს პირველად.

სომხური სამართლიდან მითითებულია ასევე სამი მუხლი (115-ე, 116-ე და 310-ე მუხლები). 115-ე მუხლი ცრუ დასმენის ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს.¹⁴² მომდევნო მუხლი (116-ე) ცრუ დასმენის სპეციალური შემადგენლობას წარმოადგენს, აქცენტი გაკეთებულია ცილისწამების ადგილზე, კერძოდ საუბარია ჯარში ცილისწამებაზე.¹⁴³ მესამე მუხლი (310-ე) ასევე სპეციალურ ნორმას წარმოადგენს, იგი ეხება ეპისკოპოსის ცილისწამებას.¹⁴⁴

ცრუ დასმენის საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ თავისებურებაზე, რაც ამ სახის ცილისწამებას ახასიათებს, სხვა სახის დაწამებისაგან განსხვავებით და რამდენად იკვეთება ეს თავისებურება ძველ ქართულ სამართალში. რამდენად მსგავსია შინაარსობრივი და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით ტყუილი დაბეზღების შესახებ ქართულ სამართლის ძეგლებში არსებული ნორმები; თუ ახდენდა ეს თავისებურება დელიქტის ტიპზე და რა სახის სასჯელები იყო დაწესებული.

ცრუ დასმენის შესახებ თავდაპირველად ძველი ქართული სამართლის ძეგლებში არსებული ნორმები, ხოლო შემდგომ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სხვა სამართლის ძეგლები იქნება განხილული.

ბექა-აღბუდას სამართლის მე-40 მუხლს განიხილავს ის. დოლიძე. ავტორი აღნიშნავს, რომ „ბექას სამართალი პატრონის წინაშე ცილისმწამებლურ დასმენას მძიმე დანაშაულად თვლის, „რადგან დასმენის შედეგად პატრონი დასმენილ კაცს მამულს ართმევდა, აძევებდა და არბევდა. მაგრამ როცა გამოირკვეოდა, რომ პატრონის მიერ დასჯილი კაცი უდანაშაულო იყო, დამბეზღებელს სასჯელად ედვა „რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების“. ასეთ შემთხვევაში „პატრონმან პატიჯითა გარდააჯღვეინოს“ დამნაშავეს, რადგან „ამისთანა საქმე პატრონისა ღალატი

¹⁴¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 179.

¹⁴² იქვე, გვ. 257.

¹⁴³ იქვე, გვ. 258.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 336.

და შეცოდება უფროა“-ო, ამბობს კანონმდებელი.¹⁴⁵ მაშასადამე, ცრუ დასმენას კანონი თვლის პატრონის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებად.“¹⁴⁶

ბექა-აღბუდას სამართლის მე-40 მუხლი პირობითად შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პირველ ნაწილში დასმენაზე საუბარი, ხოლო მეორე ნაწილი ცრუ დასმენას ეხება. შესმენა შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ცილისმწამებლური, ისე არაცილისმწამებლურიც. შესაბამისად, როცა ცრუ დასმენაზე საუბარი სამართლის ძველებში ყოველთვის არის ამ გარემოებაზე მითითება. შეიძლება აღნიშნული იყოს, რომ პირმა ცილი დასწამა და დაასმინა (მაგალითად ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლი),¹⁴⁷ ან მითითებული იყოს რომ დამნაშავემ ეს მოიგონა, ან რომ დასმენა უსამართლო იყო (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუდას სამართლის 132-ე მუხლი).¹⁴⁸ ასეთი მითითება ამ მუხლის პირველ ნაწილში არ არის, საუბარია, რომ შესმენის საფუძველზე პატრონს უფლება აქვს შესმენილი პირის მიმართ სხვადასხვა სასჯელი გამოიყენოს: „თუ უმტეროვან, შეუბმელმან, მოურბეველმან და გაუგინებელმან პატრონსა წინა შეასმინოს და დააჯეროს, რაცა ავი იქმნების, ყველა უყოს პატრონმან შეზახებულთა კაცთა: ჳელითა მორბევა, მამულისა წადება და გაძება, და დიდხან დარიბობას ყოფა და ბედიტად სიარული.“¹⁴⁹ როგორც ნორმაშია მითითებულია დასმენა პატრონის წინაშე ხორციელდება. პატრონი უფალს, მფარველს, მფლობელს ნიშნავდა.¹⁵⁰ „პატრონი“ სოციალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პირი შეიძლებოდა ყოფილიყო.¹⁵¹ ამ შემთხვევაში კი ათაბაგი უნდა იგულისხმებოდეს. პატრონს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა

¹⁴⁵ დალატის ცნების შესახებ შემდეგ პარაგრაფში იქნება საუბარი. ნორმაში დალატის და შეცოდების ერთად გამოყენება მიანიშნებს, რომ დანაშაულსა და ცოდვას შორის ჯერ კიდევ არ არის გავლებული მკვეთრი ზღვარი. შეცოდება – ცოდვის ქნა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 297.

¹⁴⁶ *დოლიძე ის.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 212.

¹⁴⁷ ქართული სამართლის ძველები, ტ. I, გვ. 165.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 467.

¹⁴⁹ ქართული სამართლის ძველები, ტ. I, გვ. 439.

¹⁵⁰ ის. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 617; *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1008; განიხილავს რა ბექა-აღბუდას სამართალს, ნ. ხიზანაშვილი „პატრონის“ შესახებ შემდეგ განმარტებას აკეთებს: „მეფეს მოსდევს ათაბაგი, რომელსაც სამცხის „პატრონობა“ აქვს მინიჭებული. ეს „პატრონობა“ თითქმის სრულ დამოუკიდებლობას უდრის, რადგანაც პატრონი ჯაყელი თავისუფლად განაგებს სამთავროს. მეფესთან ათაბაგს მარტო გარეგანი კავშირი აქვს და სამთავროში ყოველგვარი გამგეობა და ქვეყნის მუშაობა „პატრონის“ სახელით წარმოებს. . . სამთავროს „პატრონს“ შეეძლო ყოველგვარი სასჯელი პირად თვითონვე მიესაჯა ბრალდებულისათვის –მამულის ჩამორთმევა, გარდახვეწა. ამ უფლებას უნდა დაეკმატოთ ღირსებისა და სხვა რაიმე უპირატესობის ბოძება.“ *ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი)*, დასახ. ნაშ., გვ. 380.

¹⁵¹ 1620 წლის განჩინებაში დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმეზე მეფე ლუარსაბი ბატონად არის მოხსენიებული, ასევე მეფე თეიმურაზიც. ქართული სამართლის ძველები, ტ. IV, სასამართლო განჩინებები (XVI–XVIII სს), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ის.დოლიძე*, თბ., 1972, გვ. 56.

მართლმსაჯულება თავისი მფარველობის, ან მფლობელობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ. ამ უფლების შესახებ აღნიშნულ მუხლშიც არის მითითებული: „რაცა ავი იქმნების, ყველა უყოს პატრონმან შეზახებულთა კაცთა“, ამის გარდა მას შეწყალების უფლებაც ჰქონდა.¹⁵² ნორმაში არ არის აღნიშნული რა დანაშაულთა დასმენისას შეიძლებოდა მიემართა „პატრონს“ ჯვლითა მორბევისათვის, მამულისა წაღებისათვის და გაძევებისათვის, დიდხანს დარიბობას ყოფისათვის და ბედითად სიარულისათვის. შესაბამისად, ნორმა დასმენის ზოგად შემადგენლობად შეიძლება ჩაითვალოს. იგივე შეიძლება ითქვას ცრუ დასმენასთან დაკავშირებით. ამას ადასტურებს ზოგადი მინიშნება: „რაცა კაცისაგან ავი¹⁵³ [და] საზიანო მოიგონების..“¹⁵⁴ დასახელებულ ნორმაში სიტყვები, რომ ცრუ დასმენა „პატრონისა დაღატი და შეცოდება უფროა“,¹⁵⁵ მიანიშნებს, რომ ეს ქმედება ხელყოფდა როგორც კერძო პირთა ინტერესს, ისე „პატრონისას“. კანონმდებელი უპირატესობას „პატრონის“ ინტერესებს ანიჭებდა. განხილულ მუხლში ცრუ დასმენისას სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესის წინა პლანზე წამოწევა შემთხვევითი არ უნდა იყოს, არამედ როგორც ჩანს ზოგადად ძველი ქართული სამართლისათვის იყო დამახასიათებელი. ცრუ დასმენის ხელყოფის ობიექტი ასევეა განსაზღვრული ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

ასევე პატრონის წინაშე ცილისმწამებლურ დასმენას ეხება ბაგრატ კურაპალატის სამართლი (ბექა-ადბუდას სამართლის 132-ე მუხლი): „თუ უსამართლოდ პატრონსა წინა შეასმინოს, სრული სისხლი მართებს, ამაღ რომე მისით გამოიმეტა.“¹⁵⁶ ნორმაში არ არის გამოყენებული „ცილისწამება“, ან ტყუილი შესმენა. შესმენა რომ ცილისმწამებლური იყო ამაზე მიანიშნებს ტერმინი „უსამართლო“. უსამართლო სამართლის გარეგანს, არა მართაღს, არასამართაღს ნიშნავდა.¹⁵⁷ ე. ი. „უსამართლო“ სამართლის საპირისპირო ცნებაა. „მისით გამოიმეტა“ კი მიანიშნებს, რომ

¹⁵² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 439. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში (მუხ. 95) ვხვდებით ბატონთა მიერ დაკისრებულ სასჯელთა შეზღუდვის მცდელობას, უკრძალავს რა მათ სიკდილით დასჯის და გახეიბრების გამოყენებას, რაც სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივა უნდა იყოს. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 505. აღ. ვახეიშვილის აზრით, დასახელებულ ნორმაში გამოხატულია დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იდეა, რომლის ცხოვრებაში გატარება იმდროინდელ პოლიტიკურ პირობებში შეუძლებელ ამოცანას წარმოადგენდა. იხ. *ვახეიშვილი აღ.*, დასახ. ნაშ., გვ. 34.

¹⁵³ ავი-არა კეთილი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 40; ავი- ჰავი- ცუდი, ავი. *აბულაძე ი.*, დასახ. ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 575; ავი-ბოროტი, არაკეთილი, უკეთური, ცუდი, საძაგელი, მდარე ურიგო, ბედითი, ხენეში, უხმარი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 8.

¹⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 439.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 439.

¹⁵⁶ იქვე, გვ. 467.

¹⁵⁷ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1270; *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 169.

ქმედება განზრახ არის ჩადენილი. როგორც ნორმის შინაარსიდან ჩანს, ქმედების დასჯადობას განაპირობებს პირის „უსამართლოდ“ განზრახ ცრუ დასმენა. ამდენად, განზრახვის არსებობა ცრუ დასმენის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა. ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის მე-40 მუხლის მსგავსად ნორმა ზოგადი ხასიათისაა, თუმცა მისგან განსხვავებით „პატრონის“ ინტერესის ხელყოფა არ იკვეთება.

განხილული მუხლის მსგავსი ნორმა სასისხლო განჩინებაში სიმონ I-ისა მაღალაძეებისადმი [1592წ.] „თუ პატრონსა წინა უსამართლოდ შეასმინოს, ოციათასი თეთრი დაეურვოს.“¹⁵⁸ ცრუ დასმენის ქმედების აღწერილობისათვის სიმონ I-ის სასისხლო განჩინება დამატებით მასალას არ იძლევა. ნორმის „თავისებურება“ მხოლოდ ზუსტად განსაზღვრულ სისხლის ფასში გამოიხატება.

შემდგომი ქართული სამართლის ძეგლი, რომელიც ცრუ დასმენისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნია. აღ. ვაჩიშვილი 253-ე მუხლის გარდა ტყუილ დაბეზღებად განიხილვას 227-ე მუხლსაც.¹⁵⁹ ასევე თ. მონიავაც (227-ე მუხლი B ნუსხით).¹⁶⁰ ის. დოლიძის მიერ გამოქვეყნებულ ქართული სამართლის ძეგლებში 227-ე მუხლი ეხება წაძრახვას. „ვინც ვისაც წასძრახოს, იმით სისხლი და რაც ჩხუბი მოკდეს, ნახევარი წამძრახვამან გარდიკადოს და ნახევარი მქნელმან. და თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არა მოკდეს რა და გულის მოწყვეტისათვის უთხრას, გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთგან ჩაგვიგდია, –რასაც გვარისა იყოს, იმ წესით თავის გატეხასთან ჩაიგდება და იმთონი გარდაუკადოს.“¹⁶¹ წაძრახვა დ. ჩუბინაშვილის განმარტებული აქვს როგორც დაყვედრება, დამატება.¹⁶² ხოლო დაყვედრება – როგორც საყვედურს ვეტყვი.¹⁶³ არც ტექსტის შინაარსიდან და არც სიტყვის განმარტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ნორმა ცრუ დასმენას ეხება. შესაძლოა ვარაუდი გამოთქმულიყო, რომ მუხლში ცილისწამებაზეა საუბარი, ნორმაში მითითებული რომ ყოფილიყო „წაძრახვის“ სიცრუეზე, როგორც ეს სომხური სამართლის 114-ე, 115-ე და 116-ე მუხლებშია აღნიშნული.

¹⁵⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო კანონმდებლობის ძეგლები (X-XIX სს) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 206.

¹⁵⁹ „ვახტანგის კოდექსის 227 მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც ვინმე დააბეზღებს მეორე პირს მოსამართლესთან და წაუყენებს მას ბრალდებას რაიმე დანაშაულის ჩადენაში.“ ვაჩიშვილი აღ., დასახ. ნაშ., გვ. 95.

¹⁶⁰ ის. მონიავა პ. (თემურ), დასახ. ნაშ., გვ. 79-80.

¹⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 540.

¹⁶² ის. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ნაშ., გვ. 1665.

¹⁶³ იქვე, გვ. 438; უშუალოდ წაძრახვის განმარტება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მოცემული არ არის. წაძრახვა ნაწარმოები უნდა იყოს „ძრახვ“-ისაგან. რაც შეეხება ძრახვას განმარტებულია როგორც ზრახვა, ნაძრახი, სძრახავს. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 357.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის B ნუსხის 227-ე მუხლი ასევე ძრახვით¹⁶⁴ იწყება, თუმცა განსხვავებულია შემდგომი ტექსტი: „ვინც ვინ სძრახოს და მოსამართლესთან დააბეზლოს, „ესე და ეს კაცი ამ საქმის მქნელია და გარდააკდევინეო, მოწამე დაისწროს და სიტყვა დასწეროს ამ კაცმა: ამა და იმ კაცმა ასე სძრახაო“, ის კაცი მოაყვანინონ, მარტო კითხონ, თუ თავი იმართლა, პირს დაუყენონ. თუ გაამტყუნოს, მოქმელი უბრალო იყოს, და თუ გამტყუნდეს მოქმელი, რაც იმ კაცისათვის გარდასაკდელი მართებს, ამ მოქმელს უნდა გარდაკდეს.“¹⁶⁵ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში კიდევ ერთი მუხლია (253-ე), რომელიც ტყუილ დაბეზლებას ეხება. ორივე მუხლი ზოგადი ხასიათისაა და შესაბამისად არაცერთში არ არის საუბარი კონკრეტული დანაშაულის დაბეზლებაზე. B ნუსხის 227-ე მუხლი წინააღმდეგობაში არ მოდის 253-ე მუხლთან, ამაზე მიანიშნებს ტყუილი დაბეზლებისათვის სასჯელის განსაზღვრის პრინციპი. 227-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ მუხლი უფრო დაბეზლების პროცესუალურ მხარეს ეხება, რის გამოც ნორმაში არ არის აქცენტი გაკეთებული ტყუილი დაბეზლების ხელყოფის ობიექტზე, აღნიშნული უნდა განაპირობებდეს ამავე სამართლის წიგნში 253-ე მუხლის, უშუალოდ ტყუილი დაბეზლების ნორმის არსებობას.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლით: **[ტყუილად დამბეზლებლობისათვის]** „ტყუილად დამბეზლებელსა ორი დანაშაული აქუს: არც ჰელმწიფის დოვლათისათვის სჯობს, [და] ვისაც დააბეზლებს, ის მეუდარი არის იმ მობეზლარისაგან.“¹⁶⁶ მოყვანილ მუხლში ორი ობიექტი იკვეთება, ხაზია გასმული, რომ ცრუ დამსმენი ორ დანაშაულს ჩადის. წინ არის წამოწეული სახელმწიფო ინტერესი, დასმენილი უკანა პლანზეა გადაწეული. სახელმწიფო ინტერესის ხელყოფა მისი დოვლათის ზარალში გამოიხატებოდა. დოვლათი გნმარტებულია, როგორც ბედნიერება, სიმდიდრე, შემძლებლობა.¹⁶⁷ მაგრამ რა სახით უნდა დაზარალებულიყო სახელმწიფო დოვლათი ტყუილი დაბეზლებისას, იგულისხმება აქ ზოგადად სახელმწიფოებრივი კეთილდღეობა, თუ მატერიალურ ზარალზეა აქცენტი გაკეთებული? შესაძლოა ამ კითხვის პასუხი გარკვეულწილად ნორმის შემდეგ ტექსტში მოიძებნოს, სადაც აღნიშნულია, რომ ცილდაწამებული მკვდარი არის მობეზლარისაგან.

ყველა სახის ტყუილ დაბეზლებას რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა ცილდაწამებულის სიკვდილი მოჰყოლოდა. მეცნიერთა შეხედულებით, სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი იყო საქართველოში და ქართული სისხლის სამართლით ასეთი უმაღლესი სასჯელს იყენებდნენ მეფისა და

¹⁶⁴ ძრახვა – განგჰკიცხავ, განვაქიქებ, განგუიცხავ, არ მოუწონებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1645; ძრახვა – ზრახვა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 357; ზრახვა – სიტყვის ლაპარაკი. იქვე, გვ. 285.

¹⁶⁵ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 107–108.

¹⁶⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 545.

¹⁶⁷ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 480.

სახელმწიფოს დაღატისათვის, ასევე მეფის პირადი საჯარო სიტყვიერი შეურაცყოფისათვის და მეკობრეობისათვის.¹⁶⁸ რადგან მეფის პირადი შეურაცყოფა ისჯებოდა სიკვდილით, მისი დასმენა გამორიცხული იყო. შესაბამისად ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში მითითება იმ გარემოებაზე, რომ „ვისაც დააბეზდებს, ის მკუდარი არის იმ მობეზდარისაგან“¹⁶⁹ შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მეფის და სახელმწიფოს დაღატის და მეკობრეობის დაწამებას. სასამართლო პრაქტიკითაც დასტურდება, რომ მეფის დაღატის ცილისწამებას შეიძლება მოჰყოლოდა დასმენილის სიკვდილი. სოლომონ II-ის სასისხლო განჩინებაში (1789-1810წწ) მიუხედავად იმისა, რომ მეფეს დასმენა არ გაუთვალისწინებია, დასმენილი სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი მაინც აღნიშნავს, რომ „სასიკვდილო ვიყავი, ღმერთმან დაუმაღლოს, არ მომკლა, თორემ შენით მეც მომკალი.“¹⁷⁰ ამ შემთხვევაში შემდეგი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება, „სასიკვდილო ვიყავი“ უნდა აღნიშნავდეს, რომ სოლომონ მეფეს დამბეზდებლისათვის, რომ დაეჯერებინა ზურაბ წერეთელს სიკვდილი მოელოდა, ხოლო „შენით მეც მომკალი“ შეიძლება ნიშნავდეს, რომ დამსმენამა სასიკვდილოდ გაიმეტა ზურაბ წერეთელი.

განსხვავებულ კონტექსტშია ნახმარი ეს სიტყვა სიმონ II-ის 1620 წლის სასისხლო განჩინებაში, სადაც დიდი მოურავი უყენებს ბრალდებას ქაიხოსრო ჯავახიშვილს, რომ „ეს ყუელა უკაცრაული და სიკუდილი და ამოწვევტა, ყუელაკა ქაიხოსროსაგან დამემართა.“-ო.¹⁷¹ მოყვანილ ციტატაში სიკვდილის ხმარება არ ნიშნავს, რომ დიდი მოურავი ქაიხოსროს მკვლელობაში დებდა ბრალს. „უკაცრაული“, „სიკუდილი“ და „ამოწვევტა“ გამოიხატა იმაში, რომ დიდმა მოურავმა ბატონის გულისწყრომა დაიმსახურა, ცოლ-შვილით მოუხდა საკუთარი მამულიდან გადახვეწა, იძულებული გახდა რჯული შეეცვალა, ქონება კი დაეკარგა.¹⁷² როგორც ჩანს, ტერმინი სიკვდილი ყოველთვის პირდაპირი მნიშვნელობით არ არის გამოყენებული. იგივე შეიძლება ითქვას ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლზეც.

ამდენად, დასახელებულ მუხლში მითითებულ სახელწიფოსათვის მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით, შეიძლება ორი ვარაუდი გამოითქვას: ტყუილ დაბეზდებას შესაძლოა ცილდაწამებულის სიკვდილი მოელოდა, ამით სახელმწიფო მოქალაქეს კარგავდა, რაც მისი „დოვლათისათვის“ საზიანო იყო და მეორე, ცილდაწამებული თუ დაისჯებოდა ცრუ დასმენის შედეგად, ეს გამოიწვევდა მის სამოქალაქო სიკვდილს და სახელმწიფო „დოვლათი“ ამ სახით განიცდიდა ზარალს. მეორე მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ვახტანგ ბატონიშვილის 253-ე მუხლი ზოგადი ხასიათისაა, იგი არ არის კაზუისტური, ხოლო

¹⁶⁸ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშ., გვ. 372; *ვახეიშვილი აღ.*, დასახ. ნაშ., გვ. 91.

¹⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 545.

¹⁷⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებები (XVIII-XIX სს). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *იხ. დოლიძემ*, თბ., 1977, გვ. 435.

¹⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 57.

¹⁷² იქვე, გვ. 56.

ნებისმიერი დანაშაულის ცრუ დასმენისას ცილდაწამებულის სიკვდილით დასჯის საშიშროება არ არსებობდა. თუმცა ზუსტ დასკვნის გაკეთება, რას გულისხმობდა კანონმდებელი ამ შემთხვევაში რთულია.

ტყუილი დაბეზღების მაგალითებს ისტორიულ წყაროებშიც ვხვდებით (მაგ. ბერი ეგნატაშვილი გიორგი სააკაძის დაბეზღების შესახებ).¹⁷³ მიუხედავად ამისა განსახილველი საკითხის კვლევისას ეს ცნობები არ გვადგება, რადგან გარდა ფაქტის აღნიშვნისა, რომ ტყუილ დაბეზღებას ჰქონდა ადგილი, არ არის საუბარი ტყუილ დამბეზღებლთა დასჯის შესახებ.

სპეციალური მუხლი არსებობს ასევე დავით ბატონიშვილის სამართალში, მას ეწოდება „შესმენისათვის“ (მუხ. 208), რომლის მიხედვით: „ვინცა ვინ ტყუილად შეასმინოს, მებრ მიხედვისა გუამისა მიუზღოს სისხლი ამად რომელ მან სიცრუითა და მტერობითა ძმაი თავისი მისცა სიკუდილად.“ მუხლს თან ახლავს განმარტება: „შესმენასა რა ვიტყვი, არათუ სუბუქისა საქმისა, რომლის ნაცვლად მიეზღვის საუპატიო, არამედ ორგულებასა საზოგადოებასა, გინა მეფისასა.“¹⁷⁴

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლისაგან განსხვავებით დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 208-ე მუხლში მითითება არ არის სახელმწიფო ინტერესის ხელყოფაზე. თუმცა მსგავსება ამ ორ ნორმას შორის შეინიშნება. შესმენილთან დაკავშირებით ვახტანგ ბატონიშვილთან აღნიშნულია: „ვისაც დააბეზღებს, ის მკუდარი არის იმ მობეზღარისაგან.“¹⁷⁵ დავით ბატონიშვილთან ხაზია გასმული, ცრუ დამსმენმა „ძმაი თავისი მისცა სიკუდილად.“¹⁷⁶ ორივე მუხლში ერთნაირი კონტექსტით უნდა იყოს გამოყენებული „მკუდარი“ და „სიკუდილად“. სავარაუდოდ როგორც უკვე ზემოთ, 253-ე მუხლის დახასიათებისას ითქვა, აქ პირის სამოქალაქო სიკვდილი შეიძლება იგულისხმებოდეს, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება იყოს გამოყენებული.

რაც შეეხება განმარტებას, რომელიც 208-ე მუხლს ახლავს. ცრუ დასმენაზე როცაა საუბარი კანონმდებელი გულისხმობს არა მსუბუქ დანაშაულთა დაწამებას, რისთვისაც საუპატიოს გადახდა არის დაწესებული, არამედ მეფის, საზოგადოების ღალატის დაწამებას.¹⁷⁷ გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს განმარტებაში არსებული დებულების ახსნა, იქიდან გამომდინარე, რომ ადგილი შეიძლება ჰქონოდა სხვა სახის დანაშაულების ტყუილ დაბეზღებას, რატომ კეთდება აქცენტი მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულების ჩადენის დაბეზღებაზე? რა თქმა უნდა სხვა სახის დანაშაულების შესმენაც შეიძლებოდა და ასეთი ქმედებებიც რომ

¹⁷³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 389.

¹⁷⁴ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 117-118.

¹⁷⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 545.

¹⁷⁶ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 117.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 118.

დელიქტად ითვლებოდა, ამას მიუთითებს „საუპატოს“ გადახდის დაკისრება ტყუილი დაბეზღებისათვის. სისხლის ფასის გადახდა კი დაწესებული იყო მეფის და საზოგადოების დალატის დაწამებისათვის, შესაბამისად ნორმაში მითითება, რომ ცილისმწამებელმა „მა თვისი მისცა სიკვდილად“ დასახელებულ დანაშაულთა დაწამებასთან მიმართებაში უნდა იყოს გამოყენებული. შესაძლოა ასეთი სახის დანაშაულთა ჩადენა დაკისრებული სასჯელის გარდა პირისათვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევას იწვევდა. თუ ვახტანგ ბატონიშვილის 253-ე მუხლის და დავით ბატონიშვილის სამართლის 208-ე მუხლის ამ საერთო ნიშნიდან ამოვალთ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვახტანგ ბატონიშვილის სამართალშიც ტყუილი დაბეზღების ნორმა მოიცავს მეფისა და საზოგადოების ორგულობის ცრუ დასმენას. ამ შემთხვევაში უფრო მარტივი იქნება აიხსნას, რატომ არის მითითებული, რომ ცილდაწამებული მკვდარი არის მობეზღარისაგან.

დავით ბატონიშვილის სამართალში შეწამება მოხსენიებულია 245-ე მუხლშიც (ჯაჯისათვის, ესე იგი ტანჯვისა). მუხლში განმარტებულია როდის უნდა იქნეს „ტანჯვა“ გამოყენებული შესმენილის მიმართ: „ტანჯვა იქნების მაშინ, ოდეს მსაჯული, რომელსაცა ზედა იჭუჭულობს და შესმენილი არა მწადნელ არს აღსარებად დანაშაულისა და არცა ტვირთვად მისა, მაშინ ჯერ-არს ტანჯვითა გამოკითხვად და გამოცდად, რათამცა ზედმიწევნილ იქმნეს საქმე მართალი.“¹⁷⁸ კანონმდებელი ჩამოთვლის ვის მიმართ არ შეიძლება ამ გზით ბრალის აღიარების მოპოვება, თუმცა აკონკრეტებს იმ დანაშაულებს, რომელთა დაწამებისას შეიძლებოდა ამ დათქმისათვის გვერდის ავლა: „მცირისა საქმისათვის არა მოიყვანებიან ტანჯვად თავადნი, აზნაურნი, მოხელენი, სალდათნი, მონაზონნი, მოხუცებულნი, მსახურნი, დედანი, უასაკონი, ხუცესნი და დიაკონნი, თვინიერ¹⁷⁹ მეფის ორგულებისა და მამულისა, ეკლესიისა გატეხისა, საკელმწიფოსა ამბრისა და საჭურველოთა სახლთა, და ციხის განცემისა, და მტერთა პირობის მიცემისა და ანუ გამოლაპარაკებისა.“¹⁸⁰ მეფის და ქვეყნის დალატი, ეკლესიის და სახელმწიფო ქონების ხელყოფა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. მუხლი პროცესუალური ხასიათისაა, ამავე დროს ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცრუ დაწამებისათვის: „და უკეთუ შემწამებელმანც შესწამა ცრუდ, რომელსაცა ჭეშმარიტებრსაცა ადგილსა არა ეხილვა, მაშინ მიეხადოს სისხლი მრთელი და მიეცეს შეწამებულსა მას.“¹⁸¹

შესაძლებელია ის რაც ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში არსებული 227-ე (B ნუსხის) და 253-ე მუხლთან მიმართებაში იყო ნათქვამი, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 208-ე და 245-ე მუხლებზეც

¹⁷⁸ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 145-146.
¹⁷⁹ თვინიერ – თვინიერ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 305; თვინიერ – უამისოდ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 314; თვინიერ – გარდა, გარეში, კიდევან. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 562.
¹⁸⁰ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 147.
¹⁸¹ იქვე, გვ. 147.

გავრცელდეს. 245-ე მუხლით დაწესებული სასჯელი (ისევე როგორც 208-ე მუხლში) მძიმე სახელმწიფო დანაშაულების დაწამებას შეეხებოდა, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ წამებას მსუბუქი დანაშაულის ჩადენის აღიარებისათვის არ მიმართავდნენ.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ სხვა სამართლის ძეგლებს რაც შეეხება, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლი სასულიერო პირის ცრუ დასმენას ეხება. „უკეთუ ვინმე ცილი დასწამოს ეფისკოპოსსა ანუ სამღვდლოსა კაცსა ვისმე და დაბეზლოს...“¹⁸² ნორმაში ცალკე არის გამოყოფილი ცილის დაწამება და დაბეზლება. ამ შემთხვევაში შეიძლება ორი მოსაზრება გაჩნდეს: ცილისწამება წინ უსწრებს დაბეზლებას, ის თავიდან სხვა ფორმით განხორციელდა, ხოლო შემდგომ ამას მოჰყვა დაბეზლება. და მეორე – დაბეზლება შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ცილისმწამებლური ისე ნამდვილად ჩადენილი ქმედების ფაქტზე. ამ შემთხვევაში კანონმდებელი აქცენტს უნდა აკეთებდეს იმ გარემოებაზე, რომ მუხლი ცილისმწამებლურ დაბეზლებას ეხება.¹⁸³ მიუხედავად იმისა რას შეეხებოდა შესმენა, იქნებოდა ეს „საქონლის“ გამო,¹⁸⁴ გინებას ან რაიმე სხვა ამგვარ საქმეს, ნებისმიერ შემთხვევაში დაბეზლება უპირობოდ არ იქნებოდა მიღებული და მოსამართლეს საქმის გარემოებები უნდა გამოეკვლია. ეპისკოპოსის ცრუ შესმენა, ნიშნავდა მისთვის პატივის ახდას,¹⁸⁵ მის შეურაცყოფას.¹⁸⁶

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის დასახელებული მუხლი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში ჩამოთვლილია ის პირები ვისი დაბეზლებაც არ იქნებოდა მხედველობაში მიღებული: „ეგების ის კაცი ეკლესიათა ზედა დამნაშავენი იყუნენ და ეშინოდეს ებისკოპოსისა მიერ შეჩვენებისა და მისთვის დაგაბიზლა კარგად გასინჯეთ, შემასმენელნი იგი კაცნი უკეთუ იყუნენ მწვალებელნი, ანუ სჯულის გამხველნი, ანუ მეფეთაგან ექსორია ქმნილნი, ანუ ებისკოპოსთაგან, ანუ იყუნენ მემრუშენი, ანუ კაცის მკულელენი, გინა სარგებლით თეთრის ამღებელნი, ანუ

¹⁸² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 165.

¹⁸³ ამავე ნიშნზეა მითითება ბერძნული სამართლის წიგნის ქართული ვერსიის 156-ე მუხლშიც: „უკეთუ ცილის წამებით დააბიზლოს ვინმე მღვდელი, ერისკაცი მღვდელს ვერ განიკითხავს და უკეთუ ღ-თი შერისხდეს მღვდელსა და კაცი მოკლას, მაშინ მისთვის განიკითხვის მოსამართლის ერისკაცისაგან და სხვის საქმისათვის ვერ განიკითხავს.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 168.

¹⁸⁴ საქონელი განმარტებულია როგორც მონაგარი ნივთი ან თეთრი, საფასე, სავაჭრო, შინაური ხვასტაგი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1132; თუმცა საქონლის განმარტება ნორმაშიც არის დაკონკრეტებული, რომ იგი მოიცავდა უძრავსა და მოძრავს. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 165.

¹⁸⁵ როგორც დასახელებულ მუხლშია აღნიშნული ცილისმწამებლური შესმენით პირმა: „ებისკოპოზი უპატიო ყო, აგინა კრებასა და წმიდათა ეკლესიათა მოწესენი აღრეულ ყო.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 166; უპატიო, უპატიური ნიშნავდა პატივ ახდილს, უშესაბამოს, უკადრის. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1264.

¹⁸⁶ გინება განმარტებულია, როგორც შეურაცხ-ყოფა, <<უპატიობა>> ლანაძე. *აბულაძე ი.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 93.

მემთურაღენი, ამისთანას საქმის მოქმედნი იყუნენ დამბიზღებელნი იგი ებისკოპოზისა და სამღვდელოს კაცისაგან, მათსა სიტყუასა ნუ შეიწყნარებენ, ნურცა გაუგონებენ.“¹⁸⁷ დამბეზღებლის პიროვნების შესწავლის შემდგომ მოსამართლეს საქმის გარემოებები უნდა გამოეკვლია, ხოლო თუ დადგინდებოდა, რომ ცრუ დასმენას ჰქონდა ადგილი დამბეზღებელს იგივე სასჯელი უნდა დაკისრებოდა რაც ეპისკოპოს მოელოდა ამ დაბეზღების შედეგად.

ის. დოლიძის მიერ ზანდუკის დაბეზღების თავში შეტანილი სომხური სამართლის 115-ე მუხლიც შინაარსობრივად მსგავსია ამავე სამართლის წიგნის 107-ე მუხლისა (აღნიშნული მუხლი ზანდუკში ცილისწამების თავშია მითითებული.) ორივე მუხლი მკვლელობის და „ავის მოქმედების“ დაწამებას ეხება. „ავის მოქმედების“ მნიშვნელობის შესახებ 107-ე მუხლის განხილვისას უკვე იყო საუბარი, სავარაუდოდ 115-ე მუხლშიც ეს ტერმინი სხვა დანაშაულთა მნიშვნელობით არის გამოყენებული. მაშინ რაში მდგომარეობს განსხვავება ამ ორ ნორმას შორის? თუ 115-ე მუხლში თავიდან საუბარია „სძრახვაზე“ და შემდგომ მოსამართლესთან დაბეზღებაზე, 107-ე მუხლში ჯერ „ავის თქმაზე“ აქცენტი გაკეთებული, ხოლო მერე მოსამართლესთან ნათქვამის დაუმტკიცებლობაზე. „ძრახვის“ მნიშვნელობიდან გამომდინარე არსებითი სხვაობა არ არის „თქმასთან“ მიმართებაში, ერთადერთი, შესაძლოა „სძრახვა“ მეტ შეფასების მომენტს შეიცავს პირის ვითომდა ჩადენილი ქმედების მიმართ. შემდგომ 115-ე მუხლში საუბარია მოსამართლესთან დაბეზღებაზე, ხოლო 107-ე მუხლში მოსამართლესთან პირის მიერ თავისი დაწამების დაუმტკიცებლობაზე. ამ ორ მუხლს შორის განსხვავებაზე შეიძლება შემდეგი ვარაუდის გამოთქმა, 107-ე მუხლით შესაძლოა გათვლისწინებულია ისეთი შემთხვევები, როცა პირი ცილსწამებს, მაგრამ არა მოსამართლესთან. პირს თავისი ბრალდების მტკიცება უწევს მოსამართლესთან არა თავისი დაბეზღების გამო, არამედ თუნდაც დაწამებული პირის საჩივრის გამო. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და არსებითი განსხვავების მოძებნა აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით ამ ორ მუხლს შორის საკმაოდ რთულია. 115-ე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ამაზე პასუხის გაცემა¹⁸⁸ არ შეუძლია, თუმცა აქ გამონაკლისი შემთხვევებიც არის ჩამოთვლილი: „მიგება სიტყუისა: არ შეუძლია, აბა, ამის მეტი, თუ მოკლული მისგან მამა მისი არ იყოს ან სხვა ნათესავი მისი.“¹⁸⁹ ამ გამონაკლისი შემთხვევების ჩამოთვლის შემდეგ კანონმდებელი განმარტავს, „თუ სხვამან სხვისათვის სძრახოს და შეაბეზღოს, მისცეს თავდები მას საქმისა გამართლებისათვის.“¹⁹⁰ „თავდების მიცემა“ წარმოადგენდა პირის დაბეზღების სიმართლის დადასტურებას. „თავდების“ განმარტებიდან გამომდინარე ეს უნდა ყოფილიყო პირი, რომელიც დამსმენის საანდოობას ადასტურებდა საკუთარ თავზე

¹⁸⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 165-166.

¹⁸⁸ მიგება – პასუხის მიცემა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 479.

¹⁸⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 257.

¹⁹⁰ იქვე, გვ. 257.

პასუხისმგებლობის აღებით.¹⁹¹ ხოლო თუ პირს უსინდისოდ¹⁹² დაუსმენია და თავის დაწამებას ვერ დაამოწმებდა, ეს ტყუილ დაბეზლებას ნიშნავდა. ნორმის მიხედვით დამსმენს უხდებოდა მტკიცება, რომ მისი დაწამება სიმართლე იყო, ხოლო დაუმტკიცებლობა მის ქმედებას ტყუილ დაბეზლებად აქცევდა, რისთვისაც სასჯელი იყო დაწესებული.

შემდეგი მუხლი რომელიც ზანდუკში დაბეზლების თავშია მითითებული სომხური სამართლის 116-ე მუხლია. ეს ნორმა სპეციალურ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან აქცენტი გაკეთებულია ჯარში განხორციელებულ „ძრახვაზე“. „ვინც კაცმან სძრახოს ვინცა ავსაქციელობით, შეუძლია, ვინც სძრახა, მანაც სძრახოს იგი ავის სიტყუით იქივ ჯარში. მასუკან მართებს მოსამართლეს მათის სიტყუის გასინჯავა და სამართლის ქნა-აბა, რომელი იყოს მტყუანი, გარდააჯდევინოს.“¹⁹³ „ავსაქციელობა“ ამ შემთხვევაში ისევე როგორც „ავისმოქმედება“ 115-ე მუხლში დანაშაულის მნიშვნელობით შეიძლება იყოს გამოყენებული. თუმცა იმის გამორიცხვაც არ შეიძლება, რომ კანონმდებელი ნებისმიერი საქციელის ბრალდებაზე საუბრობდეს, რაც პიროვნების პატივსა და ღირსებას ხელყოფდა. ბრალდება როგორც ჩანს ორივე მხარიდან მომდინარეობდა, მოსამართლის ვალდებულებას კი წარმოადგენდა დადგენა რომელი მხარე იყო ცილისმწამებელი, ხოლო ამის განსაზღვრის შემდეგ კი მას სათანადო გადაწყვეტილების გამოტანა ევალებოდა. ამ მუხლში აღწერილი ქმედების ცრუ დასმენად ჩათვლა ცოტა საეჭვოა. ნორმაში არ არის საუბარი დაბეზლებაზე, არამედ მხოლოდ „ძრახვაზე“ აქცენტი გაკეთებული.

სომხური სამართლის 114-ე მუხლის ბოლო ნაწილი ტყუილად ძრახვისათვის აწესებს პასუხისმგებლობას: „და თუ მთქმელი და მძრახავი სტყუოდეს, და ვინცა სძრახა, მქნელი არ იყოს, მას დამძრახავს კაცსა სცენ და წაკრან კისერში, და გარდააჯდევინონ ტყუილად ძრახვისათვის.“¹⁹⁴ როგორც ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 227-ე მუხლზე საუბრისას ავღნიშნეთ ძრახვა გაკიცხვას,¹⁹⁵ განქიქებას,¹⁹⁶ არ მოწონებას¹⁹⁷ ნიშნავდა. ნორმის სწორად გასაგებად უნდა მოვიყვანოთ სულხან-საბას მიერ „ტყუილის“ განმარტება: „ტყუილი – ტყუილი განიყოფის სამად:

¹⁹¹ თავდები – თავს-მდები, საქმე თავს დაიდვას. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 295; თავდები – თავსმდები, ვინც სხვის მაგივარად პასუხს გაჰცემს. თავდებობა – თავს-მდებობა, თავზედ აღება რისამე პასუხის გაცემით, დადგომა თავდებად, თავდებად ვუდგები. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 537.

¹⁹² უპირის-წყლო – უსინდისო, ვისაც პირის წყალი არ აქვს. უპირის-წყლობა – უსინდისობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 1265.

¹⁹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 257-258.

¹⁹⁴ იქვე, გვ. 257.

¹⁹⁵ განკიცხვა – სასაცილოდ ავდება. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 139; გაკიცხვა – განვჰქირდავ, ავივდებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 156.

¹⁹⁶ განქიქება – დიდად გაგაწბილებ, გაგახიხებ, უპატიოდ ვახსენებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 220; განქიქება – დიდად უკუწბილება. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 143; ხოლო გახიხება გაჰქირდვას, სახელის გატეხვას ნიშნავდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 309.

¹⁹⁷ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 1645.

ცრუობად, ცილად და ჭორად. სიცრუე არს სრულიად ტყუილი იყოს; ცილი არს შეწამებული და მსგავსი ტყუილისა; ხოლო ჭორი არს, რა ამბავი გაისმას და ჰამბ(ე)ისა მომღები არა საცნაურ იყოს და არცა ვინ ჰამბ(ე)ისა მის ჭეშმარიტობა იცოდეს.“¹⁹⁸ ტერმინთა განმარტებიდან გამომდინარე ნორმა რომ პირის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებს მიეკუთვნება, სადაო არ არის.¹⁹⁹ შესაძლოა საკამათო იყოს, წარმოდგენს თუ არა აღწერილი ქმედება ტყუილ დაბეზღებას. მითუმეტეს, რომ დასახელებული მუხლი ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 227-ე მუხლის მსგავსად ზანდუკში გინების თავშია მითითებული. მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილის 227-ე მუხლისაგან განსხვავებით სომხური სამართლის 114-ე მუხლი ტყუილად ძრახვისთვისაც განსაზღვრავს სასჯელს. რადგან სომხური სამართლის ამ მუხლში არ არის მითითებული ეს ტყუილი ძრახვა ცილისმწამებლური იყო, თუ ჭორის გავრცელებას ჰქონდა ადგილი, შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომ ნორმა მოიცავს როგორც ერთ, ისე მეორე, ან შესამე შემთხვევას. თუ ჩავთვლით, რომ 114-ე მუხლი ცილისწამების შემთხვევებსაც მოიცავდა, მაშინ რითია განპირობებული სომხურ სამართალში 107-ე მუხლის არსებობა, რომელიც ცილისწამებისათვის აწესებს პასუხისმგებლობას? ცილისწამების განხორციელების ფორმები მრავალნაირი შეიძლება იყოს. ამავე დროს სხვადასხვა ქმედების დაწამებას შეეხებოდეს. ამ თვალსაზრისით კი ეს ორი ნორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ 107-ე მუხლში მკვლელობის და „ავის მოქმედების“ დაწამებაზეა საუბარი, ამგვარი მინიშნება 114-ე მუხლში არ არის. შესაბამისად, ეს ნორმა შეიძლება მოიცავდეს ისეთ ქმედებათა დაწამებას, რაც დანაშაულს არ წარმოადგენდა, თუმცა პირის პატივს ხელყოფდა. ხოლო თუ შევადარებთ სომხური სამართლის 114-ე და 116-ე მუხლებს ერთმანეთს, ორივე მუხლი ტყუილად ძრახვისთვის აწესებს პასუხისმგებლობას, გასხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ 116-ე მუხლში ჯარში ძრახვაზეა საუბარი. მიუხედავად ამისა, ერთი მუხლი ზანდუკში გინების თავში მითითებული, ხოლო მეორე დაბეზღების. 114-ე მუხლის მეორე ნაწილი და 116-ე მუხლი შეიძლება ცილისწამებად უფრო ჩაითვალოს, ვიდრე გინებად, ან ტყუილ დაბეზღებად.

სომხური სამართლის 310-ე მუხლი ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლის მსგავსად ეპისკოპოსის ცილისწამებას ეხება. „თუ ვინც ებისკოპოზი დასძრახოს და დაემდურონ, და მისთვის ავი უნდოდესთ, და დანაშაული არა ქონდეს რა და წინ უდგნენ უ-მის-კრებულოდ შემძლებელთა, ზოგნი მათ შიგან მის სიწმიდესა და კაის ამბობდენ და ზოგნი აძაგებნენ, გარდაიცვალოს ყოვლის საქმით მტერნი ყოვლის მტრობით ნებითა წმიდის კრებითა, დედაქალაქთ და სიახლოვეთ ებისკოპოზთ შეძლებითა დაუძახონ მათ, რომელთაც ფარისევლობით ებისკოპოზთ მტრობა ქონდა, და რჯიდენ, გააშორონ, და რაც იმათ შეძლებით გაარიგონ, დამტკიცდეს. და კათალიკოზმან უნდა გასინჯოს

¹⁹⁸ იხ. *სულხნ-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 151.
¹⁹⁹ ზანდუკის კლასიფიკაციას ზუსტად ვერ მივყვებით და ზოგიერთ შემთხვევაში საკამათოც არის ამა თუ იმ ქმედების გარკვეულ დანაშაულთა კატეგორიისათვის მიკუთვნება.

სამართლის სიმრუდე და სიმართლე, და არ უნდა იყოს ვერცხლთა მოყვარე და სამართლისა გამრუდებელი.“²⁰⁰ ნორმაში არ არის ნახსენები არც შესმენა, არც დაბეჭდება, მაშინ რა განაპირობებს, რომ აღნიშნული მუხლი ზანდუკში იმ ნორმებთან ერთად არის მითითებული, რომლებშიც დასმენაზეა საუბარი? ნორმა ცილისწამებას რომ ეხება ეს აშკარაა, რადგან საუბარია უდანაშაულო ეპისკოპოსისათვის ბრალის დადებაზე, „ავის“ სურვილით „დაძრახვაზე.“²⁰¹ ხოლო საქმის განსჯა ეპისკოპოსის ცილისწამების შესახებ რა თქმა უნდა სასულიერო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ბრალდება კი „კრებულობის“²⁰² წინაშე ხდებოდა. ის რომ ცილისწამების აუცილებელ ნიშანს პირდაპირი განზრახვა წარმოადგენდა ამ ნორმიდანაც ჩანს, ხაზია გასმული, რომ ცილისდამწამებელი ფარისეველი²⁰³ იყვნენ და ეპისკოპოსის მიმართ მტრობა ჰქონდათ. შესაძლებელია ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ეს თუ ის მუხლი ცრუ დასმენად ჩაითვალოს მიუხედავად იმის, რომ მუხლში ტერმინი „დასმენა“ არ არის ნახსენები.

ამდენად, ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 და ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი) გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პატრონის, როგორც უმაღლესი ხელისუფალის წინაშე, დანაშაულის ჩადენის დაწამება ცრუ დასმენის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა. ხელისუფალის წინაშე ცილის დაწამება ცრუ დასმენის მახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა, იმ თვისებას, რაც მას ცილისწამების სხვა შემთხვევებისგან განასხვავებს.²⁰⁴

ისევე როგორც ბექა-აღბუღას სამართალში (მუხ. 40) და ვახტანგ ბატონიშვილთან (მუხ. 253) ცილდაწამებულის ინტერესი უკანა პლანაზეა გადაწეული. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება ნიშნავს კანონმდებლთა მხრიდან ცრუ დასმენის ხელყოფის ობიექტის სწორად

²⁰⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 336.

²⁰¹ დაძრახვა – განვიკითხავ, განვაქიქებ, გავჰკიცხავ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 452.

²⁰² კრებული – შეყრილნი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 388; კრებული – შეკრებილება, ყრილობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 628.

²⁰³ ფარისეველი – ორპირი კაცი, თვალთმაქცი; ფარისევლობა – ორპირობა, მზაკურობა, ცბიერობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1297.

²⁰⁴ ძველი ქართული სამართლის გარდა სალიკური სამართლიდანც შეიძლება მაგალითის მოყვანა, სადაც საუბარია მეფის წინაშე უდანაშაულო პირისათვის დანაშაულის დაბრალებაზე. XVIII იმის შესახებ, ვინც მეფის წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს. – § 1. უკეთუ ვინმე მეფის წინაშე ბრალს დასდებს უდანაშაულო ადამიანს ამ უკანასკნელის დაუსწრებლად, გადაიხდის 2500 დენარს, რაც შეადგენს 63 სოლიდს. დამ. 1-ლი. ხოლო თუ მას ისეთ ბრალს დასწამებს, რომლისთვისაც ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სიკვდილით დასჯაა დაწესებული, ბრალმდებელს გადახდება 8000 დენარი, რაც შეადგენს 200 სოლიდს. *დოლიძე ის.*, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თბ., 1950, გვ. 15. როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს მეფის წინაშე უდანაშაულო პირის დაწამება ორ ნაწილად არის გაყოფილი. გამოყენებული სასჯელის მოცულობა დამოკიდებულია იმ გარემოებაზე დაწამებულს სიკვდილით დასჯა მოელოდა, თუ არა.

გაგებას. დავით ბატონიშვილის სამართალში ცრუ დასმენისას სახელმწიფო ინტერესის ხელყოფაზე არაფერია ნათქვამი. დავით ბატონიშვილის სამართლისაგან განსხვავებით ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში არ არის დაკონკრეტებული რა სახის დანაშაულთა ტყუილ დაბეზდებას მოიცავს ნორმა, შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც შესაძლოა სახელმწიფო დანაშაულთა ცრუ დასმენა იგულისხმებოდეს, რადგან ორივე ნორმაში მითითებულია, რომ ცრუ დამსმენმა ცილდაწამებული „სასიკვდილოდ მისცა.“

2.2 დალატის ცრუ დასმენა

არსებულ სასამართლო განჩინებებში, რომლებშიც მეფის წინაშე ცრუ დასმენაზეა საუბარი არ არის დაკონკრეტებული ქმედებები რასაც დაბეზდება შეეხება, არამედ ზოგადად დალატზეა მითითება. მიუხედავად ძველი ქართული სამართლის ძეგლების კაზუსტური ხასიათისა, მათში ვერ ვნახულობთ ნორმებს, რომლებიც უშუალოდ დალატის დაწამებისათვის ადგენდნენ სასჯელს. მეფის და მამულის დალატი მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ამავე კატეგორიას მიაკუთვნებს დავით ბატონიშვილი მეფის დალატის ცილისწამებას: „მძიმედ საქმედ შეირაცხებისა, ოდეს სწამოს ვისთვისც ცრუდ ორგულება მეფის, ანუ წიგნისა, ანუ ქურდობისა, ანუ ციხეთა განცემისა, ანუ მტერთა თანა აქუს მიწერ-მოწერად და ესევეთარი.“²⁰⁵ მოყვანილ ციტატას თუ დავეყრდნობით, ორგულობის²⁰⁶ დაწამება ციხის გაცემას, მტერთან მიწერ-მოწერის დაწამების გარდა სხვა ქმედებებსაც მოიცავდა. ეს ჩამონათვალი როგორც ტექსტიდან ჩანს სრული არ არის.²⁰⁷ დალატის ცილისწამების მრავალგვარობა გასაკვირი არ არის, იქიდან გამომდინარე, რომ თავად დალატი გულისხმობდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ქმედებებს. „დალატი“ ის. დოლიძის განმარტებით სახელმწიფო დანაშაულია, რომელიც უმადლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ „დალატი“ ამავე დროს მეტად ფართო მნიშვნელობის დანაშაულია. „დალატი“ მალეით, მუხთლობით, დაუნდობლობით ჩადენილი ბოროტმოქმედებაა. მკვლელობა, ორგულობა, ციხისა და და მამულის წართმევა, ცილისმწმებლური დასმენა, თავდასხმა, მკრეხელობა, ეკლესიის შეურაცყოფა და მთელი რიგი დანაშაულობანი დალატს წარმოადგენენ.²⁰⁸ დალატის ცნება ძველ ქართულ სამართალში, ქმედებათა ფართო წრეს მოიცავდა.²⁰⁹ დალატი შეიძლებოდა პირს ჩაედინა, როგორც მეფის, ისე ბატონის, ან კერძო პირის მიმართაც. თუ პირველ შემთხვევაში დალატის ჩადენა სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა და შესაბამისად საჯარო დელიქტად შეიძლება ჩაითვალოს, სხვა შემთხვევებში კერძო პირთა ინტერესია წინ წამოწეული. თუმცა მეფის, ან ბატონის მიმართ ჩადენილი დალატისას საერთო ნიშანი ის არის, რომ პირს მათ მიმართ გარკვეული სამართლებრივი ვალდებულებები გააჩნდა. ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ მთავრები „პატარა მეფეებად“ იქცნენ თავიანთ სამთავროებში. ამ შემთხვევაში კი მთავარი იყო ის, რომ ცილისწამება უმადლესი ხელისუფალის დალატს თუ ეხებოდა.

საქართველოს ისტორიას მრავლად ახსოვს დალატის მაგალითები და ასევე არცთუ იშვიათი იყო დალატის ცილისწამების შემთხვევები. ბერი ევანატაშვილის ცნობით, თავად-აზნაურობა დიდ მოურავის აღზევებას შურით და მტრობით შეხვდა, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ბეზღებით

²⁰⁵ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 154.

²⁰⁶ ორგულება – ორპირობა, გაუტანლობა, დაუნდობლობა, დალატი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 995.

²⁰⁷ ესევეთარობა-ი – ამგვარობა. *სარჯველაძე ზ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 79.

²⁰⁸ ის. *დოლიძე ის.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 245.

²⁰⁹ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, დალატი მუხთლად მოკვლას ნიშნავდა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 246.

მეფე ლუარსაბი მისადმი ცუდად განეწყოთ, ამ მხრივ ყველაზე მეტად შადიმან ბარათაშვილი აქტიურობდა.²¹⁰ ლუარსაბ მეფესთან დიდი მოურავის ცილისწამების ფაქტს ვხვდებით სასამართლო პრაქტიკაშიც, სვიმონ II-ის სასისხლო საქმეზე დიდ მოურავსა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმეზე (1620წ. 15 აპრილი). დიდი მოურავის განცხადებით, ბერუკა, რომელიც მას როგორც შვილი ისე ყავდა გაზრდილი, მაგრამ იგი „გარდამიბრუნდა და ბატონს ლუარსაბთან ბეზღობა დამიწყო, ამის გულისათვის, რომე ქაიხოსროს დამოყრებისხარო; . . . ამაზედ ჩამამეკიდა ბერუკა და ჩემი მწყალობელ ბატონი გამიწყრომა და ამ ალაგიდამ ცოლითა და შვილით დამკარგა, სასაფალავო და მონასტერი დამაკარგუინა და რჯულიდამ შემცუალა. სახლი, კარი და საქონელი, რაც მამა-პაპათგან და ან ჩუენი მოგებული იყო, ყუელა წამივდა და დამიფორაქეს, და ამოვტრეს.“²¹¹ მართალია დიდი მოურავი ბერუკას ცრუ დაბეზღებაში დებს ბრალს, მაგრამ იგი უჩივის არა ბერუკას, არამედ ქაიხოსრო ჯავახიშვილს, რადგან „ბერუკა შვილისავით გაზრდილი, ჳელიდამ გაუში და ქიხოსროს მოყურად დავიტირე, მერმე გამწირა და ბერუკასა მიუღბა. და ყველა ეს უკაცრაული და სიკუდილი და ამოწყუებტა, ყუელაკა ქაიხოსროსაგან დამემართა.“²¹² მართალია, აღნიშნული დოკუმენტი ტყუილი დაბეზღების ბრალდებას ეხება, მაგრამ ამის გარდა განსახილველი საკითხის ირგვლივ სხვა ინფორმაციას არ გვაწვდის.

დიდი მოურავი ქაიხოსრო ჯავახიშვილს ედავება იმ შედეგებს, რაც ბერუკას დაბეზღებას მოყვა: „ეს ყუელა უკაცრაული²¹³ და სიკუდილი და ამოწყუებტა, ყუელაკა ქაიხოსროსაგან დამემართა.“²¹⁴ ქაიხოსროს განცხადებით დიდ მოურავს მისი მიზეზით არცარა დამარცხებია, „არც ბერუკას ჩემის თავისათვის უგმიხარ.“ რადგან ბრალდება ბერუკას მიმართ არ იყო წარდგენილი შესაბამისად, სასამართლო არც იკვლევს საკითხის ამ მიმართებით.

ივ. სურგულაძის აზრით, რაღაც დასაბუთება ბერუკას მეფისათვის, ალბათ წარუდგენია. ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რას უმზადებდა სააკაძე მეფეს. შეიძლება რაიმე განზრახვა მართლაც ჰქონდა მას მეფის წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში, ბერუკას მეფე ამაში დაურწმუნებია.²¹⁵ შეესაბამებოდა თუ არა ბერუკას დაბეზღება სიმართლეს ამის შესახებ შეიძლება მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა. ყოველ შემთხვევაში დიდი მოურავის მიერ სარჩელის წარდგენა იმაზე მეტყველებს, რომ სააკაძეს მტკიცებით ბერუკას დაბეზღება ცრუ იყო.

²¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 389.

²¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 56.

²¹² იქვე, გვ. 56-57.

²¹³ უკაცრაული – კაცთა უკადრისი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 158.

²¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 57.

²¹⁵ იხ. *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 75-76.

იგივე განჩინებაში სხვა დაბეზღების ბრალდებასაც უყენებს დიდი მოურავი ქაიხოსრო ჯავახიშვილს: „ხუთი ჩემი მსახური აზნაურიშვილი და[ა]ბეზღა ბატონს თეიმურაზთან: ერთი ცალქალმნიძე, მეორე ჩივაძე მახარაბელი, მესამე ხოსიტა. მეოთხე ადოლა და მეხუთე ქულივიძე მათია; და[ა]ჭირვინა ცოლითა და შვილითა და და[ა]ტყობინა და, რაც ებადა, წა[ა]რთმევენა.“²¹⁶ (საუბარია თეიმურაზ I-ზე) დიდი მოურავი ამჯერად თავისი აზნაურების „ინტერესების“ დაცვას ცდილობს. საჩივარში არ არის მითითებული კონკრეტულად რას ეხებოდა დაბეზღება. რახან მეფესთან დაბეზღებაზეა საუბარი, სავარაუდოდ მის ორგულებას დასწამებდნენ, რადგან სხვა დანაშაულში ამ პირთა მეფესთან ბრალდება აზრს მოკლებული იქნებოდა. სასამართლოს საქმე გამოუკვლევიან, რომ, „მსახურებსა არცარა სიკუდილითა სჭირდა და არცარა გახეიბრებითა.“²¹⁷ ქაიხოსროს დაეკისრა თავის მართლება ფიცით: „წა[ა]ყენოს ქაიხოსრო[მ] ექუსი მისი შესახლებული მსახური— ორი ცალქალმნიძისათვის და ოთხი იმ ოთხისათვის და შეაფიცოს, რომ არაფერს შუა არ ყოფილიყოს.“²¹⁸

იმავე განჩინებაში საუბარია ცალქალმნიძეს და მოურავის ოთხი მსახურის მიერ წარდგენილ საჩივარზე ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ ჩადენილი დაბეზღებისათვის: „კიდევ, ცალქალმნიძე და ოთხი მოურავის მსახური ამას სარჩლობდეს, რომე დაგუაბეზღა და მისის ენით წაგუაჭდინა და ასთენი საქონელი წაგუიჭდა.“²¹⁹ აღნიშნულ სასისხლო განჩინებაში, ტყუილი დაბეზღების ბრალდებისას არ არის გამოკვეთილი კონკრეტულად რა ქმედებების დაბეზღებას ჰქონდა ადგილი, ამის საპირისპიროდ საჩივრის წარმდგენი ყოველთვის საუბრობს იმ შედეგებზე, რაც დაბეზღებას მოჰყვა.

ორგულობის დაწამებას ეხება ერეკლე II 1770 წლის განჩინება: „ჩვენ მეფემან ირაკლიმ ქართლისა და კახეთისა მპყობელმან ესე განაჩენი გიბოძეთ შენ, ქსნის ერისთავს დავითს ასე, რომე: რომელსაც ყულარადასი გიორგი შეწამებდა ბატონის მამის ჩვენის ორგულობასა, იმ სიტყვას არჯევან ფიცისა და გამართლებისა შემდგომად ბეზღობით ჩვენთან და ჩვენს შვილთან ამტკიცებდა.“²²⁰ ორგულობის ცილისწამებაში არჯევანთან ერთად მისი ძმა რამინიც იყო ბრალდებული: „ამისთან მის ძმას რამინსაც ვკითხეთ: ამ შენის ძმის საქმეში თანაზიარი ხარ, თუ არაო. პირველად ასე თქვა: ჩემს ძმას ვერ წაუვალ ავში და კარგშიცაო; და მეორეთ ვკითხეთ და ასე თქვა: მაგ საქმეში კი არ ვრევივარ და სხვა რიგად ჩემს ძმას არ მოვშორდებო არც ავში, არც კარგშიო.“²²¹ მეორე დღეს, როცა სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყვნენ არჯევანი და რამინი, აღმოჩნდა, რომ ისინი გაპარულიყვნენ, „ამით საცნაურ იქმნა, რომ როგორადაც არჯევან, ასრე ის რამინ ყოფილა დაბეზღებაში.“²²²

²¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 59.

²¹⁷ იქვე, გვ. 59.

²¹⁸ იქვე, გვ. 59.

²¹⁹ იქვე, გვ. 64.

²²⁰ იქვე, გვ. 599.

²²¹ იქვე, გვ. 599.

²²² იქვე, გვ. 599.

დასახელებულ განჩინებაშიც ზოგადად ორგულობის დაწამებაზე საუბარი, და არ არის აღნიშნული, კონკრეტულად რას წამებდნენ არჯევანს და რამინს.

სოლომონ II სასიხლო განჩინებით (1789-1810წწ) სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი როსტომ ნიჟარაძეს უჩიოდა მეფის დალატის დაწამებას: ჩვენს ხელმწიფეს მეფეს დამასმინე სახლთუხუცესი გლალატობსო, ასე რიგათ დამასმინე და დააჯერე; სასიკვდილო ვიყავი, ღმერთმან დაუმადლოს, არ მომკლა, თორემ შენით მეც მომკალი; ჩემი თავის ტოლ შვილიც ჩემთან დაასმინე, ისეც მოკალი; ჩემს ოჯახს რომ მისდღემშიდ ხელმწიფის ერთგულობის მეტი არაფერი სთქმია, შენ მოლალატეთ და მკვლელათ გამომაჩინე, ოჯახობით ამომაგდე, რას შემართებლობდი არ ვიცი.“²²³ მეფის დალატისთვის პირს სიკვდილი მოელოდა, თუმცა ამ სასჯელის გამოყენება ალბათ მეფის კეთილგონიერებაზე იყო დამოკიდებული. როსტომ ნიჟარაძის მტკიცებით, მის დასმენაში მისი მოგონილი არაფერი ყოფილა, არამედ მეფეს სხვისგან გაგონილი მოახსენა: „რაც იმ კაცმა მითხრა, ჩემს ხელმწიფეს მოვახსენეო და თავისი მოგონებით და დასმენის აშორო უთხრა.“²²⁴ როგორც განჩინებიდან ჩანს როსტომ ნიჟარაძეს, მუხედავად იმისა რომ მეფეს მხარეები მოურიგებია სახლთუხუცესის მტრობა არ მოუშლია და ზურაბ წერეთელი სოლომონ II-სთან ისევე დაუსმენია. თუ პირველ შემთხვევაში არ ჩანს რაში მდგომარეობდა დალატის დაწამება, მეორე შემთხვევაში სახლთუხუცესი ამ გარემოებას აკონკრეტებს: „პირველათ დასმენას აქეთ ბატონმა მეფემ ერთმანეთს შეგვაფიცა, გაგვარიგა და მასუკან კიდევ მეორეთ დამასმინე, ბატონს შეწყალებული ვყავდი პირველსავით სანდო ყმათ ლეჩხუმს მაგზავნიდა და ბააკა ჩიქუანთან ლეჩხუმს აძლევდნენ ბატონს. შენ მოახსენე ბატონს: სახლთუხუცეს ასრე რატომ მიენდევე, რომ იქ აგზავნი ბააკას, იქ ლეჩხუმშიდ ისევე გელოვანთ გაიკეთებს, იმერეთშიდ ეს იქნება პირველათ და როდესაც უნდა, როგორც მოინდომენ, ისე გიდალატებენო. მე შენზედ დანდობილი ვიყავი და შენ კიდევ მომკალი, მოლალატეთ გამომაჩინე. და ბატონმა ისევე მისი მწყალობლობა მომაკლო, აღარც მენდო და აღარც გამაგზავნა.“²²⁵ როგორც განჩინებიდან ჩანს, როსტომ ნიჟარაძის დაწამება უკვე ჩადენილ დალატს კი არ ეხება, არამედ დალატის ჩადენის განზრახვას. ამ სახის დაწამების მაგალითებს ისტორიულ წყაროებშიც ვნახულობთ. ჟამთააღმწერელის ცნობით, „მაშინ შეიშურვეს სხუათა ვიეთამე და მოაჯსენეს მესა: „აწ მეფობაცა სარგისს მიეც; ვინათგან ყაენმან ეზომ განადიდა, არღარა იქნების მორჩილი მეფობისა თქუენისა.“ მაშინ დაიჯერა მეფემან, რამეთუ იყო უმანკო და მალე-მრწმენი სიტყუათა კეთილთა და ბოროტთა, ორთავე, და წარვიდა ღამით ელგონ ნოინის წინაშე და მოაჯსენა: „უკეთუ ყაენი სარგისს კარნუქალაქს მისცემს, მეფობაცა მისცეს.“ განკურდა ელგონ ნოინი და ჰრქუა: „ყაენმან შენი მდგომისათუს მისცა და, თუ შენ გიმძიმს, არღარა მისცემს. თქუენ ქართველნი არას კეთილს უყოფთ მკნედ მბრძოლათა

²²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 435.

²²⁴ იქვე, გვ. 435.

²²⁵ იქვე, გვ. 435.

წყობათა შინა. არა უწყია, ყაენი სარგის დაარჩინა მტერთაგან, ძლიერი და სახელოვანი ომი ყო.“ წარვიდა ნოინი და მოაჯსენა ყაენს ყოველი იგი თქმული, და არღარა მოსცეს კარნუ ქალაქი. ცან ესე სარგის, და შეიქმნა გულკლებით და ქუეგამხედვარედ პატრონისაგან. ხოლო მას ზამთარს დაიჭირა მეფე ბარდავს თავისა თვისისა თანა, და სარგის წარვიდა გულკლებული სამცხეს.“²²⁶

ღალატის ჩადენის განზრახვის დაწამება, ცილდაწამებულისთვის „სავალალოდ“ რომ მთვარდებოდა ამას ისტორიული წყაროებიც ადასტურებს. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი - „ხოლო ჟამსა მას გარდაცვალებულ იყო ქაიხოსრო ათაბაგი, და იპყრობდა ძე მისი მცირე მანუჩარ. მაშინ წინააღრჩევითა ჩოლოყასშვილს სალთხუცისათა წარავლინეს კაცი და მიუწერეს დედისიმედსა, ცოლსა ქაიხოსრო ათაბაგისსა, ესრეთ, ვითარმედ: „შალიკაშვილს ვარაზს ნებაეს ღალატი შენთვის და ძისა შენისა მანუჩარისათვის, რამეთუ მაგას ნებაეს დაპყრობა საათაბაგოსი, და მოჰყავს ყაენი სპით ურიცხვთა საათაბაგოსა ზედა. და აწ, უკეთუ ძალ-გიძს, შეიპყარ ეგე და მოკალ, ვითარცა ორგული და მკვლეელი ძისა შენისა, და არღარა მოვალს შაჰ-თამაზ და წარვალს და სახიდ თვსად, და უმეტესად მტკიცედ იპყრობ ქუეყანასა მაგას.“ ხოლო ესე დედისიმედი იყო ჭკუით სულელი და უღ-თო. ვითარცა ესმა საქმე ესე, ვერ გულიესჴმა ჰყო მზაკუარება იგი კახთა და სარწმუნო-ქმნილმან სიტყუასა ამას ზედა შეიპყრა ღალატად შალიკაშვილი ვარაზა და მოკლა იგი, დასთხია სიხლი უბრალო, რამეთუ ესე ვარაზა იყო ძე ოთარ შალიკაშვილისა, მრავალგუარად ერთგული და ნამსახური ქაიხოსრო ათაბაგისა ცოლის-ძმა შაჰ-თამაზისა.“²²⁷ ახალი ქართლის ცხოვრების ამ ცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ღალატისათვის პირს სიკვდილი მოელოდა, ხოლო ცილდაწამებულის ბედი მისი ბატონის კეთილგონიერებაზე იყო დამოკიდებული. სამთავროს გამგებელი კი თავის უფლებით მეფეს უთანაბრდებოდა.

ზემოთ მოყვანილი ცნობები, ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ჩადენილი ღალატი, არამედ ღალატის ჩადენის განზრახვაც სასჯელს დაკისრებას იწვევდა. რის გამოც ბეჟან წულუკიძე გოგია ავალიანს უჩიოდა: „ბაბუაჩემი ხოსია წულუკიძე თავის ძმას მერაბ წულუკიძეს საყვარლათ ახლდა და მამაშენმა ზაუსტამ დაასმინა თავის ძმას მერაბს ურჩია: ხოსია წულუკიძე დაიჭირე, თუ არა წაგახდენსო. დააჭირვინა ბაბუაჩემი, ბეჟან დალიანს თვალების დასათხრელათ მიაბარა. ღმერთმან დაუმაღლოს, თვალები კი აღარ დაუთხრია; და თავის მამაულისა და ყოფისაგან იმ დღეს აქეთ გარდმოყრილი ვართ.“ (განჩინება ბეჟან წულუკიძის და გოგია ავალიანის საქმეზე (1784-1796წწ)²²⁸ წახდენა გაპრყვნას, გაფუჭებას, დაღუპვას, გაოხრებას ნიშნავდა.²²⁹ სიტყვის

²²⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 250.

²²⁷ იქვე, გვ. 516.

²²⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIII), ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო *იხ. დოლიძემ*, თბ., 1974, გვ. 693.

²²⁹ *იხ. ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 1667.

განმარტებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში, როცა „წახდენის“²³⁰ დასმენას ჰქონდა ადგილი, იგულისხმებოდა ნებისმიერი ქმედება, რასაც შეიძლებოდა პირის ინტერესებითვის მოეტანა ზიანი.

ქაიხოსრო ათაბაგის ცოლის დედისიმედისგან განსხვავებით გიორგი XI დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა დასმენას და საქმის გარემოებების გამორკვევის გარეშე პირისთვის განაჩენი არ გამოჰქონდა. გიორგი XI-ის წყალობის წიგნში ბეგთაბეგ შენშეან მარტიროზის შვილისადმი (გიორგი XI კარის მდივანი) (1685წ.) აღნიშნულია, რომ მეფე გიორგის მისი „უჯერო“ მსახურება მოეხსენა. უჯერო – უხამს, უშესაბამოს, ურიგოს ნიშნავდა.²³¹ თუ იმ მოსაზრებას დავეყრდნობით, რომ დალატის ცნება მრავლმხრივ დანაშაულებს გულისხმობდა, რაც ზოგადად მეფის ბატონის ინტერესების საწინააღმდეგო იყო, მაშინ წყალობის წიგნში მოხსენიებული „უჯერო მსახურების“ შესახებ დასმენა დალატის დაწამების დელიქტთა კატეგორიაში უნდა იქნეს შეყვანილი. სიგელი ადასტურებს შეხედულებას, რომ შესმენილი პირის ბედი დამოკიდებული იყო იმ გარემოებაზე, რამდენად შეეძლო მეფეს ადვილად დაეჯერებინა შემასმენელისათვის. გასამართლების, საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე შესმენილი პირის დასჯა რომ ხდებოდა, ამის მაგალითები ისტორიულ წყაროებშიც მოგვეპოვება.²³² როგორც ჩანს, შესმენა ამ შემთხვევაში ერთჯერადი არ იყო. „გზასა შინა მოგვეხსენა თქვენი უჯეროდ მსახურება ჩვენზედა და არ ჯერ ვიქმენით. და არც იყო ჩვეულება ჩვენი რომე სიტყვანი დამსმენელთა წარმდგარიყო წინაშე ჩვენსა.“²³³ მაგრამ მრავალგზის შესმენამ როგორც ჩანს იმოქმედა მეფეზე. „მაგრა ფარულითა შურითა მრავალგზის გამოაქანდაკეს ენონება და მცირეთ განაწყრომეს გული ჩვენი თქვენზედა, და თქვენი მკვდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი წაგართვით და გაგიციეთ.“²³⁴ მაგრამ მიუხედავად ამისა, მეფე მაინც არ გამოაქვს საბოლოო განაჩენი.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თუ ცილისწამების სხვა შემთხვევაში დაწამების ფორმები შეიძლებოდა განსხვავებული ყოფილიყო, მაგალითად მრუშობის დაწამება შეიძლებოდა შეყვივლებით, წაძახებით. ყველა განჩინებაში, რომელიც დალატის დაწამებას ეხება დასმენაზეა საუბარი. შეიძლება ვარაუდი გამოითქვას, რომ მხოლოდ დალატის მოგონება, თუ ის მიწოდებული არ იქნებოდა მისადმი ვის დალატსაც სწამებდნენ, დელიქტს არ წარმოადგენდა. ხოლო რაც შეეხება

²³⁰ წახდენა – გაფრყენი, გავაფუჭებ, დავლუპავ, გავაოხრებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1667.

²³¹ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1290.

²³² ზემოთ უკვე იყო განხილული ქაიხოსრო ათაბაგის ცოლის დედისიმედის მიერ ვარაზა შალიკაშვილისათვის თავის მოკვება. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 250; ქართლის ცხოვრება გვამცნობს ასევე, დავით ულუს მიერ დასმენილის ისნის ციხედან გადაგდებას. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 238.

²³³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 228.

²³⁴ იქვე, გვ. 228.

მეფის ორგულობას, მისი დაწამება დელიქტად ითვლებოდა, თუ იგი მოხდებოდა მეფის, ან ზოგადად ხელისუფლების წინაშე. მოყვანილი ყველა მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან და ისტორიული წყაროებიდანაა. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება პრაქტიკა სამართლის ძეგლების ნორმებს. სპეციალური ნორმები, რომლებიც უშუალოდ დალატის დაწამებას შეეხებოდა ძველი ქართული სამართლის ძეგლებში არ არის. მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ ისჯებოდა ისეთი ქმედება, რომელიც კანონმდებლობის მიერ დანაშაულად არ იყო გამოცხადებული. რადგან დალატის ცილისწამება მხოლოდ ცრუ დასმენის ფორმით არის მოცემული, შესაბამისად ძველ ქართულ სამართალში არსებული ტყუილი დაბეზლებისათვის გათვლისწინებული ნორმები უნდა მოიცავდეს სახელმწიფო დალატის დაწამებისათვის პასუხისმგებლობას.

ტყუილი დაბეზლების ნორმა, როგორც უკვე იყო მითითებული, მოცემულია ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში (მუხ. 253). რა თქმა უნდა მოყვანილ მუხლში კერძოდ სახელმწიფო დანაშაულის დასმენაზე არ არის საუბარი, მაგრამ ის ზუსტად ერგება დალატის დაწამებას, რადგან როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს დალატის ცილის შეწამება ყოველთვის დასმენის ფორმით არის მოცემული. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 208-ე მუხლის განმარტებაშიც აქცენტი გაკეთებულია საზოგადოების და მეფის ორგულობის შესმენაზე.²³⁵

ამდენად, სპეციალური ნორმის არარსებობა, რომელიც დააწესებდა პასუხისმგებლობას დალატის ცილისწამებისათვის არ ნიშნავს, რომ დასახელებული ქმედება დელიქტს არ წარმოადგენდა, ამაზე მეტყველებს არსებული სასამართლო განჩინებები. დალატის ცილისწამების დასჯადობაზე საუბრისას უნდა დავეყრდნოთ ცრუ დასმენის მუხლს, რომელიც სრულად მოიცავს დალატის დაწამების შემთხვევებს, რის გამოც შესაძლოა კანონმდებელმა ასეთი დელიქტისათვის დამოუკიდებელი ნორმის შექმნა საჭიროდ აღარ ჩათვალა. ამ მოსაზრებას ამყარებს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 208-ე მუხლის განმარტებაც. ამას გარდა, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უმეტეს შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული თუ დალატის რა ქმედებების დაწამებას ჰქონდა ადგილი, შესაძლოა აქ ასახვას პოულობს, ის გარემოება, რომ თავად დალატის ცნება მრავალგვარ დანაშაულებს მოიცავდა, თუმცა ამ მრავალგვარობას ის საერთო ნიშანი აქვს, რომ ყველა ეს ქმედება მიმართულია უმაღლესი ხელისუფალის ინტერესების წინააღმდეგ.

²³⁵ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 118.

2.3 ცრუ დასმენისათვის დაწესებული სასჯელთა სახეები

ივ. სურგულაძე 1685 წლის გიორგი XI-ის წყალობის წიგნის (ბეგთაბეგ შანშეან მარტეროზისშვილისადმი) ანალიზის საფუძველზე აკეთებს დასკვნს, რომ დასმენა საერთოდ აუგ, დასაძრახის საქმედ ითვლებოდა საქართველოში.²³⁶ სამართლის ძეგლებში გვხვდება ნორმები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას დასმენისათვისაც იმ შემთხვევაშიც კი, როცა დასმენა სიმართლეს წარმოადგენდა. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 167-ე მუხლში საუბარია ყმის მიერ ბატონის დასმენაზე: „უეკთუ ნასყიდი ყმა მივიდეს და თვისი ბატონი დააბიზღოს მოსამართლესა, მართალიც რომ იყოს, სამართლი იმავე კაცს სტანჯავს, ამისთვის რამეთუ თავის ბატონს ემტერება.“ გამონაკლის წარმოადგენდა მკვლელობის დასმენა. ამ შემთხვევაში ყმა არ დაისჯებოდა თუ დაბეზღება მართალი აღმოჩნდებოდა. ხოლო „სხვა საქმისათვის, რასაც ფერისათვის რომ დააბიზღოს თავისი ბატონი, არც დაეჯერება და კიდევ იტანჯება.“²³⁷ მოყვანილი მუხლში სასჯელის სახის მიუთითებლობა საშუალებას არ იძლევა, ცრუ დასმენისათვის დაწესებულ სასჯელზე მსჯელობის. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 167-ე მუხლი, ისევე როგორც 173-ე (რომელიც ყმის მიერ ბატონის ცილისწამებას ეხება)²³⁸ სპეციალურ შემადგენლობას წარმოადგენს. ამ მუხლშიც გამოხატულებას პოულობს ყმის ვალდებულებები ბატონის წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დასმენისადმი ცუდი დამოკიდებულებისა ბერძნული სამართლისაგან განსხვავებით ძველი ქართული სამართლით მხოლოდ ცრუ დასმენა ისჯებოდა, დამსმენის სტატუსი პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელი არ იყო.

ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 მუხლში არის ჩამოთვლილი რა სახის სასჯელების გამოყენება შეეძლო „პატრონს“ დასმენილი პირის მიმართ. ხოლო რაც შეეხება ცრუ დამსმენს, აღნიშნულია: „პატრონმან პატიჟითა გარდააკვდევინოს.“²³⁹ ამ შემთხვევაში გასარკვევია „პატიჟის“ ცნება.²⁴⁰ პატიჟი პატივის საპირისპირო სიტყვას წარმოადგენდა და განმარტებულია როგორც „უპატიურად და შეჭირვებით პყრობა(დ).“²⁴¹ „პატიჟის“ განმარტების მიხედვით ვერ ვიტყვით, რომ ის კონკრეტულ

²³⁶ ივ. სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2002, გვ. 106.

²³⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 171.

²³⁸ იქვე, გვ. 171.

²³⁹ იქვე, გვ. 439.

²⁴⁰ პატიჟება – სასჯელი მცოდნეელთა პატიჟებისა აღმატებად და დაკუთვებად. პატიჟებულ-ყოფა-დ დასჯა თუმცა ენება ღმერთსა ამისთვისად ხოლო პატიჟეულ-ყოფა-დ შენი. პატიჟის-მიჰდა-დ დასჯა ყოვლისა ცოდვისა ზედა შესატყვისად ცოდვისა მის აღსძრვიდე რისხვასა თუსსა განწინებითა პატიჟის-მიჰდისათა. პატიჟ-ი სასჯელი მიეჰადოს პატიჟი. *სარჯვემდებე ზ.*, დასახ. ლექსიკონი გვ. 167.

²⁴¹ ივ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 616-617.

სასჯელს წარმოადგენდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ასევე დ. ჩუბინაშვილის განმარტებაც.²⁴²

„პატიუს“ ვხვდებით ისტორიულ წყაროებშიც, მაგალითად, ბასილ ეზოსმოდგვარი წერს: „დღეთა შინა თამარისათა არავინ გამოჩნდა მიმძღავრებული მეცნიერებითა მისითა, არც-ვინ დასჯილი, თუნიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა, თუთ არც-ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიუისასა მიეჭადა თანანადები, არცა-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკვეთილ იქმნა, და არცა სიბრძითა დაისაჯა, თუნიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მათათა შინა ავაზაკობდა მალვით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თვისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყლავება თამარისი, ამისთუ მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა.“²⁴³

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „განპატიუება“, ან „გაპატიუება“, თუ „გაპატიჯება“ თავდაპირველად დასჯის ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინი იყო, მაგრამ შემდგომში ამ ტერმინს განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებია და ყოველგვარ სასჯელად აღარ იგულისხმებოდა. „განპატიუება“ ისეთი დამსახირებელი სასჯელების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო, როგორც არის „ასოთ-მიღება“, „მბნელობლობა“, „გამოყვერვა“ და სხვა.²⁴⁴ მის მოსაზრებას არ ეთანხმება ის. დოლიძე: „გაპატიუება“ ძველად და უფრო გვიანდელ პერიოდშიც დასჯას ნიშნავდა საერთოდ. „პატიუი“ ბექა-აღბუღას და ბაგრატ კურაპალატის კანონებში სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის განსაკუთრებული ჯარიმია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს საერო, ან სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ.“²⁴⁵ ამ დასკვნას ის. დოლიძე აკეთებს ბექა-აღბუღას სამართლის პირველი მუხლის მიხედვით. აღნიშნულ მუხლში, ისევე როგორც მე-40 მუხლში „პატიუითა გარდააჯდევინ“-ებაზეა საუბარი. ამ სამართლის ძეგლში „პატიუის“, როგორც ქონებრივ საზღაურის სასჯელზე მიანიშნებს „გარდააჯდევინ“-ების ხმარება. „გარდააჯდევინება“ კი განმარტებულია, როგორც დანაშაულის ზღვევინება.²⁴⁶ ხოლო ზღვევინება – საზღაურის მიცემა.²⁴⁷ ე. ი. დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული საზღაურის მიცემა. შესაბამისად, განსახილველ მუხლთან დაკავშირებით ის. დოლიძე აკეთებს დასკვნას, რომ „ცილისწამებას კანონი თვლის პატრონის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებად. ამიტომ დამნაშავეს ძირითად

²⁴² პატიუი – პატივის მიხდა, უპატიობა, დასჯა, გარდახდევინება, ჭირი, განსაცდელი, სასჯელი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1003.

²⁴³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 141.

²⁴⁴ ის. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშ., გვ. 369.

²⁴⁵ *დოლიძე ის.*, ძველი ქართული სამართლი, თბ., 1953, გვ. 210.

²⁴⁶ ის. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 48.

²⁴⁷ იქვე, გვ. 291; ხოლო საზღაური განმარტებულია, ზღვევინების მონაცემი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 39; გარდასახადი, ჯარიმა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1070.

სასჯელს გარდა აკისრებს პატრონისა და მაწყვერლის პატივის შელახვისათვის სპეციალური ჯარიმას, „პატივის“ გადახდას. ფორმულა „პატრონმან პატიჟთა გარდააჰდევინოს“ ნიშნავს განსაზღვრული ქონებრივი ჯარიმის გადახდას, რომელიც განკუთვნილია საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ.²⁴⁸

„პატივის“ როგორც ქონებრივი საზღაურის საკითხი საკამათოა, რადგან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეს ტერმინი ზოგადად დასჯის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ადარნასე აშოტ კურაპალატის ძის მიერ დედოფლის დასჯა მრუშებაში ცილისწამების გამო, რაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია მოთხრობილი: „მაშინ მამამან გრიგოლ უწინაღწარმეტყველა ბრალთა მათთვის, რადიგი შემთხვევად იყო მისდა მიშვებითა ღმრთისაითა. და ჰრქვა ესრეთ: არა სმენისათვის სიტყვათა ჩემ გლახაკისათა მიეცე ბოროტთა სენთა. და რომელ აწ ძენი გესხნენ, იგვემნენ ეშმაკთაგან. და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი, ვიდრე არ შეინდოთ დედუფლისა მისგან, სამართლოდ განპატიუბულის მხეველისა მის ღმრთისა.“²⁴⁹ როგორც ავტორი მოგვითხრობს, დედოფლის მიმართ არ ყოფილია გამოყენებული არც ფიზიკური და მითუმეტეს არც ქონებრივი სასჯელი, ხოლო მისი დასჯა გამოიხატა გაყრაში და მისი აფხაზეთში გაგზავნაში.

შესმენასთან დაკავშირებით ტერმინ „განპატიუბას“ ვხვდებით 1722 წლის სარუსთველო დროშის განწესებაში: „უკეთუ ამისისა დროშისა დიდი, ანუ მცირე, საღმრთო, გინა საერო, თავადი, ანუ მოურავი და ერისთავი სხვასა დროშასა ზედა მიებაროს, ანუ ბატონსა, ანუ ქიზიჯის ჯარსა შინა დგებოდეს, რაოდენ ძალ-ედვას, ბატონთან შეასმინოს და ბატონებმა მამაულისა წართმით განპატიუოს და რუსთაველთაცა ძლიერად სპათა თვისთა საგვემელად მისარჩლოს ამათგანი ყმანი და საკველონი ყოველნივე.“²⁵⁰ ამ შემთხვევაშიც განპატიუება ზოგადად დასჯის მნიშვნელობით არის გამოყენებული, ხოლო სასჯელის ფორმა არც სხეულებრივი სასჯელია და არც ჯარიმა, არამედ მამულის ჩამორთმევაში გამოიხატება. დავით ბატონიშვილის სამართალშიც „განპატიუება“ დასჯის მნიშვნელობის მატარებელია.²⁵¹ როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს „პატიჟი“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ბასილ ეზოსმოძღვარი პატიჟთან ერთად ჩამოთვლის სხვა მძიმე სასჯელებს და თუ ჩავთვლით, რომ ამ შემთხვევაში ეს სასჯელი მაგალითად თვალთდაწვას ნიშნავდა, ეს

²⁴⁸ დოლიძე ივ., ძველი ქართული სამართლი, თბ., 1953, გვ. 212.

²⁴⁹ შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), გვ. 298.

²⁵⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 384.

²⁵¹ „აზანურნი ნუ განიპატიუებინ კვერთხითა და ნურცა ნასადითა, თუნიერ მძიმისა შემთხვევისა დანაშაულისა, ხოლო განპატიუება მათი იქმნებოდეს პატიმრობითა და განსწავლითა შეკრულებათა შორის, და ნურცა მიეღების ყმაჲ და მამაული.“ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 153.

ტერმინი იგივე მნიშვნელობით არ უნდა იყოს მითითებული ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 მუხლშიც, რადგან დანაშაულის სიმძიმედან გამომდინარე კანონმდებელი ასეთ სასტიკ სასჯელს არ გამოიყენებდა ცრუ დამსმენის მიმართ. დასახელებულ მუხლში „პატიჟი“ ზოგადად დასჯის მნიშვნელობითაც არ უნდა იყოს გამოყენებული, რადგან როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ასეთ შემთხვევაში ტერმინ „პატიჟთან“ ერთად მითითებულია კონკრეტული სასჯელის სახე, მაგალითად მამულის ჩამორთმევა. შესაძლოა დასახელებულ მუხლში „პატიჟი“ ქონებრივი საზღაურს გულისხმობდა. ამაზე მიანიშნებს პატიჟთან ტერმინის „გარადხდევინების“ გამოყენება. ის, რომ პატიჟს ქონებრივი საზღაურის მნიშვნელობაც ჰქონდა ადასტურებს ქართულ სამართლის სხვა ძეგლებში არსებული ნორმებიც.²⁵² მაგრამ ეჭვს იწვევს აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, ქონებრივი საზღაურის გადახდა მაწყვერელის სასარგებლოდ. ნორმაში ხაზია გასმული, რომ ცრუ დასმენა პატრონის ღალატს და შეცოდებას უფრო წარმოადგენს²⁵³ შესაბამისად გარდახდევინება უნდა მომხდარიყო მის სასარგებლოდ, მაგრამ არავითარ მინიშნება არ ჩანს მაწყვერელთან დაკავშირებით. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის პირველ მუხლში, პირდაპირი მითითება არის, რომ პატიჟის გადახდა უნდა მოხდეს პატრონისა და მაწყვერელისადმი. რადგან მე-40 მუხლში მხოლოდ პატრონის ინტერესების ხელყოფაზეა საუბარი და ნორმაში მაწყვერელი საერთოდ არ არის მოხსენიებული, შესაბამისად მოსაზრება, რომ ამ ნორმაში აღწერილი ქმედების ჩადენისას მის სასარგებლოდაც ხდებოდა ჯარიმის გადახდა საფუძველს მოკლებულია. პატრონის სასარგებლოდ საზღაურის გადახდა მიანიშნებს, რომ ცრუ დასმენა ბექა-აღბუღას სამართლით კერძო დელიქტს არ წამოადგენდა და იგი დანაშაულად უნდა იქნეს განხილული.

თუ „პატიჟი“ ქონებრივი სანქციაა მაშინ ისმევა კითხვა, რა როდენობის ფულადი ჯარიმა უნდა გადაეხადა დამნაშავეს? კანონიკური სამართლის 170-ე მუხლში „პატიჟის“ ზუსტი რაოდენობაა მითითებული, თუმცა სხვა მუხლებში „პატიჟის“ რაოდენობა არ არის დაკონკრეტებული (კათალიკოზთა სამართალი, მუხლები 168, 169).²⁵⁴ კანონიკურ სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 170-ე მუხლში) ეკლესიის ქონების დაწვისათვის დამნაშავეს „საყდრის პატიჟად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს.“²⁵⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ურბნელი აღნიშნავს, რომ „ყველა ეკლესია თანასწორი ღირსებისა არ ყოფილა და თითოეულ მათგანს სისხლი „გვარს ზედა“ ეურეებოდა. სისხლის რაოდენობა დამოკიდებული იყო ხატის ვინაობაზე. როცა „ხატი სამცველოდ ქვეყნისა ესვენა“ და მაშასადამე, სამათვაროს საკუთრებად ითვლებოდა,

²⁵² მაგ. კანონიკური სამართლის მუხ. 170. „ვინც გინდა კაცმან რაღსა გინდა საქმისა და მტერობისთვის საყდარისა საქონებელსა მალვითა ანუ ცხადად ცეცხლი შეუდვას, დაწუას რა გინდა ცხადად გამოჩნდეს, საყდრის პატიჟად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 472.

²⁵³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 439.

²⁵⁴ იქვე, გვ. 472.

²⁵⁵ იქვე, გვ. 472.

მაშინ ერთი და იგივე საეკლესიო დანაშაული განსხვავდებოდა იმისდაგვარად, თუ რომელს ხატს შეურაცყოფდნენ. აღბუღა ამბობს, მაცხოვრის ხატი ყველა ხატზე მაღალ სდგასო, „საუპატიოდ“ ოც-და-ათი გლეხი მართებს, ხოლო სხვა ხატს, მაგალითად ღვთის-მშობლისას, ნათლის-მცემლისას, წმიდა გიორგისას – თორმეტი გლეხიო. რადგანაც ხატთა შორის „ზემო-ქვემოება“ დაარსდა, ეკლესიასაც უნდა დაურევებოდა, „როცა დაწესებული პატიჟი ეწეროს და გაჩენილ იყოს“. დაწესებული და გაჩენილი პატიჟი იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთს ეკლესიას საკუთარი სამართლის გუჯარი ჰქონდა ნაბოძები და სამართლის ქმნას განთვისებით აწარმოებდა.“²⁵⁶

რადგან ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 მუხლში ზუსტად განსაზღვრული რაოდენობა არ არის დასახელებული, შეიძლება პატრონი თავისუფალი იყო „პატიჟის“ რაოდენობის განსაზღვრაში, ან „პატიჟის“ რაოდენობა დამოკიდებული იყო პირის სისხლის ფასის რაოდენობაზე. უფრო მისაღებია მეორე მოსაზრება, რადგან მიაჩნიათ, რომ „პატიჟის“ მნიშვნელობით გხვდება აგრეთვე მეორე სიტყვა „საუპატიო“.²⁵⁷ საუპატიოს გამოთვლა კი სისხლის ფასის მიხედვით ხდებოდა.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნორმა (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი), რომელიც პატრონის წინაშე ცრუ დასმენას ეხება, დავას არ იწვევს რა სახის სასჯელი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ასეთი დასმენისათვის პირს სრული სისხლის ფასი უნდა გადაეხადა. როგორც მუხლშია აღნიშნული შემასმენელს „სრული სისხლი მართებს.“²⁵⁸ მართება ნიშნავდა „ვალად ედვას“.²⁵⁹ მაგრამ ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია ვის მიმართ ედვა ვალად შემასმენელს სისხლის ფასის გადახდა? აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა ენიჭება ხელყოფის ობიექტის განსაზღვრას. რაიმე მინიშნება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის. გამოყენებული სასჯელის მიხედვით შეიძლება ქმედება კერძო დელიქტად ჩაითვალოს, შესაბამისად დამსმენს საზღაურის გადახდა დაწამებულის სასარგებლოდ „ვალად ედვა.“

სისხლის ფასის გადახდას აწესებს ცრუ დასმენისათვის ასევე სიმონ I-ის სიგელი მაღალაძეებისადმი [1592წ.], მისი რაოდენობა ზუსტად არის განსაზღვრული, რაც შეადგენდა ოციათას თეთრს.²⁶⁰ სიგელის მიხედვით სიმონ მეფესთან მისულან „მაღალის ძე ქადაგი გედეონ და ძე მათი რომანოზ.“ მათ მეფისთვის მოუხსენებიათ და უთხოვნიათ „რათამცა მოკითხული გუექმნა საქმე სახლისა მათისა და სანაცულოდ სასმახურისა მათისა, სიგლითა ამით შეგუეწყალნეს.“ სიმონს მეფეს „გაუჩენია

²⁵⁶ ბიზანაშვილი ნ. (ურბნელი), დასახ. ნაშ., გვ. 509.
²⁵⁷ იხ. დოლიძე ის., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 215.
²⁵⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 467.
²⁵⁹ იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 439.
²⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 206.

სამართალი სისხლისა.“²⁶¹ სიგელის შინაარსიდან გამომდინარე „დაურვება“ (დაეურვოს) უსამართლოდ შესმენილის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო.²⁶²

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში (მუს. 253) ტყუილი დაბეზლებისათვის სასჯელი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „რაც მობეზლარის პირითა ამოსულიყოს და ტყუილი იყოს, იმ მობეზლარს უნდა გარდაკდეს.“²⁶³ თ. მონიავას განმარტებით, „თუ დამბეზლებელი გამტყუნდებოდა მას უნდა გადაეხადა შესაბამისი ფულადი თანხა, რაც უწინარეს ყოვლისა დაზარალებულისათვის შვების მომტანი უნდა ყოფილიყო და წარმოადგენდა მიყენებული ზიანისათვის მორალურ კომპენსაციას.“²⁶⁴

მოყვანილი მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ტყუილ მობეზლარის სასჯელი, „გარდაკდევინება“ დამოკიდებული იყო დაწამებული დანაშაულისათვის დადგენილ სანქციაზე. ამდენად კანონმდებელი ტალიონის პრინციპს იყენებს. ტყუილი დაბეზლებისათვის სასჯელის განსაზღვრის ამ პრინციპს უთითებს ასევე ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის B ნუსხის 227-ე მუხლი: „რაც იმ კაცისათვის გარდასაკდელი მართებს, ამ მთქმელს უნდა გარდაკდეს.“²⁶⁵ შესაბამისად, იმ დანაშაულის დაბეზლებისათვის თუ დაწამებულს სისხლის ფასის გადახდა მოელოდა, დამბეზლებელიც ვალდებული იყო შესაბამისი სისხლის ფასი გადაეხადა. თუ კანონმდებელი 253-ე მუხლში ტალიონის პრინციპს იყენებს ტყუილად დამბეზლებელთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ სამართალში სისხლის ფასი უფრო გავრცელებული სასჯელი იყო, ყოველგვარი დანაშაულის ტყუილი დაბეზლებისას დამნაშავეს ეს სანქცია არ უნდა დაკისრებოდა.

კათალიკოზთა სამართლით (მუს. 16) მეფის დაღატი სიკვდილით უნდა დასჯილიყო, მიუხედავად დამნაშავეს სოციალური სტატუსისა: „ვისაც პატრონის მეფის დაღატი გამოჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაც, მართლით განკითხვით და გამოწულილვითა, რარიგადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიპატიოს.“²⁶⁶ თუ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლს დავეყრდნობით²⁶⁷ ამ ნორმებს თითქოს ლოგიკურ დასკვნამდე მივყევართ, რომ მეფის

²⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 205.

²⁶² დაეურვოს – სისხლის მოსცეს. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 204.

²⁶³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 545.

²⁶⁴ *მონიავა პ. (თემურ)*, დასახ. ნაშ., გვ. 79-80. აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელია, უფრო არა მოცემული მუხლიდან გამომდინარე, არამედ სასამართლო განჩინებების საფუძველზე.

²⁶⁵ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 107–108.

²⁶⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 395.

²⁶⁷ იქვე, გვ. 545.

დალატის ცილისმწამებელსაც სიკვდილი მოელოდა. მაგრამ ეს თეორიული ვარაუდია. ხოლო ამ ვარაუდის სისწორეს, თუ მცდარობის დადასტურება ისტორიული წყაროებზე და სასამართლო პრაქტიკის მაგალითების საფუძველზე უნდა მოხდეს. თუმცა, როგორც გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, რამდენად გამოიყენებოდა, კათალიკოზთა სამართალში დაწესებული სასჯელები, ამის შესახებ სასამართლო პრაქტიკის მასალებსა და სხვა ცნობებს ჩვენემდე არ მოუღწევიათ.²⁶⁸

მეფის დალატი სიკვდილით რომ ისჯებოდა ადასტურებს ისტორიული წყაროებიც. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მეფის დალატისათვის სიკვდილით დასჯის მაგალითად დემეტრე I-ის მიერ იოანე აბულეთის ძისტვის თავი მოკვება, ასევე გიორგი III-ის დროს ორბელი დაისაჯნენ დემნას განდგომილების მოწყობისათვის.²⁶⁹ ამდენად, კათალიკოზთა სამართალში მოხსენიებულ სასჯელს (მუხ. 16), პრაქტიკულადაც მიმართავდნენ. მაგრამ, მეფეთა ორგულობის, დალატის ჩადენისას სხვა სახის სასჯელებსაც იყენებდნენ: თვალთა დაწვას და სხვა დამასახიჩრებელ სასჯელებს.²⁷⁰ თუმცა შედარებით მსუბუქი სასჯელიც შეიძლებოდა გამოეყენებინათ, მაგალითად ექსორია. „ექსორია ბერძნული სიტყვაა და გაძევებას ჰნიშნავს. ამ სასჯელს უნიშნავდნენ ხოლმე იმათ, ვინც „მინდობით გამოიყვანეს“ (მატიანე ქართლისა) და ვისაც განდგომაში მცირედი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, აგრეთვე განდგომილებისა და დალატის მეორეჯისა განზრახვისა და დაპირებისათვის. პირველად ამისთანა დანაშაულებისათვის მხოლოდ საპყრობილეში ამწყვევდნენ, მეორედ-კი შეპყრობისა და დამწყვედვის შემდგომ ექსორია-ჰყოფდნენ ხოლმე.“²⁷¹

გ. ნადარეიშვილს მოჰყავს ომან მდივანბეგის ცნობა, თუ როგორ სასტიკად დასაჯა ერეკლე II-მ შეთქმულნი: „შეკრბენ ქართველნი და მოჰკუთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლსა შინა თაქთაქის შვილი ელიზბარ და დიმიტრი პატიმარ ჰყვეს და შეურაცხყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა და მოჰკუთეს ძესა მისსა ალექსანადრესა ცხვირი და გლახასაც მოჰკუთეს ენა.“ ასევე ჯაშუშობისათვის სიკვდილით დასჯის შემთხვევა, რომლიც მოხდა XVII საუკუნის ოთხმოციან წლებში, ყაენის სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის, სახელმწიფო დალატისათვის სიკვდილით დასაჯეს სომხეთის მალიქი ქამარ ბეგი. უფრო გვიან მსგავსი დანაშაულის ჩადენისათვის მოდალატე ქამარ ბეგის შვილი მეფემ „დახვრიტა თოფითა.“²⁷² შესაძლოა კათალიკოზთა სამართალის გამოყენება არ დასტურდება, მაგრამ მეფის ორგულობა სიკვდილით რომ ისჯებოდა ეს ისტორიული წყაროებითაც ჩანს. ასევე გხვდება დამასახიჩრებელი სასჯელები. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, თამარ მეფეს დამასახიჩრებელი სასჯელები

²⁶⁸ იხ. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 122.

²⁶⁹ იხ. ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშ., გვ. 216.

²⁷⁰ იქვე, გვ. 216.

²⁷¹ იქვე, გვ. 216.

²⁷² იხ. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 122.

აუკრძალა, მაგრამ ერთ შემთხვევას იხსენიებს, როცა გუზან ტაოსკარელს თვალები დაუწვეს. თუმცა ეს გაკეთებულა დავით სოსლანის თანხმობით, რადგან იცოდნენ, რომ თამარ მეფეს შეეძლო შეეწყნარებინა.²⁷³

მოღალატეების მიმართ გამაწილებელ სასჯელსაც მიმართავდნენ. ჟამთააღმწერელის ცნობით. „შალვა ქვენიფლეველი განუდგა დავით VI-ს. 1301 წელს მეფეს მოღალიტასთვის გამაწილებელი სასჯელი მიუსჯია. მეფეს მოუთხოვია – ჩვეულებითი სამართლის ნორმების მიხედვით, ქვენიფლეველს საჯაროდ თავზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაული ელიარებინა. შალვაც ასე მოქცეულა: „გარდიყარა თავსა ნაცარი შალვა და იტყოდა: „ესემცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასა.“²⁷⁴ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი სასჯელის გამოყენება დალატის ტყუილი დაბეზღებისას არსებული ცნობებით არ დასტურდება.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 227-ე და 253-ე მუხლით დადგენილი ტალიონის პრინციპის გამოყენება ისეთი ქმედებების ცილისწამებისათან მიმართებაში, რისთვისაც პირს სიკვდილით დასჯა, ან დამასახიჩრებელი სასჯელი მოელოდა სასამართლო განჩინებებით არ დასტურდება. ისეთი მძიმე დანაშაულთა ცრუ დასმენისას, როგორც მაგალითად მეფის დალატი იყო სასამართლო სისხლის ფასის გადახდას აკისრებს დამნაშავეს.²⁷⁵ ცილისწამებისას ტალიონის პრინციპის გამოყენება უძველესი დროიდან იყო გარცელებული²⁷⁶ და სასჯელის დანიშვნის ეს პრინციპი საუკუნეების შემდეგაც შენარჩუნდა. მაგალითად, ეკლოგაში ვხვდებით სასჯელის განსაზღვრის ამ პრინციპს.²⁷⁷ კაროლინაში (1532წ) აღნიშნულია, რომ თუ პირს ამხელდნენ, რომ ის ცრუ და ბოროტი განზრახვით მოწმის ჩვენებით ცდილობდა სისხლის სამართლებრივი სასჯელი დაკისრებოდა უდანაშაულო პირს, უნდა დაისაჯოს იმ სასჯელით, რომელიც მას უნდოდა რომ თავისი ჩვენებით დაკისრებოდა უდანაშაულო პირს.²⁷⁸ სასჯელის დანიშვნის ამ პრინციპს ნაწილობრივ მიყვება

²⁷³ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 141.

²⁷⁴ *ნადარეიშვილი გ.*, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმსახი“, 2000, №14, გვ. 125-126.

²⁷⁵ განჩინება ერეკლე II-ისა დაბეზღებისათვის არჯევანისა და რამინის დავით ქსნის ერისთავისათვის მიცემის შესახებ. 1770წ. 4 სექტემბერი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 599.

²⁷⁶ „ძველი ეგვიპტური სამართლის მიხედვით ცილისწამებელი იმავე სასჯელით ისჯებოდა, რაც ცილდაწამებულს მოელოდა იმ შემთხვევაში, თუ მის ცილისწამებას სინამდვილედ ჩათვლიდნენ. როგორც ცნობილმა ეგვიპტოლოგმა ი. ა. ლურიემ გამოარკვია, ეგვიპტეში ცრუმოფიცარი, ე. ი. კაცი, რომელიც სასამართლო პროცესზე ტყუილი ფიცით ცდილობდა თავის მართლებას ან სხვისათვის ბრალის დადებას, იმავე სასჯელით ისჯებოდა, რა სასჯელიც ფიცის ფორმულის თვითწყველით ნაწილში იყო გათვლისწინებული.“ *ნადარეიშვილი გ.*, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2008, გვ. 20. ხამურაბის კანონებში ცალკე მუხლი აქვს დათმობილი მკვლელობის დასმენას (მუხ. 1), ასეთ შემთხვევაში ცრუ დამსმენი სიკვდილით უნდა დასჯილიყო. ხამურაბის კანონები, გვ. 9.

²⁷⁷ Эклога, византийский законодательный свод VIII века, Вступительная статья, перевод, комментарий Е. Э. Липшиц, М. 1965. ст. 70.

²⁷⁸ იხ. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи, под редакцией В. М. корецкого, М., 1961, ст. 451.

საფრანგეთის 1810 წლის სისხლის სამართლის კოდექსი: „თუ, ბრალდებულს მიუსაჯეს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე გამასწორებელი (სмирительный) სახლი, მაშინ ასეთივე სასჯელი გამოიყენება მის წინააღმდეგ გამოსული ცრუ მოწმის მიმართაც.“²⁷⁹ ამდენად, ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში ტყუილი დაბეზდების მუხლში მითითებული სასჯელის განსაზღვრის პრინციპი არ წარმოადგენდა ძველი ქართული სამართლის თავისებურებას. თუმცა საქართველოში რამდენად ნიშნავდნენ სასჯელს ამ პრინციპის მიხედვით გარკვეულ კითხვებს იწვევს. თუ ვამბობთ, რომ ნორმაში მითითებული სასჯელის დანიშვნის ტალიონის პრინციპი რეალურად არ გამოიყენებოდა, ერთადერთ მტკიცებულებად სასამართლო განჩინებები რჩება იმაზე სამსჯელოდ, როგორ შეიძლებოდა დასჯილიყო ტყუილი დაბეზდება.

ისტორიულ წყაროებში არსებული მეფესთან უსამართლოდ შესმენის მაგალითებში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი შემთხვევები, რომ შემასმენელნი დასჯილიყვნენ. უმეტესად ცილისმწამებელნი თავიანთ მიზანს აღწევდნენ. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს დავით ულუს მიერ შესმენილი მესტუმრე ჯიქურის დასჯაზე: „და ბრძანა წინაშემოყვანება მისი და სახლისა მისისა იავარ ყოფად. . და ვითარ აღსრულეს მსახურთა მეფისათა, და წარადგინეს წინაშე მეფისა ჯიქური, ღამით „რამეთუ მეფე ჯდა ისანთა მხედველი მტკუარისა, და არა სიტყუა ყო მის თანა, არამედ განუკითხავად ბრძანა შთაგდებად მტკუარისა.“²⁸⁰ როგორც ტექსტიდან ჩანს, მესტუმრე ჯიქურის შესმენა მტრობით მომხდარა, ჟამთააღმწერელი – „ამის გუანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს. ამისთვის განზრახვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა.“²⁸¹ მაგრამ ჟამთააღმწერელის ეს ცნობა, იმის მაგალითად უფრო გამოდგება, თუ როგორ შეიძლებოდა დასჯილიყო მეფის მოღალატე, რადგან ცრუ შემასმენელის დასჯის შესახებ ცნობები არ არის ამდენად, ღალატის ცილისმწამებისათვის გათვლისწინებულ სასჯელებზე მსჯელობისას სასამართლო პრაქტიკას უნდა დავეყრდნოთ.

სიმონ II-ის განჩინებაში მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე ცრუ დასმენის ბრალდების რამდენიმე მაგალითია. უშუალოდ დიდი მოურავის მიმართ განხორციელებული ტყუილი დაბეზდებისათვის ქაიხოსროს დაევალა დაფიცება, იგი „სამის შესახელებელის უმტეროს მოურავის ყადარის კაცითა და ოთხის შეუსახელებელის კაცითა“ უნდა წამდგარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოურავისათვის „დაუდვას რვა კუამლი გლეხი და ან მართოს ოთხმოცი თუმანი თეთრი.“²⁸² სანქცია ამ შემთხვევაში კერძო ხასიათისაა, რადგან განჩინებიდან ჩანს, რომ ფულადი საზღაურის გადახდა მომჩივანის სასარგებლოდ ხდებოდა. მაგრამ ქონებრივი სახის სასჯელის გამოყენება

²⁷⁹ იხ. Хрестоматия по всеобщей истории государства и права, Т 2, под редакцией К. И. Батыра и Е. В. поликарповой, М., 2003., ст. 64.

²⁸⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 238.

²⁸¹ იქვე გვ. 238.

²⁸² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 57.

სასამართლოს მიერ, თუ ამ განჩინებაში მეფის დალატის დაწამებაზე საუბარი, მაინც წინააღმდეგობაში მოდის გამოთქმულ ვარაუდთან, რომ მეფის დალატის ცილისმწამებელი ისევე უნდა დასჯილიყო, როგორც დალატის ჩამდენი დაისჯებოდა, მაგალითად სიკვდილით.

რა უნდა იქნეს უფრო მხედველობაში მიღებული, სამართლის წიგნში მოცემული დებულება სასჯელის დანიშვნის შესახებ, თუ სასამართლო განჩინება? მოყვანილი განჩინება XVII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი, შესაბამისად ის ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნს დროში წინ უსწრებს, აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ვახტანგ ბატონიშვილს განსხვავებულად დაერეგულირებინა აღნიშნული საკითხი, მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში სასჯელის დანიშვნის პრინციპი უფრო არქაული ფორმისაა, ვიდრე განჩინებით განსაზღვრული სასჯელი. შესაძლოა სასამართლომ გაითვალისწინა პირთა სოციალური სტატუსი. როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს ქაიხოსრო ჯავახიშვილი მოურავის „ყადარი“²⁸³ მოფიცრებით უნდა წარდგენილიყო, შესაბამისად აღნიშნული გარემოება სასჯელის განსაზღვრაზეც მოახდენდა გავლენას.

დიდი მოურავის ტყუილი დაბეზლების შემდეგი ბრალდება ქაიხოსრო ჯავახიშვილისადმი ეხებოდა მეფე თეიმურაზთან თავისი აზნაურების დაბეზლებას (1620 წლის სასისხლო განჩინება). ამ შემთხვევაში მხოლოდ ქაიხოსროს ექვს შესახელებულ მსახურს უნდა დაეფიცა, თუ ვერ დაიფიცებდნენ მის მიმართ დაბეზლების ბრალდება დამტკიცებული იქნებოდა და ქაიხოსრომ „ასი მარჩილი თარჯიმანად მიართოს.“²⁸⁴ მხარეთა სოციალურ სტატუსთა სხვაობა ამ შემთხვევაშიც მკვეთრად იკვეთება როგორც მოფიცართა შერჩევისას, ისე სასჯელის დანიშვნისას. სასისხლო განჩინებაში მითითებული სანქცია „სიმკაცრით“ არ გამოირჩევა. გარდა გამოთქმული ვარაუდისა სასჯელის შერჩევისას სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ: „მოკითხული ვქენით და იმ მსახურებსა არცარა სიკუდილითა სჭირდა და არცარა გახეიბრებითა.“²⁸⁵ ამ შემთხვევაშიც ქონებრივი საზღაურის გადახდა დაბეზლებულთა სასარგებლოდ ხდება.

ქაიხოსრო ჯავახიშვილისადმი სარჩელი დაბეზლებაში დიდი მოურავის მსახურებსაც წარუდგენიათ. სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯავახიშვილს დააკისრა: „თვისი ყმანი შეაფიცოს, არა ზედა-აც. და თუ ვერ და[ა]ფიცონ, რაც წაჭლომოდეს მოურავის აზნაურისშვილისა და მსახურსა და გამოიფიცოს, ნახევარი უზლოს და ნახევარი ჩაგეუირონინებია, ამისთვის რომე მის ჳელთ არა არის რა.“²⁸⁶ სასამართლო ისევე ქონებრივ სანქციას

²⁸³ ყადარი, ყადრი – ღირებულება, ფასი, ღირსება. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1370.

²⁸⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 59.

²⁸⁵ იქვე გვ. 59.

²⁸⁶ იქვე, გვ. 64.

იყენებს და გადახდა დაზარალებულთა სასარგებლოდ ხდება. ხოლო საზღაურის რაოდენობა მიყენებული ზიანის მიხედვით განისაზღვრა.

როგორც ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლშია აღნიშნული, ტყუილი დაბეზლებით პირი ხელყოფდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირის ინტერესს. თუ სისხლის ფასის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ხდებოდა, მაშინ გამოდის რომ ეს თანხა ჯარიმად იქცევა. რადგან 253-ე მუხლში კერძო პირის ინტერესის ხელყოფაზეც არის საუბარი სასამართლო არ დანიშნავდა ისეთ სასჯელს, რომლითაც რამენაირად არ ყოფილიყო კერძო პირის ინტერესი დაკმაყოფილებული. თუ ცილისმწამებელს სასჯელი უნდა დაკისრებოდა, როგორც სახელმწიფოს, ისე ცილდაწამებულის სასარგებლოდ, მაშინ ისმის კითხვა როგორც უნდა განაწილებულიყო მის მიერ გადახდილი საზღაური. აღნიშნულის შესახებ ამ მუხლში რაიმე მითითება არ არის. ამ შემთხვევაში დასკვნის გასაკეთებლად უნდა დავეყრდნოთ ისევ სასამართლო განჩინებებს, რომლებიც ტყუილ დაბეზლებას ეხებიან. მეფის ორგულობის დაწამებისას დროსაც კი, დამნაშავეს სასჯელი ეკისრებოდა არა სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ, არამედ ცილდაწამებულის მიმართ (მაგალითად, დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო განჩინება, ასევე განჩინება ერეკლე II დაბეზლებისათვის არჯევანისა და რამინის დავით ქსნის ერისთავისათვის მიცემის შესახებ. 1770წ. 4 სექტემბერი).²⁸⁷ ამდენად, ამ განჩინებების მიხედვით იმის თქმა არ შეიძლება, რომ სასჯელის გასაზღვრისას სახელმწიფო ინტერესის ხელყოფას ექცეოდა ყურადღება.

მეფეთა ორგულობის დაწამებისათვის ერეკლე II-ს დავით ქსნის ერისთავის სასარგებლოდ დაუდგენია: „და სამართალმა არჯევან და მისი ძმა რამინ შენ მოგცა იმათს ემასა და მამულს გარდა. და სადაც არჯევან და მისი ძმა მისულან, ხელთ უნდა მოგეცეს; თუ ეკლესიაში შესულან სადმე, ჩვენის ბრძანებით და ჩვენის ძმის კათალიკოზის პატრიარქის ბრძანებით და შენდობით, რომელსაც ეკლესიაში შესულიყვნენ, იმ ეკლესიის ეპისკოპოზმა, თუ წინამძღვარმა, თუ დეკანოზმა უნდა გამოიყვანონ და ხელთ მოგცენ რამინ თავისის სიტყვით და გაქცევით, როგორადაც არჯევან ერგო სამართლით ერისთავს, ისე ესე მოგეცა.“²⁸⁸ განჩინებიდან ჩანს, რომ მართალია დამნაშავეები ცილდაწამებულს უნდა გადასცემოდა, მაგრამ მათი ქონება ხელშეუხებელი იყო, სანქცია ქონებაზე არ ვრცელდებოდა. ერთის თქმა ზუსტად შეიძლება, რომ მეფის ორგულობის დაწამებისას დამნაშავე საკუთარი თავით აგებდა პასუხს ცილდაწამებულის მიმართ. ხელთ მიცემას, როგორც სასჯელს ვხვდებით ბექა-აღბუღას სამართალში (36-ე მუხლი) და ვახტანგის სამართლის (მთხრობელის მიერ მკვლელობის დაწამებისას) წიგნში. ის. დოლიძის განმარტებით, როცა დამნაშავე, ანუ „ავის მქნელი“, რომელიც დაზარალებულს, ანუ „გაუპატივებულს“, გადაეცა, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში ვარდება. იგი არავითარი დაცვით არ სარგებლობს. დაზარალებულის ნათესავებს

²⁸⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 599.

²⁸⁸ იქვე, გვ. 599.

შეუძლიათ, ხელთა დამნაშავეს „რაცა უნდა, უყოს“. კანონის ასეთი მითითება, ცხადია, სიკვდილ-სიცოცხლის უფლებასაც გულისხმობს, უკეთეს შემთხვევაში, დამნაშავე მონობაშიც ვარდებოდა და ყოველგვარ პირად და ქონებრივ უფლებებს კარგავდა.²⁸⁹ ცოტა სადაოა ქონებრივი უფლებების ჩამორთმევის საკითხი ზემოთ მოყვანილი განჩინების მიხედვით. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში (მუხ. 36), რასაც ის. დოლიძე ეყრდნობა, ხელთ მიცემა ხდებოდა მამულთან ერთად: „მამულთურთ მას გაუპატივებულსა, ჳელთ მისცემს, რა უნდა იყოს, სისხლსა არას ემართლებისდა, ამაღ რომე უბრალოა. ავის მქნელთ მამულთურთ მიეცემა, მართალი იქნება.“²⁹⁰ შესაძლებელი იყო ასევე ხელთ მიცემის გამოყენება როგორც ალტერნატიული სანქციის, როცა დამნაშავეს სისხლის ფასის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა.²⁹¹ ჳელთ მიცემა ყოველთვის არ გულისხმობდა ქონებრივი უფლებების ჩამორთმევას, შეიძლებოდა ერთ შემთხვევაში პირი დაზარალებულს გადასცემოდა თავისი ქონებით, ხოლო სხვა შემთხვევაში კი ყმისა და მამულის გარეშე. შესაძლებელია ასევე მესამე ვარიანტიც, ამ სახის სასჯელის გამოყენება ალტერნატიული სანქციის სახით.

სისხლის დაურეგებას ვხვდებით მეფის დალატის დაწამებისათვის სოლომონ I-ის

სასისხლო განჩინებაში. როსტომ ნიჟარაძე თუ ვერ დაიფიცებდა ცილდაწამებულის, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთლის მიმართ უნდა გადაეხადა: „დიდებულის თავადის მთელი სისხლი-ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი და ერთო ამოდენი სახლთუხუცესობის სისხლი ზედ დაუდვას და ისე სახლთუხუცესს როსტომმა მისცეს.“²⁹² მოყვანილი განჩინების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მეფის დალატის ცილისწამება, კერძოდ კი ტყუილი დასმენა, ისევე იხდებოდა, როგორც მკვლელობა. სასამართლოს მიერ გამოყენებული სისხლის ფასი კი, სრულ შესაბამისობაშია ვახტანგ ბატონიშვილის სამართალთან (მუხ. 26): „დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი- ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი.“²⁹³ ამას გარდა დამატებით უნდა გადაეხადათ სისხლის ფასი, თუ პირს რაიმე თანამდებობა ეკავა: „ვისაც ჟამში მოჳდეს, გვარობის სისხლის გარეთად საჳელოს სისხლიც ზედ დაურთონ და ისრე გაუჩინონ.“ (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 34)²⁹⁴ სოლომონ II-ს დამატებით სახლთუხუცესის სისხლის გადახდაც დაუკისრებია. ზემოთ მოყვანილი განჩინება, ადასტურებს, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით ხელმძღვანელობდნენ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც განჩინებებიდან ჩანს დალატის ცილისწამება კერძო-სამართლებრივ

²⁸⁹ ის. დოლიძე ის., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 250-251.

²⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 438.

²⁹¹ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი, 39-ე მუხლი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 492.

²⁹² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 435-436.

²⁹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 489.

²⁹⁴ იქვე, გვ. 490.

დელიქტად არის ჩამოყალიბებული, ამას გვაფიქრებინებს სისხლის დაურევების გამოყენება სასჯელად. მოსაზრება, რომ სისხლის ფასი გულისხმობდა არა მარტო დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდას, არამედ საჯარო ელემენტსაც, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას დასახელებული სასისხლო განჩინება არ იძლევა. როგორც განჩინების ტექსტიდან ჩანს სისხლის ფასი და სახლთუხუცესობის სისხლი როსტომს ზურაბ წერეთლისათვის უნდა მიეცა.²⁹⁵ დავით ბატონიშვილის სამართლის (მუხ. 208) მიხედვითაც, ცრუ დამსმენს ცილდაწამებულისათვის სისხლის ფასი უნდა გადაეხადა მისი სტატუსის მიხედვით: „ვინცა ვინ ტყუილად შეასმინოს, მეგრ მიხედვისა გუამისა. მიუზლოს სისხლი.“²⁹⁶ მაგრამ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ერეკლე II-ის და სოლომონ II-ის განჩინება ერთნაირ დელიქტს ეხება, ორივე შემთხვევაში საუბარია მეფის დალატის დაწამებაზე, ორივე განჩინება დაახლოებით ერთ პერიოდშია შედგენილი პირველი 1770 წელს, ხოლო მეორე 1789-1810 წლებში, მაგრამ პირველ შემთხვევაში თუ ხელთ მიცემაზეა საუბარი, მეორეში სისხლის დაურევებას იყენებენ. იმის კითხვა რატომ არ იყენებს სასამართლო ერთნაირ სასჯელს. იმის თქმა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აღნიშნული დელიქტი განსხვავებულად ისჯებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში სხვანაირად საფუძველს მოკლებული უნდა იყოს, ამაზე ერთნაირი მოცულობის სისხლის ფასიც მეტყველებს. მაშინ რა ახსნა უნდა მოეძებნოს ამ გარემოებას? სავარაუდოდ სასჯელის დანიშნისას შეიძლებოდა განმსაზღვრელი ყოფილიყო ის თუ კონკრეტულად რას სწამებდნენ, რადგან დალატი, როგორც უკვე იყო აღნიშნული ფართო ცნება იყო და სხვადასხვა ქმედებებს მოიცავდა.

ამავე პერიოდს ეხება (1784-1796წწ. განჩინება) ბეჟან წულუკიძისა და გოგია ავალიანის საქმეზე. ბეჟან წულუკიძე თუ დაიფიცებდა, ეს გოგია ავალიანის დანაშაულს, დალატის ცილისწამებას დაადასტურებდა, „თუ ასე უფიცა, ან მთელი სისხლი მისცეს წულუკიძეს ავალიანმა და ან როგორც სამართლის წიგნიდან ეწეროს, ისე მიეცეს ავალიანი წულუკიძეს ხელთ მქნელთ.“²⁹⁷ ისევე როგორც სოლომონ II-ის განჩინებაში, ამ შემთხვევაშიც სრული სისხლის გადახდაა დაწესებული დაზარალებულის სასარგებლოდ. ხოლო სისხლის ფასის რაოდენობა დამოკიდებული იყო რა თქმა უნდა დაზარალებულის სოციალურ სტატუსზე. განჩინების მიხედვით მოსამართლე თავისუფალი არ იყო სისხლის ფასის დადგენისას, არამედ სამართლის წიგნით დადგენილი მოცულობით უნდა ეხელმძღვანელა. სისხლის ფასის გარდა სასამართლოს სხვა სასჯელის გამოყენების ალტერნატივაც აქვს, საუბარია ხელთ მიცემაზე. განჩინებაში არ არის დაკონკრეტებული რა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო აღნიშნული სასჯელი გამოყენებული და გულისხმობდა თუ არა ხელთ მიცემა „მამულით“, თუ მის გარეშე პირის გადაცემას. შესაძლებელია ამ ალტერნატივისათვის იმ შემთხვევაში მიემართათ, თუ დამნაშავეს სისხლის ფასის გადახდის შესაძლებლობა არ

²⁹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 435-436.
²⁹⁶ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 117.
²⁹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 693.

ჰქონდა. განხილულ განხილებაში ორივე სასჯელის მითითება მიანიშნებს, რომ დალატის დაწამებისათვის სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ს განხილებებს შორის წინააღმდეგობა არ არის. სასამართლოს შეიძლება დალატის დაწამებისათვის გამოყენებინა როგორც ხელთ მიცემა, ისე სისხლის დაურევება. სახელმწიფოს სასარგებლოდ რაიმე სანქციის დაკისრება არც ამ შემთხვევაში ხდება. სისხლის დაურევება თუ მოხდებოდა ის მთლიანად დაზრალებულის სასარგებლოდ ხდებოდა, ხოლო ხელთ მიცემაც საჯარო სასჯელად არ ითვლება.

სამართლის ძეგლებში ქონებრივი საზღაურის დაწესება ცრუ დასმენისას სხვადასხვა ნიშნით შეიძლება განისაზღვროს. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში ქონებრივი საზღაურის რაოდენობის დადგენისას ორი გარემოება უნდა ყოფილიყო გათვლისწინებული: დაწამებული დანაშაულისათვის დადგენილი სისხლის ფასი და თავად ცილდაწამებულის სოციალური სტატუსი.

დავით ბატონიშვილის სამართლითაც (მუხ. 208) ცრუ დასმენისათვის სისხლის ფასის გადახდაა დაწესებული. სისხლის ფასის ოდენობის ზუსტი მიუთითებლობა არ ნიშნავს, რომ მოსამართლე თავისუფალი იყო მისი განსაზღვრისას. ამაზე მიანიშნებს შემდეგი სიტყვები: „მებრ²⁹⁸ მიხედვისა გუამისა²⁹⁹ მიუზღოს³⁰⁰ სისხლი...“³⁰¹ ამდენად, მოსამართლეს სისხლის ფასი უნდა განესაზღვრა ცილდაწამებული პირის სტატუსის მიხედვით, იმ დროინდელ ქართულ სამართალში დადგენილი სისხლის ფასის მიხედვით. სავარაუდოდ ნორმაში მთელი სისხლის ფასი უნდა იგულისხმებოდეს. დასახელებულ მუხლში კანონმდებელი აღნიშნავს, რომ დასმენით პირმა „ძმად თვისი მისცა სიკუდილად“. თუ „სიკუდილად“ მიცემა პირდაპირი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაშინ ცრუ დასმენის სანქცია მკველლობისათვის დაწესებული სასჯელის ანალოგიური უნდა ყოფილიყო, რაც მთელ სისხლის ფასს წარმოადგენდა. ცრუ დასმენისათვის მთელი სისხლის ფასი რომ იყო დაწესებული ადასტურებს ბაგრატ კურაპლატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი).³⁰² ცრუ დასმენისათვის

²⁹⁸ მებრ – მსგავსადსავით. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 458; მებრ – მსგავსად, ხატად, წესისამებრ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 695;

²⁹⁹ გუამი – ესე არს მარტივად მყოფი განთვისებული თვისაგან თავით თვისით შემტკიცებით მდგომარე და განყოფილი მისთანათა მათგან რიცხვათა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 172; გვამი – ტანი, სხეული, პირი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 316.

³⁰⁰ მიზღვევა – მიუზღვევ, მაგიერს გარდევუსდი, მაგიერი გარდევხდები. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. გვ. 731; მიუზღო – ნაცვალ(ი) უგო, ნაცვალი მისცა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 486.

³⁰¹ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 117.

³⁰² „თუ უსამართლოდ პატრონსა წინა შეასმინოს, სრული სისხლი მართებს, ამაღ რომე მისით გამოიმეტა“. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 467.

სრული სისხლის ფასის გადახდა სასამართლო განჩინებითაც დასტურდება.³⁰³

სისხლის ფასის გადახდა 208-ე მუხლით ცილდაწამებულის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო, რადგან მიზღვა ხდებოდა პირის მიმართ. შესაბამისად, ცრუ დასმენა დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით კერძო დელიქტს წარმოადგენდა. როგორც მუხლის განმარტებაშია მითითებული, სისხლის ფასის გადახდა დაწესებული იყო დალატის დაწამებისათვის, იქნებოდა ეს საზოგადოების თუ მეფის დალატი. აქვე წამოიჭრება საკითხი სხვა სახის დანაშაულის დაწამების დასჯადობის შესახებ, რისთვისაც ცილისმწამებელს საუპატიოს იხდიდა: „შესმენისა რა ვიტყვი, არათუ სუბუქისა საქმისასა, რომლისა ნაცვლად მიეზღვის საუპატიო, არამედ ორგულებასა საზოგადოებისა, გინა მეფისასა.“³⁰⁴ საუპატიო განმარტებულია, როგორც საუკადრისო, გარდასახადი უპატიობისათვის, ანუ თვით უპატიობა.³⁰⁵ ხოლო რაც შეეხება, სანქციის სახეს, „საუპატიოსთან“ დაკავშირებით სამართლის ისტორიის მეცნიერებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ის საჯარო სასჯელს წარმოადგენდა. ამის ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავთ შემთხვევა ჩვეულებითი სამართლიდან, როცა ქალის მოტაცებისათვის, რომელიც არა მარტო ქალის ოჯახის, არამედ მთელი სოფლის შეურაცყოფად ითვლებოდა, დაწესებული იყო ჯარიმა საუპატიო – ერთი ცხვარი და ერთი ხარი, – დამნაშავის ოჯახისაგან გამოგზავნილი, დაზარალებულთან ერთად მთელ სოფელს ეკუთვნოდა.³⁰⁶ განიხილავენ რა საუპატიოს ეყრდნობიან ბაგრატ კურაპალატის 115-ე, 121-ე და 141-ე მუხლებს, ასევე ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 267-ე მუხლს. ბოლო მუხლში საუბარია, სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მომჩივანის მიერ მოპასუხისათვის შეურაცყოფის მიყენებაზე, რის გამოც შეურაცყოფელს მოსამართლის სასარგებლოდ ეკისრებოდა საუპატიოს გადახდა: „საუპატიო მიათვას, რომე ურიგო უკადრებია.“³⁰⁷ რის საფუძველზეც ის. დოლიძე აკეთებს დასკვნას, რომ „საუპატიო“ საჯარო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი ჯარიმას წარმოადგენდა.³⁰⁸ ხოლო ბაგრატ კურაპალატის სამართლის დასახელებული მუხლები ეხება დანაშაულის ჩადენას „საპატიჟო“ ადგილას, რის გამოც დამნაშავეს საუპატიო-ჯარიმა უნდა გადაეხადა ეკლესიის, როგორც „საპატიჟო“ და მოსარიდებელი ადგილის მიმართ უპატიური და შეურაცხყოფელი მოქმედებისათვის.³⁰⁹

³⁰³ განჩინება ბეჟან წულუკიძისა და გოგია ავალიანის საქმეზე. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIII), ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 693.

³⁰⁴ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 118.

³⁰⁵ ის. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1124.

³⁰⁶ ის. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ნაწ. 3, თბ., 1991, გვ. 140.

³⁰⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 551.

³⁰⁸ ის. დოლიძე ის., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 215-216.

³⁰⁹ იქვე, გვ. 215.

გ. ნადარეიშვილის საუბატიოსთან დაკავშირებით უთითებს კათალიკოზთა სამართლის მე-17 მუხლს: „ვინცა კათალიკოზსა და ებისკოპოზსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს რარიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიოს.“³¹⁰ „დიდ სჯულის კანონში“ გინებისა და უპატიურობისათვის გათვლისწინებული იყო საეკლესიო სასჯელი საერო პირთათვის.³¹¹ ამ შემთხვევაში გ. ნადარეიშვილი უნდა ეყრდნობოდეს დიდ სჯულის კანონისათვის დართულ ლექსიკონში უპატიურობის განმარტებას: „უპატიობა კი საეკლესიო სასჯელი იყო საერო პირისათვის. ეს სასჯელი მდგომარეობს საეკლესიო უპირატესობის და უფლებაუნარიანობის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვაში. ამ სასჯელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ-რომაულ სამართალში, რადგანაც მის შედეგად გარკვეული პირი კარგავდა მოქალაქეობის უფლებებს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ამ სასჯელმა საეკლესიო სამართალში. უპატიობით დასჯილი პირი განიცდიდა დიდ ზიანს თავის უფლებებში, მაგ. კარგავდა სასამართლოზე დაცვის უფლებას, შეზღუდული იყო მემკვიდრეობის უფლებებში და სხვა. უპატიობა იწყებოდა ან უშუალოდ რაიმე უპატიოსნო საქციელის ჩადენისთანავე ფორმალური სასამართლო მოქმედების გარეშე ან შუალობით – სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ.“³¹² ამ შემთხვევაში უნდა მოვიყვანოთ ის ადგილი, რის საფუძველზეც არის უპატიობის განმარტება გაკეთებული. დიდი სჯულის კანონში – საუბარია იმ პირებზე, რომელთა შესმენა მხედველობაში არ მიიღებოდა. ესენი იყვნენ მონები და გააზატებული პირნი. ასევე „ყოველნი, რომელთა შესმენისა ღირსთა ბრალთათვის საერონი სჯულნი არა შეიწყნარებენ, რომელნი-იგი ჯერეთ მწიკულითა უპატიოებისადათა ბიწიან არიან, რომელ არიან მიმოსნი, და რაოდენნიცა ვითარ-სახეთაცა უშუერებათა და ბილწებათა თანამდებ იყვნენ პირნი.“³¹³ ამათ გარდა მწვალებელნი, წარმართნი, ჰურიანი, „გარნა ეგრეთცა ესე ყოველნი, რომელთა შემასმენლობად მიუთუალველად აღსაარებულ არს, თუსთა მიხეზთა შინა შესმენისა ფლობად არა მოღებულ არს მათგან.“³¹⁴ იმ ჩამონათვალიდან, რომელთა შესმენა მხედველობაში არ მიიღებოდა, მითითებულია პირები, რომელნიც შეცოდების გამო პატივ ახდილნი, მანკიერნი არიან („მწიკულითა³¹⁵ უპატიოებისადათა³¹⁶ ბიწიან³¹⁷ არიან“). უპატიობის ცნება, როგორც ეს დიდი სჯულის კანონში ჩანს საპირისპიროა

³¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 396.

³¹¹ იხ. ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 60.

³¹² დიდი სჯულის კანონი. გვ. 603.

³¹³ იქვე, გვ. 352.

³¹⁴ იქვე, გვ. 352.

³¹⁵ მწიკული – უწმინდურება. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 930.

³¹⁶ უპატიებო – პატივის ახდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 1264.

³¹⁷ ბიწიანი – მანკიერი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 109.

პატივის ცნებისა.³¹⁸ თუ უპატიობა, ნიშნავდა პირისთვის უფლებების ჩამორთმევას, პატივი პირიქით მეტ უფლებებს ანიჭებდა პირს. მაგალითად, ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 24-ე მუხლით, დარბაისლობა პირს პატივს მატებდა: „დარბაისელთ პატივი დაედების გასინჯვით, თუ როგორი საქმე არის. ნდომით მომჰდარა ის საქმე, თუ უნდობლად, კარგად გამონახვა უნდა.“³¹⁹ როგორც ვხედავთ „პატივი“ და „უპატიობა“ პირის სამართლებრივ სტატუსის მნიშვნელობით არის ნახმარი. კათალიკოზთა სამართლის მე-17 მუხლში მოხსენიებული „უპატიურება“³²⁰ კი ქმედების მნიშვნელობით არის გამოყენებული. ხოლო „საუპატიო“ მათგან შინაარსობრივად განსხვავებული ცნებაა, რადგან იგი სასჯელის ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენდა. კავშირი ამ ცნებებს შორის იმ მიმართებითაც არ ვლინდება, რომ იმ ქმედების ჩადენისათვის, რისთვისაც საუპატიოს გადახდა იყო დაწესებული, რაც როგორც უკვე იყო აღნიშნული ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, ასევე არ გულისხმობდა პირისათვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევასაც. ხოლო უპატიობა, პატივის ახდა ყოველთვის არ ითვალისწინებდა დასახელებულ სანქციას. ამის მაგალითია, თუნდაც კათალიკოზთა სამართლის ზემოთ მოყვანილი ნორმა, როცა სასულიერო პირის „უპატიობისათვის“ საუპატიოს გადახდა არ არის დაწესებული.

უნდა ითქვას, რომ ძველ ქართულ სამართალში ტერმინს უპატიოს, უპატიურს ფართო მნიშვნელობით იყენებდნენ და მოიცავდა ისეთ ქმედებებს, რომელთაც ერთი შეხედვით არაფერი აკავშირებს ადამიანის პატივთან. 1772 წლის ერეკლე მეორის ერთ-ერთ განჩინებაში, აღნიშნულია, რომ როსტომ თუხარელს ბევრი უპატიო საქმე დაემართა ბიჭირმე ბერისგან, კერძოდ კი ბიჭირმე ბერს ვაზი გაუკაფია, როსტომის ბიჭი ცხენიდან გადმოუგდია, ცხენი და იარაღი წაურთმევია. ამ უპატიობისათვის კი სასამართლოს ბიჭირმე ბერს აკისრებს საუპატიოს გადახდას. ხოლო საუპატიოს გადახდას რაც შეეხება განჩინებაში, კარგად ჩანს, რომ იგი პირს გადახდებოდა დაზარალებულის სასარგებლოდ: „ბიჭირმე ბერისაგან როსტომ თუხარელს შვიდი თუმანი საუპატიოთ უნდა მიეცეს.“³²¹ სასამართლოს გარდა საუპატიოსი სხვა სახის სანქციებიც დაუწესებია ბიჭირმე ბერისათვის, რომელიც მას ასევე დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა. რაიმე მინიშნებას, რომ ბიჭირმე ბერს სახელმწიფოს სასარგებლოდ ედებოდა სახდელი განჩინებაში არ ჩანს. რის საფუძველზეც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ უპატიობა, ამ შემთხვევაში კერძოდ დელიქტს წარმოადგენდა.

³¹⁸ პატივი – კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 616; პატივი – მართლ-სულობა, კეთილი სვინდისიანობა, ღირსება, ჩინებულება, სახელოვნება. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1007.

³¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 488.

³²⁰ უპატიურება – პატივის ახდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ.1264.

³²¹ საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ძველ საბუთთა დედნების კოლექცია, ფონდი 1448, საქმე 866.

რაც შეეხება ბაგრატ კურაპალატის სამართალს (ბექა-აღბუღას სამართლის 115-ე, 121-ე, 141-ე მუხლები³²²) პირს საუპატიოს გადახდა ეკისრება ეკლესიის სასარგებლოდ როგორც საუპატიო ადგილის ხელყოფისათვის. ასევე ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი, რომლის მიხედვით, ქურდს შვიდმაგი ღირებულების გადახდევინების გარდა, უნდა გადაეხადა კიდევ მონასტრის – „საუპატიო“, რომლის რაოდენობას სასამართლო განსაზღვრავდა.³²³ ხოლო ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 267-ე მუხლით,³²⁴ პირს საუპატიოს გადახდა მოსამართლის სასარგებლოდ ეკისრებოდა. თითქოსდა წინააღმდეგობრივია, რომ ერთი სანქცია სხვადასხვა შემთხვევაში საჯარო სასჯელსაც წარმოადგენდეს და კერძოსაც. რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა საჯარო ელემენტს, როცა სამართლის ძეგლებიდან და სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ საუპატიოს გადახდა შეიძლება მომხდარიყო პირის მიმართ და სახელმწიფოს ამ შემთხვევაში წილი არ ერგებოდა. დელიქტთა დაყოფა საჯაროდ და კერძოდ პირობითია და ასეთ დაყოფას ძველი ქართული სამართალი არ იცნობს. რადგან უპატიობა პირს შეიძლებოდა ჩაედინა როგორც კერძო პირის, ისე ეკლესიის, ან მოხელის მიმართ, შესაბამისად საუპატიო უნდა გადაეხადა მის მიმართ, ვინ ან რა შეურაცყო თავის ქმედებით, აღნიშნული გარემოება კი დელიქტის სახეს განსაზღვრავდა. თუ კერძო პირის პატივი იქნებოდა ხელყოფილი და სასამართლო საუპატიოს გამოიყენებდა სასჯელად ქმედება შეიძლება კერძო დელიქტად ჩაითვალოს, ხოლო მოსამართლის ან ეკლესიის პატივის ხელყოფა საჯარო დელიქტას წარმოადგენდა.

არცერთ ზემოთმოყვანილ მუხლში არ არის დაკონკრეტებული საუპატიოს რაოდენობა. გიორგი ბრწყინვალის სამართალში (მუხ. 31)³²⁵ გვხვდება ტერმინი „უარზანგობა“, რაც ნიშნავდა საუპატიოს, უპატიობის საზღაურს და რაც სისხლის ერთ მეორმოცედს შეადგენდა.³²⁶ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 267-ე მუხლით, მოსამართლისადმი „ურიგოს“ კადრებისათვის დამნაშავემ „მოსამართლე რასაც გვარისა იყოს, იმის ერთის ქერის მარცვლის ნახევრის სისხლისოდენა საუპატიო მიართვას.“³²⁷ კანონმდებელი მოსამართლის საუპატიოს მისი სისხლის

³²² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466, 468.

³²³ ქსნის ერისთავის 1470 წლის სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი ბოძებული. *სურგულაძე ივ.*, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 44.

³²⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 551.

³²⁵ [უარზანგობისა საქმე ამ წესით გაგუჩენია] 31. „მამულისა ანუ სხვა რისამე ესე არის: ვისიც თორმეტი ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა სამასი თეთრი არის. აზნაურთა, ჳევსებურთა ასორმოცდაათი თეთრი არის ერთი უარზანგობა; ჰეროვნათა–ოცდაათი თეთრი. და ამ წესით გაგუჩენია: ვისიც სისხლი უფროსი იყოს ანუ უმცროსი, უარზანგობაც ამ გაჩენით იყოს.“ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 415.

³²⁶ იხ. *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 60.

³²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 551.

ფასის მიხედვით განსაზღვრავს. დავით ბატონიშვილის სამართლის 208-ე მუხლში საუპატიოს გამოთვლის წესის შესახებ მითითება არ არის. სავარაუდოდ მისი რაოდენობა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო პირის სოციალურ სტატუსზე და გამოთვლა სისხლის ფასის მიხედვით მოხდებოდა. ამაზე მიანიშნებს გიორგი ბრწყინვალის სამართლის 31-ე მუხლიც. ამას გარდა, ეკლესიის მიმართ გადახდილი საუპატიოს რაოდენობაც არ იყო ზუსტად განსაზღვრული, არამედ იცვლებოდა ეკლესიის ხატის პატივის მიხედვით (ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ბექა-აღბუღას სამართლის 121-ე მუხლი).

დავით ბატონიშვილის სამართლის 208-ე მუხლშიც საუპატიოს გადახდა ცილდაწამებულის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო, ამაზე მიანიშნებს ნორმის ტექსტი. ამას გარდა, თუ ისეთი მძიმე დანაშაულის ცრუ დასმენისათვის, როგორც არის მეფის და საზოგადოების ღალატი კანონმდებელი სისხლის ფასის გადახდას ცილდაწამებულის სასარგებლოდ აწესებს და შესაბამისად ჩამოყალიბებულია როგორც კერძო დელიქტი, ნაკლები სიმძიმის დანაშაულის ცრუ დასმენისათვის მითუმეტეს არ იქნებოდა საჯარო სახის სასჯელი გამოყენებული.

საუპატიოს ვხვდებით დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პირველ მუხლში, რომელშიც საუბარია მტერთან მიწერ-მოწერის დაწამებაზე. ასეთ ქმედებას კანონმდებელი მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს.³²⁸ „ხოლო უკეთუ ცრუდ ჰსწამოს, რომელ ამანათი გამატანაო მან სხვასთან, და არა მართალ იყოს, საუპატიო მისცეს შემწამებელსა მას.“³²⁹ საუპატიო რომ ქონებრივი გადასახადი იყო, ამაზე მეტყველებს ტერმინ „მიცემის“ გამოყენება. რადგან საუპატიო უპატიოებისათვის დაწესებულ სახდელს წარმოადგენდა, აღნიშნული ადასტურებს, რომ ცილისწამება პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტს წარმოადგენდა. ცრუ დაწამებისათვის დაწესებული საუპატიო კერძო-სამართლებრივი ხასიათის სანქცია იყო. ამაზე მეტყველებს ნორმის შინაარსი, რადგან მისი გადახდა ხდებოდა ცილდაწამებულის სასარგებლოდ. ამდენად, სახელმწიფო ღალატის ამ „ფორმით“ დაწამება კერძო-სამართლებრივ დელიქტს წარმოადგენდა. ღალატის ცილისწამებისას სასჯელის დადებისას კერძო ინტერესია წინ წამოწეული. თავად ღალატის ჩადენა კერძო დელიქტად ვერ ჩაითვლება.

ცრუ დასმენას ეხება იოანე ბატონიშვილიც. სჯულდებაში მითითებულია, რომ ასეთი ქმედება უნდა დაისაჯოს. „ვინც ვინ შეასმინოს, დაწეროს მის შესმენილსა დანაშაული და მიუტანოს იმ ავ-ენების უფროსთა, ხოლო მათ მიაართონ მეფესა. მეფემან უბოძოს მდივანბეგთა, რათ გამოიძიონ იგი და მაშინ შესმენილიც და შემსამენელიც განიკითხნენ მდივანბეგთანა.

³²⁸ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 154.

³²⁹ იქვე, გვ. 154.

თუ შურით იყოს შესმენილი და განმართლდეს, მას წყალობა³³⁰ რადმე ებოძოს მეფისაგან, და იგი შემასმენელი დაისაჯოს, ვითარცა განაჩინონ მსაჯულთა, და უკეთუ მართლად აღმოჩნდეს შემასმენელი, შესმენილი დაისაჯოს საქმისამებრ მისისა.“³³¹ სჯულდებაში კონკრეტული სასჯელი არ არის დასახელებული და მხოლოდ ზოგადი მითითებაა მსაჯულთა შეხედულების მიხედვით სასჯელის დანიშვნის შესახებ. აღნიშნული არ უნდა ნიშნავდეს, რომ დასახელებული ნორმა აბსოლიტურად განუსაზღვრელ სანქციას ითვლისწინებს, რადგან ნორმა პროცესულური ხასიათისაა. მისი მიზანია დაადგინოს შესმენის შედეგად პროცესის წარმოება და არა ცრუ დასმენისათვის კონკრეტული სასჯელის დაწესება. სავარაუდოდ მოსამართლის თავისუფლება სასჯელის არჩევის საკითხში არსებული სამართლის წიგნებში ცრუ დასმენისათვის გათვლისწინებული სანქციებით უნდა შეზღუდულიყო.

ყურადღება მისაქცევია ერთი გარემოებაც, ცილდაწამებულს მეფისაგან წყალობა ეკუთვნოდა. დამნაშავეს მხრიდან ცილდაწამებულის სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდა გასაკვირი არ არის, რადგან მან პირის პატივი ხელყო, მაგრამ სახელმწიფო რატომ იღებს ვალდებულებას ცილდაწამებულის მიმართ? იოანე ბატონიშვილის სჯულდების ამ მუხლში ჩამოყალიბებული ეს დებულება სიახლეს რომ არ წარმოადგენს და ძველ ქართულ სამართალში ნამდვილად გამოიყენებოდა ამას წყალობის წიგნიც ადასტურებს. საუბარია გიორგი XI-ის წყალობის წიგნზე ბეგთაბეგ შანშეან მარტეროხისშვილისადმი (1685წ). გიორგი XI-მ ცილდაწამებულს უწყალობა დედოფლის მუერდრობა³³² და „კელის-ჩამრთმევენელობა.“³³³ მეფის მიერ ჩამორთმეული სოფლის (საუბარია სოფელ ნაბახტევზე) დაბრუნება ტყუილად ბრალდებული პირისათვის გასაკებია. მაგრამ ამის გარდა გიორგი XI-ს ცილდამწამებული შანშეან მარტეროხისშვილს უბოძა „დედოფლის მუერდრობა“³³⁴ და კელის-ჩამრთმე[ქ]ნელობა, ყოვლის კაცის უცილებლად.“³³⁵ ცილისმწამებელ ამირეჯიბ რევაზს თუ რაიმე სასჯელი დაედო დოკუმენტიდან არ ჩანს, ეს გასაკვირი არ არის, რადგან დასახელებული დოკუმენტი წყალობის წიგნს წარმოადგენს და არა სასისხლო განჩინებას. შესაბამისად ცრუ დამსმენის დასჯის მიუთითებლობა არ ნიშნავს, რომ მას პასუხიმსგებლობა არ დაეკისრებოდა ჩადენილი ქმედებისთვის.

³³⁰ წყალობა – არს მწუხარება სხვისა ბოროტსა ზედა. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 392; წყალობა – მოწყალება – ღმობიერად მიხედვა, ნიჭი, საბოძვარი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1697.

³³¹ ბატონიშვილი იოანე, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფის სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი), გვ. 21.

³³² მუერდარი – ბეჭდის მცველი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 907.

³³³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 329. რაც შეეხება ტერმინს „კელის-ჩამრთმევენელობა“-ს, ის ხელის მოწერას უნდა ნიშნავდეს. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1735.

³³⁴ მუერდარი – ბეჭდის მცველი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 907.

³³⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 229.

მეფის წყალობა ამ შემთხვევაში ცილდაწამებულისათვის თანამდებობის ბოძებაში გამოიხატებოდა. შესაძლოა ამ შემთხვევაში სახელმწიფო ცილდაწამებულისათვის წყალობის გაცემით ცდილობს გარკვეული „მორალური კომპენსაცია“ მოახდინოს იმის გამო რომ ეჭვი შეიტანა პირის პატიოსნებაში. სხვა არგუმენტის მოტანა ამ შემთხვევაში საკმაოდ რთულია.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლში, სასჯელის დანიშვნის პრინციპი მსგავსია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში მითითებული სანქციის განსაზღვისას. დასახელებული მუხლი სასულიერო პირის დასმენას ეხება: „და უწინვე შემსამენელსა მას ერთი წიგნი გამოართვან მოსამართლეთა, თუ სტყუოდეს, რაც ებისკოპოსს გარდააჯდევინონ, ის იმას გარდააჯდევინონ.“³³⁶ ცრუ დამსმენის სასჯელი დამოკიდებული იყო ცილდაწამებული სასულიერო პირის მიმართ გამოყენებულ სასჯელზე. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ცილისწამებისას სასჯელის დანიშვნისას ტალიონის პრინციპის გამოყენება ქართული სამართლის თავისებურებას არ წარმოადგენდა, არამედ ზოგადად გავრცელებული სასჯელის დანიშვნის პრინციპი იყო. ამას გარდა უნდა ისევ შევეხოთ „გარდაჯდევინების“ ტერმინის მნიშვნელობას, რის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. სიტყვის განმარტება იმის საფუძველს იძლევა, რომ „გარდაჯდევინებაში“ ქონებრივი საზღაური იგულისხმებოდა. მაგრამ შესაძლოა „გარდაჯდევინება“ ამ შემთხვევაშიც ზოგადად დასჯის მნიშვნელობით იყოს მოხსენიებული. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლში, საუბარია რა სასულიერო პირის დაბეზდებაზე, მითითებულია მაგალითად გინების დაბეზდება. თუ 140-ე მუხლის სასჯელის დანიშვნის პრინციპს მივყევით, მაშინ ასეთი ქმედების ტყუილი დაბეზდებისათვის ქონებრივი სასჯელის გამოყენება უნდა გამოირიცხოს. შესაბამისად დასახელებულ მუხლში ტერმინი „გარდაჯდევინება“ ზოგადად დასჯის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული.

„გარდაჯდევინება“-ს ვხვდებით სომხურ სამართალშიც. სომხური სამართლის წიგნის 114-ე მუხლი კუმულაციურ სასჯელს აწესებს: „და თუ მთქმელი და მძრახავი სტყუოდეს, და ვინცა სძრახა, მქნელი არ იყოს, მას დამძრახავს კაცსა სცენ და წაკრან კისერში, და გარდააჯდევინონ ტყუილად ძრახვისათვის.“³³⁷ ფიზიკური სასჯელი მსუბუქ ფორმაში გამოიხატებოდა, ხოლო დამატებითად ფულადი საზღაური უნდა გადახდილიყო. 107-ე მუხლის მეორე ნაწილში და 114-ე მუხლშიც „გარდაჯდევინება“ მოხსენიებული. შესაბამისად ორივე ნორმაში ეს ტერმინი ერთიანი გივე კონტექსტშია მოხსენიებული, მაგრამ გარკვეულ წინააღმდეგობას ვაწყდებით შემდეგი თვალსაზრისით. თუ ჩავთვლით, რომ 107-ე მუხლში „გარდაჯდევინება“ ქონებრივი საზღაურის მნიშვნელობით არის მითითებული, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ისჯებოდეს დანაშულის

³³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 166.

³³⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 257

დაწამება ამ შემთხვევაში უფრო მსუბუქად,³³⁸ რადგან 114-ე მუხლში გარდა „გარდაკვდევინებისა“-როგორც ქონებრივი საზღაურისა კანონმდებელი ფიზიკურ სასჯელსაც აწესებს. „გარდაკვდევინებასთან“ ერთად სხვა სასჯელის მითითება გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ეს ტერმინი ზოგადად დასჯის მნიშვნელობით არ უნდა იყოს გამოყენებული. ამას გარდა მომდევნო მუხლშიც ძრახვაზეა საუბარი და იქაც დასახელებული ტერმინია მითითებული, ხოლო მუხლის შინაარსიდან აშკარად იკვეთება, რომ ქონებრივ სახდელზეა საუბარი.³³⁹ ნორმაში არ არის მითითება ხდებოდა თუ არა ქონებრივი საზღაურის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ. 115-ე მუხლში ტყუილ დამბეზლებელსაც გარდაკვდევინება ეკისრება, საიდანც დაზარალებული მისაღებს იღებს. თუ ცრუ დასმენისას, სადაც უფრო იკვეთება სახელმწიფო ინტერესის ხელყოფა, დაწამებულს ეკუთვნის საზღაურის რაღაცა ნაწილი მაინც, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტყუილად ძრახვისათვის მით უფრო მიიღებდა პატივის ხელყოფისათვის ფულად საზღაურს.

სომხური სამართლის 115-ე მუხლით ტყუილი დაბეზლებისათვის დაწესებული სასჯელი გაურკვეველია, მითითებული არ არის კონკრეტულად რა სასჯელი ეკისრებოდა ცილისმწამებელს. ნორმის მიხედვით, დამბეზლებელმა უნდა „მისცეს თავდები³⁴⁰ მას საქმისა გამართლებისათვის.“ თავდების არსებობა პირის დაბეზლებას სანდოს ხდიდა, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა, რომ დამბეზლებელს „უპირისწყლობით³⁴¹ უთქუამს მას კაცზე, ის საქმე ვერ გაამართლა და სტყუებულა მთქმელი, - რაც რომ იმაზე მოსამართლესაგან მისაღები იყოს, ახლა მიიღონ, ამ ტყუილად დამბეზლებელსა და მძრახავს გარდააკვდევინონ.“³⁴² ერთადერთი „ხელჩასაჭიდ“ ტერმინს სასჯელთან დაკავშირებით მსჯელობისას წარმოადგენს „გარდააკვდევინონ“. ამ შემთხვევაშიც ისმის კითხვა, „გარდააკვდევინ“-ებაში იგულისხმება ქონებრივი საზღაური, თუ ეს ტერმინი ზოგადად დასჯის მნიშვნელობით არის გამოყენებული? სავარაუდოდ ამ მუხლში „გარდაკვდევინება“ უფრო ფულად საზღაურს უნდა ნიშნავდეს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ჭირს გარკვეული არგუმენტაციის მოყვანა მოსაზრების დასასაბუთებლად. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველი იქნება ერთი და იგივე სიტყვა რატომ გვესმის განსხვავებული მნიშვნელობით. მუხლში საუბარია მოსამართლისაგან მისაღების მიღებაზე, რაც დამბეზლებელს უნდა „გარდააკვდევინონ“. რადგან საუბარია

³³⁸ ორივე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე იმის თქმა დანმდვილად შეიძლება, რომ 107-ე მუხლში აღწერილი დანაშაული უფრო მძიმეა, ვიდრე 114-ე მუხლში მოცემული ქმედება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს გარემოება სასჯელის დანიშვნაშიც უნდა ასახულიყო.

³³⁹ სომხური სამართალი. მუხ. 115. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 257.

³⁴⁰ თავდები – თავს-მდები, საქმე თავს დაიდვას. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 295. თავდები – თავსმდები, ვინც სხვის მაგივრად პასუხს გაცემს. თავდებობა – თავს-მდებობა, თავზედ ალება რისამე პასუხის გაცემით, დადგომა თავდებად, თავდებად უუღლები. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 537.

³⁴¹ უპირის-წყლო – უსვინდისო, ვისაც პირის წყალი არ აქვს. უპირის-წყლობა – უსვინდისობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1265.

³⁴² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 257.

ცილდაწამებულის მიერ მოსამართლისგან მისაღების მიღებაზე ეს ნიშნავს, რომ საუბარია ქონებრივ საზღაურზე, რაც თავის მხრივ ტყუილად დამბეზღელს უნდა გადაეხადა. ამდენად, თუ 115-ე მუხლში ქონებრივ საზღაურზეა საუბარია, მაშინ სხვა კითხვებიც ისმება, რა მოცულობის უნდა ყოფილიყო ჯარიმა და ვის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო მისი გადახდა. პირველ კითხვას რაც შეეხება, მასზე პასუხს დასახელებულ მუხლში ვერ ვნახულობთ, რაც შეეხება მეორე კითხვას, შეიძლება ითქვას, რომ ჯარიმა მთლიანად სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა, რადგან საუბარია ცილდაწამებულის მიერ მოსამართლის მხრიდან იმ მისაღების მიღებაზე, რასაც ცილისმწამებელი იხდიდა. რითაც მოხდებოდა პირის ხელყოფილი პატივის დაკმაყოფილება.

სომხური სამართლის მომდევნო მუხლი (მუხ. 116) ჯარში განხორცილებული „ძრახვას“ ეხება.³⁴³ ამ შემთხვევაშიც აღნიშნულია, რომ მოსამართლემ მტყუან მხარეს უნდა გარდაახდევინოს. თუ 115-ე მუხლში გარდახდევინება ქონებრივი სანქციის მნიშვნელობით არის გამოყენებული, იგივე უნდა ითქვას 116-ე მუხლთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც საზღაურის რაოდენობაზე რაიმეს თქმა არ შეიძლება. ხოლო თუ ანალოგიის პრინციპი იქნება გამოყენებული, სავარაუდოდ 115-ე მუხლის მსგავსად საზღაურის ნაწილი დაზარალებულს ეკუთვნოდა.

310-ე მუხლით ეპისკოპოსის ცილისწამებისას დამბეზღებელთა მიმართ გამოყენებული სასჯელი არ არის დაკონკრეტებული. „გააშორონ, და რაც იმათ შეძლებით გაარიგონ, დამტკიცედეს. და კათალიკოზმან უნდა გასინჯოს სამართლის სიმრუდე და სიმართლე, და არ უნდა იყოს ვერცხლთა მოყუარე და სამართლისა გამრუდებელი.“³⁴⁴ „გაშორება“-ში³⁴⁵ შესაძლოა იგულისხმებოდეს ეკლესიიდან გაძევება როგორც სასჯელი, მაგრამ შესაძლოა ამ სასჯელის გარდა ცილისმწამებელთა მიმართ სხვა სანქციებიც ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ტექსტში „გაშორების“ შემდეგ აღნიშნულია, რომ „რაც იმათ შეძლებით გაარიგონ“. გარიგების განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მსაჯულებს გარემოებიდან გამომდინარე უნდა გადაეწყვიტათ საქმე, რაც რა თქმა უნდა სასჯელის დანიშნასაც გულისხმობდა.³⁴⁶

ზემოთ მოყვანილ ნორმებში მითითებული სანქციების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ცრუ დასმენისათვის ძველ ქართულ სამართალში ქონებრივი სანქციები გამოიყენებოდა, ეს შეიძლებოდა გამოხატულიყო ჯარიმის, საუპატიოს ან სისხლის ფასის სახით. სასამართლო განჩინებებში არ ჩანს, რომ ცილისმწამებელს რაიმე საჯარო სასჯელიც ეკისრებოდა. ამ მხრივ განსხვავებულია ვახტანგ ბატონიშვილის

³⁴³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 258.

³⁴⁴ იქვე, ტ. I, გვ. 336.

³⁴⁵ გაშორება – შორად დავადგენ ან გავჰყრი, გავაცალკევებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 290.

³⁴⁶ გარიგება – რიგს მივსცემ, დავაწესებ, განვაგებ, აღვასრულებ, საქმეს გამოვიტან. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 258.

სამართლის წიგნის 253-ე მუხლი, რომელშიც სასჯელის სახეს განსაზღვრავდა დაწამებული დანაშაულის სასჯელის მიხედვით. თუმცა სასამართლო განჩინებებიდან ჩანს, რომ სასჯელის დანიშვნის ეს პრინციპი არ გამოიყენებოდა, ყოველშემთხვევაში მძიმე სახის სასჯელებთან მიმართებაში. ტალიონის პრინციპს ვხვდებით მოსეს სამართალში (მუხ. 14) და ბერძნულ სამართალშიც (მუხ. 140). სომხურ სამართალში ტყუილი დაბეზდებისათვის სავარაუდოდ ქონებრივი სანქციები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. რაც შეეხება სომხური სამართლის 310-ე მუხლს, მითითებული „გაშორებ“-ის გამოყენება სპეციალური სუბიექტის ნიშნებს უკავშირდება, რაც დამატებით სანქციად უნდა ჩაითვალოს, რის გარდა ცილისმწამებელს ძირითადი სასჯელიც უნდა დადებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ 253-ე მუხლში კანონმდებლის მითითებული აქვს, რომ ტყუილი დაბეზდება სახელმწიფო ინტერესებს ხელყოფს, რაც ცრუ დასმენის ხელყოფის ობიექტის სწორად გაგებას ნიშნავს, სასჯელის დანიშვნის პრინციპიდან გამომდინარე ვერ ვიტყვით, რომ ტყუილი დაბეზდება საჯარო დელიქტს შეიძლება მიეკუთვნოს. მითუმეტეს, რომ დავით ბატონიშვილის სამართალიც (მუხ. 208) ცრუ დასმენისათვის სისხლის ფასის გადახდას აწესებს.

თავი III. ტყუილი მთხრობლობა

3.1 ტყუილი მთხრობლობის ცნება

მთხრობლობის როგორც ტერმინის, ისე ქმედების შინაარსობრივი მხარის გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება განისაზღვროს რას ნიშნავდა ტყუილი მთხრობლობა და რატომ ხდება მისი შესწავლა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ტყუილი მთხრობლობაც ცილისწამების ერთ-ერთ ფორმას, რაც დანაშაულის დაბრალებაში გამოიხატებოდა.

დანაშაულის დაბრალება, „ცილის შეწამება“ შეიძლება მომხდარიყო, როგორც მთხრობლით, ისე „უმთხრობლით“. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის მე-10 მუხლში, რომელიც ფიცის დადების წესს ეხება, აღნიშნულია: „ერთის კარის შეწამებაზე, უმთხრობლად რომ შესწამოს, ერთი შეუგდებელი მოწამე არის. და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა.“³⁴⁷ დანაშაულის დაწამება რომ მთხრობლით, ან მთხრობლის გარეშე შეიძლება ამას დასახელებული სამართლის წიგნის სხვა მუხლებიც ადასტურებენ (მუხლები 37-40)³⁴⁸. თუ მთხრობლით ხდება დაწამება, ეს გარემოება ყოველთვის სპეციალურად არის აღნიშნული (მუხ. 37): „თუ მკულეელი არა ჩანდეს და ერთს კაცს მთხრობლით თუ ცილით შესწამონ.“³⁴⁹ ზოგჯერ ერთ მუხლშია მოცემული ცილის „შეწამება“ მთხრობლით და მის გარეშე (მუხ. 39): „თუ დიდებულის სისხლი შუას თავადს შეეთქუას, გასინჯე თუ ცილის წამებით არის, უნდა ან მოწმით, ან ფიცით, ან შანთით გამართლდეს. და თუ ეს შეწამება მთხრობლით არის, ასრე უნდა იქნას თუ რომ მთხრობლის დარი ყმა ყუანდეს, კმალში გაჰყუეს, თუ არადა თვითონ გაჰყუეს.“³⁵⁰

ისტორიულ წყაროებში ან სასამართლო პრაქტიკაში მოხსენიებული დანაშაულის დაწამების ყველა შემთხვევა მთხრობლით დაწამების მაგალითად არ გამოდგება. როგორც უკვე იყო აღნიშნული, თუ მთხრობლით ხდებოდა დაწამება, ამის შესახებ უმეტესად სპეციალურად ხდებოდა მითითება.

მთხრობლით „შეწამება“ დანაშაულის დაბრალების უფრო რთულ ფორმას წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს მოფიცართა შერჩევის წესიც. თუ მაგალითად, დაწამება მთხრობლის გარეშე ხდებოდა „შეუგდებელი“ მოწამე უნდა მოეყვანათ, ხოლო ასეთი დაწამება თუ მთხრობლით მოხდებოდა, „შეგდებული მოფიცარი უნდა.“ (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 10).³⁵¹ შეგდებულ მოფიცარს ბრალმდებელი ან მოსარჩელე ასახელებდა, შეუგდებელი მოფიცარის მოყვანა კი შეეძლო ბრალდებულს ან მოპასუხეს.³⁵²

³⁴⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 483.

³⁴⁸ იქვე, 491-492.

³⁴⁹ იქვე, გვ. 491.

³⁵⁰ იქვე, გვ. 491.

³⁵¹ იქვე, გვ. 483.

³⁵² იხ. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 80.

მთხრობლის ბრალდების გაქარწყლება, ბრალდებულისათვის უფრო რთული იყო.

„მთხრობელი“ „მთქმელს“, „მომთხრობს“³⁵³ ნიშნავდა. ხოლო რაც შეეხება „მთხრობლობას“, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში განმარტებულია როგორც ბეზღება, მახრობლობა.³⁵⁴ ძველ ქართულ სამართალში გვხვდება ტერმინები, როგორც დაბეზღება, ისე დასმენა, შესმენა, მთხრობლობა. ყველა ეს ტერმინი მსგავსი შინაარსობრივი დატვირთვისაა. მაგრამ მთხრობლის, როგორც დაბეზღების ტერმინის გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ იგი დაბეზღების უფრო „სპეციალურ“ სახეს წარმოადგენდა. თუმცა აუცილებელი იქნება ზემოთ დასახელებული ტერმინებს შორის განმასხვავებელი ნიშნის მოძებნა, რის გარეშეც ვერ მოხდება ტყუილ მთხრობლობის და ცრუ დასმენის გამიჯვნა.

გ. ნადარეიშვილის აზრით, თუ „მთხრობელი“ ცილისმწამებელი იყო, ის ამავე დროს დამსმენის როლშიც გამოდიოდა.³⁵⁵ დასმენა განმარტებულია, როგორც დაბეზღება, ბრალის დადება.³⁵⁶ დასმენა შეიძლება მოხდეს როგორც უშუალოდ დანაშაულის მოწმე პირის მიერ, ისე სხვა პირის მიერაც, რომელმაც ამა თუ იმ სახით შეიტყო დანაშაულის და დამნაშავის შესახებ. მთხრობელი დამბეზღებელს, ბრალის დამდებს წარმოადგენდა, ხოლო ტყუილი მთხრობელი იქცევა ცილისმწამებელად.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის C ნუსხის 236-ე მუხლით, მთხრობელი ინფორმაციას დაზარალებულს აწვდიდა, რისთვისაც იგი სამთხრობლოს იღებდა, მაგრამ ამავე დროს უნდა ეკისრა ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ მოსამართლესთან თავის მიერ მიწოდებული ინფორმაცია დაედასტურებინა. „მთხრობელმან როდისაც უთხრას კაცსა და სამათხრობლო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა დაიდოს, რომ, თუ გაჭირდეს, პირს დაუდგებიო. რომელიც ამის პირს ვერ მისცემს, იმაში ტყუილი ურევია.“³⁵⁷ მთხრობლის მხრიდან ასეთი პირობის მიუცემლობა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სიცრუეს ადასტურებდა. დასახელებული სამართლის წიგნის 38-ე მუხლიც გვაძლევს ამის თქმის საშუალებას, სადაც საუბარია მკვლელობის დაწამებაზე: „თუ მთხრობლით სწამობდეს...“³⁵⁸ ეს ნიშნავს, რომ არა უშუალოდ მთხრობელი აყენებს ბრალდებას სასამართლოს წინაშე, არამედ, დაზარალებული მთხრობელის მიერ წინასწარ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაყრდნობით. თუმცა მთხრობელს ყველა შემთხვევაში უწევს თავისი სიმართლის

³⁵³ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 478; *აბულაძე ი.*, დასახ. ლექსიკონი., გვ. 241.

³⁵⁴ *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 723.

³⁵⁵ იხ. *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივის და ღირსების დაცვა ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 67.

³⁵⁶ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 415.

³⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 541.

³⁵⁸ იქვე, გვ. 491.

მტკიცების ვალდებულება სასამართლოს წინაშე, თუ ბრალდებული დანაშაულის ჩადენას არ აღიარებდა.

დასმენის აუცილებელ ნიშანია პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ განაცხადის გააკეთება ხელისუფლების წარმომადგენელთან, სასამართლოში. მთხრობელი კი უმეტეს შემთხვევაში დაზარალებულს მიმართავდა და დაზარალებული მთხრობლის ნათქვამის შემდეგ ბრალს დებდა დამნაშავეს. რაც შეეხება „სადეთო წანახედის“ და „სახელმწიფო ორგულების“ შესახებ მთხრობლობას, ასეთი დანაშაულების შესახებ სავარაუდოდ მეფისთვის, ან მთავრისთვის, ან სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. მთხრობლობასა და დასმენას შორის საერთო ნიშნები ბერძნულ სამართალში უფრო იკვეთება. 331-ე მუხლში აღნიშნულია: „კაცმან რომ კაცისაგან გაიგონოს სიტყუა რამე, წავიდეს და უმათხრობლოს, სიტყუა იგი უთხრას მთავარსა მის ალაგისასა, მართებულა.“³⁵⁹ ბერძნული სამართალის მიხედვით მთხრობლის მიერ დაწამება ხდება მთავართან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთან, ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის სახეს.

მოსაზრება, რომ ტყუილი მთხრობელი ცრუ ჩვენების მიმცემი მოწმეა და ამით განსხვავდება ის დამბეზღებლისაგან, რომელიც წარმოადგენდა დანაშაულის შესახებ ცრუ დამსმენს, დაზუსტებას საჭიროებს. თუ ტყუილი მთხრობელი განაცხადს სასამართლოში გააკეთებდა, მაშინ იგი ცრუ დამსმენს ემსგავსება. თუ დაზარალებულს მიმართავდა და პირობას დებდა რომ პროცესზე გამოვიდოდა, მაშინ ცრუ ჩვენების მიმცემ მოწმეს უფრო შეესაბამება. მაგრამ, ძველ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ტყუილი მთხრობელი, არც ცრუ დამსმენად შეიძლება ჩაითვალოს, და არც ტყუილ მოწმედ. მანუჩარ ჭყონიასა და სისონიკა მელიას ცხენის საქმეზე (1818 წლის 13 სექტემბრის განჩინება), მანუჩარ ჭყონია სისონიკა მელიას ტყუილ მთხრობლობაში დებდა ბრალს.³⁶⁰ განჩინების მიხედვით ცრუ დასმენას ადგილი არ ჰქონია, რადგან სისონიკა მელიამ უშუალოდ დაზარალებულს მიმართა და არა სასამართლოს. მას ვერც ცრუ მოწმედ განვიხილავთ, რადგან სისონიკა მელია არც სასამართლოში გამოსულა ცრუ ჩვენების მისაცემად. ტყუილი მთხრობელი, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ატარებდეს ცრუ დამსმენის ნიშნებს, სხვა შემთხვევაში შესაძლოა უფრო ცრუ მოწმეს ემსგავსებოდეს, ხოლო სხვა დროს შესაძლოა განსხვავდებოდეს როგორ ერთისგან ისე მეორისგან. ეს ადასტურებს, რომ ტყუილ მთხრობლობას ვერც ცრუ დასმენასთან და ვერც ცრუ მოწმეობასთან ვერ გავაიგივებთ და რომ, მას თავისებური შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა.

ტერმინები მთხრობლობა, მთხრობელი ძველ ქართულ სამართალში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო დამკვიდრებული. მოხსენიებულია ქართული სამართლის ძეგლებში (ამ ტერმინს ვხვდებით ბექა-აღბუღას სამართალში (მუხ. 92)³⁶¹, ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში (37-40,

³⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 204.

³⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 544.

³⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 461.

236-ე მუხლები)³⁶², დავით ბატონიშვილის სამართალში (მუხ. 94),³⁶³ გამოიყენებოდა სასამართლო პრაქტიკაში.³⁶⁴ ბექა-აღბუღას სამართალში (მუხ. 92), მთხრობელი მოხსენიებულია დაკარგულის პოვნასთან დაკავშირებით, ცნების განმარტების საშუალებას დასახელებული სამართლის ძეგლი არ იძლევა. ამ მუხლის ბოლო ნაწილის მიხედვით, შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება, რომ მთხრობლის გამო დამკარგავს შეეძლო ვინმესთვის „მრუდი დაეწამა“: „ეს კარგად მონახონ, მთხრობელი, მპოვნელი, მეკობრე, ერთად არ იყოს, ანუ მან დამკარგავმან მრუდი არა დასწამოს რა.“³⁶⁵ როგორც ჩანს, მთხრობელს შეუძლია ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის და დამნაშავის შესახებ და ამ გზით პირისთვის დანაშაულის დაწამება.

იგივე შინაარსით ვხვდებით ამ ტერმინს ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში „მთხრობლით“ მკვლევლობის დაბრალებისას (მუხ. 37), „მოსამართლემ შემოიკითხოს, თუ რას გზით სწამობენ და რას არის მიზეზი, როგორც უქნიათ, რაგვარათ მოუკლავთ, – ესეები ათქმევინონ. და თუ ამგვარის გამოკითხვით და ძებნით შეაჩნიონ, როგორც გვითქუამს, ისრე უნდა გარდაიწადოს.“³⁶⁶

დასახელებული სამართლის წიგნის 38-ე მუხლშიც ასევე საუბარია მთხრობლით მკვლევლობის დაწამებაზე: „თუ მთხრობლით სწამობდეს და დაწამებულს მთხრობლის ტოლი ყმა ყუანდეს, ჳმალში გაატანოს“.³⁶⁷ თუ დაუუკვირდებით ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის ამ ორ მუხლს, შევამჩნევთ, რომ ორივე შემთხვევაში პირის დადანაშაულების საფუძველს წარმოადგენს მთხრობლის მიერ დამნაშავეზე მიწოდებული ცნობები.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის B ნუსხის 236-ე მუხლში, უფრო ზუსტად არის მთხრობლის ცნება ჩამოყალიბებული: „მთხრობელი იმას ქვიან, რომელსაც უნახავს თვალითა, როგორც მოუპარავს ან დაუმაღავს.“³⁶⁸ მოყვანილ მუხლში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზეა აქცენტი გაკეთებული, აღბუღას სამართალშიც მოხსენიებულია მთხრობელი ქურდობის დაწამებასთან დაკავშირებით (მუხ. 92).³⁶⁹ მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მთხრობლობას და შესაბამისად ტყუილ მთხრობლობასაც, მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის სხვა მუხლებში მთხრობელი მოხსენიებულია მკვლევლობასთან (მუხლები 37-40),³⁷⁰ „სად-თოს

³⁶² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491-492; 541.

³⁶³ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 58.

³⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 544; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 395.

³⁶⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 461.

³⁶⁶ იქვე, გვ. 491.

³⁶⁷ იქვე, გვ. 491.

³⁶⁸ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 112.

³⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 461.

³⁷⁰ იქვე, გვ. 491-492.

წანაკედისა“, და ჳელმწიფის ორგულობასთან დაკავშირებით (მუხ. 236).³⁷¹ მაგრამ რა უნდა იგულისხმებოდეს „სად-თოს წანაკედში“? სადმითოში ღვთისადმი საკუთნავი იგულისხმებოდა,³⁷² ხოლო წანახედი დასაკლის ნიშნავდა.³⁷³ შესაძლოა „სადვთო წანაკედი“ რელიგიური დანაშაულებს მოიცავდა.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიაში მთხრობლობას რამდენიმე მუხლი აქვს დათმობილი. ბერძნული სამართლის მთხრობელის განმარტება ქართულს რომ შევადართო, დავინახავთ, რომ ორივე სამართლის ძეგლში „მთხრობელს“ ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ბერძნული სამართალი (მუხ. 332) – „უკეთუ იცოდეს ვინმე, რომ იმ კაცმა კარგი ქნა თუ ავი, კიდევ ნახოს, დამალავს თავის სარგებელის გულისათვის, არ გამოაჩენს, ხოლო ის საქმე სხვამ არავინ იცის, არამედ იმან, რომელმანცა ქმნა რამე, და იმან, ვინც ნახა. პირველად ვინც თქუას, რომ ეს საქონელი იმ კაცს აქუსო, მივიდეს და ის სიტყუა მოსამართლეს მოაჭსენოს, მისი მიტანილი ამბავი არ ირწმუნების, არამედ, რომელმანცა იცოდეს მართალი და თქუას, ის იქნება მთხრობელი.“³⁷⁴

სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მთხრობელი არის დანაშაულის თვითმხილველი პირი. ამ განმარტებას უმატებენ სხვა ნიშანსაც, რომ მთხრობელი გასამრჯელოს მიღების მიზნით აცნობებს დაზარალებულს დამნაშავის ვინაობას და პირობას დებდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო პროცესში მიიღებდა მონაწილეობას, როგორც ბრალდების მოწმე. ამ განმარტებისას გიორგი ნადარეიშვილი ეყრდნობა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის B ნუსხის 236-ე მუხლს.³⁷⁵

მსგავს განმარტებას გვაძლევს თ. მონიავაც: „მთხრობელი“ ერქვა იმ პირს ვინც საკუთარი თვალთ ნახა, თუ „ვინ და როგორ მოიპარა ან დამალა რაიმე ნივთი.“ მასვე ევალებოდა ჩადენილი დანაშაულის შესახებ მოსამართლისათვის ჩვენების მიცემა და დამნაშავესთან დაპირისპირება, თუ ეს უკანსკნელი უარყოფდა დანაშაულის ჩადენას. ამდენად, მთხრობლად არ ჩაითვლებოდა პირი ვინც საქმის არაპირდაპირი მოწმე იყო და ჩვენების მიცემა შეეძლო მხოლოდ სხვა პირთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.“³⁷⁶

მთხრობელის ცნების განმარტების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ტყუილი მთხრობელი არის პირი, რომელიც აცხადებს, რომ არის ჩადენილი დანაშაულის უშუალო შემსწრე და ცილისწამებს იმ პირს ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია.

³⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 541.

³⁷² იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1096.

³⁷³ იქვე, გვ. 1645.

³⁷⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 205.

³⁷⁵ იხ. *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივის და ღირსების დაცვა ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 67.

³⁷⁶ *მონიავა პ. (თემურ)*, დასახ. ნაშ., გვ. 76.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საკითხის გარკვევა ვინ სდებდა ბრალს სასამართლოში ტყუილ მთხრობელს ცილისწამებისთვის. 1818 წლის განჩინებით, (მანუჩარ ჭყონიას და სისონიკა მელიას საქმეზე), რამდენად უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს საჩივარი წარადგინა მან ვისაც უმთხრობლეს და არა მან ვისაც დანაშაული დააბრალეს.³⁷⁷ რითია განპირობებული აღნიშნული გარემოება. პირის დანაშაულში ცრუ ბრალდება ბრალმდებლის მხრიდან საუპატიოს გადახდას იწვევდა. „რადგან შენგან ასე წერილი ავიღე და სამთქმელო გამომართვი და მე გული თამამად მქონდა და იმ კაცს ვემტერე და რომ ვემტერე, მოდი და მერმე შენ და იმ კაცს დამთხოვე და მისი საუპატიო დამდევი და აღარც შენ მაძლეე ჩემს ცხენს, და რას, მემართლები არ ვიცი.“³⁷⁸ როგორც უკვე იყო აღნიშნული საუპატიო ნიშნავდა საუკადრისოს, გარდასახადს უპატიობისათვის, ანუ თვით უპატიობას, ხოლო უპატიობა პატივის ახდას.³⁷⁹ ამ შემთხვევაში დავის საგანია ის მატერიალური ზარალი, რაც ბრალმდებელმა განიცადა სამთხრობლოს გადახდით და იმ „საუპატიოს“ სახით, რაც დაეკისრა ცილდაწამებულის მიმართ. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, პირს ქურდობაში ბრალს დებს არა ტყუილი მთხრობელი, არამედ ცხენის დამკარგავი ტყუილი მთხრობლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად საუპატიოს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა არა ტყუილ მთხრობელს, არამედ ბრალმდებელს. თავის მხრივ შეცდომაში შეყვანილი ბრალმდებელი წარადგენდა საჩივარს ტყუილი მთხრობლობისათვის.

თუ მთხრობელი განაცხადს მაგალითად მთავართან გააკეთებდა ბრალმდებლად ტყუილი მთხრობელი გვევლინება, შესაბამისად პასუხისმგებლობა დაწამებისათვის მასვე დაეკისრებოდა.³⁸⁰

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 39-ე მუხლით, მიუხედავად იმისა რომ დაზარალებული მთხრობლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დებს ბრალს დანაშაულს სასამართლოს წინაშე სისხლის ფასს მკვლელობის დაბრალებისათვის იხდის ტყუილი მთხრობელი: „თუ, ვინ იცის, მთხრობელს გარდამგებლის სისხლის მიცემა არ შეეძლოს...“³⁸¹

ტყუილი მთხრობლობის ცნება მსგავსია რომის სამართალში არსებული ტერმინის-calumnia. ნ. სურგულაძის განმარტებით „რომის სამართლის მიხედვით calumnia „ცილისწამება“ ნიშნავს შეგნებულად ცრუ მოთხოვნას, ბრალდებას, სასამართლო პროცესზე ცილისმწამებლურ

³⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 545.

³⁷⁸ იქვე, გვ. 544.

³⁷⁹ იხ. *წუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1124, 1264.

³⁸⁰ ბერძნული სამართლის ქართული ვერსია მუხ. 331. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 204.

³⁸¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 492.

განცხადებას.³⁸² რომის სამართლით ყველა შემთხვევა, როცა პირი ვერ ახერხებს თავისი ბრალდების დამტკიცებას, არ ნიშნავს, რომ ცილისწამებას ჰქონდა ადგილი. უნდა გამოკვლეული ყოფილიყო რა მიზნით მოხდა ბრალდება. თუ პირი კეთილსინდისიერად შეცდა ბრალდებისას, ეს მას გაამართლებს, მაგრამ თუ დადგენილი იქნება, რომ აშკარად ცილს წამებდა, მაშინ ტყუილი ბრალმდებელი უნდა დასჯილიყო.³⁸³ მეცნიერთა შორის არ არის ერთიანი შეხედულება რომის სამართალში *calumnia*-ს არსის შესახებ, ამ ქმედებით პირის პატივის ხელყოფა ხდებოდა, თუ სახელმწიფო ინტერესების. არსებობს ასევე შუალედური მოსაზრება, რომ *calumnia* როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას წარმოადგენდა.³⁸⁴

ამდენად, ტყუილი მთხრობლობა, როგორც ცილისწამების ერთ-ერთი ფორმა დანაშაულის დაბრალებაში გამოიხატებოდა. მიუხედავად იმისა რომ ტყუილი მთხრობლობა და ცრუ დასმენა შინაარსობრივად მსგავსია, სამართლის ძეგლებში ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნორმების არსებობა, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ ცალკე ტყუილი მთხრობლობისათვის და ცალკე ტყუილი დაბეზღებისათვის, უკვე საკმარის არგუმენტად გამოდგება იმისთვის, რომ ტყუილი მთხრობლობა ცრუ დასმენასთან არ იქნეს გაიგივებული და ჩაითვალოს ცალკე დელიქტად.

³⁸² იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი მესამე, წიგნი მეოთხე, გამოსცა *ნ. სურგულაძემ*, თბ., 2013, გვ. 371. ცილისწამებლის შესახებ არის საუბარი დიგესტების მესამე წიგნში (D.6.1): „ვისზეც ამბობენ, რომ მან ფული აიღო, რათა მას ვინმეს „ცილისწამებისათვის“ რაიმე საქმე შეესრულებინა ან არ შეესრულებინა, იგი ერთი წლის განმავლობაში ფაქტიდან (ქმედებიდან) გამომდინარე სარჩელით მიღებული ფულის ოთხმაგი ოდენობით აგებს პასუხს, ერთი წლის შემდეგ კი – ერთმაგი ოდენობით. § 1. ხოლო პომპონიუსი წერს, რომ ეს სარჩელი ეხება არა მარტო ფულთან დაკავშირებული, არამედ, ასევე, საჯარო დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებს, რადგან, ქრთამის შესახებ კანონითაც, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა იმას ეკისრება, ვინც ცილისწამების მეშვეობით რაიმე საქმის შესრულების თუ არშესრულებისათვის ფული მიიღო.“ D.3.6.1.1. იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი მესამე, წიგნი მეოთხე, გამოსცა *ნ. სურგულაძემ*, თბ., 2013, გვ. 89, 90. ტერმინ „calumnia“-ს ეხება ჰაინც სიმონი. *Heinz S., .Das Wesen der falschen Anschuldigung in der geschichtlichen Entwicklung und im ausländischen sowie geltenden und kommenden deutschen Strafrecht, Breslau- Neukirch, 1939, s. 3-5*

³⁸³ D.48.16.1.3. Дигести Юстиниана, том VII, полутом 2, книга XLVIII-L, ответственный редактор Л. Л. Кофанов, ст., 131, М., 2005.

³⁸⁴ იხ. *Heinz S., .Das Wesen der falschen Anschuldigung in der geschichtlichen Entwicklung und im ausländischen sowie geltenden und kommenden deutschen Strafrecht, Breslau- Neukirch, 1939, s. 7-8*

3.2 ტყუილი მთხრობლისა და ცრუ მოწმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა

მთხრობელის განმარტების მიხედვით, იგი წარმოადგენს დანაშაულის შემსწრე პირს. აღ. ვახეიშვილის აზრით, მთხრობელი ბრალის მდებელ მოწმეს უნდა ნიშნავდეს.³⁸⁵ ძველ ქართულ სამართალში „მთხრობელი“ და „მოწმე“ შინაარსობრივად იდენტური ცნებები არ არის. მოწმის და მთხრობელის ცნებების ერთმანეთთან შედარება გაადვილებს ტყუილი მთხრობელის და ცრუ მოწმის გამიჯვნას.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართალის წიგნის მე-13 მუხლში მოხსენიებულია როგორც მთხრობელი, ისე მოწმეც. თუ შინაარსობრივად ეს ორივე ცნება იდენტურია, მაშინ გაუგებარია რატომ დასჭირდა კანონმდებელს ერთი და იგივე მუხლში ორივე ტერმინის გამოყენება. ასევე სასამართლო განჩინებებში მთხრობელი და მოწმე ცალ-ცალკე იხსენიება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ „მთხრობელი“ არის პირი რომელიც დანაშაულის ჩადენის უშუალო შემსწრეა და კონკრეტულ პირს დებს ბრალს. ხოლო „მოწმეს“ შეეძლო ბრალდებულის ინტერესების დამცველიც ყოფილიყო, დანაშაულთან დაკავშირებით რაიმე ფაქტი დაედასტურებინა, ან პირიქით. ვახტანგ ბატონიშვილის სამართალის მე-13 მუხლში ვკითხულობთ: „მაგრამ მოსამართლემ თუ ტყუილი მოწმობა და მთხრობლობა შეამჩნია ვისმე, დიად ნასადი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს.“³⁸⁶ როგორც ჩანს საუბარია, როგორც ტყუილი მოწმის, ისე ტყუილი მთხრობელის დასჯაზე, რაც ამ ცნებების იდენტურობას გამორიცხავს. ამასვე ადასტურებს ბერძნული სამართალიც, სადაც ცალკე თავია გამოყოფილი მთხრობლობისათვის (331-335 მუხლები), და ცალკე „მოწმეთა მოწმობისათვის“ (336-338 მუხლები).³⁸⁷

დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით, მთხრობელი დანაშაულის თვითმხილველი თუ არის (მუხ. 94),³⁸⁸ მოწმე შეიძლება არც იყოს დანაშაულის უშუალო შემსწრე (მუხ. 245). ასეთი მოწმის ჩვენება კი კანონმდებლის მიერ არასაკმარის მტკიცებულებად ითვლებოდა: „ოდესცა მოწამედ არა არს თვითმხილველ საქმისა, არამედ შესმენილი იგი იპოვა საეჭოსა ადგილსა, სადაცა იქმნა სიბოროტედ ესევეთარი, მაშინ მოწმობა არა კმა არს.“³⁸⁹

მთხრობელს და მოწმეს სხვადასხვა პროცესუალური ბუნების მატარებლად მიიჩნევს მ. კეკელია. მისი განმარტებით, „თვითმხილველ მოწმესა და „მთხრობელს“ შორის ის განსხვავებაა, რომ მთხრობელი მეტ აქტივობას იჩენს დანაშაულის მხილებაში. ასევე თვითმხილველი მოწმე გასამრჯელოს არ დებულობს, მთხრობელი კი დაზარალებულისათვის დამნაშავეზე ცნობის მიწოდებისა, თუ ეჭვმიტანილთან დაპირისპირებისათვის ყოველთვის იღებს საზღაურის სახით –

³⁸⁵ იხ. ვახეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1948, გვ. 71.

³⁸⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 485.

³⁸⁷ იქვე, გვ. 204-206.

³⁸⁸ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 58.

³⁸⁹ იქვე, გვ. 146.

„სამთხრობლოს.“³⁹⁰ შესაბამისად ტყუილმა მთხრობელმა შეიძლება აიღოს სამთხრობლო, განსხვავებით ცრუ მოწმისაგან. მაგრამ რაც მთავარია, ტყუილი მთხრობლის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს უდანაშაულო პირის დანაშაულის ჩადენის დაწამება, ხოლო ცრუ მოწმის ჩვენებები შეიძლებოდა არც ყოფილიყო დაკავშირებული დანაშაულის დაბრალებასთან. ამას გარდა, თუ მოწმეთა რაოდენობა ორი მაინც უნდა ყოფილიყო, რომ მოსამართლეს დაეჯერებინა (ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი, მუხ. 13),³⁹¹ მთხრობელთან დაკავშირებით ასეთ მოთხოვნას ვერ ვხვდებით და სასამართლო განჩინებებზე დაყდრნობით ერთი მთხრობელის ბრალდება საკმარისი საფუძველი იყო, რომ საქმე სასამართლოს განეხილა.

ამ დეტალების გარდა უნდა აღნიშნოს კანონმდებლის უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად მთხრობლობისადმი: „მთხრობლობა საქმით ხომ მართალიც ცოდვა არის და ტყუილი მესისხლობა არის.“³⁹² მართალი მთხრობლობის ცოდვად ჩათვლა, არ უნდა ნიშნავდეს ამ ქმედების დასჯადობას, როგორც ეს დამბეზღებელი ყმის მიმართ არის მითითებული ბერძნულის სამართლის ქართული ვერსიის 167-ე მუხელში,³⁹³ არამედ უნდა გამოხატავდეს იმ დამოკიდებულებას რაც საქართველოში არსებობდა დასმენასთან დაკავშირებით.

³⁹⁰ *კეკელია მ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. II, თბ., 1981, გვ. 195.

³⁹¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 486.

³⁹² იქვე, გვ. 541.

³⁹³ იქვე, გვ. 171.

3.3 ტყუილი მთხრობლობისათვის გათვალისწინებული სასჯელები

კანონმდებლის მოთხოვნით ტყუილი მთხრობლობა უნდა დასჯილიყო და თანაც ძალიან მკაცრად, რომ მას პრევენციული ეფექტი ჰქონოდა სხვებზე (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალის მე-13 მუხლი): „მაგრამე მოსამართლემ თუ ტყულის მოწმობა და მთხრობლობა შეამჩნია ვისმე, დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს.“³⁹⁴ ეს არის ზოგადი მოთხოვნა მოსამართლეთა მიმართ, მაგრამ კონკრეტულად რა სანქციები შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული ტყუილ მთხრობელთა მიმართ, ან რა გარემოებებზე იყო დამოკიდებული სასჯელის სახე, თუ ზომა?

ნასალი აკლებას, აფორიაქებას ნიშნავდა.³⁹⁵ აღ. ვაჩეიშვილის აზრით, ეს სიტყვა ნიშნავდა არა ქონებრივ ხასიათის სანქციას, არამედ იგი იყო დამასახიჩრებელი სასჯელი.³⁹⁶ რადგან ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში დამასახიჩრებელ სასჯელებს „გახეიბრება“ ეწოდება, ეს მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ შესაძლოა „ნასალი“ სხვა შინაარსის შემცველი სასჯელი იყოს და დამნაშავის კარმიდამოს დარბევას, აკლებასა და აფორიაქებას ნიშნავდეს.³⁹⁷

თავად სიტყვის განმარტებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ითქვას, რომ „ნასალი“ დამასახიჩრებელ სასჯელს წარმოადგენდა. ამას გარდა, ნაკლებად სავარაუდოა ტყუილი მთხრობლობის ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რა დანაშაულის ჩადენას სწამებდა მთხრობელი, ასეთი მძიმე სასჯელი გამოეყენებინათ. ამ ვარაუდს ამყარებს, ისიც, რომ თავად ვახტანგ ბატონიშვილის სამართალის წიგნის იმ მუხლებში, სადაც კონკრეტული დანაშაულის მთხრობლობაზეა საუბარი, დამასახიჩრებელი სასჯელი საერთოდ არ არის მოხსენიებული. სასამართლო პრაქტიკაშიც არ ვხვდებით ტყუილი მთხრობლობისას ამ სახის სასჯელს. თუ კარმიდამოს აკლებაზეა საუბარი, უფრო საფიქრებელია, რომ კანონმდებელს ქონებრივი სანქციები ეგულისხმა, მით უმეტეს, რომ ტყუილი მთხრობლობისას სისხლის დაურევებას და ჯარიმას უფრო მიმართავდნენ. ამას გარდა, ვახტანგ ბატონიშვილის სამართალის წიგნის 236 მუხლის მიხედვით ტყუილ მთხრობელს ის სასჯელი უნდა დაკისრებოდა რა დანაშაულსაც სწამებდა: „თუ ტყუილად კაცმა კაცს უმთხრობლოს და მთხრობელი გამტყუნდეს, რაც იმის ენით მართალს კაცს ედებოდეს, იმთონი მოსამართლემ გარდაუკდევინოს.“³⁹⁸ ეს კი გამორიცხავს, რომ ტყუილ მთხრობელის მიმართ სასამართლოს ყოველთვის დამასახიჩრებელი სასჯელი გამოეყენებინა, რადგან პირდაპირ არის ხაზი გასმული, რომ სასჯელი სახე და ზომა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დანაშაულს სწამებდა ტყუილი მთხრობელი.

³⁹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 485.

³⁹⁵ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 960.

³⁹⁶ იხ. *ვაჩეიშვილი აღ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946, გვ. 110-111.

³⁹⁷ იხ. *დოლიძე ის.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 247-248.

³⁹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 542.

გვემით სასჯელს ვხვდებით ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის B ნუსხის 236-ე მუხლში: „თუ ქურდი ვერ გატეხა და თვითან გამტყუნდა, სცენ, ჯარიმა წაართვან ისე გააგდონ.“³⁹⁹ ამ შემთხვევაში გვემითი სასჯელი ჯარიმასთან ერთად გამოიყენებოდა, ქურდობის ტყუილი მთხრობლობისას. ცემას მსუბუქ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში მიმართავდნენ.⁴⁰⁰ სავარაუდოდ ცემის ფორმა არ უნდა ყოფილიყო მკაცრი. როცა სასჯელის სიმკაცრეზე უნდოდა კანონმდებელს ხაზის გასმა, როგორც მაგალითად ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, როცა „ნასაღზეა“ იყო საუბარი, სპეციალურად არის მითითება, რომ მოსამართლემ „დიდი ნასაღი“ უნდა უყოს დამნაშავეს.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 236-ე მუხლი სხვადასხვა ხელნაწერებით განსხვავებულ სანქციებს აწესებს ტყუილი მთხრობლობისათვის. C ნუსხით სასჯელის დანიშვნის წესი მსგავსია ამავე სამართლის წიგნით ტყუილი დაბეზღებისათვის (მუხ. 253) დაწესებული სასჯელისა. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის დამწამებელთა დასჯადობის მიმართ კანონმდებელს ერთნაირი მიდგომა აქვს ჩამოყალიბებული. მაგრამ B ნუსხის 236-ე მუხლით კონკრეტული სასჯელებია მითითებული. გამოყენებული სასჯელების მიხედვით B ნუსხით ტყუილი მთხრობლობა საჯარო დელიქტს წარმოადგენდა, თუმცა ეს სასჯელები მხოლოდ ქონებრივ დანაშაულთა მთხრობლობას ეხება. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში მკვლევლობის დაწამების მუხლები (38-40) ტყუილი მთხრობლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებენ, შესაბამისად მათი დასჯადობა ამ შემთხვევებში ამ მუხლების მიხედვით განისაზღვრებოდა, მიუხედავად იმისა რომელი ნუსხის ტყუილი მთხრობლობის დასჯადობა უფრო სარწმუნოდ ჩაითვლება.

ტყუილი მთხრობელი იმავე სასჯელით რომ უნდა დასჯილიყო, რაც დაწამებულს მოელოდა ქართული ჩვეულებითი სამართლითაც დასტურდება.⁴⁰¹ იგივე დებულებას იმეორებს დავით ბატონიშვილის სამართალი (მუხ. 94): „გარნა ემკაცრენ, რათა არა ცრუდ იმთხრობლონ, რომელნიცა დაისჯებიან, რაოდენსაცა ზედა უმთხრობლიეს, ეგოდენითა, რომელსაცა მიეცემის ნახევარი, ვინცა შეუსმენიეს მას, და ნახევარი დაიდების ჯურუმად მეფისათვის.“⁴⁰²

დავით ბატონიშვილის სამართალში (მუხ. 94) ცრუ მთხრობლობა საჯარო დელიქტად წარმოგვიდგება, რადგან ჯარიმა, რომელიც პირს ცრუ მთხრობლობისათვის გარდახდებოდა ნახევარი მეფეს ეკუთვნოდა, მეორე ნაწილი კი ცილდაწამებულს ეძლეოდა. როგორც ჩანს, ტყუილი მთხრობლობისას სანქცია მხოლოდ ქონებრივი ხასიათის შეიძლებოდა ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის 94 მუხლი⁴⁰³ და ვახტანგ

³⁹⁹ ვახტანგ VI სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 112.

⁴⁰⁰ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშ., გვ. 361.

⁴⁰¹ იხ. *კეკელია მ.*, დასახ. ნაშ., გვ. 206.

⁴⁰² სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 58.

⁴⁰³ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 58.

ბატონიშვილის სამართლის წიგნის C ნუსხის 236 მუხლიც,⁴⁰⁴ ერთნაირ მოთხოვნას შეიცავს სასჯელის დანიშვნის ზოგადი პრინციპის შესახებ, რომ ტყუილი მთხრობელი ისევე უნდა დასჯილიყო, რაზეც იმთხრობდა. მაგრამ თუ დავით ბატონიშვილის სამართალით ტყუილ მთხრობელს აკისრებს ნახევარი ჯარიმის გადახდას მეფის სასარგებლოდ, მსგავს მოთხოვნას ვერ ვნახულობთ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის დასახელებულ მუხლში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება დაკონკრეტებული არ არის, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი ყველა შემთხვევაში მსგავსად უნდა გადაწყვეტილიყო. იმავე სამართლის წიგნის 38-ე, 39-ე და მე-40 მუხლებით,⁴⁰⁵ მკვლელობის ტყუილი მთხრობლობისას ცილდაწამებულს ერგებოდა მთელი სისხლი. სასჯელის დაკისრება ხდებოდა დაზარალებულის სასარგებლოდ და არა სახელმწიფოსი, ვინაიდან კანონმდებელი ამ შემთხვევაში კომპოზიციას მიმართავს. რის საფუძველზეც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ტყუილი მთხრობლობის ყველა შემთხვევა ვახტანგ ბატონიშვილის სამართალით არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საჯარო-სამართლებრივი დელიქტი. რაც შეეხება იმავე სამართლის წიგნის B ხელნაწერის 236 მუხლს, მასში მოხსენიებულია, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ცემასთან ერთად ჯარიმაც.⁴⁰⁶ B და C ნუსხების დებულებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის, რადგან B ხელნაწერში აქცენტი გაკეთებულია არა ზოგადად ტყუილ მთხრობლობის დასჯაზე, არამედ კერძოდ ქურდობის დაბრალებაზე და ამ ორივე ნუსხით შევსებით მონაცემებს შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ქურდობის დაბრალებისას ცილისწამების ამ ფორმას კანონმდებელი საჯარო დელიქტად თვლიდა, ეს გასაკვირი არ არის, რადგან თვითონ ქურდობა განხილულია როგორც საჯარო დელიქტი (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 154),⁴⁰⁷ თუმცა ქურდობის ყველა შემთხვევა არა. ხოლო რაც შეეხება სხვა დანაშაულის ტყუილი მთხრობლობას, სანქცია დამოკიდებული იყო დაწამებულ დანაშაულზე. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში, ქურდობის ტყუილი მთხრობლობისას აქცენტი გაკეთებულია ისევე კერძო ინტერესის დაკმაყოფილებაზე.⁴⁰⁸

თ. მონიავას მოსაზრება, თუ ქურდი ვალს ვერ გადაიხდიდა შვიდმაგი ოდენობით, მაშინ მთხრობელი და ქურდი დაზარალებულს უნდა გადასცემოდა, საფუძველს მოკლებულად ჩანს.⁴⁰⁹ თავად ტერმინის, ვალის, ხმარება ამ შემთხვევაში მიუღებელია, რადგან ქურდის მიერ გადასახდელი „შვიდეული“ სასჯელის ფორმას წარმოადგენდა. თუ ქურდს სასამართლოს მიერ საზღაურის გადახდა დაეკისრა, მაშინ გაუგებარია მთხრობლის პასუხისმგებლობის საკითხი დაზარალებულის მიმართ, ვინაიდან არ არსებობს ტყუილი მთხრობლობა. ქურდის გამტყუნება მთხრობელის მიერ

⁴⁰⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 542.

⁴⁰⁵ იქვე, გვ. 491, 492.

⁴⁰⁶ ვახტანგ VI სამართლის წიგნი. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 112.

⁴⁰⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

⁴⁰⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 545.

⁴⁰⁹ იხ. *მონიავა პ. (თემურ)*, დასახ. ნაშ., გვ. 78-79.

მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს ადასტურებდა. როგორც ვახტანგ ბატონიშვილს აქვს აღნიშნული (მუხ. 150), „ქურდობა, დიად, ბევრი რიგი არის და მრავალფერი არის.“⁴¹⁰ ამ მრავალფეროვანი ქურდობებიდან კანონმდებელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიუთითებს, როცა ქურდი საკუთარი თავით და ოჯახით აგებს პასუხს (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 151): „თუ ცოლსა და ქმარს, ერთს სახლში ერთად მწოლს, შეეპარა ქურდი და ისრე ან კაცის იარაღი და ან ტანისამოსი, გინა სხვა რამ მოიპარა, ანუ ქალის სამკაული და ტანისამოსი მოიპარა, ის ნაქურდალიც შვიდეულად უზღოს, და რასაც გვარისა არიან, ნახევარი სისხლი სხვა გარდაუჭადოს. თუ ვერ აუვიდეს, ქურდი თავისის ცოლ-შვილით, საქონლით და ნასყიდით მიეცეს.“⁴¹¹ მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ეს ალტერნატიულ სანქციად არის დასახელებული. შესაბამისად, ზოგადად იმის თქმა, რომ ქურდობის ტყუილი მთხრობლობისას პირი პასუხს აგებდა საკუთარი თავით და ოჯახით არ შეიძლება. შესაძლოა გამონაკლისის სახით, აღნიშნოს, რომ საგარაუდოდ ზემოთ მოყვანილი ფორმის ქურდობისას დაწამებისას ცრუ მთხრობელს შეიძლება საკუთარი თავით და ოჯახით ეგო პასუხი.

მკვლელობის დაწამებისას შეიძლებოდა მტკიცებულებად „ხმალში გატანება“ გამოეყენებინათ. მთხრობელის დამარცხება „ხმალში გატანებისას“ ნიშნავდა, რომ მისი ბრალდება სიცრუეს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში, ცილდაწამებულს მთხრობელი გადაეცემოდა და ამავე დროს მთელი სისხლიც მიეცემოდა (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხლები 38-40).⁴¹² ამ შემთხვევაში კუმულაციურ სანქციასთან გვაქვს საქმე. მართალია ვახტანგ ბატონიშვილის სამართალში ტყუილი მთხრობელის ბრალდებულისათვის გადაცემა ხმალში გატანებას მოსდევს, მაგრამ საგარაუდოდ იგი ყველა შემთხვევაში გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა როგორ მოუწევდა ბრალდებულს თავის მართლება. ამის დადასტურებას წარმოადგენს, XVIII სასუკუნის II მეოთხედის განჩინება, სადაც ბრალდებულის მიერ ფიცით თავის მართლების შემთხვევაში მთხრობელი მას უნდა გადასცემოდა.⁴¹³ ხმალში გატანება, მთხრობლობისას ნამდვილად რომ გამოიყენებოდა ამ ცნობებს ისტორიულ წყაროშიც ვნახულობთ. საუბარია ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაზე, ფაქტზე, რომელიც XVII საუკუნეში მოხდა.⁴¹⁴

ასეთივე კუმულაციურ სანქციას შეიცავს ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის მომდევნო მუხლიც (მუხ. 39), სადაც დამატებულია ალტერნატიული სანქციაც, თუ მთხრობელი სისხლის ფასს ვერ გადაიხდიდა, ის არა მარტო საკუთარი თავით აგებდა პასუხს, არამედ

⁴¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

⁴¹¹ იქვე, გვ. 519.

⁴¹² იქვე, გვ. 491-492.

⁴¹³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 395.

⁴¹⁴ სიაოშ ბარათაშვილმან ბაინდურ თუმანიშვილს ბატონიშვილის მოკვლა დაწამა. რის შემდეგაც გადაწვდა მათი ხმალში გატანება. ორთაბროძოლაში ბაინდურ თუმანიშვილმა გიმარჯვა. აღნიშნულ საკითხს ეხება *მ. კეკელია*. იხ. *კეკელია მ.*, დასახ. ნაშ., გვ. 204. იხ. *კაკაბაძე ს.*, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წ. II, თბ., 1927, გვ. 56-57.

პასუხისმგებლობა მის ოჯახზეც ვრცელდებოდა: „თუ ვინ იცის, მთხრობელს გარდამგებლის სისხლისა მიცემა არ შეეძლოს, მთხრობელი ცოლ-შვილით უნდა მიეცეს.“⁴¹⁵ პირის სოციალურ სტატუსზე, უფრო კი მის მატერიალურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული ალტერნატიული სანქციის დანიშვნა, რადგან მისი გამოყენება ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ტყუილ მთხრობელს სისხლის ფასის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში მკვლევლობის ტყუილი მთხრობლის მიმართ გამოყენებული სანქციების შედარებისას, ჩანს, რომ კანონმდებელი ძალიან მკაცრად აფასებს დასახელებულ ქმედებას. როგორც ის. დოლიძე აღნიშნავს, ხელთ გადაცემისას დამნაშავე, ყოველგვარ პირად ქონებრივ და პირად უფლებებს კარგავდა და მონობაში ვარდებოდა.⁴¹⁶ ტყუილი მთხრობლობისათვის, იგივე სასჯელის დადება, რაც შეიძლებოდა ცილდაწამებულს დაკისრებოდა, მკვლევლობის მთხრობლობისას გარკვეულწილად არის დაცული.

მთხრობლის გადაცემა, მის მიერ უდანაშაულოდ ბრალდებული პირისათვის, როგორც ჩანს სასამართლო პრაქტიკაშიც იყო გავრცელებული. XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის განჩინებაში, დვალიშვილი მარტია და თეთრა დავით ქავთარაძეს შვიდ ტყვეს ედავებოდნენ. მათი საჩივრის საფუძველზე დავით ქავთარაძეს დააკისრეს ფიცი „რვას იმისის შეგდებულის კაცითა და შვიდის შეუგდებლის კაცითა, რომე: ამისმან მადლამან და ძაღმან, გამაცხოველებელმან ღმერთმან, შენი მარტიავ და თეთროავ, რასაც თქვენ გვეწამებით, არცარა ვიცოდეთ სულით გულამდი თქვენის ტყვეეებისას, არც ვიყვნეთ ქმნელნი, არცარას ვერივნეთ.“ თუ ბრალდებული ვერ დაიფიცებდა, მას დასჯიდნენ. ხოლო თუ დაიფიცებდა ეს მას ბრალდებისაგან გაანთავისუფლებდა. ასეთ შემთხვევაში მას „მთხრობელი უნდა მისცენ.“⁴¹⁷ მოყვანილ განჩინებაში არ ჩანს, რომ ტყუილ მთხრობელს დამატებით კიდევ რაიმე სასჯელი თუ დაეკისრა.

განსხვავებულ სანქციას ითვალისწინებს ბერძნული სამართლის ქართული ვერსია (მუხ. 335): „რომელმანაცა კაცმან მთხრობლობა ქნას, დიდმან თუ მცირემან, დაკარგულის ნიშანი არ მიუტანოს პატრონსა და ტყუილად იმთხრობლოს, მოსამართლემ იმ ტყუილს მთხრობელს გაჭურვებულის რკინის დალი ლოყებზე ოთხ-ოთხი დაასვას.“⁴¹⁸ რადგან „დაკარგულის ნიშანზეა“ საუბარი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასახელებული სასჯელი ქურდობის დაბრალებისას გამოიყენებოდა. თუ ქურდობის ტყუილი მთხრობლობისას ქართული სამართლის ძეგლებში უფრო ქონებრივ სანქციას მიმართავდნენ, ბერძნული სამართალი დამასახიზრებელ სასჯელზე აკეთებს აქცენტს.

სამართლის ძეგლებზე და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტყუილი მთხრობლობისათვის სანქციათა სახეები იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რა დანაშაულის დაწამებას ჰქონდა ადგილი.

⁴¹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 492.

⁴¹⁶ ის. დოლიძე ის., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 250-251.

⁴¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 395.

⁴¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 205.

ხოლო რაც შეეხება საკითხს, წარმოადგენდა თუ არა ტყუილი მთხრობლობა საჯარო დელიქტს, ცალსახად ამის თქმა რთულია. დასკვნის გაკეთებისას უნდა დავეყრდნოთ ვახტანგ ბატონიშვილის სამართალს და სასამართლო განჩინებებს. აქ კი წინააღმდეგობრივი სურათი წარმოგვიდგება. როცა საუბარია ქურდობის ტყუილ მთხრობლობაზე, გამოყენებული სანქციიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული დელიქტი საჯარო ხასიათს ატარებს. მაგრამ, როცა მკვლელობის დაწამებაზეა საუბარი, კანონმდებელი კომპოზიციათა სისტემას მიმართავს, ამავე დროს შეიძლებოდა მომხდარიყო დამნაშვის „ხელთ მიცემა“, ასევე პასუხისმგებლობა შეიძლებოდა დაკისრებოდა ოჯახის წევრებსაც. დასახელებული საფუძველს არ იძლევა, რომ ასეთი სახის ტყუილი მთხრობლობა საჯარო დელიქტს მიეკუთვნოს. აქ გარკვეულწილად გამოხატულებას პოულობს, ის გარემოება, რომ ტყუილი მთხრობლობა დაკავშირებულია იმ დანაშაულთან რის შესახებაც მთხრობლობდნენ. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 154-ე მუხლი, რომელიც ქურდობისათვის ითვალისწინებს სასჯელს, ყოველთვის იმის მაგალითად მოყავთ, რომ ძველი ქართული სამართლისათვის საჯარო საწყისი უცხო არ იყო. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ქურდობის ტყუილი მთხრობლობაც საჯარო დელიქტის სახით არის ჩამოყალიბებული. მკვლელობას რაც შეეხება, ის მთლიანად კომპოზიციათა სისტემაზეა აგებული, შესაბამისად მკვლელობის ტყუილი მთხრობლობისას კერძო ინტერესის დაკმაყოფილებაზეა აქცენტი გაკეთებული. ამდენად, ტყუილი მთხრობლობის საჯარო, თუ კერძო ხასიათი დამოკიდებული იყო კონკრეტულად იმ დანაშაულზე, რის შესახებაც მთხრობლობდნენ. თუმცა ძველი ქართული სამართლის განვითარების შემდგომ ეტაპზე, ეს ეხება დავით ბატონიშვილის სამართალს, საჯარო ელემენტების განმტკიცება შეინიშნება. მისი სამართლის წიგნით, ზოგადად ტყუილი მთხრობლობა, ამ შემთხვევაში არ არის აქცენტი გაკეთებული რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ცილისწამებაზე, საჯარო დელიქტს წარმოადგენდა.

3.4. სამთხრობლოს მნიშვნელობა ტყუილი მთხრობლობისას

ტყუილ მთხრობლობისას სასჯელის დაკისრებასთან ერთად სასამართლოს სხვა საკითხიც უნდა გადაეწყვიტა, კერძოდ სამთხრობლოს ანაზღაურების. „სამთხრობლო“ იყო გარკვეული თანხა, რომელსაც როგორც ჯილდო ისე მიეცემოდა მთხრობელს (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 38): „თუ მთხრობლით სწამობდეს და დაწამებულს მთხრობელის ტოლ ყმა ყუანდეს, კმაღში გაატანოს. თუ მთხრობელს გაემარჯოს, სამთხრობლოც მისცეს და სისხლიც.“⁴¹⁹

სამთხრობლოს გადახდა დაზარალებულს ევალებოდა. ამის შესახებ საუბარია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 236–ე მუხლში: „მთხრობელმან როდისაც უთხრას კაცსა და სამთხრობლო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა დაიდოს, რომ, თუ გაჭირდეს, პირს დაუდგებო.“⁴²⁰ სამთხრობლოს გადახდა, როგორც ჩანს ზოგადი წესი იყო, რომელიც ყოველთვის ფიგურირებს, როცა მთხრობელზეა საუბარი.

არც სამართლის ძეგლებში და არც სასამართლო პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში სამთხრობლოს თანხის ოდენობა არ არის განსაზღვრული. დოკუმენტებში ზოგადად არის მითითებული, რომ მოსარჩელეს სამთხრობლო თანხა გადაუხდია. როსტომ ყიფიანისა და ხოსიკა კვანტრეშვილის მოახლის საქმის განჩინებაში (XIX ს. I მეოთხედი) აღნიშნულია, „ერთი მოახლე მყავდა, ჯერ ერთს დას გავატანე მზითვათ და მაშინ არავინ უღვევებია. მას მერმეთ კიდევ მეორეთ გავამზითვე და მოდავე არავინ მყოლია. და ეხლა ეს მოახლე მომპარე და წაიყვანე, ვეძიე და მთხრობლით გამოვაჩინე და სამთხრობლო დამეხარჯა.“⁴²¹ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ზუსტად განსაზღვრული თანხა მთხრობლობისათვის არ იყო დადგენილი, შესაძლოა მხარეები შეთანხმებით წყვეტდნენ და ალბათ ეს უფრო დამოკიდებული იქნებოდა დაზარალებულის ინტერესზე. რამდენად მნიშვნელოვანი იყო მთხრობლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მისთვის, ან ის ნივთი, რომელიც დაეკარგა.⁴²² ზუსტი თანხის მოუხსენიებლობა გასაკვირი არც არის, იქიდან გამომდინარე, რომ ძველ ქართულ სამართალში, ნასყიდობის ხელშეკრულებებშიც ხშირად არ არის ყიდვის საგნის ზუსტი საფასური მითითებული, არამედ ზოგადად აღნიშნულია, რომ გადახდილია „ფასი სრული“.

ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში (მუხ. 334) სამთხრობლოს ოდენობის საკითხი გადაწყვეტილია, როცა საუბარია დაკარგულ ნივთზე. ის ნივთის ღირებულების მერვედს წარმოადგენდა.⁴²³ მაგრამ სხვა დანაშაულებთან დაკავშირებით არც დასახელებული სამართლის წიგნში რაიმე აღნიშნული.

⁴¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491.

⁴²⁰ იქვე, გვ. 541.

⁴²¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 491.

⁴²² იხ. *კეკელია მ.*, დასახ. ნაშ., გვ. 209.

⁴²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 205.

ტყუილ მთხრობლობისას სამთხრობლოს საკითხთან მიმართებაში არსებითია მისი გადახდის მომენტის დადგენა. თუ სამთხრობლო პირს მიეცემოდა მას შემდეგ, რაც სასამართლოს წინაშე დადგინდებოდა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ჭეშმარიტება, მაშინ სამთხრობლოს გადახდის საკითხი ტყუილ მთხრობლობასთან დაკავშირებით ინტერეს კარგავს, რადგან სამთხრობლო დაზარალებულს არ ჰქონდა გადახდილი და შესაბამისად, ცილისმწამებლის მიმართ სასამართლო მხოლოდ სასჯელის განსაზღვრით უნდა შემოფარგლულიყო. მაგრამ თუ დაზარალებულს სამთხრობლო სასამართლოს პროცესის გამართვამდე ჰქონდა გადახდილი და დადგინდებოდა, რომ ტყუილ მთხრობლობას ჰქონდა ადგილი, მაშინ გასარკვევია, ტყუილ მთხრობლისათვის დაკისრებული სასჯელი „შთანთქავდა“ უკვე გადახდილ სამთხრობლოს, თუ ცილისმწამებელს სასჯელთან ერთად დამატებით სამთხრობლოც უნდა დაებრუნებინა.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის B ხელნაწერის 236-ე მუხლზე დაყრდნობით, მ. კეკელია აკეთებს დასკვნას, რომ მთხრობელი სამთხრობლოს მაშინ კი არ ღებულობს, როცა დაზარალებულს შეატყობინებს საქმის გარემოების შესახებ, არამედ მას შემდეგ, როცა მისი მთხრობლობის შედეგად გატყდა დამნაშავე. ამ მოსაზრების დასამოწმებლად მოყავს ამავე სამართლის წიგნის 38-ე მუხლი („თუ მთხრობელს გაემარჯოს, სამთხრობლოც მისცეს და სისხლიც და თუ მთხრობელი გარდმოვარდეს, მთხრობელიც ჰელშეკრული უნდა მიეცეს და მთელი სისხლიც.“⁴²⁴) და ქართლ-კახეთის მდივანბეგების მიერ ციციშვილებს შორის მძოვრეთის ციხეზე დავის სასამართლო განაჩენი.⁴²⁵ მაგრამ მ. კეკელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ განჩინებების საფუძველზე იძულებულია აღიაროს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად პირიქითაც ხდებოდა.

თ. მონიავაც სამთხრობლოს მიცემის საკითხის გადწყვეტისას ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის B ხელნაწერის 236-ე მუხლს ეყრდნობა.⁴²⁶ მაგრამ იგივე მუხლში, ოღონდ C ხელნაწერში დასახელებული საკითხი განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული: „მთხრობელმან როდისაც უთხრას კაცსა და სამთხრობლო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა დაიდოს, რომ, თუ გაჭირდეს, პირს დაუდგებო.“⁴²⁷ რაც ნიშნავს, რომ სამთხრობლო პირს უკვე აღებული აქვს და პირობას ღებს, რომ მომავალში სასამართლოში მოწმედ გამოვიდოდა და თავის მიერ მიწოდებულ ინფორმაციის დაადსტურებდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკაც ამ მუხლის ღებულებას ადასტურებს. სამთხრობლო, ხშირად დამნაშავის „გატყვამდე“ მიეცემოდა მთხრობელს, ზოგჯერ ზუსტად ეს წინასწარ გადახდილი თანხა ხდებოდა დავის საგანი დაზარალებულსა და მთხრობელს შორის. თუმცა გამორიცხული არ არის სამთხრობლოს გადახდის პერიოდი, რომ მხარეთა შეთანხმებაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

⁴²⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491.

⁴²⁵ იხ. კეკელია მ., დასახ. ნაშ., გვ. 210.

⁴²⁶ იხ. მონიავა ა. (თემურ), დასახ. ნაშ., გვ. 76.

⁴²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 541.

მ. კეკელიას მოყვანილი აქვს 1843 წლის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია: „მოვიდა ჩუენთან გოგიტა, ბუში ასათინი(სა) და მიიღო ჩუენგან ოცდაოთხი მანეთი სამთხრობლო და გვიმთქმელა დაკარგული ჩვენი ცხენები. . . რას ზედა სამთხრობლო წერილიცა მოგვცა.“⁴²⁸ სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, მ. კეკელია საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ დამნაშავის „გატეხვამდე“ მიუღია სამთხრობლო უფრო მართებულად მიიჩნევს, რომ მთხრობელი სამთხრობლო ჯილდოს იღებდა როგორც დამნაშავის „გატეხვამდე“, ისე მის შემდეგ. მნიშვნელობა ჰქონდა იმას, სასამართლოში იხილებოდა საკითხი თუ არა.⁴²⁹

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის C ხელნაწერის 236-ე მუხლს თუ დავეყრდნობით სამთხრობლოს მთხრობელი სასამართლომდე იღებს, ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული დანაშაული, რომელზეც პირი იმთხრობლებდა. იგივე მუხლით B ხელნაწერის მიხედვით, სამთხრობლოს გადახდა ხდებოდა დამნაშავის გატეხვის შემდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია, მხოლოდ საკუთრების მითვისებასთან, ქურდობასთან დაკავშირებით.⁴³⁰ თუ ქურდობასთან მიმართებით ვისაუბრებთ, ამ ნორმის საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ სამთხრობლო შეიძლებოდა გადახდილიყო ბრალდებულის „გატეხვამდეც“, რასაც სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს.⁴³¹ ასევე ამის დასამოწმებლად შეიძლება მოყვანილ იქნეს ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 249 მუხლი, რომელიც ქურდობის დაწამებას ეხება.⁴³² ამ ნორმიდან ჩანს, რომ სამთხრობლოს დამნაშავე უხდის არა მთხრობელს არამედ ნივთის პატრონს, რაც გვაფიქრებინებს, რომ დაზარალებულს მთხრობლისათვის სამთხრობლო უკვე გადახდილი აქვს. ხოლო იმავე სამართლის წიგნის 154 მუხლით: „სამთხრობლო, რაც საქონლის დამკარგავს გაუა, ისიც ქურდმა უნდა მისცეს.“⁴³³ ტერმინი „გაუა“ უფრო მომავალზეა მიმართული და როგორც ჩანს დაზარალებულს სამთხრობლო თანხა ჯერ არ აქვს გადახდილი. ერთი და იგივე დანაშაულთა მიმართებაში, კანონმდებელს განსხვავებული პოზიცია უკავია, რაც საშუალებას არ იძლევა საკითხი ერთმნიშვნელოვნად იქნეს გადაწყვეტილი. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 38-ე მუხლის,⁴³⁴ საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მკვლელობაში ბრალდებისას სამთხრობლოს გადახდა სასამართლოს პროცესის შემდგომ ხდებოდა. შესაბამისად, მკვლელობის ტყუილი მთხრობლობისას სასამართლოს დამატებით არ მოუხდებოდა სამთხრობლოს საკითხის გადაწყვეტა, რადგან ის ცილისმწამებლის მიერ სამთხრობლო ჯერ არ იყო აღებული. რაც შეეხება სხვა დანაშაულებს,

⁴²⁸ იხ. *კეკელია მ.*, დასახ. ნაშ., გვ. 207-208;

⁴²⁹ იქვე, გვ. 211;

⁴³⁰ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო *თინა ენუქიძემ*, თბ., 1955, გვ. 112.

⁴³¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 545.

⁴³² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 544.

⁴³³ იქვე, გვ. 519.

⁴³⁴ იქვე, გვ. 491.

შეიძლება სამთხრობლო როგორც სასამართლო პროცესამდე, ისე პროცესის შემდეგ გადახდილიყო.

ტყუილი მთხრობლის მიმართ გამოყენებული სასჯელი დამოკიდებული იყო იმ დანაშაულზე რაზეც იმთხრობლებდა, შესაბამისად ის სანქცია რაც კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის იყო გათვლისწინებული ტყუილ მთხრობელზეც უნდა გავრცელებულიყო. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 154-მუხლით, ქურდს შვიდეულის გარდა სამთხრობლოც უნდა გადაეხადა.⁴³⁵ მსგავსი დებულებაა ჩამოყალიბებული 249-ე მუხლშიც: თუ ქურდი „უარზე დადგეს და პატრონი გასარჯოს, შვიდეულიც მისცეს და სამთხრობლოცა.“⁴³⁶ შესაბამისად, თუ ქურდის მიერ გადახდილი შვიდეული დაზარალებულის მიერ გადახდილ სამთხრობლო თანხას არ მოიცავდა, იგივე უნდა ვთქვათ, ტყუილ მთხრობელის მიმართებაშიც. ტყუილ მთხრობელს სასჯელთან, მაგალითად ქურდობის დაწამებისას, ნაქურდალი ნივთის შვიდეულის გადახდის გარდა, დამატებით აღებული სამთხრობლოც უნდა დაებრუნებინა.

⁴³⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

⁴³⁶ იქვე, გვ. 544.

თავი IV. ცალკეულ ქმედებათა ცილისწამება

4.1 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება

4.1.1 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების ხელყოფის ობიექტი და ქმედების განხორციელების ფორმები

მცირე სჯულის კანონის მიხედვით ხორციელი ცოდვები იყოფა „ცოდვათა ბუნებითად და გარეშე ბუნებითად.“⁴³⁷ ამ დაყოფას ეყრდნობა ივ. ჯავახიშვილი, რომელიც სქესობრივ დანაშაულებს ყოფს: დანაშაულებანი ბუნებითანი და დანაშაულები ბუნების გარეშე.⁴³⁸ რაც შეეხება ბუნებით სქესობრივ დანაშაულებს, ასეთი ქმედებები ბოზობად ითვლებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ბოზობა ორად იყოფა: „სიძვად და მრუშებად: სიძვა არს უმეუღლოს მიერ ქმნილი, ხოლო მრუშება – მეუღლიანისა მიერ ქმნილი ბოზობა.“⁴³⁹ კვლევის საგანს წარმოადგენს ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საკითხი რამდენად იკვეთება ხელყოფის ობიექტი საკანონმდებლო ძეგლებში ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებასთან დაკავშირებით; ვის შეიძლებოდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის; რა სახის დელიქტს წარმოადგენდა ცილისწამების ეს ფორმა; კიდევ ერთი საკითხი რასაც შეიძლება ყურადღება მიექცეს, იყო თუ არა განსხვავებული პასუხისმგებლობა დაწესებული, იმის მიხედვით სიძვის ცილისწამებას ჰქონდა ადგილი, თუ მრუშობისას. საეკლესიო სამართალი მრუშობას უფრო მკაცრად სჯიდა ვიდრე სიძვას. სჯულის კანონის მიხედვით, სიძვა შვიდი წლით უზიარებლობით ისჯებოდა, ხოლო მრუშობა – თხუთმეტი წლით.⁴⁴⁰

შესაძლოა მრუშობის დაწამებისას ცილისწამებლის უშუალო მიზანი არც ყოფილიყო პირისათვის პატივის შელახვა, არამედ მას სხვა მოტივები და მიზანი ამოძრავებდა. ნათქვამის დადასტურებას წარმოადგენს რუსუდან მეფის ქმედება, რომელიც მიმართული იყო მისი ძმისშვილის სამეფო ტახტისგან ჩამოშორებისაკენ. როგორც ჟამთააღმწერელი გვამცნობს რუსუდან მეფემ დაივიწყა თავის ძმისადმი მიცემული ფიცი და გადაწყვიტა, რომ სამეფო ტახტი მის შვილს რგებოდა. ამ მიზნით მან: წერილი მიწერა თავის სიძეს სულთან ყიასდინს: „ამისთვის მენება მოკლვა ძმისწულისა ჩემისა და ვითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი „დავით თანა-ეყოფვის, და ამისთვის არა ნებავს ასულსა ჩემსა ბორბოტი მისი.“⁴⁴¹ მართალია ჟამთააღმწერელის ცნობა ბუნებითი დანაშაულის ცილისწამების მაგალითს წარმოადგენს, მაგრამ ის მრუშობის დასჯადობის საკითხის კვლევისას უფრო გამოდგება, რადგან როგორ შეიძლებოდა მრუშობის ცილისწამება დასჯილიყო ამის შესახებ ისტორიულ წყაროში ცნობებს ვერ ვნახულობთ. იგივე შეიძლება ითქვას გრიგოლ ხანძთელის

⁴³⁷ მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა *ე. გიუნაშვილმა*, თბ., 1972, გვ. 92.

⁴³⁸ იხ. *ჯავახიშვილი ივ.*, დასახ. ნაშ., გვ. 217, 220.

⁴³⁹ *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 108.

⁴⁴⁰ მცირე სჯულის კანონი, გვ. 80.

⁴⁴¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 199.

ცხოვრებაში მოთხრობილი, ადარნასეს, აშოტის შვილის, ცოლის მრუშებაში ცილის დაწამების შესახებ.⁴⁴²

ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის 23-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მრუშობისათვის პირი ისჯებოდა ქალის „მოყივნებისათვის“. მოყივნება განმარტებულია, როგორც სახელის გატეხა.⁴⁴³ ამ შემთხვევაში, მემრუშეს სისხლის დაურვება ეკისრებოდა ქალის ქმრისთვის: „თუ კაცმან დედა-წულისა ცოლსა უარშიყოს და კიდევ მოაყივნოს, გინა ნებითა, გინა უნებურად, და გამჟღავნდეს, გინა მეყვისმან მეყვისსა⁴⁴⁴, გინა უმეყვისომან ერთსახლმან, – დაუურვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთავარმან და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ, შიშველი, და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოავლოს.“⁴⁴⁵ როგორც ნორმიდან ჩანს, მრუშობის ხელყოფის ობიექტს ქმრის პატივი წარმოადგენდა, რადგან სისხლის გადახდა ხდებოდა „მოყივნებული“ ქალის ქმრის მიმართ. თუმცა სასჯელი მხოლოდ სისხლის დაურვებით არ ამოიწურებოდა და დამნაშავეს მიმართ გამაწვილებელ სასჯელსაც იყენებდნენ. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 87-ე მუხლით: „დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს.“⁴⁴⁶ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი ქმედება დელიქტად იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, თუ ქალი „წაძახებას“ ქალის ქმრის წინაშე გააკეთებდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თუ დასახელებული გარემოება არ იარსებებდა, მაშინ ქმედების დასჯადობაც გამორიცხებული იყო. დელიქტის ობიექტად აქაც კაცის პატივი წარმოადგენს, რადგან სასჯელი პირს გადახდებოდა ამ შემთხვევაშიც ქალის ქმრის მიმართ.⁴⁴⁷

ხელყოფის ობიექტის საკითხი მრუშობასთან დაკავშირებით დავას და კითხვებს არ იწვევს, სავსებით გასაგებია, რომ ცოლის დალატით ქმარი

⁴⁴² შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს), გვ. 298.

⁴⁴³ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 510; *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 865.

⁴⁴⁴ მეყვისი განმარტებულია როგორც მისხი, თვის-ტომი, მონათესავე. ხოლო მეყვისობა – ნათესაობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 712.

⁴⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 433.

⁴⁴⁶ იქვე, გვ. 503.

⁴⁴⁷ ქმრის წინაშე მრუშობის ცილისწამებას, როგორც ქმედების განხორციელების აუცილებელი ნიშანს სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით. მაგალითად, ასირიულ კანონებშიც. „უკეთუ მამაკაცი ეტყვის თავის თანასწორს, საიდუმლოდ იქნება ეს თუ ჩხუბის დროს: „შენი ცოლი როსკიპია“ და კიდევ „მე თვითონ ბრალს დავდებ მას ფიცის ქვეშ“ და ბრალს არ დასდებს მას და არ ამხელს, ამ კაცს უნდა დაჰკრან 40 ჯოხი. ერთი თვის განმავლობაში იგი შეასრულებს სამეფო სამუშაოს, მას დადავდენ და გადაახდევინებენ 1 ტალანტ კალას.“ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, რედაქტორი გრ. გიორგაძე, თბ., 1990, გვ. 78.

იქნებოდა შეურაცყოფილი, ხოლო თუ სიძვას ექნებოდა ადგილი ქალის მამის ოჯახი. მაგრამ როცა ქალს სწამებდნენ „ბუნებითი დანაშაულის“ ჩადენას და ამით მას სახელს უტყებდნენ, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ დელიქტის ობიექტს ქალის პატივი უნდა წარმოადგენდეს. რამდენად უცნაურად, არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ შემთხვევაშიც დაზარალებულ მხარედ არა ქალი, არამედ ქმარი, ან ქალის მამის ოჯახი გვევლინება ისევ. ბაგრატ კურაპალატის სამართლით (ბექა-ადბუღას სამართალი. მუხ. 145), რომელიც მრუშობის დაწამებას ეხება⁴⁴⁸ პირს სასჯელი ეკისრება არა ქალის, არამედ ქმრის მიმართ, ე. ი. ხელყოფას განიცდის ქმრის პატივი. დამწამებლს ეკისრებოდა ვალდებულება ფიცით დაემტკიცებინა, ან გამოეტყუებინა ქალი მრუშობის ჩადენაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ბრალდება ცილისწამებად ითვლებოდა.

მრუშობის დაწამების დამტკიცების ვალდებულებას უძველეს სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით, მაგალითად ხამურაბის კანონების 127-ე მუხლით მრუშობის დაწამებისას პირს უხდებოდა თავის ბრალდების მტკიცება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცილისწამებად ითვლებოდა: „უკეთუ კაცმა ქალ ქურუმს ანდა კაცის ცოლს თითი მიუშვირა, მაგრამ ვერ დაამტკიცა, ეს კაცი მოსამართლეთა წინაშე უნდა დააგდონ და ნახევარი თავი გადაპარსონ.“⁴⁴⁹ მუსლიმური სამართლითაც მრუშობის დამწამებელს ოთხი მოწმე უნდა მოეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისწამებისათვის დაეკისრებოდა სასჯელი.⁴⁵⁰

დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლში, კარგად არის გამოკვეთილი, რისი ხელყოფისათვის ისჯება ცოლის ცილისწამებელი ქმარი.⁴⁵¹ ამ შემთხვევაშიც ქალის პატივზე არ არის საუბარი, არამედ ქმარს სასჯელი ეკისრება „მონათესავეთა მის ქალისათა მოყიფებისათვის გვაროვნებისა მისისა.“⁴⁵² დავით ბატონიშვილის სამართლის ამ მუხლის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სიძვის ცილისწამება პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტს წარმოადგენდა, ვინაიდან კანონმდებელი პასუხისმგებლობას აწესებს სახელის გატეხისათვის. ხოლო დაზარალებულად გვევლინება არა ქალი, არამედ მისი გვარი.

ძველი ქართული სამართალი ამ თვალსაზრისით, ორიგინალობით არ ხასიათდება. მოსეს სამართლითაც (მუხ. 29) ცოლის სიძვაში ცილისწამებელ ქმარს ასე ვერცხლი ქალის მამის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა, რადგან ქალს სახელი გაუტყება: „აზღვიონ ასი სასწორო ვერცხლი, და მისცენ მამასა მის ქალისასა, რამეთუ სახელი ბოროტო განუჰკდა.“⁴⁵³ შინაარსობრივი თვალსაზრისით, მოსეს სამართალშიც ქმარი

⁴⁴⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 468.

⁴⁴⁹ ხამურაბის კანონები, გვ. 26.

⁴⁵⁰ იხ. Мусульманское право (структура и основание институты), ред. Л. Р. Сюкияйнен, М., 1984, ст. 82.

⁴⁵¹ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 125.

⁴⁵² იქვე, გვ. 125.

⁴⁵³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 118.

ისჯებოდა ქალისთვის სახელის გატეხისათვის, ხოლო დაზარალებულად ამ შემთხვევაშიც ქალის მამა გვევლინება.

უფრო ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში გატარებულია აზრი, რომ ქალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგლითად თუნდაც სასამართლო პროცესის მონაწილე. დავით ბატონიშვილის სამართალი აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციაზე დგას (მუხ. 81): „რომელიცა სამართალსა შინა მიიღებინა მოწამედ მამანიცა და დედანიცა. ხოლო მიხიდავს მე რომელსამე სამართალსა და მოსამართლეთა შორის, რომელნიცა დაამტკიცებდენ დედაკაცისა სამართალსა შინა მოწამედ შეუწყნარებლობასა; რომელიცა, ესევეთარი ჰაზრი, გარდა უმეცრებისა, არა რადმესა დამნიშვნელ არს, მით რომე პატიოსნება გუამთა არცა მამაკაცისად და არცა დედაკაცისად განიკუთნვის.“⁴⁵⁴ დავით ბატონიშვილი ქალს პროცესის „სრულუფლებიან“ წევრად თვლის. მაგრამ რატომ არის, რომ ქალისთვის მრუშობის, თუ სიძვის დაწამებისას იგივე პოზიციაზე დგას, როგორც ძველი ქართული სამართლის უფრო ადრინდელი ძეგლები? ამას შეიძლება შემდეგი ახსნა მოეძებნოს, ცილისწამება დაკავშირებულია იმ დანაშაულთან, რასაც პირს წამებდნენ. რადგან ქალის მრუშობის შემთხვევაში ზიანი ადგება ქალის ქმრის, ხოლო სიძვისას მისი ოჯახის, ნათესაობის პატივს, შესაბამისად „ბუნებითი დანაშაულების“ ცილისწამების ხელყოფის ობიექტიც იგივე რჩება.

ამდენად, ძველ ქართულ სამართალში ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება დასჯად ქმედებად ითვლებოდა. ძველ ქართულ სამართალში ყოველთვის შეინიშნება ცილისწამების კავშირი იმ დანაშაულთან რასაც პირს სწამებდნენ, ამ კავშირიდან გამომდინარე, ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების ობიექტიც არ იცვლება. აღნიშნულ საკითხზე სამართლის ძეგლებში არსებული ნორმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სიძვის დაწამებისას ხელყოფას განიცდიდა ქალის მამის ოჯახის პატივი, ხოლო მრუშობის დაწამებისას ქმრის პატივი. ეს ადასტურებს, რომ ძველ ქართულ სამართალში პირის პატივის დაცვის საკითხი სამართლებრივი დაცვის გარეშე არ რჩებოდა.

⁴⁵⁴სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 51.

4.12 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების სუბიექტი

არცთუ იშვიათად „ბუნებითი დანაშაულის“ ცილისწამებლად ქმარი გვევლინება.

დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლის შესამე ნაწილი, ქმრის მიერ ცოლის ცილისწამებას ეხება. „და ესეცა შეხუდების, რომელ ჟამსა ქორწინებისასა იჩივლოს ვინმე, უგუნურებისა გამო, ცოლისა არა-ქალწულებად.“⁴⁵⁵ ამ შემთხვევაში ცოლისთვის სიძვის ცილისწამებას აქვს ადგილი. პირი „უგუნურებით“⁴⁵⁶ მოქმედებს, რაც მიანიშნებს რომ შემადგენლობისათვის პირდაპირი განზრახვის არსებობა აუცილებელი არ არის.

კანონმდებელი იმ შემთხვევებსაც ითვლისწინებს, როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს მრუშებას სწამებს: „უკეთუ მოაყივნოს ქმარმან ცოლი და ანუ ცოლმან ქმარი და არა იყოს ჭეშმარიტი, მაშინ ორნივე მხილებულ იქმნენ მსაჯულთაგან უწესოსა ქცევისათვის.“⁴⁵⁷ შესაძლოა საკამათო იყოს რამდენად ითვლებოდა ასეთი ქმედება დელიქტად. რადგან საკითხი მსაჯულთა მიერ ირჩეოდა, ხოლო საქმის განსჯას მათი მხრიდან ცილისწამებელი ცოლის, ან ქმრის მხილება⁴⁵⁸ მოჰყვებოდა, რაც ალბათ გაფრთხილებას, ან ახსნა-განმარტებას ნიშნავდა. შესაბამისად დასახელებული ქმედებაც დელიქტად უნდა იქნეს განხილული.

ქმრის მიერ ცოლისთვის უპატიოსნების ცილისწამებას ვხვდებით მოსეს სამართალშიც. მოსეს სამართლის 29-ე მუხლით: „უკეთუ ისუას ვინმე ცოლი და მოიძულოს იგი, და მიზეზსა დასდებდეს მას, და სახელსა ბოროტსა განუკვიდეს და თქუას: „არა ქალწული დავიპყარ დედაკაცი ესე.“⁴⁵⁹ ამ შემთხვევაში ქმარი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, რადგან როგორც კანონმდებელი აღნიშნავს მას ცოლისადმი სიძულვილი ამოქმედებს.

მსგავსი ნორმაა სომხურ სამართალშიც [მუხლი 180]. ამ მუხლში ქმრის მიერ ცოლის მოძულებაზეა საუბარია, რის გამოც უპატიოსნებას სწამებს: „ვინგინდავინ ქორწილს უკან შეიძულოს ცოლი თვისი, ტყუილად სძრახოს ამაზე, არ იყო ქალწული, მისცენ მანდილოსანთა შესატყობლად-გასასინჯავად.“⁴⁶⁰ როგორც მოყვანილი ნორმებიდან ჩანს სიძვის

⁴⁵⁵ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 125.

⁴⁵⁶ უგუნური – გონება დაბნელებული. უგრძობელი, ესე არს დაბრმობა სახედველთა გონებისათა. უგუნებურება არს დაბრმობად სახედველთა გონებისათა, ხოლო სილადე მეტნობად მანქანებათად. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 154; უგუნურება, -რობა – უჭკუობა. უგუნური – გონება მიხდილი, დაბრმობილი გონებითა, უჭკუო. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, 1239; უგუნურება-ყოფა – სისულელედ მიჩნევა. *სარჯველაძე ზ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 200.

⁴⁵⁷ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 125.

⁴⁵⁸ მხილება – ესე არის სიტყვითა და საქმის გარჩევით ბოლოს დანახება. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 552.

⁴⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 118.

⁴⁶⁰ იქვე, გვ. 289.

დაწამებისას დელიქტის სუბიექტს ქმარი წარმოადგენდა და ამ შემთხვევაშიც პირდაპირი განზრახვა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია.

ქმრის მიერ მრუშობის დაწამების შესახებ ნორმებს უძველეს სამართლის ძეგლებშიც ვნახულობთ. ასირიულ კანონებში ცალკე არის გამოყოფილი მრუშობის ცილისწამება ქმრის წინაშე და თავად ქმრის მიერ ცოლის ცილიწამება. ამ უკანასკნელის მიმართ კანონმდებელი უფრო მკაცრია.⁴⁶¹

ისლამური სამართალიც ანსხვავებას მრუშობის დაწამებას სუბიექტის მიხედვით, შესაბამისად შედეგებიც განსხვავებული იყო. „თუ მრუშობის მოწმეთა-თვითმხილველთა ჩვენებებში იყო სხვაობა ან არსებობდა სხვა საფუძვლები, რომლებსაც შეიძლებოდა მიეცა საბაბი ეჭვი შეეტანათ მათ ჩვენებების გულწრფელობაში, მაშინ მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა მრუშობის ცრუ ბრალდებისათვის. ისლამური სამართლის განმარტებლებს მიაჩნიათ, რომ დაუმტკიცებელი ბრალდებას თუმცა კი მოყვება ყურანით ზუსტად განსაზღვრული სასჯელი (ხადდი), მაგრამ ხელყოფენ მხოლოდ ან უმეტესად ცალკეულ ადამიანთა უფლებებს. ამიტომ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის დგება მხოლოდ დაზარალებულის მოთხოვნით, რომელსაც აქვს უფლება აპატიოს დამნაშავეს. მხოლოდ ჰანიფატები თვლიდნენ, რომ ასეთი დანაშაული ხელყოფს უპირველესად თემის ინტერესებს (ალაჰის უფლებებს) და ამიტომ არ უშვებდნენ პატიებას. ქმარს, რომელიც ცოლს ბრალს დებს მრუშობაში, პასუხისმგებლობა არ ეკისრება ამ დანაშაულისათვის. თუ ის ამტკიცებს, რომ ცოლმა გააჩინა ბავშვი სხვისგან და იმეორებს თავის ბრალდებას ხუთჯერ (ლი-ან), მაშინ ცოლი დასჯილი უნდა იქნეს მრუშობისათვის. თუმცა თუ ის ხუთჯერ დაიფიცებს ალაჰს, რომ ბავშვი მან გააჩინა ქმრისგან, მაშინ ბავშვის მამად ცხადდება ქმარი, მაგრამ ქორწინება უქმდება სამუდამოდ.“⁴⁶²

თ. მონიავა ცოლის ცილისწამებად განიხილავს კათალიკოზთა სამართლის 23-ე მუხლს: „კათალიკოზთა სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ცოლ-ქმრულ ღალატში უსაფუძვლოდ ცილდაწამებული ქალის პატივსა და ღირსების დაცვის საკითხსაც. კერძოდ, თუ ქმარი თავისი ცოლს ამხელდა ამორალურ საქციელში, მაგრამ აღნიშნულს ვერ დაუმტკიცებდა, მის მიერ გავრცელებული ცნობები ცოლის

⁴⁶¹ § 18. „უკეთუ მამაკაცი ეტყვის თავის თანასწორს, საიდუმლოდ იქნება ეს თუ ჩხუბის დროს: „შენი ცოლი როსკიპია“, და კიდევ „მე თვითონ ბრალს დავდებ მას ფიცის ქვეშ“ და ბრალს არ დასდებს მას და არ ამხელს, ამ კაცს უნდა დაჰკრან 40 ჯოხი. ერთი თვის განმავლობაში იგი შეასრულებს სამეფო სამუშაოს, მას დადაღავენ და გადაახდევინებენ 1 ტალანტ კალას.“ § 19. „უკეთუ მამაკაცი ცოლს დასწამებს თანასწორს, იტყვის: „მასთან წვანან“, ან ჩხუბის დროს სახლახოდ ეტყვის: „შენთან წვანან“ და კიდევ: „მე ფიცის ქვეშ გამხელ შენ“, მაგრამ არ ამხელს და ბრალს არ დასდებს, ასეთ კაცს უნდა დაჰკრან 50 ჯოხი ერთი თვის მანძილზე მან უნდა შეასრულოს სამეფო სამუშაო. იგი უნდა დადაღონ და გადაახდევინონ 1 ტალანტი კალა.“ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, რედ. გრ. გიორგაძე, თბ., 1990, გვ. 78.

⁴⁶² Мусульманское право (структура и основания институты), ред. Л. Р. Сюкияйнен, М., 1984, ст. 82.

დალატთან დაკავშირებით არამხოლოდ უსაფუძვლო ცილისწამებად აღიქმებოდა და ოჯახის დანგრევის მიზეზი ვერ გახდებოდა, არამედ ცოლის „უბრალოდ დამგდები“ ქმარი სიკვდილით უნდა დასჯილიყო (მუხ. 23).⁴⁶³ საეჭვოა დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით მაგალითად კათალიკოზთა სამართლის 23-ე მუხლის მოყვანა, რადგან აღნიშნული მუხლში საერთოდ არ არის საუბარი ცილისწამების შესახებ, არამედ ნორმა ზოგადად უმიზეზოდ ცოლის დაგდებას ეხება. „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩვენებულმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიოს.“⁴⁶⁴ თ. მონიავას შეიძლება იმაში დავეთანხმოთ, რომ უბრალოდ ცოლის დაგდება ქალის პატივსა და ღირსებას შეურაცყოფდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას რომ ასეთ დაგდებას წინ ქალის ცილისწამება უძლოდა, ყოველ შემთხვევაში ეს ამ ნორმაში არ ჩანს. კათალიკოზთა სამართალი მრუშობის ცილისწამებასთან დაკავშირებით მაგალითის მოსაყვანად არ გამოდგება, რადგან დასახელებული სამართლის ძველი საერთოდ არ მოიცავს ასეთი სახის დელიქტებს.

ქმრის მიერ ცოლის ცილისწამება თუ დასჯადი იყო რა თქმა უნდა ძველი ქართული სამართალი გვერდს ვერ აუვლიდა სხვათა მიერ ამ სახით პირის პატივის ხელყოფის დასჯადობას. ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი) მრუშობის შეყივლებით დაბრალებაზეა საუბარი: „თუ კაცმან კაცსა შეჰყივლოს ეს კაცი შენსა ცოლსა ასრე უზამსო, ანუ აფიცოს, ანუ მართლა გატეხოს, არა ზედა-აც. თუ არა, დიაცისა ქმარსა შეუკაზმოს.“⁴⁶⁵ შეყივლება ნიშნავდა ყვირილით დაბრალებას.⁴⁶⁶ რაც შეეხება მუხლში ჩამოყალიბებულ ქმედებას, გიორგი ნადარეიშვილს დასახელებული მუხლი შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „ამ შემთხვევაში ფიცით უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, იყო თუ არა ცილისწამება ერთი პირის მიერ მეორესთვის ნათქვამი მხილება – შენს ცოლს სქესობრივი კავშირი აქვს სხვა პირთანო.“ პირი თუ თავის ნათქვამს ფიცით არ დაადასტურებდა მისი შეყივლება ცილისწამებლური იქნებოდა.⁴⁶⁷ დასახელებულ ნორმას ეხება ალ. ვაჩეიშვილიც. „უკეთუ ვინმემ განუცხადა ქმარს, შენს ცოლს სქესობრივი კავშირი აქვს სხვა პირთანო, მან უნდა დადგას ფიცი ან გამოსტეხოს ქალი და პასუხს არ აგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გადაუხადოს ქმარს საზღაური (საუპატიო).“⁴⁶⁸ ამ შემთხვევაშიც ქალის ცილისწამება ქმრის წინაშე ხდებოდა, ოღონდ „ხმამაღალი“ განცხადებით, რის გამოც არ არის გამორიცხებული, რომ ქმრის ღირსების შელახვის შესახებ იგებდნენ სხვებიც. თუმცა ნორმაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქმრის წინაშე ცილისწამებას.

⁴⁶³ იხ. მონიავა პ. (თემურ), პატივის, დასახ. ნაშ., გვ. 62.

⁴⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 397.

⁴⁶⁵ იქვე, გვ. 468.

⁴⁶⁶ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1487.

⁴⁶⁷ ნადარეიშვილი გ., ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962, გვ. 8.

⁴⁶⁸ ვაჩეიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1948, გვ. 78.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წგინის 87-ე მუხლით,⁴⁶⁹ ქმრის წინაშე ქალისთვის მრუშების „წაძახება“,⁴⁷⁰ რომელიც სიმართლეს წარმოადგენდა დელიქტად ითვლებოდა, აქედან გამომდინარე გასაკვირი არ არის მრუშობის დაწამებისათვის სასჯელის არსებობა. ამ ორ ნორმას შორის ერთ საერთო ნიშანზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ქმედების განხროციელება ქმრის წინაშე, რაც შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. ამდენად, ქმრის პატივის ხელყოფა ხდება არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა ქმრის წინაშე ცოლს მრუშებაში ცილს წამებენ, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა „წაძახება“ სიმართლეს წარმოადგენდა. მაგრამ თუ ამ ბრალდებას, „უნამუსობის ყუედრებას“,⁴⁷¹ ორივე მხარიდან ჰქონდა ადგილი სასამართლო „მაყუედრებლებს“ სასჯელს არ აკისრებდა, სავარაუდოდ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პასუხისმგებლობის გაქვითვას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ განხილება ქიტესა ლომიტაშვილისა და მიშელაშვილის ცოლების შეურაცყოფის საქმეზე (1792 წლის 18 ნოემბერი). მიშელაშვილი ჩიოდა ლომიტაშვილი ქიტესას ცოლმა ჩემს ცოლს უნამუსობა აყუდრაო. იგივე ბრალდებას აყენებდა ლომიტაშვილი. უნამუსობის ყუედრების გამო მხარეებს ერთმანეთისათვის უგინებიათ და მიშელაშვილმა ოთხი ჯოხი დაკრა ქიტესას. სასამართლოს დაუდგენია: „ეს ერთი რამ არა იყო რა ასეთი. რომ სისხლი გაგვეჩინა. ორნივე გლეხნი არიან, ორნივე სწორენი და მეზობელნი ერთმანეთისანი. ჩხუბში ასე მოხდება – ერთმანეთს შეაგინებენ და ავს სიტყუას დააყუედრებენ. ამას ამისთვის უგინებია, იმას ამისთვის ამაზედ უწევია, ამას იმაზე უწევია. ამის ცოლს იმისის ცოლისათვის უყუედრებია და იმის ცოლს ამისის ცოლისთვის. სხვა სისხლი არ მომხდარა რა, და არა ჩანს რა, და არცარა არის.“⁴⁷¹ ჯოხის დაკვრისათვის მიშელაშვილს უნდა დაეპატიჟა ლომიტაშვილი, პური უნდა ეჭმია და ბოდიში უნდა მოეხადა. განხილებაში მოცემულია ახსნა რითი იხელმძღვანელა სასამართლომ გადწყვეტილების მიღებისას, რატომ არ დააწესა სასჯელი უნამუსობის ყუედრებისათვის.⁴⁷² ორივე მხარე ერთნაირი სოციალური სტატუსის მქონენი იყვნენ და მათ მიერ მიყენებული ზიანი თანაბარზომიერი იყო.

დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლის მეორე ნაწილით: „ხოლო სხუათა ცოლთა მოყივნებისათვის მისცეს საუპატიოდ, ამად ვინადთგან არავინ თანმდებ არს სხვისა განქიქებად.“⁴⁷³ პირს სასჯელი ეკისრება სხვისი ცოლის სახელის გატეხისათვის.⁴⁷⁴ ნორმა ახსნასაც

⁴⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 503.

⁴⁷⁰ წაძახება დაყვირებას, დაყუედრებას ნიშნავდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1665.

⁴⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 586.

⁴⁷² ყუედრება სამღურავის თქმას ნიშნავდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1378.

⁴⁷³ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 125.

⁴⁷⁴ მოყივნება – კაცთათვის უბადო და ავის სახელის განთქმა. *სულხნ-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 510; მოყივნება – დარღვევა. *აბულაძე ი.* დასახ. ლექსიკონი, გვ. 283; მოყივნება – ცუდი სახელი ქვეყანაში, სახელის გატეხა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 865.

შეიცავს, რატომ ითვლებოდა ასეთი ქმედება დელიქტად, რადგან არავის აქვს სხვისი განქიქების—უპატიოდ ხსენების⁴⁷⁵ უფლება. რა შეეხება ქმედების სუბიექტურ მხარეს, ნორმაში არ ჩანს, რომ პირდაპირი განზრახვის არსებობა აუცილებელია.

ბუნებითი დანაშაულების ცილისწამების შესახებ არსებული ნორმების თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სიძვის დაწამების სუბიექტს ქმარი წარმოადგენდა. შესაძლებელია, ცოლ-ქმართა მხრიდან მრუშობაში ურთიერთ ბრალდებას ჰქონოდა ადგილი, ასეთ შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობა სავარაუდოდ მსაჯულთა მხრიდან გაფრთხილებით შემოიფარგლებოდა. ასევე უნამუსობის „ყუდრებას“ თუ ორივე მხარიდან ექნებოდა ადგილი სასამართლო ასეთი ქმედებისათვის სასჯელს არ აწესებდა, თუმცა დაუსჯელობის აუცილებელი პირობა იყო ორივე მხარის თანაბარი სოციალური მდგომარეობა და მიყენებული ზიანის თანაზომიერება. იმ შემთხვევაშიც კი როცა მრუშობის დაწამებას ქალის მხრიდან ჰქონდა ადგილი, პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის დამწამებლის ქმარს ეკისრებოდა.

⁴⁷⁵ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 220.

4.13 ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სასჯელები

ნორმათა შინაარსობრივი მხარის განხილვის შემდეგ ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებისათვის დაწესებული სასჯელებია განსახილველი. როგორც ივ. სურგულაძე აღნიშნავს, „რომის სამართლის მიხედვით, შეურაცყოფის ცნებაში იგულისხმებოდა ზოგადი აზრი იმის შესახებ, რომ დარღვეულია ანუ ხელყოფილია ადამიანის სხეული და პიროვნების ღირსება. რომაული ინიურია ვიწრო მნიშვნელობით მოქმედებით და სიტყვით მიყენებულ შეურაცყოფას ნიშნავდა. პირადი შეურაცყოფა განსხვავებულია სხვა სამართალდარღვევისაგან თავისი შინაგანი თვისებით: დაკმაყოფილების საშუალებით და წარმოების წესით. რომში ის სამოქალაქო სამართალს ეკუთვნოდა ძირითადად. შემდეგში ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ სამართალში პირიქით იყო: პიროვნების შეურაცყოფის საკითხები სისხლის სამართლის დარგს განეკუთვნებოდა. ასევეა ქართული სამართლის მიხედვითაც.“⁴⁷⁶

შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში, როცა პიროვნების პატივის ხელყოფას ჰქონდა ადგილი, შეინიშნება საჯარო ელემენტი, მაგრამ ასეთი სახის დელიქტები, ყოველ შემთხვევაში ცილისწამებასთან დაკავშირებით კერძო სამართალს უფრო შეიძლება მიეკუთვნებულ იქნეს, ვიდრე სისხლის სამართალს. ამ საკითხის უკეთ გარკვევისათვის საჭიროა ქართული სამართლის ძეგლების და სასამართლო პრაქტიკის უფრო დაწვრილებით განხილვა.

გათხოვილი ქალისთვის მრუშობის დაწამებისათვის, ცილისმაწმებელს საუპატიო უნდა გადაეხადა ქმრის სასარგებლოდ. ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი) მოხსენიებულია ტერმინი „შეკაზმავა“: „თუ კაცმან კაცსა შეჰყივლოს ეს კაცი შენსა ცოლსა ასრე უზამსო, ანუ აფიცოს, ანუ მართლა გატეხოს, არა ზედა-აც. თუ არა, დიაცისა ქმარსა შეუკაზმოს.“⁴⁷⁷ აღ. ვახეიშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული მუხლი „საუპატიოს“ არ იხსენიებს ტერმინი „შეუკაზმოს“ სწორედ საუპატიოს უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან აქ ზნეობრივი მომენტია ნაგულისხმევი.⁴⁷⁸ მაგრამ იმ გარემოების გარდა, რაზეც აღ. ვახეიშვილი ამახვილებს ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჩუბინაშვილს ეს ტერმინი განმარტებული აქვს, როგორც უპატიობისათვის სანაცვლო გადასახადი.⁴⁷⁹ თუ ტერმინი „დაურევა“ გამოხატავდა სისხლის ფასის გადახდას,⁴⁸⁰ „შეკაზმვა“ გულისხმობდა ცილისწამებისათვის საუპატიოს გადახდას. გადახდა კი ხდებოდა მრუშობაში დაწამებული ქალის ქმრის სასარგებლოდ. აღნიშნულზე დამოკიდებულია საკითხის გადაწყვეტა, იყო თუ არა ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება საჯარო

⁴⁷⁶ სურგულაძე ივ., ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორია, ხელნაწერი.
⁴⁷⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 468.
⁴⁷⁸ იხ. ვახეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1948, გვ. 78.
⁴⁷⁹ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1413.
⁴⁸⁰ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, გვ. 204.

დელიქტი. ამდენად, საუპატიო ნიშნავდა გარდასახადს უპატიობისათვის,⁴⁸¹ ხოლო „შეკაზმვა“ გულისხმობდა საუპატიოს გადახდას.

საუპატიოზე ზემოთ უკვე იყო საუბარი. შესაბამისად კონკრეტული ნორმიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს, ხდებოდა მისი გადახდა პირის სასარგებლოდ თუ არა. ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-ადბუდას სამართლის 145-ე მუხლი), გამონათქვამი „დიაცისა ქმარსა შეუკაზმოს“⁴⁸² გვაფიქრებინებს, რომ სასჯელი ცილისმწამებელს მხოლოდ შეურაცყოფილი ქმრის სასარგებლოდ ეკისრებოდა, ნორმაშიც რაიმე მინიშნება საჯარო ხასიათის სანქციის შესახებ არ არის. ამ შემთხვევაშიც აშკარაა, რომ დელიქტი კერძო-სამართლებივი ხასიათისაა.

საუპატიოს ვხვდებით დავით ბატონიშვილის სამართალშიც ბუნებითი დანაშაულებთან მიმართებაში. 223-ე მუხლის მეხამე ნაწილით ცილისმწამებელ ქმარს საუპატიო უნდა გადაეხადა. ნორმის მიხედვით ცილისმწამებელს ქონებრივი საზღაური პატივ შელახული ნათესავებისათვის უნდა მიეცა: „ხოლო უკეთუ არა მართალ იყოს შესმენა იგი, მაშინ საუპატიოდ მისცეს ქმარმან მისმან მონათესავეთა მის ქალისათა მოყივნებისათვის გვაროვნებისა მისისა.“⁴⁸³

ქართული სამართლის ძეგლებში ნორმები, რომლებიც ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებას ეხება საუპატიოს აწესებს სასჯელად. კანონმდებელთა დამოკიდებულება სასჯელის არჩევანთან დაკავშირებით არ შეცვლილა, მიუხედავად იმის, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალსა და დავით ბატონიშვილის სამართალს შორის დროის ხანგრძლივი მონაკვეთია. ხოლო ცილისმწამებელი საუპატიოს დაზარალებულს უხდიდა. რის საფუძველზეც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბუნებითი დანაშაულების ცილისწამება კერძო-სამართლებრივ დელიქტებს უნდა მიეკუთვნოს. რადგან საუპატიოს ზუსტი რაოდენობა არც ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული, სავარაუდოდ მისი გამოთვლა ცრუდ დაწამებულის სისხლის ფასის მიხედვით უნდა მომხარყო.

თავისებურ სანქციად შეიძლება ჩაითვალოს დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლის პირველ ნაწილში მოხსენიებული „მხილება“. მრუშობის ცილისწამებისას ხელყოფას განიცდიდა ქმრის პატივი, ხოლო თუ ცოლის მიმართ მრუშობის ცილისწამებას თავად ქმარი ახორციელებდა, იკარგება ხელყოფის ობიექტი ვის მიმართაც საუპატიოს გადახდა უნდა მომხდარიყო, ამიტომ მსაჯულები, მხოლოდ ცოლ-ქმრის გაფრთხილებით იფარგლებიან.

მსგავსი შინაარსის დელიქტში მოსეს სამართლით (მუხ. 29), ქმრის მიერ ცოლისთვის უპატიოსნების დაწამებისას, ქმარს: „თუ ქალწულებით იპოოს, მოიყუანონ კაცი იგი მოხუცებულთა მის ქალაქისათა, გუემონ იგი

⁴⁸¹ იხ. ჩუბინაშვილი დ., დასახ. ლექსიკონი, გვ. 1124.

⁴⁸² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 468.

⁴⁸³ იქვე, გვ. 125.

და აზღვიონ ასი სასწორი ვერცხლი, და მისცენ მამასა მის ქალისასა, რამეთუ სახელი ბოროტი განუჭდა, და ქალი იგი მისცენ მასვე ცოლად.⁴⁸⁴ მოსეს სამართალი კუმულაციურ სასჯელს მიმართავს, პირველ რიგში ფიზიკურ სასჯელი, რაც ცემაში გამოიხატებოდა და სახელის გატეხვისათვის ქალის მამისათვის ფულადი საზღაურის გადახდა. ამას გარდა ცილისმწამებელი „ქმარი“ ცოლის შერთვის ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებოდა.

სომხური სამართალში (მუხ. 180–მხითარ გოშის სამართლი), რომელიც ასევე ქმრის მიერ ცოლის ცილისმწამებას ეხება, კერძო სახის სასჯელი არ არის გამოყენებული: „თუ გამტყუნდეს ქმარი მის ქალისა, სცენ უწყალოდ, დაარიგონ და წაართვან ასი დრამი ჯარიმა: და ცოლი ისევ უნდა მისცენ ჳელში, და იყოლიოს ცოლად მართებულად. და თუ ტყულიად სძრახევდეს და არ დასწყნარდეს მისის ძრახვისაგან, ჯარიმა დაადგან, როგორც რომ სწერია კაცთა და დედაკაცთა სამართალი.“⁴⁸⁵ როგორც ჩანს კანონმდებელი უფრო მკაცრია ამ შემთხვევაში. ცემა უფრო მძიმე ფორმის იყო, ამას გარდა, ნორმაში მოხსენიებულია დარიგება, რაც როგორც ჩანს გაფრთხილებაში მდგომარეობდა. მაგრამ მთავარი, ცილისმწამებელს ასი დრამის გადახდა არა ქალის ოჯახის მიმართ უწევდა, არამედ ფულადი გადასახდელი ჯარიმას წარმოადგენდა. ამდენად, სომხურ სამართალში, სიძვის ცილისმწამება პირობითად საჯარო დელიქტებს მიეკუთვნებოდა. გ. ნადარეიშვილის აზრით, მხითარ გოშის დროს ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და ის, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში ხდებოდა, ცხადია, საქართველოს სახელმწიფოსა ნებართვისა და დასტურის გარეშე არ განხორცილდებოდა. გარდა ამისა, საქართველო და სომხეთი განვითარების დაახლოებით ერთნაირ დონეზე იდგნენ და მოსალოდნელია, რომ სომხეთსა და საქართველოში სასჯელების შეფარდების საქმეში დაახლოებით ერთნაირ ვითარებასთან უნდა გვექონოდა საქმე. რის საფუძველზეც აკეთებს დასკვნას, XII საუკუნის ქართული სამართლის წიგნებს რომ მოეღწია, სასჯელების საკითხში ის დაახლოებით ისეთივე ნორმების შემცველი იქნებოდა, როგორისაც იყო მხითარ გოშის ცნობილი სჯულდება.⁴⁸⁶ რა თქმა უნდა ამ პერიოდის სამართლის ძეგლები რომ იყოს ჩვენს ხელთ, ყოველგვარი კითხვები მოხსნილი იქნებოდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ეტაპზე ასეთის არარსებობის გამო ზუსტი დასკვნის გაკეთება რთულია, მითუმეტეს რომ არსებულ ქართული სამართლის ძეგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია ფიქსირდება.

მრუშობის დაწამებისათვის სხვა ქვეყნის სამართალს რომ გადავხედოთ, განსხვავებული სახის სასჯელებს ვხვდებით. უძველეს ხანაში, ხამურაბის კანონების 127-ე მუხლით მრუშობის ცილისმწამებელი

⁴⁸⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 118.

⁴⁸⁵ იქვე, გვ. 289.

⁴⁸⁶ იხ. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 105.

გამაწილებელი სასჯელით ისჯებოდა, რაც გამოიხატებოდა ნახევარი თავის გადაპარსვით.⁴⁸⁷ როგორც ის. დოლიძე აღნიშნავს, საფეთქლების გაპარსვა ძველ ბაბილონში მძიმე ხასიათის გამაწილებელი სასჯელი იყო, რომელიც უპატიობისა და მონობის ნიშნად ითვლებოდა.⁴⁸⁸

ასირიულ კანონებით მრუშობის ცილისწამება კუმულაციურ სანქციას ითვლისწინებდა. ცილისწამებლის მიმართ ფიზიკურ სასჯელს (დაჰკრან 40 ჯოხი) იყენებდნენ, მას ევალებოდა ასევე ერთი თვის განმავლობაში სამეფო სამუშაო, ამას გარდა უნდა გადაეხადა ერთი ტალანტი კალა.⁴⁸⁹ თავად ქმრის მიერ ცოლის მრუშობის ცილისწამება უფრო მკაცრად ისჯებოდა.⁴⁹⁰

ისლამური სამართალიც ფიზიკურ სასჯელს იყენებს მრუშობის ცილისწამებელთა მიმართ: „ისინი, ვინც ბრალს დებენ მრუშობაში და მერე არ მოიყვანენ ოთხ მოწმეს –ცემეთ ისინი 80 დარტყმით და ისინი ვერ იქნებიან მოწმეები ვერასდროს.“⁴⁹¹ სალიკური სამართალიც ქონებრივ სანქციებს იყენებს მრუშობის ცილისწამებლის მიმართ.⁴⁹² ეკლოგას მიხედვით მრუშობის ცილისწამებელი იგივე სასჯელით უნდა დასჯილიყო, რაც მრუშობის ჩამდენელს მოელოდა. ხოლო მემრუშეთა მიმართ კანონმდებელი საკმაოდ მკაცრია, ორივე მემრუშესათვის ცხვირი უნდა მოეჭრათ.⁴⁹³

ძველ ქართულ სამართალს რაც შეეხება, იქ ქონებრივი ხასიათის სანქცია, საუპატიო გამოიყენებოდა. თუ რელიგიური თვალსაზრისით განსხვავებული სიმკაცრის სასჯელები იყო გათვლისწინებული სიძვისათვის და მრუშობისათვის, ძველი ქართული საერო სამართალით ერთნაირად ისჯებოდა როგორც სიძვის, ისე მრუშობის დაწამება. სანქციის ოდენობაზე მხოლოდ პირის სოციალური სტატუსი მოქმედებდა, საუპატიოს რაოდენობა

⁴⁸⁷ ხამურაბის კანონები, გვ. 26.

⁴⁸⁸ ის. დოლიძე ის., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 087.

⁴⁸⁹ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, რედ. ვრ. გიორგაძე, თბ., 1990, გვ. 78.

⁴⁹⁰ § 19. უკეთუ მამაკაცი ცოლს დასწამებს თანასწორს, იტყვის: „მასთან წვანან“, ან ჩხუბის დროს სახლახოდ ეტყვის: „შენთან წვანან“ და კიდევ: „მე ფიცის ქვეშ გამხელ შენ“, მაგრამ არ ამხელს და ბრალს არ დასდებს, ასეთ კაცს უნდა დაჰკრან 50 ჯოხი ერთი თვის მანძილზე მან უნდა შეასრულოს სამეფო სამუშაო. იგი უნდა დადაღონ და გადაახდევინონ 1 ტალანტი კალა. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, რედ. ვრ. გიორგაძე, თბ., 1990, გვ. 78.

⁴⁹¹ ის. Мусульманское право (структура и основание институтов), ред. Л. Р. Сюкияйнен, М., 1984, ст. 82.

⁴⁹² „უკეთუ მამაკაცი თუ ქალი – თავისუფალ ქალს მეძავს უწოდებს და ამას ვერ დაამტკიცებს, გადახდება 1800 დენარი, რაც შეადგენს 45 სოლიდს.“ დოლიძე ის., ადრეუფოდალური სამართლის ძეგლები, თბ., 1950, გვ. 23.

⁴⁹³ „თუ ისინი დაამტკიცებენ კავშირის არსებობის ფაქტს, მაშინ უნდა ცხვირი მოაჭრან ორივე მემრუშეს. ხოლო თუ ვერ დაამტკიცებენ, მაგრამ ბრალდება მტრობით გააკეთეს, მაშინ როგორც ცილისწამებლები ასეთივე სასჯელით უნდა დაისაჯონ.“ Эклога, византийский законодательный свод VIII века, Вступительная статья, перевод, комментарии Е. Э. Липшиц, М. 1965, ст. 70.

განისაზღვრებოდა სისხლის ფასის მიხედვით. ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებისას მხოლოდ ქონებრივ სანქციები იყო გათვლისწინებული. ხოლო ცილისმწამებელს საზღაურის გადახდა ქალის ოჯახის მიმართ ეკისრებოდა. რის საფუძველზეც აღნიშნული დელიქტები პირობითად შეიძლება კერძო სამართალს მიეკუთვნოს.

4.2. გრძნეულების ცილისწამება

4.2.1 გრძნეულების ცილისწამება როგორც დელიქტის ერთ-ერთი სახე

გრძნეული სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც „ემშაკურობის მოქმედი“.⁴⁹⁴ ხოლო მისანი იყო წინამთქმელი მომავლისა.⁴⁹⁵ ამ განმარტებებს შეესაბამება ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში არსებული 346-ე მუხლი: „გრძნეული, რომელიც იქმნებიან ემშაკისა საუნჯენი. ესრეთ იტყვიან, რომე, სანთლითა და ცერცვით რომ მისნობა ვქენითო, იმაში ესრეთ ვნახეთ, ეს კარგი მოგივა და ეს გევნებისო. ესრეთ წინასწარმეტყუელებენ და იტყვიან, შენი საქმე ესრეთ იქნებაო.“⁴⁹⁶ მისნობას წარამართულ გადმონაშთად მიიჩნევდა ქრისტიანობა. „ნუ იღებ საქმედ შენ მსგავსად ბიწებისა მის წარამართთადასა.“⁴⁹⁷

გრძნეულების დაბრალება რომ უნდა დასჯილიყო, ეს საგსებით ლოგიკურად მიაჩნია ნ. ურბნელს, რადგან „თვით გრძნეულება დანაშაული იყო. გრძნეულების ცილისწამება ავტორს სიტყვით შეურაცყოფის ფორმად მიაჩნია.“⁴⁹⁸ ნორმა, რომელიც უშუალოდ გრძნეულების დაწამებას შეეხებოდა მოცემულია მხოლოდ ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი მუხ. 146). ამ მუხლით გრძნეულების საჯაროდ დაბრალება დელიქტად ითვლებოდა. „თუ კაცმან კაცსა გრძნეულება შეჰყივლოს, სისხლის ნახევარი დაუურვოს, თუ ვერ გატეხოს.“⁴⁹⁹ შეყივლება განმარტებულია, როგორც შეძახება, ყვირილით დაბრალება.⁵⁰⁰ მისნობის ცილისწამების როგორც დელიქტის აუცილებელ ნიშანს როგორც ჩანს წარმოადგენდა დაწამების საჯარო ხასიათი. დამწამებელი ცილისწამებისათვის პასუხს აგებდა იმ შემთხვევაში თუ თავის ბრალდებას ვერ დაამტკიცებდა. ამაზე მიაჩნებენ ნორმაში შემდეგი მითითება, „თუ ვერ გატეხოს“, საუბარია იმ პირზე ვისაც გრძნეულებას აბრალებდნენ.⁵⁰¹

⁴⁹⁴ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 171.

⁴⁹⁵ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 748.

⁴⁹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 209.

⁴⁹⁷ მოსეს სამართალი მუხ. 11. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 111.

⁴⁹⁸ იხ. *ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი)*, დასახ. ნაშ., გვ. 490, 491.

⁴⁹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 468.

⁵⁰⁰ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1487.

⁵⁰¹ გატეხა – ზოგჯერ ვამხილებ, გავცრუვებ, პირს დაუყოფ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 272; მხილება – ესე არის სიტყვითა და საქმის გარჩევით ბოლოს დანახება. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 552; მხილება – სიტყვით ან საქმით შევაგონებ, დავანახებ უგუნას ყოფა-ქცევას ან შეცთომასა, გამოვაშკარავებ, გავამუდგანებ, პირს დაუყოფ, გავამტყუენებ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 938; ისევე როგორც ძველ ქართულ სამართალში ცილისწამებისას, თუნდაც კუდიანობის, ჯადოქრობის დაწამებისას დამწამებელს უწევს თავისი ბრალდების მტკიცება, თუმცა ისტორიაში გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც. სამურაბის კანონებით ჯადოქრობის დაბრალებისას დაწამებულს უხდებოდა თავისი სიმართლის დამტკიცება: § 2. „უკეთუ კაცმა კაცს ჯადოქრობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, ის, ვისაც ჯადოქრობა დააბრალა, მდინარესთან უნდა მივიდეს, მდინარეში უნდა შევიდეს და, თუ იგი მდინარეში დაიჭირა, მისი დამსმენელი მის სახლს წაიღებს, თუ ეს კაცი მდინარეში გაწმინდა და იგი გადარჩა, ვინც მას ჯადოქრობა დააბრალა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ვინც მდინარეში შევიდა,

ნორმა ზოგადი სახისაა, სხვა რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას ის არ იძლევა. სამწუხაროდ არც სასამართლო განჩინებები მოიძებნა აღნიშნულ საკითხზე. ერთადერთი 1592 წლის სიმონ I-ის მაღალაძეებისადმის მიცემული სიგელია, მაგრამ მასშიც მეტად ზოგადი განსაზღვრებაა მოცემული. თუ ბაგრატ კურაპალატის სამართალი აქცენტს აკეთებს, რომ დაწამება „შეყივლებით“ უნდა მომხდარიყო, სიმონ მეფის სიგელში ზოგადად დაწამებას ახსენებს: „თუ კუდიანობა⁵⁰² და მწამლელობა⁵⁰³ დასწამოს, სისხლის ნახევარი არის.“⁵⁰⁴

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში არ არის ნორმა, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეეხებოდა. ხომ არ იძლევა ეს იმის საფუძველს, რომ ამ პერიოდისათვის მისნობის ცილისწამება დასჯად ქმედებად აღარ ითვლებოდა? შესაძლოა ეს დამოკიდებული იყო იმ ქმედების დასჯადობის არსებობაზე რასაც პირს სწამებდნენ. თუ რაიმე ქმედება დანაშაულად იყო აღიარებული, მისი ცილისწამებაც პასუხისმგებლობას იწვევდა. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 251-ე მუხლი ეხება „მისანთა და კუდიანთათვის.“ პირველ პუნქტში კანონმდებელი საუბარობს მისანთა და კუდიანთა ამჟამად კაცის დასჯაზე: „მისანთა და კუდიანთა ამჟამად კაცი ღ-თისაგანც დაწვევლილი არის და პატრონისაგანც წასაგდენი.“⁵⁰⁵ წახდენა გარჰყენას, გაფუჭებას დაღუპვას, გაოხრებას ნიშნავდა.⁵⁰⁶ მართალია მოყვანილ ციტატაში არაფერია ნათქვამი თავად მისნის და კუდიანის დასჯაზე, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ დასჯილიყო ადამიანი, რომელიც მისანის და კუდიანის ამჟამად იყო, ხოლო თავად მისანს, ან კუდიანს პასუხისმგებლობა არ დაკისრებოდა. ხოლო ამ მუხლის მომდევნო პუნქტებში საუბარია მისნის და კუდიანის დასჯაზე, თუ

თავისი დამსმენელის სახლს წაიღებს.“ ხამურაბის კანონები, გვ. 10; სალიკურ სამართალში ორი მუხლი ეხება ჯადოქრობის დაწამებას. იმ შემთხვევაში თუ ცილისწამება ისეთ პირს ეხება ვისზეც ხმებია გავრცელებული, დამწამებელს თავისი სიტყვების მტკიცება არ უწევს, მეორე შემთხვევაში დამწამებელს თავისი ნათქვამი უნდა დამტკიცებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცილისწამებისათვის აგებდა პასუხს. LXIV. ჯადოქრობის ბრალდების შესახებ. § 1. „უკეთუ ვინმე სხვას უწოდებს ჯადოქარს, ე. ი. კუდიანს ან ისეთს, რომლის შესახებაც ხმებია გავრცელებული, თითქოს იგი დაატარებდეს ქვებს, სადაც კუდიანები ხარშავენ (თავის წამალს), გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს 63 სოლიდს“; § 2. „უკეთუ ვინმე თავისუფალ ქალს უწოდებს კუდიანს და ვერ შესძლებს ამის დამტკიცებას, გადახდება 2500 დენარი, რაც შეადგენს სამჯერ 89 სოლიდს. *დოლიძე ის.*, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თბ., 1950, გვ. 48. აღენამანების სამართლით დაწამებული პირი უნდა გაეწმინდა ბრალდებისაგან. აღენამანთა პაქტიდან – § 33. „უკეთუ ვინმე სხვის (ცოლს) თავისუფალ (ქალს) ბრალად დასდებს დანაშაულს, ან ჯადოქრობას, ან მომწამლეველობას, შეიპყრობს და გალიაში ჩასვამს, ხოლო ვინმე ნათესაუთაგანი გაწმენდს მას 12 თანამოციტრით (*medicus electus*) ან ამოწვდილი მახვილით (ბრალმდებელმა), უნდა გადაიხადოს 800 სოლიდი.“ *დოლიძე ის.*, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თბ., 1950, გვ. 75.

⁵⁰² კუდიანობა – გრძნეულება, ჯადოიანობა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 633.
⁵⁰³ მწამლედი – ესე არს გრძნების მოქმედი, ხოლო მსოფლიონი მწამლაგსა სამსალითა კაცის მკვლელსა უწოდებენ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 544.
⁵⁰⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 207.
⁵⁰⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 544.
⁵⁰⁶ ის. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1667.

მათ გამო „დაჩხუბილნი“⁵⁰⁷ კაცნი სამართალში მოვიდნენ,“ ან თუ მკითხველს სხვაზედ ან ჩხუბი, ან წასაკდენი მოუჭდენია.“⁵⁰⁸ შესაბამისად, თუ ისჯებოდა მისნობა, მისი ცილისწამებაც დასჯადი ქმედება იქნებოდა ვახტანგ ბატონიშვილის პერიოდშიც. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის კრებულში შესულ სამართლის ძეგლებსაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ.⁵⁰⁹ თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ გრძნეულების ცილისწამების შემთხვევაში სასამართლო იხელმძღვანელებდა ნორმით, რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნშია შესული.

სასამართლო განჩინებების არარსებობა გრძნეულების ცილისწამებასთან დაკავშირებით ჩვენს მსჯელობას მწირეს ხდის. ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება, რომ აღნიშნული ქმედება ძველი ქართული სამართლის მიხედვით დელიქტს წარმოადგენდა. ამავე დროს ნორმაში არ იკვეთება ქმედების ობიექტი და არც ქმედების განზრახ ჩადენაზე რაიმე მითითება.

⁵⁰⁷ დაჩხუბილი – ვეჩხუბები, წავეკიდები. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 446.

⁵⁰⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 544-545.

⁵⁰⁹ იხ. *ვაჩეიშვილი აღ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიდან, I, თბ., 1946, გვ. 18.

4.2.2 სასჯელი გრძნეულების ცილისწამებისათვის

მოსეს სამართლით მისნობის ჩამდენი „ბილწ არს წინაშე უფლისა, რომელ[ი] იქმოდის ამას ყოველსა, რამეთუ ამის ყოველისა ბილწებისათვის მოსრნა ივინი უფალმან ღმერთმან შენმან პირისაგან შენისა.“⁵¹⁰ ის რომ მისანი უფლისგანაა დასჯილი ვახტან ბატონიშვილის სამართალშიც (მუხ. 251) არის მითითებული, თუმცა ღვთის სასჯელის გარდა კანონმდებელი საერო სასჯელსაც უწესებს.⁵¹¹ სასჯელებს, რომელთაც კანონმდებელი იყენებს მისნობისათვის საკმაოდ მკაცრია: წახდენა, გახეობრება. ხოლო მისანს თუ „ჩხუბი, ან წასაჯდენი მოუჭდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუპატიო, წაუროს და მისცეს.“⁵¹² ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, მისნის სასჯელი დამოკიდებული იყო იმ შედეგზე რაც დადგებოდა მისი საქმიანობის შედეგად. ბერძნული სამართალიც საკმაოდ მკაცრია მისანთა მიმართ: ხმლით განპატიუება, ქონების ჩამორთმევა და გაძევება, სიკვდილით დასჯა. როგორც ვხედავთ ბერძნული სამართალი უფრო მკაცრ სასჯელებს ითვლისწინებს მისანთა მიმართ.⁵¹³ თუმცა გიორგი ნადარეიშვილს მოჰყავს 1767 წლის კანონი, რომლის მიხედვით „მომწამლეგნი“, „კაცის შემკვრელი“, „სიყვარულისა ძულვარისა წამლის მიმცემნი“, „მამათ მავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი“ სიკვდილით უნდა დასჯილიყვენენ.⁵¹⁴ რაც შეეხება გრძნეულების ცილისწამების დასჯადობას, განხილვისას ვეყრდნობით ორ ნორმას: ბაგრატ კურაპალატის სამართალს (ბექა-ადბუღას სამართლის წიგნის 146-ე მუხლი)⁵¹⁵ და სიმონ I-ის 1592 წლის სიგელს.⁵¹⁶ ორივე შემთხვევაში სასჯელი ანალოგიურია, ცილდაწამებულის სისხლის ფასის ნახევარი. ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის ფასის გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ ხდებოდა. ამაზე მეტყველებს ტერმინი „დაუუროს“, რაც სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს როგორც სისხლის მიცემა.⁵¹⁷ იგივე შეიძლება ითქვას სიმონ I-ის სიგელზე: „თუ კუდიანობა და მწამლელობა დასწამოს, სისხლის ნახევარი არის.“⁵¹⁸ გამოყენებული სანქციების მიხედვით კი შეიძლება ითქვას, რომ გრძნეულების ცილისწამება უფრო მსუბუქად იხჯებოდა ვიდრე თავად გრძნეულება.

ამ სახის სანქციას სხვა დანაშაულთა ცილისწამებისთვისაც ითვალისწინებდა კანონმდებელი, ამ მხრივ გრძნეულების დაწამებისათვის განსხვავებულ სასჯელი არ არის დაწესებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გრძნეულების ცილისწამებისათვის თუ სისხლის ფასის ნახევარი უნდა

⁵¹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 111.

⁵¹¹ იქვე, გვ. 544.

⁵¹² იქვე, გვ. 545.

⁵¹³ იქვე, გვ. 208-210.

⁵¹⁴ იხ. ნადარეიშვილი გ., საჯარო და კერძო სასჯელები ფეოდალური საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 123.

⁵¹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 544.

⁵¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 207.

⁵¹⁷ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 204.

⁵¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 207.

გადაეხადა დამნაშავეს, მაგალითად, ღალატის დაწამებისათვის სრული სისხლის ფასი იყო დაწესებული. ამაზე გავლენას რა თქმა უნდა ახდენას რა ქმედების დაწამებას ჰქონდა ადგილი.

სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით, გრძნულების ცილისწამების სასჯელი არ არის ანალოგიური იმ სასჯელისა რაც მისნობისათვის იყო გათვლისწინებული. თუ მისნობისათვის პირის მიმართ შეიძლებოდა დამსახირებელი სასჯელიც გამოეყენებინათ, ამ ქმედების ცილისწამებისათვის ძველი ქართული სამართალი მხოლოდ კომპოზიციათა სისტემით შემოიფარგელება.

4.3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცილისწამება

4.3.1 საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამება, როგორც დელიქტი

ქურდობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაული იყო. როგორც ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავს, ეს დანაშაული მრავალფეროვნებით გამოირჩევა: „ქურდობა, დიად, ბევრი რიგის არის და მრავალფერი არის, და თვითეულად ყველას ცალკე დაწერა არ იქნებოდა, გრძლად მოვიდოდა. ქურდობა ყველა სწორი არ არის.“ (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი 150-ე მუხლი).⁵¹⁹ იმის გამო, რომ სამართლის ძეგლი კაზუისტურ სისტემაზეა აგებული ყველა შემთხვევის ჩამოთვლას, როგორც ვხედავთ კანონმდებელი შეუძლებლად თვლის. ამ მრავალგვარობის გამო ყველანაირი ქურდობა „სწორი“ არ არის.⁵²⁰ ქურდობის არაერთგვაროვნების შესაბამისად სხვადასხვა სახის ქურდობისათვის პასუხისმგებლობაც განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ვახტანგ ბატონიშვილი ცალკე გამოყოფს სამი სახის ქურდობას, (მუხ. 151–სახლის გაქურდება, როდესაც ცოლ-ქმარი სახლში იმყოფებოდა, მუხ. 152–ლაშქრობისას ჩადენილი ქურდობა და მუხ. 153–ქალისთვის სამკაულების შეხსნა).⁵²¹ დასახელებულ მუხლებში კანონმდებელი კუმულაციურ სანქციას იყენებს, ხოლო ამ ქურდობების გარდა სხვა სახის ქურდობისათვის მხოლოდ შვიდეულის გადახდას აწესებს. ასევე ქურდობის ცალკე სახეებად უნდა ჩაითვალოს საყდრის გატეხვა, ჯვარისა და ხატის დამტვრევა, ხელმწიფის სალაროს გატეხვა, რის შესახებაც ვახტანგ ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი სახის ქურდობებს იგი არ ეხება: „საყდრის გატეხისა, ჯვარისა და ხატის დამტვრევისა, ჳელმწიფის სალაროს გატეხისა ჩვენ არაფერი გვითქუამს რა, როგორც ჳელმწიფესა და კათალიკოსსა ეპრიანებოდესთ, ისრე გარდააჳდევინონ.⁵²² მოყვანილი ნორმა მიუთითებს, რომ კანონმდებელი განსხვავებულ პასუხისმგებლობას აწესებს და ერთმანეთისგან გამოყოფს სახელმწიფოს, ეკლესიის ქონების ქურდობას კერძო პირთა ქონების ქურდობისაგან. ეს ნიშნავს, რომ თუ კერძო პირთა წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობათა უმეტესობა კერძო დელიქტთა კატეგორიას მიეკუთვნება, სახელმწიფოს და ეკლესიის ქონების ქურდობის ყველა შემთხვევა საჯარო დელიქტად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაშიც დელიქტის სახეს განსაზღვრავს არა ქმედება თავისთავად აღებული, არამედ დაზარალებული მხარე. საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში

⁵¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519

⁵²⁰ სწორი თანასწორის მნიშვნელობით არის ნახმარი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1204.

⁵²¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

⁵²² იქვე, გვ. 520.

ცალკე გამოიყოფა მეკობრეობა,⁵²³ რომელიც დაწესებული სასჯელის მიხედვით ერთ-ერთ მძიმე დანაშაულს მიეკუთვნებოდა.

სახელმწიფო დანაშაულებთან ერთად დავით ბატონიშვილი ქურდობის ცილისწამებასაც მძიმე „საქმედ“ მიიჩნევს: „მძიმედ საქმედ⁵²⁴ შეირაცხების, ოდეს სწამოს ვისთვისმე ცრუდ ორგულებად მეფის, ანუ წიგნისა, ანუ ქურდობისა, ანუ ციხეთა განცემისა, ანუ მტერთა თანა აქუს მიწერ-მოწერად და ესევეთარი.“⁵²⁵ თუ ქურდობის ცილისწამებას კანონმდებელი მძიმე „საქმედ“ თვლის, მაშინ ასეთი ქმედება დაუსჯელი არ უნდა ყოფილიყო. ზემოთ უკვე იყო საუბარი ქურდობის მრავალგვარობის შესახებ. საინტერესოა რას სახის ქურდობის ცილისწამებას გულისხმობს დავით ბატონიშვილი, ეხება ეს მხოლოდ სახელმწიფო და ეკლესიის ქურდობის ცილისწამებას, თუ ყველა სახის ქურდობას მოიცავს. მოყვანილ ნორმაში ქურდობასთან ერთად მხოლოდ სახელმწიფო დანაშაულებია მოხსენიებული, რაც ვარაუდს აჩენს, რომ კანონმდებელს ამ შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფო და ეკლესიის ქონების ქურდობის დაწამება ჰქონდეს მხედველობაში. ამ არგუმენტის სასარგებლოდ ერთი გარემოებაც მეტყველებს, ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 155-ე მუხლით⁵²⁶ განსაზღვრულია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სახელმწიფო და ეკლესიის ქონების ქურდობისათვის, რაც მიანიშნებს, რომ ამ სახის ქურდობები სახელმწიფო დანაშაულად არის გამოცხადებული. თუ ამ მოსაზრებას მივეყვებით, მაშინ გასაკვირი არ უნდა იყოს თუ რატომ თვლის დავით ბატონიშვილი ქურდობის დაწამებას მძიმე დანაშაულად. ქურდობის ძირითადი შემადგენლობა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა და შესაბამისად სხვანაირად ახსნა რატომ არის ქურდობა მოხსენიებული მძიმე სახელმწიფო დანაშაულთა გვერდით რთულია.

აღბუღას სამართლის 86-ე მუხლის პირველი ნაწილი ამკრძალავ ნორმას წარმოადგენს, სადაც სანქცია არ არის მითითებული: (აღბუღას სამართალი – [ნაპარავის დაწამებისა ასრე იქნას]) – 86. „თუ კაცმან ნაპარავი რამე დასწამოს კაცსა, დასტური არა იცოდეს, ავსა, უწესოს იქს და ნუ სურს.“⁵²⁷ დასტური დაჯერებულს, დარწმუნებულს ნიშნავს.⁵²⁸ ამ მუხლის მთლიანობაში განხილვისას შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება, პირველ ნაწილში კანონმდებელი საუბრობს ბრალის წაყენებაზე, როცა პირს საკმარისი საფუძველი არ აქვს ამისთვის, შესაძლოა აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირი კეთილსინდისიერად ცდება სხვისი ბრლეულობის შესახებ, ასეთი სახის ქურდობის დაწამება დასჯადი არ იყო.

⁵²³ მეკობრეობა – კრება, აკლება, ძარცვა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 699; მეკობრე – მტაცებელი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 461.

⁵²⁴ საქმე – მოქმედება, ზმნობა, გარდასვლა ვისიმე, საქციელი. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1131.

⁵²⁵ სამართალი ბატონიშვილი დავითისა, გვ. 154.

⁵²⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 520.

⁵²⁷ იქვე, გვ. 459.

⁵²⁸ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 202, 212.

ამაზე მიუთითებს ნორმაში სანქციის არარსებობა და მხოლოდ იმის მითითება, რომ ასეთი ქმედება „უწესო“⁵²⁹ საქციელია და პირმა არ უნდა ჩაიდინოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირი არ დაუჯერებს დაწამებულის ფიცს და არც მოწმეებს და მაინც გააგრძელებს ბრალდებას და შემდგომ აღმოჩნდებოდა რომ ბრალდება უსაფუძვლო იყო მისი ქმედება დასჯადი ხდებოდა: „მაგრამ თუ არც ფიცი დაუჯეროს და არცა მოწამეს უყუროს, გასაჯოს და წამოუღოს, და უბანთა ზედა გააქიქოს, და მერმე სხვაგან გამოჩნდეს იგი წარკვლომილი, მას კაცს იგი წაღებული მისცეს, და რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამად რომე უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილა.⁵³⁰ განქიქება განმარტებულია, როგორც დიდად გაწბილება, გამოჭენება, შერცხვენა, უპატიოდ ხსენება.⁵³¹ როგორც ნორმიდან ჩანს პირს პასუხისმგებლობა ეკისრება, უსაბუთოდ პირის ბრალდებისათვის და „უბრალო“ კაცის „გაწბილებისათვის“. გაწბილება შერცხვენას გულისხმობდა.⁵³² უდანაშალო პირისთვის დანაშაულის ჩადენის დაწამება მის შერცხვენას ნიშნავდა, ზიანს განიცდიდა პირის პატივი. ამადენად, დაწამებულს პასუხისმგებლობა ეკისრება სხვისი პატივის ხელყოფისათვის.

ნორმა იმის დასადასტურებლად გამოდგება, რომ ქურდობის ცილისწამება პატივისა და ღირსების წიანააღმდეგ მიმართულ დელიქტს წარმოადგენდა. დანაშაულის დაბრალებას ადგილი აქვს მოყვანილი მუხლის როგორც პირველ ნაწილში, ისე მეორე ნაწილში. პირველ შემთხვევაში თუ დაწამება იმაში გამოიხატება, რომ ბრალმდებელს საკმარისი საფუძველი არ აქვს ბრალდებისათვის, მეორე შემთხვევაში დაწამებელი ყურადღებას არ აქცევს არსებულ მტკიცებულებებს და მაინც სწამებს ქურდობის ჩადენას, ამავე დროს ამას აკეთებს სახალხოდ⁵³³ და ნაქურდალი ნივთი კი სხვაგან აღმოჩნდებოდა. ე. ი. აღბუღას სამართლით ქურდობის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა რომ დაკისრებოდა პირს, დასახელებული ფაქტორები უნდა არსებულებოდა. რაც შეეხება დელიქტის სუბიექტურ მხარეს. პირველ ნაწილში აშკარად იკვეთება, რომ პირი არაგანზრახ ცდება და უდანაშალო პირს აბრალებს დანაშაულის ჩადენას. როგორც ავლნიშნეთ, კანონმდებელი ასეთ ქმედებას მართლზომიერად არ თვლის, მაგრამ იგი დასჯადი არ არის ე. ი. დელიქტს არ წარმოადგენდა.

მეორე ნაწილის ტექსტიდან გამომდინარე ზუსტად იმის თქმა, რას გულისხმობდა კანონმდებელი დაწამებლის მხრიდან, პირდაპირ განზრახვას თუ გაუფრთხილებლობაც საკმარისი იყო, რთულია. პირდაპირ განზრახვაზე აშკარა მითითება არ არის ნორმაში. იმის აღნიშვნა რომ ცილისმწამებელმა არ დაუჯერა დაწამებულის ფიცს და მოწმეებს, არ გულისხმობს, რომ მას

⁵²⁹ უწესო – უჯერო, უთავბოლო, უხამსი, უშესაბამო, ურიგო. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1287, 1290.

⁵³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 459.

⁵³¹ იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 143; *აბულაძე ი.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 73; *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი ლექსიკონი, გვ. 220.

⁵³² იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 299.

⁵³³ უბანი შუკას ქუჩას ნიშნავდა. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1236.

გაცნობიერებული ჰქონდა უდანაშაულო პირის ცილისწამება, მაგრამ არც საპროსპიროს გამორიცხავს. პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა ამ შემთხვევაში არა განზრახვის არსებობა, არამედ ის გარემოება, რომ პირს უნდა გაეთვლისწინებინა არსებული მტკიცებულებები (ფიცი, მოწმეთა ჩვენებები), რის გამოც მას შეცნობილი უნდა ჰქონოდა ბრალდების უსაფუძველობა.

დასახელებულ მუხლს ეხება ნ. ურბნელიც: „არსებითი თვისება ამ ბრალისა [ნაპარავის დაწამება] ისაა, როცა კაცმა ნამდვილად არ იცის ნაპარავის საქმე და სხვა-კი სწამებს – ნაპარავი შენა გაქვსო. ასეთი დაწამება სიტყვიერია, მხოლოდ „ავი და უწესო“ და გადასახადი არ უწერია. მეორე დაწამება უფრო მძიმე იყო, სიტყვით და საქმით ჰმოქმედობდა. რასაკვირველია, დაწამებულს შეეძლო თავი ემართლა, ფიცისა და მოწმისათვის მიემართა. მაგრამ დამწამებელსაც ნება ჰქონდა თავისი არ დაეშალა, „გაესაჯა, წამოელო (ვითომდა ნაპარავი) და უბანთა ზედა გაექიქა“ უბრალოდ დაწამებული. თუ შემდეგ ნაპარავი სხვაგან აღმოჩნდებოდა, მაშინ წანალებიც დაუბრუნოს და „რაცა დაეწამოს, ეგ ზომი ერთი სხვა, ამად რომ უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილაო.“⁵³⁴ როგორც ვხედავთ ნ. ურბნელი ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილს შორის განსხვავებას აკეთებს იმის მიხედვით, რომ პირველი დაწამება მხოლოდ სიტყვიერია და ასეთი სახის ცილისწამებისათვის სასჯელი არ იყო გათვლისწინებული, ხოლო მეორე დაწამება ხდება როგორც სიტყვიერად, ისე მოქმედებით (ნაპარავის წამოღება). მეცნიერის განმარტებიდანაც ჩანს, რომ განზრახვას არც მეორე შემთხვევაში აქვს ადგილი. აქცენტი გაკეთებულია უფრო იმ გარემოებაზე, რომ სიტყვიერ ქმედებას „საქმით მოქმედება“ ემატება. მაგრამ პასუხისმგებლობის დაკისრების მთავარ საფუძველს უფრო უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ მტკიცებულებები დაწამებულის სასარგებლოდ მეტყველებს და აღნიშნულ გარემოებას ცილისმწამებელი არ ითვლისწინებს.

აღბუღას სამართლის 86-ე მუხლის მსგავსი ნორმა არის ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში, მუხლი 159: „კაცმან რომ კაცს ქურდობა თუ სხვა რა გინდა რა შეწამოს, სტანჯოს, ბევრი რამ უპატიური შეჰკადროს, დააფიცოს, მერმე ის საქმე სხვაგან გამოჩნდეს და დამფიცებელმან თუ რამ იქიდამ გამოიტანოს, ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს, და გარჯის საუპატიოც უნდა მოსცეს დაფიცებულსა. იქიდამ კიდევ ვერა გამოიტანოს რა, გარჯის საუპატიო მაშინაც უნდა მოსცეს, ბჭეთაგან გასინჯვით, როგორც ჯამდეს.“⁵³⁵ მოყვანილ მუხლში პირდაპირი მითითებაა ქურდობის დაწამების შესახებ. მაგრამ ისმება კითხვა მოიცავს თუ არა ეს მუხლი სხვა დანაშაულების ცილისწამებას, რადგან ქურდობის შემდეგ აღნიშნულია „თუ სხვა რა გინდა რა შეწამოს.“ ამ შემთხვევაში ორი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. პირველი, რომ ვახტანგ ბატონიშვილს მხედველობაში ჰქონდა ქურდობის სახეების მრავალგვარობა და მეორე –

⁵³⁴ ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), დასახ. ნაშ., გვ. 491.

⁵³⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 521.

რომ იგულისხმება სხვა სახის დანაშაულებიც. პირველი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს რომ დასახელებული მუხლი მოთავსებულია თავში „კარი ქურდობისა და სამართალი მისი“, რომლის ნორმები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მოიცავს. თუმცა უფრო მეორე ვარაუდის სასარგებლოდ უნდა გადავიხაროთ.

ისევე როგორც აღბუღას სამართალში ამ შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დაწამება თუ ის „მსუბუქი ფორმით“ იყო გამოხატული დელიქტს არ წამოადგენდა, რადგან ასეთი ფორმის დაწამებას კანონმდებელი საერთოდ არ იხსენიებს. პასუხისმგებლობას იწვევდა ისეთი ცილისწამება თუ მას ახლდა „ტანჯვა“,⁵³⁶ „ბევრი უპატიურობის კადრება“,⁵³⁷ დაფიცება. აღნიშნულ მუხლშიც არ იკვეთება, რომ ამ შემთხვევაში პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ უდანაშაულო ადამიანის ცილს სწამებდა. აქცენტი აქაც გაკეთებულია დაწამების ფორმაზე, რომ მას თან უნდა ახლდეს ცილდაწამებულის გაწვალება, უპატიობის კადრება, დაფიცება.

აღნიშნულ მუხლს ეხება გ. ნადარეიშვილიც: „უპატიობად ითვლებოდა, ცხადია, თუ ვინმე ვინმეს ქურდობას ან სხვა დანაშაულის ჩადენას შესწამებდა ისე, რომ საქმის ნამდვილი ვითარება არ ეცოდინებოდა. სოციალურ პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც უდანაშაულო კაცისათვის დაუბრალებიათ დანაშაულის ჩადენა და ამ უკანასკნელს თავი ფიცით უმართლებია. ასეთი ვითარების გამოსახატავად ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 159-ე მუხლი „უპატიურის შეკადრებას“ ხმარობს.“⁵³⁸

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ყველა დანაშაულების მიმართ, სავარაუდოდ ასეთი მიდგომა არ არსებობდა. მეკობრეობისათვის უმკაცრესი სასჯელი იყო გათვლისწინებული. მეკობრე განმარტებულია როგორც მტაცებელი, ავაზაკი⁵³⁹ ხოლო მეკობრეობა – კრეხას, აკლებას, ძარცვას ნიშნავდა.⁵⁴⁰ თუ განმარტებას დავეყრდნობით მეკობრეობისას ქონების აშკარა მიტაცება ხდებოდა. აღნიშნულ საკითხს ეხება ბრაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართალი 113-ე მუხლი): „თუ ეკლესიად მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად და ესე დასწამონ, შენ იცოდით, პატრონმან მის მეკობრისამან უცოდნელობა ფიცოს

⁵³⁶ ტანჯვა – წვალებას ნიშნავს ამ შემთხვევაში. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1215.

⁵³⁷ უპატიური – პატივ ახდილი, უმესაბამო, უკადრისი. უპატიოდ, უპატიურად – პატივის ახდით, უმართებულად. უპატიობა, უპატიოება, უპატიურება – პატივის ახდა, ბიაბრუოება. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1264; უპატიური – პატივ წარწყმედილი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II, გვ. 165.

⁵³⁸ *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, კურნალი „აღმანახი“, 2000, გვ. №14, გვ. 67.

⁵³⁹ იხ. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 461; *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 699.

⁵⁴⁰ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 699.

ოცდაოთხისა კაციოთა და დაეჯერების. მეკობრე ჰელთა მისცეს, რად გინდა უყონ, ნუ დაემდურების. ალაფიცა უკლებლად შექციონ, გინა მათ გამოიღონ.“⁵⁴¹ ამ შემთხვევაში ცილისმწამებლად გვევლინება თავად დამნაშავეები, მეკობრეები. ფიცი ამ მუხლშიც ფიგურირებს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ნორმებისაგან განსხვავებით, სადაც ფიცი არ იყო საკმარისი საფუძველი დაზარალებული მხარისათვის, რომ ბრალდებაზე უარი ეთქვა, ამ შემთხვევაში ბატონის მხრიდან მოფიცართა მოყვანა საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენდა მისი უდანაშაულობის დასადასტურებლად.⁵⁴² ხოლო კანონმდებლის მხრიდან ფიცის დაწესებას პატრონისათვის და არა მეკობრეებისათვის ხსნიან იმ გარემოებით, რომ არსებობდა გულგება, რომ მეკობრეთა ფიცს არ დაეჯერებდა.⁵⁴³ რადგან მეკობრეები პატრონის ნებართვის გარეშე მოქმედებდნენ, შესაბამისად მათ შეცნობილი ჰქონდათ, რომ დაწამება ცილისმწამებლური იყო. ამდენად, ნორმის ტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შემადგენლობის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას ითვალისწინებს.

ძველი ქართული სამართალი კაზუისტურ სისტემაზეა აგებული, ქურდობის ცილისწამებასთან დაკავშირებით უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ დანაშაულის დაწამების ყველა შემთხვევა ძველ ქართულ სამართალში დელიქტად არ ითვლებოდა. ქურდობის დაწამების „მარტივი“ ფორმა, რაც გულისხმობდა მტკიცებულების გარეშე პირისთვის ქურდობის ჩადენის დაბრალებას, არ იხჯებოდა, თუმცა კანონმდებელი ასეთ ქმედებას არ მიესალმებოდა. ამ შემთხვევაში ქმედების დაუსჯელობას განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ დაწამება უფრო ხდებოდა შეცდომის საფუძველზე და პირი განზრახ არ მოქმედებდა. ქურდობის დაწამება დასჯადი ხდებოდა, თუ პირი მოწმეების და მტკიცებულებების საპირისპიროდ განაგრძობდა ქურდობის ჩადენის ბრალდებას, „უპატიურობას“ ჰკადრებდა დაწამებულს და სახელს უტეხდა. მაგრამ განსხვავებულად წარმოგვიდგება საკითხი, როცა საქმე ეხებოდა მეკობრეობის დაწამებას. ამ შემთხვევაში დაწამების ფორმაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. დასჯადი იყო არა მარტო ქმედების-მეკობრეობის ჩადენის ცილისწამება, არამედ მეკობრეობის – დანაშაულის ჩადენის ცოდნის დაწამებაც. განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ მეკობრეობა ძველ ქართულ სამართალში ერთ-ერთ მიიმე

⁵⁴¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

⁵⁴² ქურდობის დაწამებისას შესაძლებელი იყო თავად დამწამებელს დაკისრებოდა მტკიცებულებების მოყვანა, ან პირიქით დაწამებულ მხარეს უნდა ემართლებინა თავი. ხამურაბის კანონების მე-11 მუხლით: „უკეთუ დანაკარგის პატრონი დანაკარგის მცნობელ მოწმეებს ვერ მოიყვანს, ცრუ არის, ცილი დაუწამებია, და სიკვდილით უნდა დაისაჯოს.“ ხამურაბის კანონები, გვ. 11; ამავე კანონების 126-ე მუხლით: „უკეთუ კაცს არაფერი დაკარგვია და მინც იტყვის: „რალაც დამეკარგაო“ და თავის უბანს დასწამებს, მისმა უბანმა ღმერთის წინაშე უნდა განაცხადოს, რომ ამ კაცს არაფერი დაკარგვია და იგი ყველაფერს, რასაც ითხოვს, ერთიორად გადაუხდის თავის უბანს.“ ხამურაბის კანონები, გვ. 26.

⁵⁴³ იხ. ნადარეიშვილი გ., ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით. თბ., 1962, გვ. 4.

დანაშაულად მიიჩნეოდა და შესაბამისად მკაცრადაც ისჯებოდა, ამიტომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებულ ცილისწამებას სასჯელი მოსდევდა. ამდენად, სამართლის ძეგლებში არსებული ნორმების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამება დასჯად ქმედებად ითვლებოდა, რადგან ასეთი ქმედებით ხდებოდა პირის პატივის ხელყოფა.

4.3.2 სასჯელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამებისათვის

დამნაშავისათვის შეფარდებულ ქონებრივი სანქციებიდან სახელმწიფოს წილი რომ ეკუთვნოდა ამის მაგალითად მოყავთ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 154-ე მუხლი⁵⁴⁴: „თუ მონაპარავე გლეხისა არის, ერთიორად გლეხს მიეცემის და სხვა საჯელმწიფო არის.“⁵⁴⁵ მაგრამ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი ქურდობის ცილისწამებასთან დაკავშირებით.

ბაგრატ კურაპალატის სამართლით (ბექა-აღბუღას სამართლის 113-ე მუხლი) მეკობრეობაში თანამონაწილეობის ცილისწამებისას მეკობრე, რომელიც ამავე დროს ცილისმწამებელიც იყო დაზარალებულს ხელთ გადაეცემოდა: „მეკობრე ჰქვითა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ დაემდურების. ალაფიცა უკლებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ.“⁵⁴⁶ ხელთ მიცემა ძარცვის დაზარალებისას გასაკვირი არ არის, ასეთი სახის სანქციას ცილისწამების სხვა შემთხვევაშიც გხვდება, მაგალითად მთხრობლით მკვლელობის დაწამებისას.⁵⁴⁷ როგორც უკვე ითქვა ხელთ მიცემისას დამნაშავე სრულიად უუფლებო მდგომარეობაში ვარდებოდა.⁵⁴⁸ ამას ადასტურებს ნორმის შემდეგი სიტყვები: „რაჲ გინდა უყონ, ნუ დაემდურების.“⁵⁴⁹ ამის გარდა მეკობრეს „ალაფიცა“⁵⁵⁰ უკლებლად შეაქციონ,⁵⁵¹ გინა მათ გამოიღონ.“⁵⁵² გარდა ამისა მეკობრეებს წართმეული ქონების დაბრუნების ვალდებულებაც ეკისრებოდა.

ბექა-აღბუღას სამართლით (მუხ. 86) ქურდობის ცილისმწამებელს უნდა დაებრუნებინა ის, რაც ცილდაწამებულისაგან მიიღო და ამას გარდა, „და რაცა დაეწამოს, ეგ ზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამაღ რომე უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილა.“⁵⁵³ ნორმაში გამოყენებული სასჯელი შეიძლება ქონებრივ სანქციებს მიეკუთვნოს, რადგან „წამოღებული“-ში შეიძლება იგულისხმებოდეს ის რასაც მატერიალური ღირებულება გააჩნია, ხოლო საზღაურის რაოდენობა დამოკიდებული იყო „წამოღებული“-ს რაოდენობაზე და მის ერთმაგ რაოდენობას წარმოედგინა. სავარაუდოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იქნებოდა

⁵⁴⁴ იხ. *ვახეიშვილი აღ.*, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიდან, I, თბ., 1946, გვ. 60.

⁵⁴⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

⁵⁴⁶ იქვე, გვ. 466.

⁵⁴⁷ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი 38-ე მუხლი. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 491.

⁵⁴⁸ იხ. *დოლიძე ის.*, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 250-251.

⁵⁴⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

⁵⁵⁰ ალაფი – საფენელი და ჭურჭელი. *სულხან-საბა ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 104; ალაფი – (სპარს) ნაშოვარი ბრძოლის დროს. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 19.

⁵⁵¹ შექცევა – შევაბრუნებ, მოვაბრუნებ, უკან მივსცემ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 1184.

⁵⁵² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

⁵⁵³ იქვე, გვ. 459.

გადასახდელის რაოდენობა, რადგან თავად ქურდობისას ქონებრივი სახდელის გადახდა ხდებოდა ნაქურდალი ნივთის ღირებულების მიხედვით. როგორც ნორმიდან ჩანს („ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს“) ცილისმწამებლს სახდელის გადახდა ცილდაწამებულის სასარგებლოდ უწევდა. ბექა-აღბუღას სამართლის ამ მუხლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქურდობის ცილისწამება კერძო-სამართლებრივ დელიქტს წარმოადგენდა, საჯარო ელემენტი ამ შემთხვევაში საერთოდ არ იკვეთება.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 159-ე მუხლშიც ქურდობის ცილისწამებისას ქონებრივი სანქციაა გამოყენებული: „დამფიცებელმან თუ რამ იქიდამ გამოიტანოს, ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს, და გარჯის საუპატიოც უნდა მოსცეს დაფიცებულსა. იქიდამ კიდევ ვერა გამოიტანოს რა, გარჯის საუპატიო მაშინაც უნდა მოსცეს, ბჭეთაგან გასინჯვით, როგორც ჳამდეს.“⁵⁵⁴ გარჯა – თავდადებით შრომას, თავის ტკენას, შეწუხებას ნიშნავდა.⁵⁵⁵ საუპატიო უპატიობისათვის დადგენილი ქონებრივი სასჯელი იყო, რომელიც პირს დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა. ხოლო საუპატიოს გადახდა უნდა მომხდარიყო „დაფიცებულის“ სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა ვინ იყო „დაფიცებული.“ სავარაუდოდ ეს ცილდაწამებული პირია, რომელსაც თავის მართლება ქურდობის ბრალდების გამო ფიცით მოუხდა.⁵⁵⁶ ამ ნორმაში ორი სახის სანქცია გამოყენებული, რადგან ორი სახის ქმედებაა განხილული. პირველ შემთხვევაში „დამფიცებელს“ „რაიმე გამოაქვს“ და მეორე შემთხვევაში „თუ ვერ გამოიტანა“. თუმცა ისიც გასარკვევია რას უნდა ნიშნავდეს ნორმაში მითითება იმისა „თუ რაიმე იქიდამ გამოიტანოს,“ ან „იქიდამ კიდევ ვერ გამოიტანოს რა.“ რადგან რაიმეს გამოტანაზეა საუბარი, ეს „რაიმე“ მატერიალური ღირებულების უნდა იყოს. მაგალითად, ზოგადად ქურდობის ჩადენისას ქურდს ნაქურდალის შვიდეული უნდა აენახლაურებინა. შესაძლოა, როცა ქურდობის დაწამებას ჰქონდა ადგილი კანონმდებელი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, მოახერხა თუ არა ნივთის დამკარგავმა ქურდისაგან რაიმეს მიღება. შესაბამისად ცილდაწამებულის მიმართ სასჯელის განსაზღვრა დამოკიდებული იყო აღნიშნულ გარემოებაზე. ვახტანგ ბატონიშვილთან მოხსენიებული ტერმინი „გამოიტანოს“ შინაარსობრივად სავარაუდოდ მსგავსი უნდა იყოს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში (მუხ. 86) გამოყენებული ტერმინისა „წამოიღოს.“

159-ე მუხლში პირველ შემთხვევაში ვინც იფიცებდა, კერძოდ კი ცილდაწამებულისათვის უნდა მიეცა ქურდისაგან აღებული შეიდეულის ნახევარი და ამავე დროს „გარჯის საუპატიოც“ უნდა გადაეხადა. მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ „გარჯის საუპატიოს“ იხდიდა. ცილისმწამებელს ფულადი საზღაურის გადახდა უწევს, რომლის ნახევარი ეკუთვნის

⁵⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 521.

⁵⁵⁵ იხ. *ჩუბინაშვილი დ.*, დასახ. ლექსიკონი, გვ. 261.

⁵⁵⁶ ცილისწამების ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით დამწამებელს უწევს ფიცი დადება. მაგალითად, ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნი (ბექა-აღბუღას სამართლის 120-ე მუხლი). ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 466.

ცილდაწამებულას,⁵⁵⁷ მეორე ნახევარი კი ნივთის დამკარგავს დარჩებოდა. როგორც ვხედავთ მხოლოდ კერძო პირის ინტერესის დაკამაყოფილება ხდება. ამდენად, გამოყენებული სანქციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლით ქურდობის და სხვა დანაშაულთა ცილისწამება კერძო დელიქტად შეიძლება ჩაითვალოს.

ორი სასჯელის ერთდროულად გამოყენება, ან თუნდაც ალტერნატიული სანქციის არსებობა გასაკვირი არ არის და ამას სხვა ნორმებშიც ვხვდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში სასჯელის სახე დამოკიდებულია არა მოსამართლის შეხედულებაზე არამედ, დამდგარ შედეგზე, რაც გამოიხატება სიტყვებში „თუ რამე გამოიტანოს“, მაგრამ რაზე იყო დამოკიდებული და რა შემთხვევაში ხდებოდა ეს ამის თქმა არ შეგვიძლია. ამას გარდა ცილისმწამებელს საუპატიოც უნდა გადაეხადა ცილდაწამებულისათვის, იმ პირისათვის ვისაც ფიცის დადება მოუწია. რაც შეეხება „გარჯის საუპატიო“-ს მნიშვნელობას, ზოგადად საუპატიო, როგორც უკვე იყო აღნიშნული, უპატიობისათვის დადგენილ ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, ხოლო გარჯა შეწუხებას ნიშნავდა. შესაბამისად „გარჯის საუპატიო“ უნდა ნიშნავდეს ქონებრივ საზღაურს, რომელიც პირს ეძლეოდა იმ „შეწუხებისათვის“, რომ მას მოუწია ფიცის დადება და თავის მართლება. რადგან საუპატიოს ოდენობა არ არის მითითებული სავარაუდოდ ის უნდა ყოფილიყო დამოკიდებული ცილდაწამებულის სოციალურ სტატუსზე.

ძველ ქართულ სამართალში სასჯელის სახეს ძალიან ხშირად განსაზღვრავდა დანაშაულის სუბიექტი. ამის მაგალითს წარმოადგენს გ. ნადარეიშვილის მიერ მოყვანილი 1789 წლის ერთი განჩინება, რომლის მიხედვით ტერმოვსესა და ტერ-სარქისა ჩიოდნენ, რომ ტერარაქელამ ეკლესიის ქონება მიითვისაო. საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ ახპატის არქიეპისკოპოსი დავით, ამილახვარი ლუარსაბი და მდივანი სიმონ, სხვა საპატიო საერო და სასულიერო პირები. ტერ-სარქისამ ტერ-არაქელას ხელსახოცების მოპარვა დააბრალა. სასამართლომ ეს ცილისწამებად მიიჩნია და ტერ-სარქისა დასაჯა. „ცილისმწამებელი ჯერ გალახეს და შემდეგ მღვდლობიდანაც გადააყენეს.“ მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გაირკვა, რომ ტერ-სარქისა მართალი იყო. ტერ-არაქელასაგან გაყიდული საეკლესიო ნივთები მყიდველმა ეკლესიას დაუბრუნა. ხელახლა იმსჯელა სასამართლომ და დაადგინა: „რავდენსაც ჟამს მღვდლობისაგან განყენებული ეს ტერ-სარქისა იყო, იმდენ ხანს ეს ტერ-არაქელა გადაყენებულ იქნას მღვდლობისაგან.“ გარდა ამისა, ტერ-არაქელას ტერ-სარქისისათვის უნდა გადაეხადა „გალახვის საუპატიო“.⁵⁵⁸ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განჩინების პირველი ნაწილია საინტერესო, რადგან მის საფუძველზე შეიძლება მსჯელობა, როგორ შეიძლებოდა დასჯილიყო სასულიერო პირი ცილისწამებისათვის. მღვდელისათვის ცემა მიუსჯიათ.

⁵⁵⁷ იხ. *ნადარეიშვილი გ.*, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „ალმანახი“, 2000, №14, გვ. 67.

⁵⁵⁸ იქვე, გვ. 63.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „გაკვეული მსუბუქი დანაშაულებისათვის სასჯელად ცემა იყო მიღებული. ცემის იარაღად, ან ჯოხს, ან თასმას, ან მათრახსა იყენებდნენ ხოლმე. ვითარცა უმარტივესი საშუალება, ამავე დროს ერთი უძველესთაგანიც იყო. ეს სასჯელი გამოიყენებოდა საერო მართლმსაჯულებაში, ასევე სამონასტრო და საკორპორაციოშიც. (შუშანიკის წამება, გიორგი მთაწმიდელი).“⁵⁵⁹ განხილვაში არ არის დაკონკრეტებული მღვდლის ცემა ამ შემთხვევაში რამდენი დარტყმით განისაზღვრა. სასჯელის მეორე სახე, მღვდლობიდან გადაყენება, რაც სასამართლოს დაუკისრებია, ის ცილისმწამებლის სტატუსიდან გამომდინარეობს და რა თქმა უნდა სხვა შემთხვევებში ვერ იქნებოდა გამოყენებული.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ცილისწამებისას გამოყენებული სასჯელები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: საჯარო სასჯელები: ცემა, განსაზღვრული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (მღვდლობიდან გადაყენება) და კერძო სახის სასჯელები: ხელთ გადაცემა, საუპატიო, ქონებრივი საზღაური. ცემის და განსაზღვრული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის გამოყენება დამოკიდებული იყო ცილისმწამებლის სტატუსზე. ხელთ მიცემა და ქონებრივი სანქციების გამოყენებას განსაზღვრავდა რა დანაშაულის დაწამებას ექნებოდა ადგილი, ქურდობის დაწამების შემთხვევაში განმსაზღვრელი იყო დაკარგული ნივთის ღირებულება, რის ქურდობასაც სწამებდნენ პირს.

ამრიგად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცილისწამებისას გამოყენებული სასჯელების განხილვის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის სახის გამოყენება დამოკიდებული იყო, იმ გარემოებაზე კონკრეტულად რა დანაშაულის ჩადენას სწამებდნენ პირს და ასევე ცილისმწამებლის პიროვნებაზე, მეორე ფაქტორი ასევე გავლენას ახდენდა დელიქტის სახეზე. ცილისმწამებლის მიმართ საჯარო ხასიათის სასჯელებია გამოყენებული, როცა დამნაშავე სასულიერო პირია. რაც შეეხება კერძო პირთა მიერ ჩადენილ ცილისწამებას ამ შემთხვევაში ძირითადად კერძო-სამართლებრივ სასჯელებს იყენებდნენ. „ხელთ მიცემა“ სასჯელის სიმძიმის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდება ქონებრივი სანქციებისაგან. ამ გარემოებას შემდეგი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. ხელთა მიცემას კანონმდებელი იყენებს მეკობრეობის დაწამებისას, ხოლო ქონებრივ სანქციებს აწესებს ქურდობის და სხვა დანაშაულთა დაწამებისას.

ქურდობის მრავალგვარობა განსხვავებულ სასჯელთა დაწესებას არ იწვევდა ქურდობის დაწამებისათვის, განსხვავება შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქონებრივი საზღაურის რაოდენობაში, რადგან იგი პირდაპირ იყო დამოკიდებული იყო ნივთის ღირებულებაზე. ქურდობისათვის ზოგადად გამოიყენებდნენ ნივთის ღირებულების შვიდმაგ ანაზღაურებას.⁵⁶⁰ ვახტანგ

⁵⁵⁹ ჯავახიშვილი ივ., დასახ. ნაშ., გვ. 361.

⁵⁶⁰ ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, მუხ. 154. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 519.

ბატონიშვილის სამართლის წიგნის 159-ე მუხლში⁵⁶¹, სადაც საუბარია ქურდობის ცილისწამებაზე, დამნაშავეს უნდა გადაეხადა იმ ქონების მიხედვით, რაც მან „იქიდამ გამოიტანა“. „გამოიტანა“-ში სავარაუდოდ იგულისხმება რაც, ნივთის დამკარგავმა ქურდისაგან მიიღო, ეს კი განსაზვრული იქნებოდა იმ ნივთის ღირებულების მიხედვით რის ქურდობასაც აბრალებდა.

დასკვნა

⁵⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 521.

ძველ ქართულ სამართალში არსებული ნორმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ცილის შეწამება შეიძლებოდა სხვადასხვა ფორმით განხორციელებულიყო. სამართლის ისტორიაში ცრუ დასმენის, ტყუილი მთხრობლობის ცილისწამებად განხილვა განპირობებული უნდა იყოს ძირითადად ორი გარემოებით: დასახელებულ ქმედებათა საერთო ნიშნებიდან გამომდინარე სამართალგანვითარების ადრეულ ეტაპზე მათ შორის მიჯნის გავლება და ხელყოფის ობიექტის სწორად განსაზღვრა ვერ ხდებოდა; და მეორე – რელიგიური ნორმების გავლენით, რომლის მიხედვით მცნება არა ცილს სწამო მოყვასსა შენსა, მოიცავდა როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევასაც. ეს ასახულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესულ მოსეს სამართლის მე-14 მუხლშიც,⁵⁶² სადაც ცილისწამება, ცრუ შესმენა, ტყუილი ბრალდება ერთ მუხლშია გაერთიანებული, მუხლის დასაწყისის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ცრუ მოწამედ ითვლებოდა არა მარტო ის პირი ვინც მღვდელთა, მსაჯულთა წინაშე სდებდა ბრალს სხვას „უსჯულოებაში“, არამედ ზოგადად პირისთვის ტყუილად რაიმეს შეწამება მას ცრუ მოწამედ აქცევდა. ზღვარი წაშლილია ცრუ ბრალდებას და შესმენას შორის. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 289-ე მუხლშიც კანონმდებელი ცილისწამებაზე მიუთითებს,⁵⁶³ თუმცა ნორმის ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ აღწერილი ქმედება ცრუ დასმენას უფრო შეესაბამება. ასევე ამავე სამართლის წიგნის 140-ე მუხლში ცილისწამებასა და ტყუილი დაბეზღებას შორის ზღვარი არ არის გავლებული, ეს კი ასახვას პოვებს იმ გარემოებაზე, რომ ცრუ დასმენით ასევე ხდებოდა პირის პატივის ხელყოფა.⁵⁶⁴

ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც (ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის 120-ე მუხლი)⁵⁶⁵ ცილისწამების განმარტებაში გამოყენებული ტერმინის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ცილისწამება მოიცავდა ცრუ დასმენის შემთხვევებსაც. სამართალგანვითარების შემდგომ ეტაპზე დავით ბატონიშვილის სამართალში უკვე ცალკე არის გამოყოფილი ნორმები ცილისწამების, ცრუ დასმენის, ტყუილი ბრალდების (ტყუილი მთხრობლობა) შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ სამართალგანვითარების ამ ეტაპზე უკვე ხდებოდა ამ სამი ქმედების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ცრუ დასმენა კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დელიქტია და არა სახელმწიფოს ინტერესის ხელმყოფი დანაშაული.

როდესაც საუბარია ცილისწამებას, ცრუ დასმენას და ტყუილ ბრალდებას შორის განსხვავებაზე აქცენტი გაკეთებულია ამ ქმედებების ხელყოფის ობიექტზე. თუ ცილისწამების დროს ზიანს განიცდის პირის პატივი, ცრუ დასმენის და ტყუილი ბრალდებისას სახელმწიფო ინტერეს ენიჭება უპირატესობა.

⁵⁶² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 113.

⁵⁶³ იქვე, გვ. 197.

⁵⁶⁴ იქვე, გვ. 165, 166.

⁵⁶⁵ იქვე, გვ. 466.

ცილისწამების ზოგიერთ მუხლში კანონმდებლის მიერ ხდება უშუალოდ მითითება ხელყოფის ობიექტზე. აღნიშნული წარმოაჩენს ცილისწამების რა ფორმები შეიძლება განხილულ იქნეს პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებად. სხვა შემთხვევებში გამოყენებული სასჯელის სახის მიხედვით შესაძლებელია ობიექტის შესახებ მსჯელობა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასჯელი მხოლოდ იმის საშუალებას თუ გვაძლევს, რომ პირობითად დელიქტის სახე განვსაზღვროთ. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 120-ე მუხლში საუბარია შედეგებზე რაც ცილისწამებას მოაქვს, რის გამოც ქმედება დასჯადად ითვლებოდა, მაგრამ ხელყოფის ობიექტზე არაფერია ნათქვამი. ასევე დავით ბატონიშვილის სამართალშიც (მუხ. 130), გრძნეულების დაწამების მუხლში (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუღას სამართლის 146-ე მუხლი), ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 113-ე) პატრონისათვის მეკობრეობის ჩადენის ცოდნის დაწამებისას.

გამოყენებული სასჯელის მიხედვით ობიექტზე შეიძლება ვიმსჯელოთ მრუშობის დაწამებისას (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი). საუპატიოს მითითება მიანიშნებს, რომ მრუშობის დაწამება პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტად ითვლებოდა.

დავით ბატონიშვილის სამართლით ქალისთვის მრუშობის და სიძვის დაწამება იმიტომ ისჯებოდა, რომ ამით ხდებოდა ქალისთვის სახელის გატეხვა. მიუხედავად იმისა, რომ სიძვის დაწამებისას კანონმდებელი საუბრობს სიძვის შესმენაზე, ამით ქმედების არსი არ იცვლება, ის მაინც რჩება პატივის წინააღმდეგ მიმართული დელიქტად. ხელყოფის ობიექტის გარდა ამაზე გამოყენებული სანქცია-საუპატიოც მიანიშნებს. მოსეს სამართლის 29-ე მუხლით ქმრის მიერ ცოლისთვის სიძვის დაწამების დასჯადობას განაპირობებდა ქალისთვის სახელის გატეხვა.

პირის პატივის ხელყოფაზე არის მითითება ქურდობის დაწამებისას. ბექა-აღბუღას სამართლის 86-ე მუხლით ქურდობის დაწამებისას ხდება უდანაშაულო ადამიანისათვის სახალხოდ სახელის გატეხვა. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 159-ე მუხლით ქურდობის დაბრალებისას პირს პასუხისმგებლობა ეკისრება უკადრისის თქმისათვის.

ცრუ დასმენის ნორმებში ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში პატრონის, სახელმწიფო ინტერესია წინ წამოწეული. ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 მუხლში მითითებულია, რომ ასეთი ქმედება პატრონის შეცოდება უფროა. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში კანონმდებელი მიუთითებს ხელყოფის ორ ობიექტზე. ჯერ აღნიშნულია, რომ ასეთი ქმედება სახელმწიფოს აზარალებს, ხოლო შემდგომ კერძო პირის ინტერესებს. ობიექტის განსაზღვრის საკითხში ერთნაირ პოზიციაზე დგას ბექა-აღბუღას (მუხ. 40) და ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი. აღნიშნულ გარემოებაზე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ სხვა ძეგლებში არაფერია ნათქვამი. პირიქით, ბერძნული სამართლი ქართული ვერსიის 140-ე მუხლი იმის

დადასტურებას წარმოდგენს, რომ ცრუ დასმენა ასევე ცილისწამებად ითვლებოდა და პატივის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად განიხილებოდა, რადგან პირის სასჯელი ეკისრებოდა ეპისკოპოსის უპატიობისათვის, ასევე კრებულის „გინებისათვის.“ დასახელებული ნორმების მიხედვით აღნიშნულ საკითხზე ურთიერთსაპირისპირო დასკვნის გაკეთება შეიძლება. ის, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები ცრუ დასმენისას სახელმწიფო ინტერესს წინ აყენებენ ცილის დაწამების ფორმების განმასხვავებელი ნიშნის და ქმედების არსის სწორ გაგებაზე მიანიშნებს. მაგრამ შედარებით გვიან შექმნილ ქართული სამართლის ძეგლში, დავით ბატონიშვილის სამართალში, რომელშიც ზოგადად საჯარო ელემენტი უფრო ჭარბობს, ცრუ დასმენასთან (მუხ. 208) დაკავშირებით კანონმდებელი კერძო სასჯელებს იყენებს და არც საჯარო ინტერესის ხელყოფაზეა საუბარი. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე საუპატიოს დაწესება ვარაუდს აჩენს, რომ კანონმდებელი ასეთ ქმედებას უფრო პატივის წინააღმდეგ მიმართულ დელიქტად თვლიდა. გარდა ამისა ცრუ დასმენის შესახებ არსებული სასამართლო განჩინებებიც არ იძლევა საშუალებას სახელმწიფო ინტერესის უპირატესობის მინიჭებაზე რომ ვიმსჯელოთ.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 236-ე მუხლში, რომელიც ტყუილ მთხრობლობას ეხება ობიექტთან დაკავშირებით მინიშნება არ არის. ჩანს კანონმდებლის უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად მთხრობლობის მიმართ, გამონაკლისი არის „სადეთო წანახედი“ და ხელმწიფის ორგულობა. ამ შემთხვევაშიც საკითხის შესახებ მსჯელობისას გამოყენებულ სასჯელებს თუ დავეყრდნობით. მაგრამ სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის B და C ნუსხების 236-ე მუხლით, ასევე მთხრობლით მკვლელობის დაწამების შემთხვევებშიც. B ნუსხით, როცა ქურდობის მთხრობლობაზეა საუბარი, ჯარიმის დაწესება მიანიშნებს, რომ სახელმწიფო ინტერესი ზიანდება და შესაბამისად ასეთი ქმედება დანაშაულს წარმოადგენდა. C ნუსხის 236-ე მუხლით ტალიონის პრინციპით უნდა მომხდარიყო სასჯელის განსაზღვრა, ხოლო 38-40 მუხლებით კერძო სახის სასჯელებია დაწესებული. ცალსახად ტყუილი მთხრობლობის ობიექტის საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება.

დავით ბატონიშვილის სამართალშიც (მუხ. 94) ხელყოფის ობიექტი არ არის მოხსენიებული. თუმცა დაწესებული სანქციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ტყუილი მთხრობლობით ხელყოფას განიცდიდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირთა ინტერესი.

ძველი ქართული სამართლისგან განსხვავებით ბერძნული სამართალში ტყუილ მთხრობლობასთან დაკავშირებით ამ სახის კითხვები არ წარმოიშვება. თავად ქმედების განხორციელების გზით, გამოყენებული სასჯელის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კერძო პირის ინტერესის ხელყოფას მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

გარდა ხელყოფის ობიექტისა განსხვავებულია ცილისწამების განხორციელების გზები. არაერთგვაროვანია კანონმდებელთა ნება ქმედების საუბიექტურ მხარესთან მიმართებაშიც.

ბაგრატ კურპალატის სამართლის (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 120-ე მუხლი) და დავით ბატონიშვილის სამართლის 130-ე მუხლების მიხედვით, რომლებიც ცილისწამების ზოგად შემადგენლობებად შეიძლება ჩაითვალოს, იკვეთება ის ნიშნები, რაც ზოგადად ცილისწამებას ახასიათებს: ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება; გავრცელებული ინფორმაციის სიცრუე; გავრცელებული ინფორმაცია ეხება პირის მიერ ვითომდა დანაშაულის, ან უზნეო ქმედების ჩადენას; პირდაპირი განზრახვის არსებობა.

ბაგრატ კურპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 120-ე მუხლი) პირდაპირ განზრახვის არსებობაზე მიაწინებს რომ დამნაშავე „მტერობით“ ჩადის ქმედებას. დამწამებელს თავისი ნათქვამის დასადასტურებლად უნდა დაეფიცა. დაფიცების გარეშე მისი ნათქვამი ცილისწამებად ჩაითვლებოდა. დაფიცების ვალდებულებამ შესაძლოა გარკვეული ეჭვი გააჩინოს ცილისწამების პირდაპირ განზრახვასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვები არ ჩნდება დავით ბატონიშვილის სამართალთან (მუხ. 130) მიმართებაში. ტერმინის „მოუგონოს“ გამოყენება მიუთითებს პირდაპირი განზრახვის არსებობაზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლების ცილის შეწამების ნორმების კონტექსტიდან გამომდინარე რთულია იმის თქმა ეს ნორმები ცილისწამების რომელ ფორმას შეიძლება მიეკუთვნოს. იგივე შეიძლება ითქვას სუბიექტურ მხარესთან მიმართებაშიც. მოსეს სამართალში (მუხ. 14) დაზუსტებით თქმა რომ პირდაპირი განზრახვა შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა არ შეიძლება. ხოლო ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 173-ე, 174-ე და 289-ე მუხლებით, რომლებიც სუბიექტიდან გამომდინარე ცილისწამების სპეციალურ შემადგენლობებს წარმოადგენენ, „ცილის შეწამების“ განმარტებიდან თუ ამოვალთ შეიძლება ითქვას რომ ქმედების ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდებოდა.

სომხური სამართლის 107-ე მუხლის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით პირველ და მეორე ნაწილთან მიმართებაში საკითხი განსხვავებულად უნდა გადაწყდეს. პირველ ნაწილში საუბარია დამწამებლის მხრიდან თავისი ნათქვამის დაუმტკიცებლობაზე, რაც უშუალოდ არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დამნაშავე დარწმუნებული იყო ნათქვამის სიცრუეში. მეორე ნაწილთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რომ ქმედების ჩადენა პირდაპირი განზრახვით ხდებოდა. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ დამნაშავემ „ავი საქმე მოიგონა“ და „შილთახობით“-ცილისწამებით ბრალს დებდა.⁵⁶⁶

ცილისწამების ზოგადი შემადგენლობების მახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მკვეთრი ზღვარის არარსებობა ცილისწამების სხვა ფორმებთან მიმართებაში. აღნიშნული არ ეხება დავით ბატონიშვილის სამართალს. ეს გასაგებიცაა, რადგან ის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა

⁵⁶⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 255.

კრებულში შესულ სამართლის ძეგლებთან შედარებით გვიან შექმნილი სამართლის წიგნია.

ცილისწამებისას თუ დაწამება საჯაროდ ხდებოდა, ცრუ დასმენა პატრონის, მეფის, სასამართლოს ან „კრების“ წინაშე ხორციელდებოდა. პატრონის წინაშე შესმენას ეხება ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი) და ბექა-აღბუღას სამართლის მე-40 მუხლი.

მართალია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლში არ არის აღნიშნული, თუ ვისთან უნდა მომხდარიყო ტყუილი დაბეზღება, მაგრამ ნორმაში მითითებულია, რომ დამბეზღებელი სახელმწიფოს წინააღმდეგაც ჩადის დანაშაულს, დაწამება თუ მეფის, პატრონის წინაშე არ მოხდებოდა, მხოლოდ სახალხოდ რაიმეს თქმით დამწამებელი სახელმწიფო ინტერესს ვერ დააზარალებდა.

დავით ბატონიშვილის სამართალი (მუხ. 208) ცალკე გამოყოფს საზოგადოების და მეფის ორგულობის ტყუილ შესმენას და პასუხისმგებლობა დიფერენცირებულია დაწამებული დანაშაულის მიხედვით. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 253-ე მუხლიც სავარაუდოდ მეფის და საზოგადოების ორგულობის ტყუილი დაბეზღებისათვის უნდა აწესებდეს სასჯელს. ორივე მუხლში საუბარია, რომ მობეზღარმა პირი სასიკვდილოდ გაიმეტა თავისი ქმედებით. მიუხედავად იმისა კანონმდებლის სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული – რომ დაწამებულს სიკვდილით დასჯა მოელოდა, თუ სამოქალაქო სიკვდილი იგულისხმებოდა, ყველა სახის დანაშაულის დაწამებისათვის პირს არც ერთი მოელოდა და არც მეორე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესულ სამართლის ძეგლებშიც, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 140-ე მუხლით შესმენის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენდა დაწამების განხორციელება ხელმწიფესთან, ან მოსამართლესთან, ან „კრების“ წინაშე, ხოლო სომხური სამართლის 115-ე მუხლით – მოსამართლესთან.

სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით ცრუ დასმენის ყველა მუხლის ტექსტი არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კანონმდებელი პირდაპირ განზრახვას გულისხმობდა. ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი) კანონმდებელი მიუთითებს დასმენის უსამართლობაზე და რომ დამსმენმა „გაიმეტა“ დაწამებული. სავარაუდოდ ამ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვა უნდა იგულისხმებოდეს. ასევე დავით ბატონიშვილის სამართალში (მუხ. 208) აღნიშნულია, რომ დამნაშავე „სიცრუით და მტერობით“ მოქმედებდა.

ამ მუხლებისაგან განსხვავებით ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 253-ე მუხლის ტექსტში პირდაპირი მინიშნება პირდაპირი განზრახვისთან დაკავშირებით არ ჩანს. იგივე შეიძლება ითქვას ბერძნული სამართლის 140-ე და სომხური სამართლის 115-ე მუხლებთან მიმართებაშიც.

„ცილით შეწამების“ ერთ-ერთი ფორმა იყო დანაშაულის ტყუილი მთხრობლობა. მთხრობელი არის პირი ვინც აცხადებს, რომ იყო დანაშაულის ჩადენის უშუალო შემსწრე და მზად არის სასამართლოს წინაშე დამნაშევს ბრალი დასდოს. მთხრობლის ცნებიდან გამომდინარე ტყუილი მთხრობელი ბრალს სდებს მას ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია, აცხადებს რომ დაინახა მან დანაშაული როგორ ჩაიდინა. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა საუბარია სახელმწიფო დანაშაულებზე ტყუილი მთხრობლობა ცრუ დასმენას ემსგავსება, ზოგჯერ ტყუილი მთხრობელი ცრუ მოწმის მსგავსია, როცა დაზარალებულის მხარეს იგი გამოყავს, როგორც ბრალდების დამადასტურებელი, სხვა შემთხვევაში, როცა მთხრობლობა დაზარალებულთან ხდება და სასამართლოშიც არ გამოდის ბრალდების დასადასტურებლად, ტყუილი მთხრობლობა არც ცრუ დამსმენს და არც ცრუ მოწმეს წარმოადგენდა.

ძველი ქართული სამართლისაგან განსხვავებით ბერძნული სამართლის ქართული ვერსიით (მუხ. 331-335) მთხრობლობა უნდა მომხდარიყო პატრონის, ან მოსამართლის წინაშე.

მთხრობლის მიერ მკვლელობის დაწამებისას მთხრობელს უნდა დაემტკიცებინა თავისი სიმართლე ხმალში გატანებით (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი მუხ. 38-40). ტყუილი მთხრობლობის ცნებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თუმცა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 236-ე მუხლში ამის პირდაპირი მინიშნება არ არის. დავით ბატონიშვილის 94-ე მუხლში დასახელებული გარემოება უფრო იკვეთება, როცა კანონმდებელი აღნიშნავს, რომ პირმა ცრუდ იმთხრობლა. იგივე შეიძლება ითქვას ტყუილ მთხრობლობაზე ბერძნულის სამართლის ქართულ ვერსიის მიხედვითაც (მუხ. 335).

ყველა ზემოთ მოყვანილ ნორმებში განსხვავებული იყო ცილის შეწამების ფორმები. ამ განსხვავების გარდა ცალკე არის გამოყოფილი ცალკეულ ქმედებათა ცილისწამება, კერძოდ კი ბუნებითი დანაშაულების, გრძნეულების, ქურდობის ცილისწამება. ბაგრატ კურაპალატის სამართლით (ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი) შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია მრუშობის სახალხოდ ქმრის წინაშე დაწამება.

დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლით მრუშობის ცილისწამება ასევე ქმრის წინაშე ხდება. როცა საქმე ქმრის მიერ ცოლის სიძვის ცილისწამებას ეხება კანონმდებელი მიუთითებს ჩივილზე და შესმენაზე, რომელიც სავარაუდოდ მსაჯულთა წინაშე უნდა მომხდარიყო. ქმრის მიერ ცოლისთვის სიძვის დაწამებას ეხება მოსეს სამართლის 29-ე და სომხური სამართლის 180-ე მუხლები. დავით ბატონიშვილის სამართლით ქმარი ცოლისთვის სიძვის დაწამებისას „უგნურებით“ მოქმედებს, შესაბამისად პირდაპირი განზრახვის არსებობა შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს. სომხურ სამართალში მითითება იმ გარემოებაზე, რომ ქმარს ცოლის სიძულვილი ამოძრავებს და ტყუილად ბრალს დებს, უნდა მიანიშნებდეს პირდაპირი განზრახვის არსებობაზე.

იგივე შეიძლება ითქვას მოსეს სამართლის 29-ე მუხლზეც, ვინაიდან ამ ნორმაშიც აღნიშნულია ქმრის მიერ ცოლის მოძულება.

ბაგრატ კურაპალატის სამართლით (ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი) მრუშების ბრალდება საჯაროდ ხდებოდა. ნორმაში არ ჩანს, რომ პირდაპირი განზრახვის არსებობა აუცილებელი იყო. უსაფუძვლო ბრალდება საკმარისი იყო, რომ პირის ცილისწამებისათვის დაკისრებოდა პასუხისმგებლობა. იგივე შეიძლება ითქვას დაეით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც ასევე მრუშობის დაწამებას ეხება. ამ შემთხვევაშიც სახალხოდ ხდება დაწამება, რითაც ქალს სახელი უტყდება და არც პირდაპირ განზრახვაზეა ნორმაში მითითება.

გრძნეულების დაწამება ბაგრატ კურაპალატის სამართლით (ბექა-აღბუღას სამართლის 146-ე მუხლი) სახალხოდ უნდა მომხდარიყო. სუბიექტურ მხარეს რაც შეეხება, ნორმიდან არ ჩანს, რომ აუცილებელია პირდაპირი განზრახვის არსებობა. დამწამებელს უნდა დაემტკიცებინა თავისი ბრალდება, რისი გაუკეთებლობაც მას ცილისმწამებლად აქცევდა.

ცალკე არის გამოყოფილი ქურდობის ცილისწამება. ბექა-აღბუღას სამართლის 86 მუხლით ქურდობის დამწამებელი მიუხედავად არსებული მტკიცებულებებისა, რომლებიც დაწამებულის სასარგებლოდ მეტყველებენ (ნორმაში საუბარია ფიცზე და მოწმის ჩვენებებზე) არ აქცევს ყურადღებას და პირს სახალხოდ უტყვავს სახელს. ნორმის ტექსტიდან გამომდინარე პირდაპირი განზრახვის არსებობა აუცილებელი არ არის, საკმარისია ის გარემოება, რომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დამწამებელს არ ჰქონდა საფუძველი ქურდობა დაებრალეებინა.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 159 მუხლიც მსგავსია ბექა-აღბუღას სამართლის 86-ე მუხლისა. ამ შემთხვევაშიც დამწამებელი ფიცს არ ენდობა და „უპატიურს ჰკადრებს“. პირდაპირი განზრახვის არსებობა არც ამ შემთხვევაშია აუცილებელი.

ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 113-ე მუხლი) საუბარია არა დანაშაულის ჩადენის დაწამებაზე, არამედ მეკობრეობის ჩადენის ცოდნის ცილისწამებაზე. როგორც ჩანს დასჯადი იყო არა მარტო მეკობრეობაში უშუალო მონაწილეობა, არამედ მეკობრეობის ჩადენის ცოდნაც საკმარის საფუძველს წარმოადგენდა პასუხისმგებლობისათვის. ნორმაში პირდაპირი მითითება განზრახვასთან დაკავშირებით არ არის, თუმცა ნორმის კონტექსტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ პირდაპირ განზრახვა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. მეკობრეები მოქმედებენ პატრონის უკითხავად, შესაბამისად მათ იციან, რომ პატრონმა ამ დანაშაულის ჩადენის შესახებ არ იცის. ასევე არ არის დაკონკრეტებული დაწამების ხერხი, კეთდებოდა ეს სახალხოდ, თუ აღნიშნული ნორმა ცრუ დასმენას ითვლისწინებდა.

ცილისწამების ნორმების განზოგადების შედეგად შეიძლება შემდეგი ნიშნების გამოყოფა. როცა ცრუ დასმენაზე საუბარი ცილის შეწამება ხდება პატრონთან, მეფესთან. ტყუილი მთხრობლობისას დანაშაულს სწამებენ ან დაზარალებულთან, ან სასამართლოს წინაშე. ცილისწამების სხვა შემთხვევებში კი დაწამება სახალხოდ ხდება. სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით ცალსახად დასკვნის გაკეთება ცილისწამების ყველა ფორმასთან დაკავშირებით ვერ კეთდება. ზოგიერთ შემთხვევაში თუ პირდაპირი განზრახვაზე შეიძლება ვიმსჯელოთ, ცილისწამების სხვა შემთხვევაში გაუფრთხილებლობაც საკმარისია.

უძველი პერიოდიდან იყო გავრცელებული ცილისწამების იმავე სასჯელით დასჯა, რაც დაწამებულს მოელოდა. სასჯელის დანიშვნის ეს პრინციპი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში შესულ სამართლის ძეგლებშიც არის ასახული: მოსეს სამართალში (მუხ. 14), შემდგომ ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაშიც (მუხ. 140). ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნში კანონმდებელი ტალიონის პრინციპს იყენებს ტყუილი დაბეჭდებისას (მუხ. 227, 253) და ტყუილი მთხრობლობისას (C ნუსხის 236-ე მუხლი), ხოლო დავით ბატონიშვილი ცილისწამების (მუხ. 130) ზოგადი შემადგენლობისას. ტალიონის პრინციპის მითითებას უფრო პირობითი ხასიათი ჰქონდა და შესაძლოა იგი მხოლოდ კერძო სასჯელთა მიმართ თუ გამოიყენებოდა. თუმცა ამაზე იმ გარემოებასაც უნდა მოეხდინა გავლენა, რომ სიკვდილით დასჯას, დამასახიჩრებელ სასჯელებს ძველი ქართულ სამართალში ფართო გამოყენება არ ჰქონდა.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სხვა ქვეყნების სამართალით ცილისწამებისათვის დადგენილი სასჯელები მეტი სიმკაცრით გამოირჩევიან. ექსორიას იყენებს ბერძნული სამართლის ქართული ვერსია (მუხ. 173, 174), სხეულებრივი სასჯელი გვხვდება მოსეს სამართალში (მუხ. 29), ბერძნულ სამართალში (მუხ. 335) და სომხურ სამართალშიც (მუხ. 180). ძველი ქართული სამართალით ცილისწამების უმეტეს შემთხვევებში ქონებრივი სანქციები იყო დაწესებული, კერძოდ კი სისხლის ფასის და საუპატიოს გადახდა. როცა ქურდობის დაწამებაზე საუბარი საზღაურის რაოდენობა ნივთის ღირებულებაზე იყო დამოკიდებული.

ბაგრატ კურაპალატის სამართალით (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 120-ე მუხლი) ცილისწამებულს სავარაუდოდ მთელი სისხლის ფასი უნდა გადაეხადა. ნორმაში არ არის უშუალო მითითება ვის სასარგებლოდ ხდებოდა საზღაურის გადახდა. კომპოზიციათა სისტემის არსიდან თუ ამოვალთ, გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო. სისხლის ფასის ნაკლებ რაოდენობას (ნახევარს) აწესებს ბაგრატ კურაპალატის სამართალი (ბექა-აღბუღას სამართლის 146-ე მუხლი) გრძნეულების დაწამებისათვის. ამ ნორმის ტექსტიდან ჩანს, რომ გადახდა დაზარალებულის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო.

ამავე სამართლის წიგნით ცილისწამების სხვა ფორმისათვის, ცრუ დასმენისათვის (ბექა-აღბუღას სამართლის 132-ე მუხლი) ასევე სისხლის

ფასის გადახდაა დაწესებული და როგორც ტექსტიდან ჩანს დაზარალებულის სასარგებლოდ.

ცრუ დასმენის შესახებ არსებულ სასამართლო განჩინებებშიც ორი სახის სასჯელს ვხვდებით, ერთი ქონებრივია, მეორე ხელთ მიცემა. ქონებრივი სასჯელებშიც ორი ქვეჯგუფის გამოყოფა შეიძლება: როცა ზუსტად არის განსაზღვრული საზღაურის რაოდენობა ან სისხლის ფასის გადახდაა დადგენილი. ამ სახის სასჯელები გვხვდება მკვლელობის ტყუილი მთხრობლობისას, მიუხედავად იმისა, რომ ტყუილი მთხრობლობის ზოგადი ნორმით განსხვავებული სანქციაა დაწესებული. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის 38-ე, 39-ე და მე-40 მუხლებით ტყუილი მთხრობელი დაწამებულს უნდა გადასცემოდა და სისხლის ფასიც უნდა გადაეხადა. ამას ემატება კიდევ ალტერნატიული სასჯელი, თუ მთხრობელს სისხლის ფასის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა მისი ცოლ-შვილი უნდა გადასცემოდა დაწამებულს. სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს ხელთ გადაცემის გამოყენებას ტყუილი მთხრობლობისას.

ქონებრივი საზღაურის მეორე სახის სანქცია, რომელიც ცილისწამებისას გამოიყენებოდა საუპატიოა. მისი მოცულობა სისხლის ფასის მიხედვით განისაზღვრებოდა. საუპატიოს გადახდა დაწესებული იყო ბუნებითი დანაშაულების ცილისწამებისას. ბაგრატ კურაპალატის სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 145-ე მუხლი) დამწამებელს საუპატიოს გადახდა უწევდა მრუშებაში ცილდაწამებული ქალის ქმრის სასარგებლოდ. ასევეა განსაზღვრული სასჯელი დავით ბატონიშვილის სამართლის 223-ე მუხლის მეორე ნაწილით. ხოლო სიძვის დაწამებისას (223-ე მუხლის მესამე ნაწილი) საუპატიოს გადახდა ასევე დაზარალებულის, ქალის ოჯახის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო.

დავით ბატონიშვილის სამართლით საუპატიოს გადახდა ცრუ დასმენისათვისაც არის დაწესებული (მუხ. 208). აღნიშნული მუხლი კომპოზიციათა სისტემასაც იყენებს. საზოგადოების და მეფის ორგულობის დაწამებისათვის პირს სისხლის ფასი უნდა გადაეხადა, ხოლო თუ სხვა დანაშაულის დასმენას ექნებოდა ადგილი დამნაშავე საუპატიოს უხდიდა დაზარალებულს.

მესამე სახის ქონებრივი სანქცია ძველ ქართულ სამართალში ქურდობის დაწამებისას გამოიყენებოდა. ბექა-აღბუღას სამართლის 86-ე მუხლით საზღაურის ზუსტი რაოდენობა ნორმაში არ არის დადგენილი და დამოკიდებული იყო მოპარული ნივთის ღირებულებაზე. დამწამებელს უნდა დაებრუნებინა ის ქონება, რაც დაწამებულისაგან მიიღო, ეს სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო მოპარული ნივთის შვიდეული და ერთი ნაწილი თავის მხრიდან უნდა დაემატებინა. საზღაურის გადახდა ამ შემთხვევაშიც დაზარალებულის სასარგებლოდ ხდებოდა.

ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 159-ე მუხლითაც ქურდობის დაწამებისას ქონებრივი საზღაური დამოკიდებული იყო მოპარული ნივთის ღირებულებაზე, ხოლო სხვა დანაშაულთა დაწამებისას დამნაშავისაგან

მიღებული საზღაურის მოცულობაზე. დამწამებელს ევალებოდა დამატებით „გარჯის საუპატიოს“ გადახდაც. დამნაშავისაგან მიღებული საზღაურის ნახევარი და „გარჯის საუპატიო“ მიეცემოდა ვისაც დაფიცება მოუწია, კერძოდ კი ცილდაწამებულს.

ქურდობასთან მიმართებაში ჯარიმა გამოყენებულია ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის B ნუსხის 236-ე მუხლში, როცა ქურდობის მთხრობლობაზეა საუბარი. ჯარიმას აწესებს დავით ბატონიშვილი ტყუილი მთხრობლობისათვის (მუხ. 94). მუხლში ქონებრივი საზღაური ორად არის გამოყოფილი, ნახევარი დაწამებულს ერგებოდა, მეორე ნახევარი კი ჯარიმას წარმოადგენდა.

ქონებრივი სანქციების გარდა ძველ ქართულ სამართალში გვხვდება სანქცია – ხელთ მიცემა. პატრონისათვის მეკობრეობის ჩადენის ცოდნის დაწამებისათვის (ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ბექა-აღბუღას სამართლის 113-ე მუხლი) დამწამებელნი პატრონს ხელთ უნდა გადაცემოდა, მათი დასჯა პატრონის სურვილზე იყო დამოკიდებული. ხოლო ქონება რაც მეკობრეებს ეკლესიიდან ჰქონდათ წამოღებული უკან უნდა დაებრუნებინათ.

ხელთ მიცემას ვხვდებით ცრუ დასმენის სასამართლო განჩინებებშიც. ხელთ მიცემა და სისხლის ფასი შეიძლებოდა როგორც ალტერნატიული სანქციები ისე ყოფილიყო გამოყენებული (განჩინებაში ბექან წულუკიძის და გოგია ავალიანის საქმეზე 1784-1796), ან მხოლოდ ერთი სასჯელი მიეთითებინა სასამართლოს. (ერეკლე II-ის განჩინებაში ქსნის ერისთავის დავითის საქმეზე ხელთ მიცემაა დაწესებული. სოლომონ II-ის განჩინებით სისხლის ფასი უნდა გადაეხადა დამნაშავეს.) გამოყენებული ორივე სასჯელები კერძო სახისაა.

ხელთ მიცემას ვახტანგ ბატონიშვილი მკვლელობის ტყუილი მთხრობლობისას უთითებს (მუხ. 38–40). დაწამებულს ტყუილი მთხრობელი უნდა გადასცემოდა და სისხლის ფასიც უნდა მიეღო. თუ მთხრობელს სისხლის ფასის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდა მისი ცოლ-შვილიც უნდა გადასცემოდა დაწამებულს (მუხ. 39). სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს ხელთ გადაცემის გამოყენებას ტყუილი მთხრობლობისას.

ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში ცილისწამებისას გამოყენებული სასჯელები უმეტეს შემთხვევაში ქონებრივი სახისაა და როგორც ნორმათა ტექსტიდან ჩანს მისი გადახდა დაწამებულის სასარგებლოდ ხდებოდა. ხელთ მიცემა ასევე კერძო სახის სასჯელი იყო. გამოყენებული სასჯელების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ცილისწამების ნორმების უმეტესობა პირობითად კერძო დელიქტებს უნდა მიეკუთვნოს. საზღაურის საჯარო ფორმას - ჯარიმას გამონაკლის შემთხვევებში ვხვდებით. მაგალითად, ტყუილი მთხრობლობისას. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნის სხვადასხვა ნუსხებით ტყუილი მთხრობლობის განსხვავებული სანქციების დაწესება ზუსტი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა, წარმოადგენდა ტყუილი მთხრობლობა საჯარო დელიქტს, თუ კერძოს. ამ მხრივ კითხვებს არ იწვევს დავით ბატონიშვილის სამართლის ნორმა

ტყუილ მთხრობლობაზე (მუხ. 94). კანონმდებლი ჯარიმის გადახდას აწესებს, თუმცა საზღაურის მეორე ნახევრის დაზარალებულისათვის გადაცემით კერძო ინტერსის დაკმაყოფილებაც ხდება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ის. დოლიძემ, თბ. 1963;
2. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო კანონმდებლობის ძეგლები (X-XIXსს) ტექსტი გამოსცა, შინიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1965;
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებები (XVI-XVIIIსს), ტექსტი გამოსცა, შინიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1972;
4. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებები (XVIIIს), ტექსტი გამოსცა და შინიშვნები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1974;
5. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებები (XVIII-XIX სს). ტექსტი გამოსცა, შინიშვნები და საძიებლები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1977;
6. ვახტანგ VI სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1955;
7. სამართალი ბატონიშვილი დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964;
8. დიდი სჯულის კანონი. გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დალაქიძემ და გ. ნინუამ, თბ., 1975;
9. მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972;
10. იოანე ბატონიშვილი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმის პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ., 1957;
11. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ძველ საბუთთა დედნების კოლექცია, ფონდი 1448, საქმე 866;
12. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, კაკაბაძე ს., ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, წ. II, თბ., 1927;

13. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;
14. შრომა და მოღუაწებად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისად, ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებელისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით, თბ., 1963;
15. წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბომსი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-Xსს), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით, თბ., 1963;
16. „კორპუს იურის ცივილის“ იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, და საძიებლები დაურთო ნ. სურგულაძემ, თბ., 2002;
17. იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი მესამე, წიგნი მეოთხე, გამოსცა ნ. სურგულაძემ, თბ., 2013;
18. ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, ის. დოლიძე, თბ., 1950;
19. ხამურაბის კანონები, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კიკნაძემ, თბ., 1988;
20. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, რედაქტორი გრ. გიორგაძე, თბ., 1990;
21. Хрестоматия памятников феодального государства и права стран европи. под редакцией В. М. корецкого, М., 1961;
22. Хрестоматия по всеобщей истории государства и права. том 1. под редакцией К. И. Батыра и Е. В. Поликарповой, М., 2003;
23. Дигести Юстиниана, том VII, полутом 1, книга XLV-XVII, ответственный редактор Л. Л. Кофанов, М., 2005.
24. Дигести Юстиниана, том VII, полутом 2, книга XLVIII-L, ответственный редактор Л. Л. Кофанов, М., 2005.

25. Эклога, византийский законодательный свод VIII века, Вступительная статья, перевод, комментарий Е. Э. Липшиц, М .1965.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973;
2. დოლიძე ის., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953;
3. დოლიძე ის., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960;
4. ვაჩეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946;
5. ვაჩეიშვილი აღ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1948;
6. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. II, თბ., 1981;
7. მეტრეველი ვ., ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ჟურნალი „სამართალი“, 1992, №12, 39-45;
8. მონიავა პ. (თემურ), პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვა საქართველოში (უძველესი დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით), თბ., 2005;
9. ნადარეიშვილი გ., ფიცი, როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962;
10. ნადარეიშვილი გ., ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლებისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მიხედვით, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, გვ. 52-68;

11. ნადარეიშვილი გ., კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, №14, 100-128;
12. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1995;
13. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1991;
14. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1993;
15. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963;
16. სურგულაძე ივ., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2002;
17. სურგულაძე ივ., ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორია, ხელნაწერი.
18. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ნაწ. 3, თბ., 1991;
19. ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984;
20. წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზი (ველიმიროვიჩი), ათი მცნებანი ღვთისანი, ჟურნალი „მოყვასი“, 2003, №10, გვ. 20-21;
21. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ.VII, თბ., 1984;
22. ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), რჩეული თხზულებები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ის. დოლიძემ, თბ., 1982;
23. Fälschner H., Preusischen Strafrechts zweiter teil, Die Verbrechen gegen das Recht der Privatperson, Bonn, 1868;
24. Moosheimer Th., Die actio injuriarum aestimatoria im 18. und 19. Jahrhundert, Eine Untersuchung zu den Gründen ihrer Abschaffung, Tübingen, 1997;

25. Heinz S., Das Wesen der falschen Anschuldigung in der geschichtlichen Entwicklung und im ausländischen sowie geltenden und kommenden deutschen Strafrecht, Breslau- Neukirch, 1939;
26. Мусульманское право (структура и основанные институты), ред. Л. Р. Сюкияйнен, М., 1984;
27. Духовский М.В. Понятие клеветы, как преступления против чести частных лиц по русскому праву. - Ярославль, 1873г.
http://www.pravo.vuzlib.org/book_z2243.html
28. www.orthodoxy.ge/sakhli/10mtsneba.htm
29. http://martlmadidebloba.ge/ganmarteba4_mecxre-mcneba.html